დავით გაბუნია

# ცისა და მიწის ოთხი ხეივანი

# პ ო ე ზ ი ა

წიგნი

I

## ვარდფურცლობის დღესასწაული



დავით ჭაბუკია

# ცისა და მიწის ოთხი ხეივანი

პოემა

წიგნი I

ვარდისფერი ცოლობის დღესასწაული

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...
ნ. ბარათაშვილი

მოსვლია ფერებს: ვერონეზე და
ტიციანი და ნიაღვარი...
ტ. ტაბიძე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

© დ. გაბუნია, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-800-9



# ბუნების იდუმალება და მეცნიერული მიღწევების რაობა ფოლკლორული ხელოვნების ჭრილში

რა არის ბუნება? რა ძალები განაპირობებენ მის საოცარ მრავალფეროვნებასა და ყოვლისშემძლეობას?

ამ საკითხების გარშემო, დაწყებული თალესიდან და ჰერაკლიტედან დღემდე, დაუსრულებელი დავა აქვთ ერთმანეთთან სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობებს. ერთნი – სულის უპირატესობას აღიარებენ, მეორენი – მატერიის. მაგრამ დღემდე ბევრი რამ „სფინქსის გამოცანად“ რჩება!..

როგორც ცნობილია, ფილოსოფიური აზროვნების ორი მაგისტრალური მიმართულება (იდეალისტური და მატერიალისტური), დიდად განსხვავებული კრიტერიუმით უდგება ბუნების ძალთა შემეცნების საკითხებს, რომ ჭეშმარიტებას მიუახლოვდნენ.

არ იქნება მართებული ის, რაც სამყაროში ობიექტურად არსებობს ბუნებად მივიჩნიოთ. ისინი მხოლოდ ჩვენთან ერთად ბუნების საგნებია. ჩვენ კი გვაინტერესებს ღრმად და საფუძვლიანად ჩავიხედოთ იდუმალებით მოცული მოვლენების სიღრმეში და ავხსნათ, თუ რა ძალები განაპირობებენ ყოველივე არსებულის წარმოშობასა და

მის განვითარებას – სულიერია ის თუ უსულო?!

ხშირად გვესმის ასეთი თქმა: ბუნების ძალები მართავენ ყოველივეს სამყაროში. მაგრამ, ამ შემთხვევაში ძალთა ცნების საკითხს ჩვეულებრივი მექანიკის ნიუტონისეული კანონებით ვერ მივუდგებით. ამ „ძალების" ქვეშ უფრო რთული და მიუწვდომელი „მექანიზმები" არსებობენ, რომლის აღმოჩენა ფილოსოფიური აზროვნების ჭეშმარიტ ქვაკუთხედად უნდა მივიჩნიოთ! აქვე, ხაზგასმით და მკაცრად შეიძლება ვთქვათ ელექტრომაგნიტური ველების მეტად დიდმნიშვნელოვან როლზე კოსმოსში, როგორც მთავარი „ბერკეტის" შესახებ!

როგორც ჩანს, ყველაფერს, რაც სამყაროში ჩნდება და არსებობს თავისი მოვალეობა აკისრია. შემთხვევითობისაგან, იქნებ ბუნებაც არ იყოს დაზღვეული, მაგრამ, ერთი რამ ცხადია, რომ მის დიდ და გასაოცარ სიზუსტეს ვერავინ უარყოფს! ამაზე მიუთითებს ის, რომ მთელი პლანეტა მოიაროთ, ხეზე ორ ფოთოლს ვერ იპოვით სრულიად ერთნაირს. რაც უფრო ენერგიულად და ღრმად ვიჭრებით მის სიღრმეში, მით უფრო რთულდება საქმე!..

სამყაროში მუდმივი და მყარი არაფერი არ არსებობს. განუწყვეტლივ იცვლება მისი ფიზიკური და ბიოლოგიური სურათი. ბერძენი ფილოსოფოსის ჰერაკლიტეს თქმით: „ბუნებაში ყველაფერი მიედინება, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ."

რაც შეეხება სიცოცხლეს, ის ბუნების თანდაყოლილი თვისებაა. მზის სისტემაში მოქცეული ცხრა პლანეტიდან, მხოლოდ დედამიწა აღმოჩნდა ამ მხრივ „ოქროს კვეთაში". სიცოცხლის – ამ საოცარი ფენომენის წარმოშობისა და განვითარებისათვის, როგორც ჩანს, არსებობს რაღაც კრიტიკული მანძილი მზიდან, რომელიც განაპირობებს, ისეთ გარემო პირობებს, რომელიც მთელი სილამაზით აღმოაცენებს სიცოცხლეს!..

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვადასხვა

მზის სისტემაში არც თუ ხშირია სიცოცხლე, მაგრამ სამყაროს სივრცეებში ამგვარი სისტემები ურიცხვია. ამდენადაც, ცივილიზაციაც უთვალავი უნდა იყოს!..

ყველაფერი, რის გაჩენაც დაკანონებულია ბუნებაში, აუცილებლად დროითაა შემოსაზღვრული. ყველაფერი, რაც ჩნდება – ვითარდება, ბერდება და იღუპება. ამ კანონიდან გადახვევა, მხოლოდ ბუნებაში მომხდარ შემთხვევითობას, ან შეუგუებლობას უნდა მიეწეროს. როგორც ჩანს, ეს შემთხვევითობაც ბუნების შინაგანი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს!

იქნებ, ბუნება ცოცხალი „მუდმივი ძრავაა“ – **„perpetuum mobile**“ კოსმოსში არსებული „ფარული ჰარმონიიდან“ გამომდინარე?!

იქნებ, ერთიანი ველის თეორიის აღმოჩენა დაგვეხმაროს კოსმოგონიური პრობლემების გადაწყვეტაში?! იქნებ, სამყაროს არსებობის საბოლოო ფიზიკური სურათი – ბროუნის მოძრაობაა?!

ბროუნის მოძრაობაზე დაკვირვებისას, ამ სურათით მოჯადოებულმა, სწორუპოვარმა ა. აინშტაინმა წამოიძახა: „ო, არის რაღაც“. ამ „რაღაცის“ საიდუმლოების გახსნა ფარდობითობის თეორიაზე, გაცილებით რთული აღმოჩნდა მეცნიერებისათვის.

გენიალური პოეტი და მოაზროვნე, ბუნების ძალთა სწორუპოვარი მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველა ამბობს: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს გვითესავს, ზოგჯერ მქმნელია ავისა, ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, სადაც პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა, მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ყვავისა!..“

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მამამთავარი, კენისბერგელი ბრძენი – იმანუილ კანტი ამბობს: „მე მაოცებს ჩემს ზემოთ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ჩემში კი ზნეობრივი კანონი“.

სახელგანთქმული ვაიმარელი პოეტი და ბრძენი გოეთე მიუთითებს: ვიცით და გვჯერა, რომ ჩვენს გარშემო იდუმალებით დაყურსულია ბუნება, მაგრამ, ვერცერთ მეცნიერსა და ფილოსოფოსს ჯეროვნად ვერ აუხსნია ის!

ცხადია, ბუნება არ არის ისეთი გულუბრყვილო და მიამიტი, რომ ყველაფერი ერთბაშად გვითხრას და გაგვანდოს! ასე რომ მისი ბევრი საიდუმლო დღემდე ჩვენთვის „გორგიასის ნასკვად“ რჩება!

როგორც ცნობილია, მეცნიერული დაკვირვებიდან გამომდინარე, ამჟამადაც ხდება ახალი ვარსკვლავების წარმოშობა მაგელანის ღრუბლებსა და ანდრომედას ნისლოვანებში, რომელიც შეუძლებელია მოხდეს ენერგიის ერთი ფორმიდან მეორეში გადაუსვლელად.

თანამედროვე მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს აღნიშნული მოვლენები ახსნას „დიდი აფეთქების შედეგად“, რომელიც მათი აზრით განპირობებული უნდა იყოს სივრცეში ნივთიერების სიმკვრივის მუდმივი ცვლილებით. აქედან გამომდინარე, ცხადია, განუწყვეტლივ უნდა იცვლებოდეს გალაქტიკების ფორმა და მოცულობა. მაგრამ დღემდე ყველაფერი ეს – ჰიპოთეზად რჩება, რომლის დამტკიცება ვერა და ვერ ხერხდება!

ვინ მოთვლის, დღემდე სამყაროს წარმოშობის თუ რამდენი ჰიპოთეზა არსებობდა, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი!

აქედან, მხოლოდ იმანუილ კანტის – ნისლოვანებიდან მზის სისტემის გრიგალისებურად წარმოშობის თეორიამ გაუძლო ყველაზე უფრო მეტხანს დროის გამოცდას. მაგრამ საბოლოოდ უარყოფას ისიც ვერ გადაურჩა.

ადამიანებს უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ გონების თვალით ჩაეხედათ ნივთიერების შიგნით და გაეგოთ მისი აგებულება. ანტიკური ხანის გამოჩენილი ფილოსოფოსები ლევკიპი და დემოკრიტე ანტიკური ატომისტიკის ფუძემდებლები ემპირიული გზით მი-

ვიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მატერია შედგება უმცირესი ნაწილაკე-ბისაგან – ატომებისაგან. მათი აზრით, სამყაროს უსასრულობა აგე-ბულია ატომებისაგან და სიცარიელისაგან. ისინი ატომებს მიიჩნევ-დნენ სამყაროს შემადგენელ პატარა აგურებად, რომლის დანახვა თვალით ვერ ხერხდება. ცხადია, იმ დროისათვის, ეს აზრი მეტად გა-ბედული იყო, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო!

გამოჩენილმა ინგლისელმა ქიმიკოს-ფიზიკოსმა ჯონ დალ-ტონმა, რომელმაც შექმნა ატომური თეორია ქიმიაში და პირველმა შემოიტანა ცნება ატომური წონის შესახებ, აღმოაჩინა კანონი გა-ზებში პარციალური წნევის არსებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებს ეჭვი ეპარებოდათ ატომის განუყოფლობაზე, მაგრამ ამ აზრის დამტკიცება მეცნიერულად ვერ ხერხდებოდა და ეჭვი ეჭვად რჩებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. კავენდიშის ლაბორატო-რიის დირექტორმა, სახელგანთქმულმა ინგლისელმა ფიზიკოს-ექ-სპერიმენტატორმა ერნესტ რეზერფორდმა XX საუკუნის დასაწყის-ში პირველად განახორციელა დიდი ენერგიების მქონე ალფა ნაწი-ლაკებით ატომების დაბომბვა, რომელიც გასაოცარი წარმატებით დამთავრდა. ამით საბოლოოდ დაირღვა აზრი ატომის განუყოფლო-ბაზე. ამავე მეცნიერმა პირველმა მოგვცა ატომის პლანეტარული მოდელი. მისი აზრით ატომის ცენტრში იმყოფება ბირთვი და მის გარშემო განუწყვეტლივ მოძრაობენ დიდი სისწრაფით, როგორც მცირე ზომის პლანეტები – ელექტრონები. ამავე დროს გაბედულად გამოთქვა აზრი ატომის ბირთვში ნეიტრონების არსებობის შესახებ. რა თქმა უნდა, ამ მოდელმა შემდგომ ვერ დააკმაყოფილა მთელი რი-გი მეცნიერული მოთხოვნები, და ის საბოლოოდ უარყოფილ და უკუგდებულ იქნა, მაგრამ ატომის ღრმად შესწავლის საქმეში მეც-ნიერებაში რევოლუციური როლი ითამაშა.

ვ. ლენინმა ამ დიდი აღმოჩენის შემდეგ თავის სახელგანთქმულ ფილოსოფიურ შრომაში: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“

ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელექტრონი, რომელიც მეცნიერების განვითარების მოცემულ დონეზე უმცირეს ნაწილაკად ითვლება, მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთივე რთული ნაწილაკი, როგორიც არის – ატომი.

ფარდობითობის თეორიის მამამთავარმა ალბერტ აინშტაინმა XX საუკუნის დასაწყისში საოცარი აღმოჩენებით მთლიანად შეცვალა კლასიკური წარმოდგენები დროსა და სივრცეზე! შექმნა ფარდობითობის სპეციალური თეორია, რომლითაც ჭეშმარიტად აღიწერება სხეულის მოძრაობა ვაკუუმში, სინათლის სიჩქარის მახლობლობაში. მონახა მჭიდრო ურთიერთკავშირი მოძრავი სხეულის მასასა და ენერგიას შორის. შექმნა ფარდობითობის ზოგადი თეორია. მონახა კავშირი მოძრავი ნაწილაკის მასასა და ამავე ნაწილაკის უძრაობის მასას შორის. ამ სწორუპოვარმა მეცნიერმა აღნიშნული და მთელი რიგი სხვა კანონების აღმოჩენების საფუძველზე, ფარდა ახადა ბუნების ბევრ დიდ საიდუმლოს. ამ აღმოჩენების შემდეგ ძნელი არ არის მზისა და ვარსკვლავების უზარმაზარი ენერგიების წარმოშობის საკითხის ახსნა. შეეცადა მოენახა ერთიანი ველის თეორია, მაგრამ მან ეს ვერ მოასწრო და ის მომავალ ფიზიკოსებს უანდერძა გადასაწყვეტად. როგორც ვნახეთ, ბუნება, რომელიც ძალზე ძუნწია საიდუმლოების გაცემაში, ამ განუმეორებელი მეცნიერის მიმართ ხელგაშლილი აღმოჩნდა.

რადიაქტიური გამოსხივების საფუძველზე ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯეიმს ჩედვიკმა აღმოაჩინა, რეზერფორდის მიერ ნავარაუდევი, ნეიტრალური (უმუხტო) ნაწილაკი – ნეიტრონი. რომლის აღმოჩენამ, საფუძველი დაუდო ურანში ჯაჭვური რეაქციის განხორციელებას. ამით კი „ხავერდოვანი“ გზა გაეხსნა ჯერ ატომური და შემდგომ, თერმობირთვული ბომბის შექმნას აშშ-ში. ხოლო ჰოპენჰაიმერისა და ენრიკო ფერმის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველად მასობრივი მოსპობის შემაძრწუნებელი იარაღი, რომელმაც განაპირობა

მეორე მსოფლიო ომში იაპონიის აყვავებული ქალაქების ხიროსიმასა და ნაგასაკის აღგვა მიწის პირიდან!!! ამ უგუნურმა და გაუგონარმა კატასტროფამ შეიწირა 200 ათასზე მეტი მოქალაქე. ამ კოშმარული ბომბების მოქმედებამ გამოიწვია კაცობრიობის სულიერი დეპრესია და საბოლოოდ მოსვენება დაუკარგა დედამიწაზე მცხოვრებთ!

ამჟამად დედამიწაზე იმდენი თერმობირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღია დაგროვილი, რომ მათი ერთობლივი გამოყენების შედეგად, სიცოცხლის ნატამალიც არ დარჩება დედამიწაზე! საინტერესოა, ყოვლის შემძლე ბუნებამ რატომ დათმო ეს საიდუმლო?! ხოლო გამოჩენილმა მეცნიერებმა, რომლებმაც მიაგნეს ბუნების ამ საიდუმლოს, როგორ მოხდა, რომ ხელში ჩაუგდეს ეს კატასტროფული იარაღი ამერიკის სისხლიან პრეზიდენტს?! სად არის აქ დიდი ფიზიკოსების საყოველთაო ჰუმანიზმი?! ნუთუ ყოვლისშემძლე ბუნება თავის თავში ინახავს ესოდენ შემზარავ წინააღმდეგობებს?!

გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი ვერნერ ჰაიზენბერგი თავის ცნობილ ავტობიოგრაფიულ შრომაში „მთელი და ნაწილი“ ამბობს: ჩვენ საშუალება გვქონდა, რომ შეგვექმნა ატომური იარაღი, მაგრამ მკაცრად დავთქვით მეცნიერებმა, რომ პირსისხლიანი ჰიტლერისათვის ხელში არ ჩაგვეგდო ის, თორემ კაცობრიობის ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა!

ვინც ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ ჩემს შემდგომ ქვა უთოვიაო, ის არც მეცნიერია, არც პოლიტიკოსი და არც სახელმწიფო მოღვაწე. ყოველივე ეს კარგად უნდა ესმოდეთ, როგორც სახელმწიფო მესვეურთ, ასევე გამოჩენილ მეცნიერებს. არ ვიცი, მომავალში თუ როგორ შეაფასებენ მომდევნო თაობები ატომური და თერმობირთვული ბომბების შექმნის მამამთავრების მეცნიერულ პოზიციებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მათ თავიანთი აღმოჩენებით გარდაუვალი საფრთხის წინაშე დააყენეს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობა!!!

აინშტაინმა ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ განაცხადა, თუ მესამე მსოფლიო ომი გაჩაღდება, მაშინ მეოთხე – ქვებითა და მშვილდისრებით იქნებაო! როგორც ჩანს, დასკვნის გამოტანა იჩქარა ამ შეუდარებელმა მეცნიერმა და დაუცხრომელმა ანტიფაშისტმა. ისმის კითხვა: დარჩება დედამიწაზე სიცოცხლის ნატამალი?! ამ დიდმა ჰუმანისტმა, როცა გონების თვალით აწონა იაპონიაში მომხდარი შედეგები, პირველმა მოუწოდა მეცნიერ-ატომისტებს, რომ შეუპოვრად ჩაბმულიყვნენ მოძრაობაში – ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ.

ამ წერილში განსაკუთრებულად ფიზიკოს-ატომისტებზე გავამახვილე ყურადღება, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ არანაკლებ კატასტროფულია დედამიწაზე სიცოცხლისათვის ქიმიური და ბაქტეროლოგიური იარაღები!

მეცნიერები ვალდებულად უნდა თვლიდნენ თავს, რომ ყოველი მონაპოვარი მეცნიერების დარგში, ადამიანების ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და მათ ბედნიერებას ემსახურებოდეს. განა დაცინვა არ არის მეცნიერების მხრივ ადამიანებზე, როცა დაიწყეს მუშაობა „სუფთა“ ნეიტრონული ბომბის შექმნაზე, რომელიც მხოლოდ სიცოცხლეს სპობს პლანეტაზე და სხვა ყველაფერს უცვლელად ტოვებს?! საკითხავია, ვის რად სჭირდება დედამიწა სიცოცხლის გარეშე?!

დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტებიდან იმდენი თანხა იხარჯება მომაკვდინებელ იარაღთა ახალი სახეობების გამოგონებისათვის, რომ ამ თანხის მესამედიც ეყოფოდა ადამიანებს ბედნიერად ეცხოვრათ პლანეტაზე.

ხშირად ცისფერი ეკრანიდან აბობოქრებული სტიქიონის წინაშე მდგარი დიქტორი გამაოგნებელი ხმით, რომელიც შემდგომ, თანდათან და ჯეროვნად გულის ამაჩუყებელ ცრემლიან ხმაში გადადის, გულისტკივილით გვაუწყებს: როცა უკანასკნელი ხე გახმება, ხა-

ვერდოვანი მინდორ-ველები საცოდავად გადაყვითლდებიან, უკანასკნელი მდინარე მოიწამლება და ჟანგბადის უკმარისობით მიწაზე გართხმული ადამიანები ცხელ ქვიშაზე დაყრილი თევზებივით დაიწყებენ უმწეოდ ფართხალს, მაშინ დავრწმუნდებით იმაში, რომ კაცობრიობა განსაცდელის წინაშე დგას და სასთუმალქვეშ შემონახული ფულის გამოყენება შეუძლებელი გახდება! ამიტომ მოგმართავთ ყველას თხოვნით, რომ სახსრები დროულად მოგვაშველოთ, რათა ჩვენი შვილები და შვილიშვილები ვიხსნათ მოსალოდნელი განსაცდელისაგან!

ჩვენდა საუბედუროდ, დედამიწის ეკოლოგიური საფარი ისეა გაჭუჭყიანებული, რომ ნაკლებ სავარაუდოა სიცოცხლის გადარჩენა. მაგრამ, როგორც ხალხური სიბრძნე გვასწავლის, – ცდა ბედის მონახევრეა და ჩვენც უნდა ვიღონოთ ყველაფერი დედამიწაზე სიცოცხლის გადასარჩენად, ოღონდ, ამისათვის სახელმწიფო კი არ უნდა მათხოვრობდეს, თითქმის უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილი მოქალაქეებისაგან, არამედ ჯეროვნად უნდა გამონახოს სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსასწორებლად.

ჩვენს პლანეტას ცხადია, კარგს არაფერს უქადის პოლუსებთან ოზონის ფენების შეთხელება, რომელიც, როგორც ფიქრობენ მეცნიერები, გამოწვეული უნდა იყოს ტექნიკური რევოლუციით. ატმოსფერო – ეს ისეთი საცერია, რომ მინიმუმამდე დაჰყავს მავნე კოსმოსური სხივების ოდენობა.

ატმოსფეროს გარეშე მძიმე კოსმოსური ნაწილაკების ნიაღვარი, რამდენიმე წუთში გააქრობს დედამიწაზე სიცოცხლეს! ცხადია, არც წაღმა-უკუღმა რაკეტებით არ უნდა იხლიჩებოდეს ატმოსფერო – დედამიწის ეს საოცარი გარსი, რადგანაც რაკეტების ვეებერთელა ნაკვალევზე დიდი ინტენსივობით შემოიჭრებიან ხოლმე, ყოვლისწამლეკავი კოსმოსური სხივთა ღვარები!..

დააკვირდით: მთვარეზე, მარსზე, ვენერაზე, იუპიტერსა და სა-

ტურნზე სპეციალური აპარატებით გადაღებულ სურათებს, თუ რაოდენ შემზარავია სიცოცხლის გარეშე ამ პლანეტების დანახვა. თუ მაქსიმალურად არ გასუფთავდა დედამიწა მავნე ელემენტებისაგან, მაშინ ისიც გაუდაბურდება და მზის სისტემის სხვა პლანეტების რიგში ჩადგება – სამუდამოდ მდუმარე და უსიცოცხლო!..

ისედაც უთვალავი „მტერი“ ჰყავს დედამიწას, მეტეორებისა და ასტეროიდების სახით.

როცა ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შედეგები მოახსენეს პრეზიდენტ ტრუმენს, თურმე სიხარულით ცას ეწია!.. როგორც ჩანს, ამ პირსისხლიან კაცს, ის კი არ ახარებდა მარტო, რომ იაპონიის ქალაქები აღგავა მიწის პირიდან, არამედ თავი დედამიწის მფლობელად წარმოიდგინა. რომ ამგვარი იარაღი გზას უკაფავდა ამერიკას საოცნებო, მსოფლიო ბატონობისაკენ!..

ამ მოვლენის ფონზე, რა გენიალურად ჟღერს ნ. ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონები: „თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად აღარა არის სხვა რამ დიდება, ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...“

დედამიწას ძალზე ხშირად მოევლინებიან ხოლმე ბოროტი დემონების სახით: თემურლენგები და ატილები, შაჰ აბასები და ჰიტლერები, რომლებიც მოწოდებულნი არიან დედამიწაზე ქვა ქვაზე არ დატოვონ თავიანთი განდიდებისა და კეთილდღეობისათვის. თუ არა ბოროტი განზრახვა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ტრუმენის ბრძანებით ხიროსიმას და ნაგასაკის ჯოჯოხეთური დაბომბვა?! ან ატილასა და თემურლენგის მიერ ციხე-გოდოლების აგება ადამიანთა თავის ქალებისაგან?!

კეთილი და ბოროტი ძალების მარადიული ჭიდილის სიმბოლოა ბერძენი გოლიათების ჰერკულესისა და ანთეოსის სასიკვდილო შებმა.

ამ დევგმირთა ჭიდილში, თურმე შემზარავად ტორტმანებდა

დედამიწა! ბოლოს და ბოლოს ჰერკულესმა შეძლო ანთეოსის მოწყვეტა მიწიდან და ჰაერში მისი მოხრჩობა. ჰერკულესი, რომ კეთილი ძალის განსახიერებაა, ეს იქიდან ჩანს, რომ მან შეძლო ადამიანთა საკეთილდღეოდ თორმეტი საგმირო საქმის ჩადენა. აქედან ყველაზე მთავარი იყო კაცობრიობის ბედნიერებისათვის ტანჯული გმირის – პრომეთეს განთავისუფლება, რომელიც კავკასიონის მაღალ კლდეზე იყო მიჯაჭვული ყოვლისშემძლე ზევსის ბრძანებით, რადგანაც მან ღმერთებს გამოსტაცა ცეცხლი და ადამიანებს მოუტანა მიწაზე.

გაჩენის დღიდან მწერლობა მუდამ კეთილი ძალების მხარეზე იდგა და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ბნელ ძალებთან. ხოლო პოეზიას ყოველთვის უპირველესი ადგილი ეჭირა ამ შეურიგებელ ბრძოლაში. ეს ასე იყო ჰომეროსიდან და ჰესიოდედან დაწყებული დღემდე.

პოეზია ჭეშმარიტად არის ადამიანის სულის მესაიდუმლე. ხოლო კეთილსა და ბოროტს შორის დაუნდობელი ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ფაზაში შევიდა მას შემდეგ, რაც გამოგონებულ იქნა ახალი სახეობის მასობრივი ჟლეტის იარაღები!..

პოეზია იყო და რჩება კაცობრიობის სულიერი სილამაზის გაზაფხულად! თუკი კაცობრიობას დაღუპვისაგან რამე იხსნის – მხოლოდ სილამაზეო, - ამბობს ბერძნული ფილოსოფიის მამამთავარი – სოკრატე.

დღეს ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ ლექსის რომელ ფორმას ექნება მომავალში უპირატესობა – რითმიანს, თეთრს თუ თავისუფალს? ჩემი აზრით არც ერთი არ იქნება დასაწუნი ნიჭიერი შემოქმედის ხელში, პირიქით, მრავალფეროვნება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს მკითხველ-საზოგადოებაში. ჰომეროსი, შექსპირი, უიტმენი, ლორკა, ელიოტი, რილკე, ქვაზიმოდო, ისეთივე ბუმბერაზები არიან რითმებისაგან თავისუფალ პოეზიაში, როგორც რუსთაველი, ნიზამ განჯელი, ომარ ხაიამი, ჰაფეზი, ვერლენი და გალაკტი-

ონი რითმიან ლექსებში.

პოეზიაში, როგორც ყოველთვის, მთავარია ფილოსოფიური აზროვნების ბუნებრივი შერწყმა პოეტურ მეტყველებასთან. თუ ლექსი ძლიერად არის დამუხტული შენი დროის ეროვნული და საკაცობრიო ტკივილებით, მაშინ ასეთი პოეზია უკვდავების ნათელით არის აღბეჭდილი!

შემთხვევით არ ამბობს გალაკტიონი: „დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს – ეს წელიწადი, დღე და საათი“. მომდევნო სტრიქონებში კიდევ უფრო ამძაფრებს და აკონკრეტებს პოეტი სათქმელს: „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ – დროის ეპოქის და სივრცის გარეთ!“

ხშირად გვესმის ასეთი თქმა: ჩვენი საუკუნე იმდენად მდიდარია ტრაგიკული მოვლენებით, რომ მის სრულყოფილად ასახვას ასი შექსპირიც არ ეყოფოდაო!

კაცობრიობის ისტორიას ნამდვილად არ ახსოვს მსგავსი რამ, რაც მოჰყვა ჯერ ოქტომბრის რევოლუციას, ხოლო შემდგომ მეორე მსოფლიო ომს, ჭეშმარიტად, კაცობრიობის ბედის დაცინვაა: ბაბი იარი და ხატინი, მაიდანეკი და დახაუ, ოსვენციმი და ბუხენვალდი, ხიროსიმა და ნაგასაკი!!!

ჰოი, ბოროტებავ! რა შორს მიდიხარ შენ! მითხარით, სად არის აქ ადამიანის გონების უნივერსალობა და სიდიადე?! საუკუნეების სიშორიდან, ო, რა შემზარავად ისმის ბნელი ძალების „ჰომერული“ ხარხარი?!

ნამდვილად წარმოუდგენელია, რომ იმ პლანეტაზე, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის ბუმბერაზები, როგორიც არიან: ჰომეროსი და ფირდოუსი, რუსთაველი და დანტე, შექსპირი და გოეთე, ბაირონი და შელი, ლიბო და ვან ვეი, ომარ ხაიამი და ნიზამ განჯელი, პუშკინი და მიცკევიჩი, ბალზაკი და ჰიუგო, ტოლსტოი და დოსტოევსკი, ვაჟა-ფშაველა და კონ-

სტანტინე გამსახურდია, ბარათაშვილი და გალაკტიონი, პლატონი და არისტოტელე, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო, რაფაელი და რემბრანტი, მოცარტი და ბეთჰოვენი, ბახი და ვერდი, დარვინი და მენდელეევი, გალილეი და ნიუტონი, აინშტაინი და ბორი და სხვა... ამდენი უბედურება და ბოროტება ბობოქრობდეს!...

პოეზია – სულიერი სწრაფვის გამოსახვის ისეთი უნივერსალური ფორმაა, რომ ხშირად უხდება მნიშვნელოვანი გადახვევა მკაცრად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობიდან. ამავე დროს, პოეტი ხშირად კარგავს თავისუფლებას არსებულ გარემოში, მაგრამ ზებუნებრივი ნიჭის წყალობით, ენერგიულად ინარჩუნებს მას შემოქმედებაში. „ჭეშმარიტი პოეზია – ეს არის სიყვარული, ვაჟკაცობა და შეწირვა“, – ამბობს დიდი ესპანელი პოეტი და მოაზროვნე ფედერიკო გარსია ლორკა.

მეოცე საუკუნის თვალსაჩინო იტალიელი პოეტი სალვატორე ქვაზიმოდო თავის ერთ-ერთ ლირიკულ ლექსში ამბობს: „ქვეყნის მესვეურნო, ერთი დღე, ერთი დღე, მაინც მოგვეცით იმისათვის, რომ გავიდეთ ქალაქგარეთ, რათა წამოვწვეთ მწვანე ბალახზე და ვუცქიროთ სუფთა ცას, და არ გვეშინოდეს იმისი, რომ თავის ქალას გაგვიხვრეტს რკინის ნამსხვრევი!“

ახლა, ატომის ხანაში უფრო ტრაგიკულად და მწვავედ ვგრძნობთ საკაცობრიო მასშტაბით დანიელი პრინცის შეუდარებელი მონოლოგის ძალას: „ყოფნა-არყოფნა? – საკითხავი აი ეს არის!“

თაობები მიდიან და მოდიან. „ერთი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“, – ამბობს რუსთაველი. განუწყვეტლივ იცვლება ადამიანური ხასიათები და წესები. მაგრამ მთავარი მუდამ უნდა გვახსოვდეს: – ჩვენ ადამიანები დედამიწაზე უმაღლეს დონეზე მოაზროვნე არსება ვართ. ადამიანური გრძნობები უნდა გვკარნახობდეს რომ ატომური და თერმობირთვული ბომბები კი არ გვჭირდება, არამედ ყოველმხივ უნდა წავეშველოთ მშობლიურ ბუნებას, რომ ის კე-

თილშობილი და კულტურული გავხადოთ.

ისაკ ნიუტონი თავის გენიალურ შრომაში: „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“ – ამბობს: მე ის ბავშვი მგონია ჩემი თავი, რომელიც ბობოქარი ოკეანის სანაპიროზე დადიოდა და სხვებთან შედარებით უფრო მსხვილ ფერად კენჭებს პოულობდაო.

თანამედროვე მეცნიერები ვალდებულნი არიან კაცობრიობის წინაშე მოინანიონ მათი და მათი წინამორბედების მიერ დაშვებული შეცდომები და რაც შეიძლება მეტი „ფერადი კენჭები“ მონახონ ადამიანური ცხოვრების გასამშვენიერებლად.

ბერძენმა ფილოსოფოსმა იდეალისტური ფილოსოფიის მამამთავარმა – პლატონმა თავის სახელგანთქმულ დიალოგებში მოგვცა იდეალისტური სახელმწიფოს შექმნის მოდელი. მას შემდეგ 24 საუკუნე გავიდა, მაგრამ არც ერთი ქვეყნის ხელმძღვანელს არ უფიქრია მის შექმნაზე. თავი დავანებოთ იდეალისტური სახელმწიფოს შექმნაზე ფიქრს და ვიზრუნოთ ისეთი სახელმწიფოების შექმნაზე, სადაც ადამიანების ერთმანეთთან ბრძოლა შეიცვლება მათი ბუნების გაკეთილშობილებისათვის ბრძოლით. „სადაც სიცოცხლე ჯოჯოხეთად არ იქცევა“ – ბერდიაევი.

ჰომეროსი ამბობს: „ჭეშმარიტად, მთელ სამყაროში არაფერია უფრო უბედური ადამიანზე.“ ამ ტრაგიკული ცხოვრების შესამსუბუქებლად განსაკუთრებული როლი აკისრია პოეზიას. ამაზე კიდევაც ამბობს ჩვენი ერის დიდი მოჭირნახულე და მოძღვარი ილია ჭავჭავაძე: „თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო.“

„მხოლოდ ღმერთები და პოეტები იმსახურებენ იწოდებოდნენ შემოქმედად“, - ამბობს იტალიური სიბრძნე. „პოეზია ეს მჟღერი ფერწერაა“ – ამბობს პლუტარქი, ის მოვალეა და ვალდებულადაც მიიჩნევს თავს ემსახუროს ადამიანური ტკივილების შემსუბუქებას.

დროა, კაცობრიობამ შეიგნოს უტყუარი ჭეშმარიტება: ის წარმოიშვა იმისათვის, რომ გაამშვენიეროს დედამიწა – მისი საცხოვრისი. მომდევნო თაობები უნდა ზრუნავდნენ, რომ წინა თაობებზე უკეთესები გახდნენ თავიანთი მოწოდებით. სწორედ ამაში დევს ცხოვრების დიალექტიკის ჭეშმარიტი აზრი! დროა ვისწავლოთ ადამიანებმა ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ვაიძულოთ ქვეყნის მესვეურნი ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვან ძალის პოლიტიკაზე. შევასრულოთ დიდი ამერიკელი მწერლისა და ჰუმანისტის ერნესტ ჰემინგუეის მოწოდება: „მშვიდობით იარაღო!“

მე კაცობრიობის ცხოვრების სიმბოლურ სურათად ზღვა მიმაჩნია. ხან ქარიშხლის ფრთებზე ამბოხებული ბობოქრობს, ხან კი – დილის მზის სხივებზე გაჩუმდება, გახდება საოცრად ხასხასა და ალერსიანი, მოლივლივე ცისფერი ტალღებით!

ადამიანი გაჩენის დღიდანვე პარაბოლაზე იწყებს მოძრაობას. სად, რომელ ფაზაში მოსწყვეტს მას ბედისწერა ტრაექტორიიდან, ეს არავინ უწყის!

რა ვიცით ადამიანებმა მიწაზე ჩვენი წარმოშობის შესახებ? საიდან მოვედით? საითკენ მივდივართ ბოლოს? რაში მდგომარეობს აქ ჩვენი მოსვლის მთავარი აზრი?

ჰოი, ბუნებავ! რა ღრმა და იდუმალი ხარ შენ! მარად შეუცნობელო საოცრებავ! მოგინდება? – უთვალავ სიცოცხლეს წარმოშობ და ზღაპრულ სილამაზეს მიანიჭებ მას! ხოლო, როცა მოისურვებ, ერთი ხელის მოსმით აპარტახებ და სპობ ყველაფერს! ნეტავ, რა ძალები მართავენ შენს უჩვეულო სიდიადეს? შენ დედასავით მახლობელი ხარ და თანაც უსაზღვროდ ცივი და მიუწვდომელი!..

ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ჰერაკლიტემ 2500 წლის წინათ ივარაუდა კოსმოსში „ფარული ჰარმონიის“ არსებობა. კოსმოსის ამ საიდუმლოების გახსნას სხვადასხვა დროს ცდილობდნენ გამოჩენილი ფილოსოფოსები და მეცნიერები. მათ შორის, განსაკუთრებით

უნდა აღინიშნოს მოაზროვნეების: გალილეო გალილეის, ისაკ ნიუტონის, ალბერტ აინშტაინის, სტივენსონ ჰოკინგის ახალი რადიკალური შეხედულებები კოსმოსის შესახებ, რომელიც საოცრად მართავს მიწაზე სიცოცხლის წარმოშობასა და მის ჰარმონიულ განვითარებას!

რამდენადაც მეცნიერებმა ჯერ კიდევ ცოტა რამ იციან მზის სისტემის შექმნაზე, ამდენად ძნელი აღმოჩნდა ზემოთ დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა.

რა ბევრის მთქმელია სიტყვა – დედამიწა! მხოლოდ ქართულმა ენამ შეძლო მიწის დედასთან გაიგივება. ქართულმა ხალხურმა სიბრძნემ უხსოვარ დროიდან იცოდა მზისა და მთვარის – ამ საოცარი ბუნების ციური სხეულების დანიშნულება მიწაზე სიცოცხლის შექმნისა და მისი განვითარების რაობაზე! და კიდევაც შეძლო პოეტური ენით გადმოეცა – „მზე – დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი და გუნდგუნდი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.“

ჩვენ, ადამიანები ცოტა ხნით მოვდივართ ამ ქვეყანაზე. კოსმოლოგიური განვითარების თვალსაზრისით სიცოცხლე დროის უმნიშვნელო ნამსხვრევია: „ცდების და ცდების სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად“, – ამბობს დიდი რუსთაველი. რამდენის მთქმელია ლათინური სიბრძნე: „**Memento mori**“!

სიცოცხლის სიკვდილზე გადასასვლელი ხიდი არც თუ გრძელია! მაგრამ გააჩნია თუ როგორ გადაივლი მას! ადამიანის უკვდავება მის სულიერ სიმშვენიერეში მდგომარეობს და არა ბოროტებაში. ისტორიაში შესვლა ყოველთვის უკვდავებას როდი ნიშნავს!

ბერძენმა ქუჩის მათხოვარმა ჰეროსტრატემ, რომ მისი ხსოვნა დარჩენილიყო, ხელოვნების ერთ–ერთი საოცრება–არტემიდას ტაძარი ცეცხლს მისცა და ფერფლი ნიავქარს გაატანა!..

გინახავთ მდინარის პირად ყელმოღერებული და ცისკენ უმანკო თვალებით მზირალი წეროების მომნუსხველი ცეკვა, ან მწვანე, ხავერ–

დოვან მინდორზე შვლებისა და ანტილოპების ჰაეროვანი, ზღაპრული ნავარდი?! მოგისმენიათ გაზაფხულის პირას, ვარდფურცლობის ჟამს, ფრინველების მომხიბვლელი ჟივილ-ხივილი, ან ტყეებსა და ბაღებში ჩიტუნების იდუმალებით მოცული გალობა?! შეგიხედავთ, უჩვეულო გრძნობით ცის სილაჟვარდეში აზიდული ამაყი მთებისა და სალკლდე-ებიდან ჩამოქაფული ჩანჩქერებისათვის?! მიგიდევნებიათ მზერა, მზის ამოსვლის ჟამს მოლივლივე ზღვის ტალღებისათვის, ან მაისის ღამით ვარსკვლავების ფერადი ყვავილებით მორთულ ცის სილაჟვარდეზე?! გინახავთ, ცისკრის ჟამს თეთრ ღრუბლებს შორის ანგელოზის თვა-ლებით მზირალი ცის იდუმალება?!

ჩაგიხედავთ ხეივნებში მოსეირნე გოგო-ბიჭების სიყვარულით და ღიმილით სავსე თვალებისათვის?! გინახავთ მდინარის პირას ყვავი-ლებით მოჩითულ მინდორზე, მშობლების თვალწინ, პირზე რძეშეუშ-რობელი ბავშვები რომ დაბობღავენ?!

და ამბობს პოეტი: „მიწა რა არის? – მზის გვირგვინის ლურჯი ტახტია და სიყვარულის ვრცელი სავანე!..“

ამას წინათ, მეგობრებთან ერთად გავიარე მთებში. ბებერ კლდის პირას ვნახე საოცარი რამ – ნორჩ ხეს ორად გაეპო ვეებერთე-ლა კლდის ლოდი და მთელი სიტურფით ამოზიდულ იყო იქიდან!.. აყვავებაც მოესწრო და სიოს ფრთებზე თვალწარმტაცად ირხეოდა, თანაც საამო სურნელებას ჰფენდა მიდამოს!...

დიდხანს მდუმარედ ვუცქეროდი ბუნების ამ საოცრებას და მომაგონდა დიდი რუსთაველის განუმეორებელი სტრიქონები: „ბო-როტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

20.08.06

მოსკოვი

# ავტორისაგან

ჩემი ლექსების პირველი წიგნი გამოიცა 1969 წელს, ხოლო მერვე 1991-ში.

22 წლის მანძილზე, საბჭოური რეჟიმის დროს, რომელსაც ხშირად ბოროტად, ანგარიშსწორების მიზნით იყენებდნენ ზოგიერთები, გამოვეცი მხოლოდ 8 კრებული, 14 საგამომცემლო თაბახის ოდენობით!

წინასწარ მკაცრად გვაფრთხილებდნენ, რომ ყოველი ახალი წიგნი, თუ მწერალთა კავშირის წევრი არ იყავი, მოცულობით 1–2 თაბახზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ისიც 2–3 წელიწადში ერთხელ!!!

რამდენადაც ჩემი მიღება მწერალთა კავშირში ხელოვნურად ჭიანურდებოდა, ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის ჩემდამი არაჯანსაღი დამოკიდებულების გამო, ჩემს ლექსებს უკიდურესად ძუნწად ბეჭდავდნენ!

საუბედუროდ, ჩემი მისამართით დევნა და შევიწროება არც შემდგომში შეწყვეტილა. რაზეც ჩემს მემუარულ წიგნში: „ჩემი ცხოვრების ოთხი დრო“, მექნება საუბარი!

მხოლოდ, ამ რამდენიმე წლის წინათ შვილების მატერიალური დახმარებით შევძელი მოსკოვში გამომეცა ჩემი შემოქმედების ერთი ნაწილი – ორ წიგნად.

ამჟამად გადავწყვიტე მთელი ჩემი პოეტური შემოქმედება გამოვცე ოთხ წიგნად, შემდეგი სახელწოდებებით: „ვარდფურცლობის დღესასწაული“, „კივიან სამრეკლოს ზარები“, „ფერიცვალების ველი“, „სიშორის ფერები“ საერთო სათაურით – „ცისა და მიწის ოთხი ხეივანი“.

მიმაჩნია, რომ გამოსაცემი წიგნები ორგანულად შეესატყვისება და სათანადოდ ასახავს ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების ოთხ დროს.

30.08.11

თბილისი

# წინათქმა

წლის ყველა დრო თავისებურად ლამაზია, მაგრამ გაზაფხულს – ამ ზღაპრულ დედოფალს ვერაფერი შეედრება!

მახსოვს: გაზაფხულის პირას, ბავშვობისას, ნიავის ფაქიზი ფრთებით დარხეულ ხეთა რტოებიდან მიწაზე დაღვრილ ფერად ყვავილებს ხელისგულზე ციცინათელებივით დავისვამდი და გულისტკივილით დედას ვუჩვენებდი. ის მეტყოდა: „შვილო, ნუ სწუხარ, მომავალში ისინი კვლავ აყვავდებიანო!..“

მოგვიანებით, როცა დიდ ჩინურ პოეზიას ვეცნობოდი, გენიალურ ვან ვეის ლექსში ასეთ სტრიქონებს წავაწყდი: „ნუ ნაღვლობ ჟამით გაძარცულ რტოებს, აყვავდებიან კვლავაც ისინი!“ – რამაც დედის ნათქვამი მომაგონა და სიამესთან ერთად, უჩვეულო, ფარული ტკივილი მაგრძნობინა!

ბავშვობიდან ვეტრფოდი გაზაფხულის ამ საოცარ იდუმალებას და შევეცადე, დარწმუნებულმა პოეზიის ყოვლისშემძლეობაში, ჩანგის სიმებზე გადამეტანა ნანახი და განცდილი!..

ამიტომ, ამ პირველ წიგნს „ვარდფურცლობის დღესასწაული“ დავარქვი.



06.07.09

მოსკოვი

[illegible]

# დღესასწაული

ლირიკა

## ნიავსაც აღარ აკარებს

კვლავ ბევრჯერ მოვლენ ციმციმით ეს
გაზაფხულის ფერები,
შენი საფლავი ყვავილთა
ღიმილით დაიფარება!...

კვლავ ბევრჯერ მოვლენ გალობით მაისის
ლურჯი ჩიტები,
დალოცეს შენი ქალობა:
ამ ცამ, ბაღმა და მინდვრებმა!..

გულში იხუტებს ბალახი მაგ სურნელოვან
ნაკვალევს,
წვიმას და ქარებს კი არა,
ნიავსაც აღარ აკარებს!

19.04.47
ბანძა

## ზამთარი მიდის

ზამთარი მიდის და თოვლი დნება, კვლავ ათრობს სივრცეს
დინება თბილი,
მზე გაზაფხულის მომიტანს შვებას
და მეც გავყვები
შორეულ ბილიკს...

ზამთარი მიდის, და მიწა იწყებს მტრედივით ღუღუნს და
მზეზე თრთოლვას!..
და ჩემში მაინც ყრუ
ტკივილს იწვევს,
ო, როცა დნება და
მიდის თოვლი!

18.02.48
ბანძა

# მივალთ სამივე

შორს მთები მოჩანს საირმე, დაბლა თავთავთა ყანები,
მივალთ სიმღერით სამივე,
სიცოცხლეს ვეთაყვანებით!
მოლურჯო ფრთებს შლის ნიავი და გზა იხსნება სამოთხის,
გული გვევსება სიამით,
მთიდან ჩანჩქერიც ჩამორბის...

ცას სწვდება ჩიტის გალობა და სიო არხევს ყვავილებს,
ამ მზის და მიწის წყალობით
მივალთ სიმღერით სამივე!..

14.04.50
ბანძა

## არ შეწყვიტო

არ შეწყვიტო ეგ სიმღერა, თორემ, სულში უმალ
დაივანებს მწუხრი!
უკვე აღარ მეგულები შორეთს,
შენს წინაშე მოვიყარე მუხლი!

ქარი, როცა გაიტაცებს ყვავილს, სადმე მაღალ
ბალახებში მალავს,
როცა ფარდებს აეფარე ღამით,
მე ვიგრძენი  სიყვარულის ძალა!..

წამო იქით, სად ვარდები ხარობს, როცა ნამით
ლაწვები აქვთ სველი,
ანგელოზმა ციდან გვითვალთვალოს
და ნიავმა გვიგალობოს დილის!..

28.05.50
სოხუმი

## სიყვარული

მდინარის ფსკერზე გაწოლილა თეთრი ღრუბელი
დაკეშსილი ოქროს ძაფებით
და დაძარღვული მწვანე ფოთოლი ტკაცუნობს მზეზე...
ჩვენ მიმოვდივართ, საყვარელო,
ფარული თრთოლვით
და ერთმანეთზე, ო, უზომოდ შეყვარებულებს,
მომავალ დღეთა აღარ გვაკრთობს
სევდა და შიში!

21.07.51
სოხუმი

## ცისფერი წვიმა

ეს ვინ გააბა ო, ამდენი სიცოცხლის სიმი?!
თითქოს ზეციდან მოჟღურტულებს
ჩიტების წვიმა...
და უსველდება დედამიწას ატლასის კაბა
და იცინიან, იცინიან
დეკა და საბა!..

შორს, ლაჟვარდებში გულკალმახა მერცხალი ფეთქავს,
რა აღულუნებს ასე თბილად
ნეტავი ქედანს?
აგერ გაიღო უცაბედად კარები ოდის
და გამოცურდა გოგო,
როგორც სინათლის ტოტი!...
შეხედე, როგორ მიაქანებს ვიღაცა ბორანს,
ღრუბელი ცაზე, როგორც
თეთრი ზამბახი ბოლავს!..

აგერ ეს ბიჭი იმ გოგონას ყვავილებს აწვდის,
გოგონას როგორ აუფაკლდა ქათქათა ღაწვი?
ბელურას სადღაც ჩუმად თივის ბულული მიაქვს,
ყაყაჩოს ტანზე აუფეთქდა
ჭრილობა ღია!..

წვიმის წვეთები ეცემა და იპობა ბუტკო,

ვიცოდე, დედავ, შენში
                    ნეტავ რა ძალა ბუდობს?!

ეს ვინ გააბა ო, ამდენი სიცოცხლის სიმი?
მოდის აპრილი, მოჟღურტულებს
ჩიტების წვიმა!..

03.04.52
ბანძა

## არხევს ჟამის სიმებს

არსად ღრუბლის ჩერო, ზეცა გახდა მშვიდი,
ეს მდინარე ჩემი,
ნეტავ საით მიდის?

რტოზე ჩიტი გალობს, არხევს ჟამის სიმებს,
მზე იცინის ხვალის
და მიბრუნებს იმედს!..

მე ცრემლებით ვნამავ ბილიკს სიჭაბუკის,
სიბრალულით მიცქერს
ტყიდან ვაჟას ნუკრი!..

14.04.53
ბანძა

***

შეღამებისას ალვების შრიალს განვიცდი, როგორც
იდუმალ ტკივილს!
მოაქვს ჩურჩული ვარდისფერ ნიავს
და ღრუბლის თეთრი მიცურავს ტივი...
ირხევა ნელა ჩრდილები მთვარის, ვერ უძლებს სული
ხსოვნის სიმძიმეს!
და ვერცხლისფერი მდინარის ტანი
შენი თვალების შუქზე ციმციმებს!..

18.04.69
სოხუმი

## სამშობლოს დილა

მზე მოადგება მაღალ გუმბათებს... სივრცეს წალეკავს
ფერთა მორევი.
სულში ლაჟვარდი შემოანათებს,
მთებზე გადადის
ნისლი ზმორებით...

ზეცა ირწევა, როგორც მდინარე და მზე შემოდის
უცხო მირაჟით!..
მე შენი ნაზი სუნთქვა ვიწამე
და შენი მთების თეთრი რიჟრაჟი!..
ცა მოხასხასე შენით ვიწამე და ქარაფებზე
მთვარის ჩქერები...
სულში მინთია შენი სიმწვანე,
შენი ლამაზი,
მინდვრის ფერები!..

25.04.52
სოხუმი

## პეპელა

მინდორზე ფარფატებს პეპელა, ფერდობზე
ჩამორბის წყარო...
მინდორზე ფარფატებს პეპელა,
და რტოზე ბულბული გალობს!...

მინდორზე ფარფატებს პეპელა მაისის
ცვარ-ნამით სველი...
ნიავი ყვავილებს ეფერა
და სული ვერ ძღება ცქერით!..

მინდორზე ფარფატებს პეპელა, მზე ყვავილს
უღიმის დილის!..
მინდორზე ფარფატებს პეპელა
და მისდევს ხავერდი ჩრდილის...

10.05.52
ბანძა

## ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

(ფრაგმენტი)

მზე შუქს ათოვებს შინდისფერს, ბადე
მოიხსნა ღრუბლის
და მიდის ზეცის ბილიკზე,
როგორც ასული უფლის!..
ფანჯრის რაფაზე მტრედი ზის და გალობს
ჩიტი რტოზე...
გალაღებული დედის რძით,
ხბო კი კუნტრუშებს მოლზე...

11.05.52
ბანძა

* * *

ცხოვრება გგლეჯდა კბილით ზვიგენის, ეს რა
წამება გადაიტანე!...
მერე ცის შუქად
გარდაიქმენი
და  სიყვარულზე მღერის გიტარა!..

შეხედე, ისევ გამოიდარა და მზე გამოჩნდა
ზეცის ტილოზე...
ქარი კვლავ მთვარის
არხევს მიმოზებს
და სიყვარულზე მღერის გიტარა!..

21.02.53
სოხუმი

## ველოდები უკვე მერცხალს

რა ლამაზი გახდა ეს ცა და მზე კიდევ
ო, რა მნათი!
ველოდები უკვე მერცხალს,
კრთის ათასი ათინათი!..

ვხედავ რტოებს შუქს რომ ისხამს, ეს მთაც მალე
ზამთარს მოლევს,
საოცნებო გახდა ეს ზღვა,
ზვირთებს აღარ მოაგორებს!

ეს რამდენი ჩიტი გალობს, მოლზე
ბეღურები დახტის,
მზემ ათასი ოქროს ზარით
დაუმსხვრია ზამთარს ტახტი.

რა ლამაზი გახდა ეს ცა და მზე კიდევ,
ო, რა მნათი!
ველოდები უკვე მერცხალს,
კრთის ათასი ათინათი!..

02.03.53
სოხუმი

* * *

უეცრად ადიდებული ვნახე აბაშის წყალი,
ცა იყო რა დიდებული
და რა საოცრად წყნარი!
შორს აიშალა ღრუბელი, ცა ახმაურდა ერთობ,
ეს სილამაზე ზღაპრული,
რად ამიმღვრიე, ღმერთო?!

14.04.53
ბანძა, აბაშისპირი

## სულის ზარები

დაფარავს მინდვრებს გაზაფხულზე თრთოლვა ყვავილთა
და მაგ იდუმალ
საოცრებას ნაზიარები,
შენი თვალების ულამაზეს ზეცას ავინთებ,
დარეკავს სულ სხვა სიმაღლეებს
სულის ზარები!..
მინდა გიცქირო და არსაით მიმეჩქარება,
მე შენი ტრფობის
უჩვეულო ქსელში გავები!..
ყვავილთა თრთოლვით მინდვრები რომ დაიფარება,
დარეკავს სულ სხვა სიმაღლეებს
სულის ზარები!..

12.02.54
ბანძა

## მზე მთაზე

შეხედე, შუქმა როგორ იმატა!.. ბნელი დაემხო
პირქვე უგონოდ...
წავიდა მარტის ღამე კვიმატი,
წავიდა მარტის ღამე ულონო!..
და მზე შემოდგა მთაზე ბლავილით... გაჰფანტა ქვეყნის
ღამე უძირო!...
ოქროს თითებით
მოაქვს ყვავილი,
რომ დიდხანს ქვეყნის თრთოლვას
უმზიროს!..

02.04.54
ბანძა

## მოლზე მიმოდის ნიავი

მომავალ დღეებს ტრფობით გაგისხივოსნებს ალბათ,
და დაგიბრუნებს ყრმობის
სილამაზეს და შარბათს!..
იას შეხედე, იცინის, მოცისფრო თვალებს ნაბავს,
მოლზე მიმოდის ნიავი,
ყვება ბავშვობის ზღაპარს!..
ტოტზე ზის ჩიტი პატარა
წვიმა უსველებს კაბას!...

10.04.54.
სოხუმი

## დილით

შევაღე ფრთხილად განთიადზე ჭიშკარი ბაღის,
ღელავს მდინარე ყვავილების –
ფერადი ტალღა...
აქ ატმის რტოებს არხევს ნელა ნიავი დილის
და გაქრა სადღაც მთვარის
თეთრად დაღვრილი ჩრდილი...
მზე ცის თავანზე მიიწევა აფრების გაშლით
და სულთა შორის ულამაზესს
ამყარებს კავშირს!..

12.04.54
ბანძა

## ო, როგორ მიყვარს!

ო, როგორ მიყვარს მთვარიან ღამით
მე შენი ჩუმი ლანდი პატარა!
ფოთლები ღამის მირაჟით მთვრალი,
ქარში შრიალი
თეთრი ჭადარის!..
მინდორზე რხევა მთვარის სიმების
და ზამბახები გადაწვენილი...
ზღვის უბოლოო ლურჯი დინება
და მელოდია
ჯერ არსმენილი!..

და მთვარით მთვრალი გარეუბნები,
სადაც ცისფერად ღელავს ტევრები!..
მიზოზინებენ მაღლა ღრუბლები –
ქათქათა, როგორც
ქრიზანთემები..!

29.04.54
სოხუმი

# კვლავ იშრიალეთ!

მე მიყვარს თქვენი ჩუმი შრიალი და თოვლისფერი
ღრუბლები ცაზე,
მე მიყვარს სივრცე –
ლურჯი, კრიალა
ჩემი ოცნების მტრედებით სავსე!..
კვლავ იშრიალეთ ალვის ხეებო, ო, ტანზე მთვარის
ლურჯი ზონარით,
კვლავ იშრიალეთ
როგორც გენებოთ,
ჩემი ბავშვობის მოსაგონარად!..

22.05.54
ბანძა

## როგორ ავხსნა?!

ბულბული რატომ ეფერება ვარდს ასე მორცხვად?
ან მთვარეს ასე რატომ უყვარს
შრიალი ბინდის?
რად ეცინება ჩამავალ მზის სხივებზე მოცხარს?
რა აჟივჟივებს
ნაპურალზე ჩამოღვრილ ჩიტებს?!
ვიცოდე ნეტავ, როგორი აქვს სამზეოს ფერი?
მზე გაზაფხულის რად ეღვრება
მთვლემარე კოკორს?
მინდორზე, ასე ვის უცინის პატარა ტიტა?
ეს ყველაფერი როგორ ავხსნა,
მითხარი, როგორ?!

09.08.54
ბანძა

## ვარდფურცლობა

ჩემი ცხოვრების ვარდფურცლობა – ნისლივით თეთრი
პატარა გოგო!
გაჰყვა ძაფივით ვიწრო ბილიკს
და შეერია ნაკადულების
და ჩიტების
შორეულ ხივილს!..

ბანძა
02.10.54



# ისმის მდინარის ჩქამი

გული უშენოდ ვერ ძლებს, როგორც ყვავილი უწყლოდ,
მე შენს ხატებას ვეძებ
და არა ვინმე უცხოს!
მე შენს ხატებას ვეძებ, შენი თვალების ყვავილს,
მთვარის იღვრება ცრემლი
ამ ლურჯ ხავერდზე ღამის!..
ჟამი მიდის და ჩქარობს, ნისლი მოედო მაღლობს,
ისმის მდინარის ჩქამი
აქ, სადღაც ჩემთან ახლოს!..

05.04.55
სოხუმი

## რომანსი

აკაციების ტევრი სურნელს საამოს გვაღვრის,
მთვარე ღრუბლებში შედის
და ამხელს ფარულ ნაღველს!
სივრცე ირწევა უხმოდ... ჩიტი გვიგალობს ხიდან...
ო, რა სინაზით ფეთქავს
მთვარის მოლურჯო რიდე!...
და ბაგეები თაფლის კოცნით ვერ გრძნობენ
დაღლას,
ზღვა კი ირწევა ლურჯი
და ათამაშებს ტალღებს...

26.05.55
სოხუმი



* * *

ბავშვობის დღეებს ვშორდები ისე,
    როგორც ლურჯ კლდეზე ჩანჩქერის ხივილს!..
და ტყის უდაბურ ლაბირინთში შევდივარ უფრო,
სადაც აღწევს  ჟამი-ჟამ დღეების ხსოვნა,
ვით ცის სიღრმიდან
მარტოსული წეროს კივილი!..

22.08.55
სოხუმი

## მთვრალი ყვავილები

ახლა ისევ გაზაფხული რეკავს, როგორც ცისკრის
შორეული ექო!..
არის მთვრალი
ყვავილების ცეკვა,
როცა ქარი გადაუვლის ბექობს!..
ყაყაჩო, ხომ ვერ იკავებს სიცილს, შენც იცინე,
საყვარელო ანა!
გუგუნია მოზეიმე მიწის
და ვარდების ზღვა შრიალებს თანაც!..

15.04.56
ბანძა

## ჩემს ფანჯარასთან

ჩემს ფანჯარასთან რტოზე ალუბლის მწუხრის ჟამს ჯდება
ჩიტი პატარა...
მე ვიცი, იგი რაზე საუბრობს,
ან რატომ არხევს ასე ქანდარას!..
მე ვიცი, იგი თუ რას მოელის, მე ვიცან
ჰანგი სევდანარევი!..
ასე ირხევა სიმი ყოველი
შეშფოთებული მწუხრის ზარებით!..
სულს არხევს ისე, როგორც საკმეველს და მზე სცილდება
ზეცის კაბადონს...
მან შეიყვარა ჩემი სარკმელი
და წუთისოფლის სევდა გამანდო!...

15.05.56
სოხუმი

## ნავი მიქრის...

*სულს სწყურია საზღვარი,*
*როგორც უსაზღვრობას!...*
*გალაკტიონი*

ღრუბლებს შორის რა მწვანეა, ცის შეხედე ნაჭერს!
ნავი მიქრის უგზო-უკვლოდ,
არ დაგვემსხვრეს საჭე!
ზღვა ღელავს და გაზაფხული არხევს ფერად ხაზებს,
მზის დინება სივრცეს უვლის
და სულს ალამაზებს...

დღეს ერთად ვართ, ანგელოზი ფრთებს გვაფარებს ლოცვით,
ნავი მიქრის... მზის ნატერფალს
ჩვენ თვალებით ვკოცნით!..
ზღვა ირხევა უბოლოო და ცა ხავერდს გვაღვრის,
ნავი მიქრის და ის ჟამის
არ მორჩილებს აღვირს!..

კვლავ მივქრივართ და ჩვენს სურვილს განა ბოლო უჩანს?
ღრუბლებს შორის ცა მწვანეა,
ზღვაც ლივლივებს ლურჯად!..

27.05.56
სოხუმი

## მზეს რად მიფარავ, ღრუბელო?!

(ხალხური პოეზიის მოტივზე)

ცას ნუ გამიხდი უფეროს, თორემ დამახრჩობს ცრემლი,
მზეს რად მიფარავ, ღრუბელო,
ის ხომ დედაა ჩემი?

ნისლო, რად მიჩენ იარებს? გაოგნებული ვრჩები!
მთვარეს რად მისევდიანებ,
ის ხომ მამაა ჩემი?

25.09.56
სოხუმი

## ანთია შენი ცისფერი მზერა!..

მინდვრის ხავერდზე, როგორც ყვავილი,
ანთია შენი ცისფერი მზერა!..
და მთის ზეფირი, როგორც ცელქი პატარა გოგო,
გრძელი თითებით  ეხება სიმებს
და მოლზე თავბრუდამხვევად ცეკვავს!..
მაღლობზე ზის და ზღაპარს ამბობს დროული კაცი,
რომლის სახეზე აღბეჭდილია
წლების მძიმე ნაფეხურები!..
მიუგდე ყური, შენ ამ ზღაპარს მიუგდე ყური!..
ო, მასში შენთვის უხილავი შრიალებს წლები
და ტოტებიდან შორეული
სიმღერა ისმის!..

27.05.56.
ბანძა

## თვალებს ისევ მოაწვება დილა

სულში ბევრჯერ გამიარა ელდამ, ჟამმა ბევრჯერ
ამირია გზები!
ღამე ხშირად მეცხადება დედა,
სანთელივით ინთება და ქრება!
მთვარის სიმებს, შევეხები ფრთხილად და ზმანებებს
განშორდება თვლემა,
თვალებს ისევ მოაწვება დილა,
ქარი ისევ აგუგუნებს თელებს!..

04.06.56
ბანძა

* * *

ნელა ილევა დღე და მზე ჰორიზონტზე წვება,
მივალ, მივდივარ, გული
რამდენ რამეზე მწყდება?!
დგება საღამო მშვიდი, მზე უშფოთველად ჩადის
და ეფინება სივრცეს
შენი დაღლილი ლანდი...

04.10.56
სოხუმი

## გაზაფხულის წვიმა

მოშრიალდი გაზაფხულის წვიმავ, დამისველე
მოსასხამი თეთრი,
განთიადზე მზე შეარხევს სიმებს,
მე რა მინდა ქვეყანაზე მეტი?

ოღონდ ვიგრძნო ფერიების მოსვლა და ფოთლები
აჩურჩულდეს დილით...
ჩემი მხარე შუქით შემიმოსე
და ყვავილთა მოღაღანე ჩრდილით...

აცურდება ცისარტყელას ტოტი ლაჟვარდებში,
მწვერვალების ზემოთ,
მიხარია, გაზაფხული მოდის!..
ამოენთე, ამოენთე, მზეო!..

05.03.57
სოხუმი

* * *

ო, ეს რა თეთრი აფრა მოცურავს,
ირხევა ჟამის ცისფერი ტალღა...
მე, ისევ მხოლოდ შენზე ვლოცულობ,
მაგრამ გულისთქმას
ვერ ვანდობ ქაღალდს!
დღეები კვლავაც მიდის ციმციმით,
შენ კი ყვავილებს სინაზეს ჩუქნი!..
მზე გაზაფხულის ისევ იცინის,
ო, მთვრალი შენი
თვალების შუქით!..

11.04.57
სოხუმი

## მზეს ცხრა თვალი მოუჩანს!..

ნისლი გადაიყარა, ცა გამოჩნდა მოლურჯო,
გულმა როგორ იხარა,
მზეს ცხრა თვალი მოუჩანს!..
ზღვა ცისფერად ციმციმებს, ღმერთმა ასე ინება!
ფრთები არ გრძნობს სიმძიმეს
და შორს მიეფინება!..
სივრცე განაფითრები მზემ ვარდისფრად შეღება
და ის ოქროს თითებით
მიწის წყლულებს ეხება!..
და გალობენ ფერები, გაქრა უიმედობა!
ლექსით მოვეფერები
გაზაფხულის დედოფალს!
ცას მერცხლებით მოფენილს გრძნობა ერწყმის ადვილად,
სიოს მთიდან მობერილს
ჰანგი მიეხმატკბილა!..
ნისლი გადაიყარა, ცა გამოჩნდა მოლურჯო,
გულმა როგორ იხარა,
მზეს ცხრა თვალი მოუჩანს!..

18.04.57
სოხუმი

## ჩამოდის თოვლი!

რა უსასრულოდ ჩამოდის თოვლი
და დედამიწის თეთრდება ტანი!..
რა უსასრულოდ ჩამოდის თოვლი,
თოვს და თოვაში
ვიაროთ, ნანა!..
რა უსასრულოდ ჩამოდის თოვლი
და თეთრი სუნთქვა შემოაქვთ ქარებს,
რა უსასრულოდ ჩამოდის თოვლი
და ახლა თოვლისფერია მხარე!..
და სულში თეთრი სიმები თრთიან,
დავუბრუნდებით ბავშვობის ხალისს,
ვიაროთ, სანამ არ არის გვიან
და მერე თოვლში
დავკარგოთ კვალი...
ვიაროთ, სანამ არ ვიგრძნობთ დაღლას
და სანამ მხოლოდ ღიმილის დროა,
ვიქროლოთ, სანამ დაცხრება ტალღა,
სანამ გრიგალი
კივილით მოვა!..
თოვლში მღერიან თეთრი ალვები
და ქარი არხევს მაღალ ანტენებს,
თოვლში მღერიან თეთრი ალვები
და ზეცა თავზე
გვაღვრის ფანტელებს!..

რა უსასრულოდ ჩამოდის თოვლი
          და დედამიწის თეთრდება ტანი!..
რა უსასრულოდ ჩამოდის თოვლი,
თოვს და თოვაში
ვიაროთ, ნანა!..

04.01.58
სოხუმი

## მძლავრად დაუბერავს

ჯებირს ეხეთქება ზვირთი გაშმაგებით,
უნდა გაარღვიოს რკალი უდაბური!
სივრცე აინთება, სივრცე ჩაშავდება,
ქარი მოვარდება,
მძლავრად დაუბერავს!..
სულში გაიღვიძებს სევდა შარშანდელი!..
ღრუბლებს შემოიხვევს ელვა დაქანდება...
სივრცე აინთება, სივრცე ჩაშავდება
და ცა შეირხევა,
როგორც საქანელა!

19.02.58
სოხუმი

## ცის ნათელი ადგას

ზღვა დამშვიდდა, დაიხია უკან, მთამ მხრებიდან
მოიშორა ნისლი,
ჩიტი გალობს და მზე
გუნდრუკს უკმევს,
გაზაფხულის ხმა ზღაპრული ისმის!..
ვხედავ, ცაზე ქრიზანთემებს ღრუბლის,
ჩუმი რხევით რომ მიდიან სადღაც...
მწვერვალს ისევ გაუბრწყინდა შუბლი
და ჩემს მთა-ბარს
ცის ნათელი ადგას!..

სული ზამთრის ქარებს გადაურჩა, თრთოლვით
ერწყმის ცის და მიწის ზეიმს!..
ჩემი მდელოც აბიბინდა ლურჯად,
მზე გუგუნით კვლავ
მიცურავს ზევით!..

ამ სიხარულს ვერაფერი შეცვლის, ჟამი სადღაც
მიაქანებს ყოფილს,
კვლავ ჟღურტული
ახლოვდება მერცხლის
და მე ტრფობა მომეძალა სოფლის!..

ზღვა დამშვიდდა, დაიხია უკან, მთამ მხრებიდან
მოიშორა ნისლი,
ჩიტი გალობს და მზე
გუნდრუკს უკმევს,
გაზაფხულის ხმა ზღაპრული ისმის!..

22.03.59
სოხუმი

# შემოდგომის ქარი

ცის ხავერდზე ვარსკვლავების კრთომა,
          მთაზე ღრუბლის თეთრი იალქანი!..
მიყვარს ქარში მე ფოთლების თოვა,
ო, მე მიყვარს
შემოდგომის ქარი!..

02.10.59
ბანძა

## სერენადა

ჩემს თვალებში შენი შუქი ანთია!
იწვის სულში
თოვლისფერი სანთელი!..
ალბათ, ეს ხომ სიყვარულის მადლია,
რომ ცა მაღვრის
სიფრიფანა ფანტელებს!..

ალბათ, ეს ხომ სიყვარულის მადლია,
რომ ქარები
ქრიან უმისამართოდ!
ძველი დარდი როგორ შემომფანტვია
და ვამღერებ
წუთისოფლის კამათელს!..

შენი ტანის თეთრი ნისლით ვინთები
და თვალებში
ცისარტყელა თამაშობს!..
მეფერება შენი ნაზი თითები
და იცინის მაგ
ბაგეზე ყაყაჩო!..

ღმერთო, კიდევ ცოტა ხანი მადროვე,
უჩინარი არ
შემიხსნა იარა!
შენი ჩუმი ლაჟვარდები მათოვე
და ბილიკი
ჩაირბინოს ნიავმა...

ჩემს თვალებში შენი შუქი ანთია!
იწვის სულში
თოვლისფერი სანთელი!..
ალბათ, ეს ხომ სიყვარულის მადლია,
რომ ცა მაღვრის
სიფრიფანა ფანტელებს!..

24.02.60
სოხუმი

## არ გიხარია?!

არ გიხარია, ამ ჩიტების გალობა დილით
სივრცეს რომ ავსებს
          საოცარი ფერიცვალებით?
არ გიხარია, მზე რომ ტოვებს ღამის ნაპრალებს
და ეფინება
ხასხასა მინდორს?
არ გიხარია, ეს ყვავილი თვალებს რომ იფშვნეტს
პირველქმნილი
მშვენიერებით?!

06.04.58
სოხუმი

* * *

შენ ჩიტო, ასე რომ ჭიკჭიკებ, რა გიხარია?
ასე საოცრად რას თამაშობს ფერი ყვითელი?
შენს მოლოდინში
დამათენდა დიდი ხანია
და ჩემს მინდორზე განთიადის
მღერის გიტარა!..
შენ, ჩიტო, ასე, რომ ჭიკჭიკებ, რა გიხარია?
მზე გაწვა ატმის ყვავილებზე,
ქანაობს ტოტი...

შენს მოლოდინში ფანჯრებს ვაღებ დიდი ხანია,
ო, მოფრთხიალდი, საყვარელო,
იმღერე, მოდი!..

07.04.58
სოხუმი

## ო, შორეულო ჩემო!

ცაზე ქანაობს მზე და ცაზე ქანაობს მთვარე,
ბევრჯერ მომტაცე მზერა,
ბევრჯერ ავყევი ქარებს...

ზღვაზე გავშალე აფრა, ზღვა აღარ იყო მშვიდი,
მე შევიყვარე მძაფრად
შენი თვალების ბინდი!

შინდის ბაგეთა გემო და შენი ნისლის რიდე,
ო, შორეულო ჩემო!
როდის შევხვდებით კიდევ?!

10.05.58
სოხუმი

## ბავშვი

მზე ამოდის!.. არემარე ხარობს და
　　　　ყვავილთა ცისარტყელას გაშლის...
მწვანე ჩიტი ატმის რტოზე გალობს
და ფანჯრიდან
აყურადებს ბავშვი!..
სანახები აღტაცებით ფეთქავს და
　　　　მზის ჩქერი მინდვრის ხავერდს აწვიმს,
ბავშვს ღიმილით მიეპარა დედა
და მიადო
სათნოებით ღაწვი!

12.05.58
ბანძა

## მე მიყვარს ღამე

აქ ზეცას მხრებით შესდგომია მდუმარე მთები,
მაღალ ბილიკებს იისფერი
ანათებს მთვარე,
მე მიყვარს ღამე იდუმალი, მომწვანო ღამე,
ცაზე ვარსკვლავთა შორეული
ღიმილი მკრთალი...
და მთვარის შუქზე გარინდული ალვის ხეების
ლეგა ჩრდილებით დასერილი
მდინარის ტანი!

16.05.58
სოხუმი

# თამაშობს ჩრდილი

მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი, თამაშობს ჩრდილი...
მაისის თვეა!
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი და
მე შენს ღიმილს
დავეძებ, თეა!
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი და სივრცეს
გასცქერს სარკმელი ღია...
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი
და ვსვამ თვალებით
ფერების შრიალს!..
და ვეწაფები უსაზღვროებას, თუ შენი ლურჯი
თვალების სითბოს!
მე ვეწაფები უსაზღვროებას,
რომელიც მარად
მეძახის მიხმობს!..
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი, თამაშობს ჩრდილი...
მაისის თვეა!
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი
და მე შენს ღიმილს
დავეძებ, თეა!..

22.05.58
სოხუმი

* * *

ჟამი მრისხანე შენთან მოსვლას ვეღარ ინდომებს,
ო, თუმცა ბევრჯერ შეგათრთოლებს
ღელვა დაისის!..
დაიფარება ყვავილებით სველი მინდორი,
რტო ვარდისფერი აფეთქდება
ისევ გაისად!..

მოვა ფერებში აცურდება დილა მაისის
და გაგიტაცებს უჩვეულო
თრთოლვა ჩინართა!..
რტო ვარდისფერი აფეთქდება ისევ გაისად
და ცა ღრუბლებში
უსაზღვროდ რომ გაუჩინარდა!..

09.06.58
სოხუმი

## მას ყველაფერი ახსოვს!..

მეწვევა შენი ლანდი ხშირად შუაღამის მერე
და ცხრას აანთებს სანთელს,
ცხრა ანგელოზი მღერის!..

სულს ამ სანთლებში აქსოვს, უცქერს მშობლიურ
მხარეს,
მას ყველაფერი ახსოვს –
ის მზე, ის ქარი, მთვარე!..
დასცქერს მდინარეს ქალი ამორძალივით
მშვიდი,
დაჭიმულია მშვილდი, –
ცხრა ანგელოზი გალობს!..

23.08.58
სოხუმი

## ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲝ!

რას ჩურჩულებ, წუთისოფლის ქარო!
რას მოდენი შემოდგომის ლანდებს?!
რას ჩურჩულებ, წუთისოფლის ქარო!
რად დაჰქროლე ჩემს მინდორ-ველს ადრე?!
რას ჩურჩულებ, წუთისოფლის ქარო!
დაქრიხარ და კვლავ არავის ინდობ!
რას ჩურჩულებ, წუთისოფლის ქარო!
რას ათრთოლებ ჩემს ბაღებს და მინდორს?!

28.08.58
ბანძა

## ჩვენება

შემოდის ბინდი სიღრმეში ბაღის, უკანასკნელი
ფეხის ხმა მიწყდა!..
როგორც ნაძვის ხე საახალწლო,
აინთო თაღი
და მღვრიე შუქით განათდა მიწა!..
ღამურებივით ხეტიალი იწყეს ლანდებმა,
მდინარის ფსკერი ივსება სანთლით...
და მოყვითალო ბალახებში
გამოჩნდა ისევ –
შენი მაღალი ფერმკრთალი ლანდი!..

14.09.58
სოხუმი

## სული სიმაღლეს ითხოვს!..

მოჩანს ალვების რიგი, სული სიმაღლეს ითხოვს,
ვერ შევაჩვიე იგი
ო, ამ დღეების სითბოს!
მღვრიე ქანაობს ზვირთი, სივრცეს ხმაურით ამსხვრევს!
მღვრიე ქანაობს ზვირთი
ჟამის გუგუნით სავსე!..
მოჩანს ალვების რიგი, ნისლი ეხვევა მაღლობს
და მწვერვალების იქით
მესმის შენი ხმა, ბალღო!..

17.08.58
ბანძა

## ზღვა უცნაურად ღელავს!

შეხედე ცა ამღვრეულა, ზღვაც უცნაურად ღელავს,
მთის ბილიკები ხვეული
ნისლს დაუფარავს ყველა!..
სევდას მოწოლილს რა ვუყო, ვეძებ შორეულ ნათელს,
სიცოცხლეს მზე არ ჩაუქრეს,
ზარებს არისხებს მნათე!..
საცაა ჯებირს ზვირთები გაარღვევს, ანდა მოთხრის!..
ცა ღრუბლებს მოეზიდება,
შორით ხმა მესმის მოთქმის!..
ელვის მრისხანე მხედარი ციდან ჩამოდის რღვევით
და ყვირის გაუბედავად
მთა, მინდორი და ხევი!..

30.11.58
ბანძა

* * *

თოვლი ადგა და მინდორი ლურჯი ხავერდით
მოირთო!..
სულს მძლავრი ფრთები მოუნდა
და შორს გაფრენას მოითხოვს!..

ბაღს ჭრელი კაბა აცვია და სივრცე თრთოლვით
ამინთო!..
ყველამ, რომ ზურგი მაქციოს,
შენი თვალები დამინდობს!..

02.04.59
მოსკოვი

## მზე აპრილის მიღიმის!..

ენძელები ღელავენ, თრთიან ფურისულები,
მზე თანდათან მაღლდება,
ადის ზეცის თავანზე!..
ღრუბლებს საგაზაფხულოს რძით სავსე აქვთ
ცურები,
ახლა იაც მიღიმის
და სიყვარულს მთავაზობს!..
ტყეს შეხედე, მხრებიდან ზამთრის
ნისლებს იშორებს
და მთას მხარზე ჰკიდია
ნაბდის თეთრი ნახევი...
მზე აპრილის ელვარებს, სულმა იგრძნო სიშორე,
მწვერვალები კვლავ დგანან
თეთრი ყაბალახებით!..

მთა-ბარს ისევ ედება მოცისფერო ხავერდი,
სიო დილის ბილიკზე
ისევ ენამზიანობს!...
დღეო ულამაზესო! ჩემს სულს შემოგავედრებ,
გელოდები, ძვირფასო,
მოდი სულის ზიარო!..

04.04.59
სოხუმი

## ცისკრის საყვირი

კვლავ მოლოდინით გევსება სული,
თუმც გაზაფხულის
მზე მიიწურა!..
ცისფერ ხავერდზე თეთრი ღრუბელი –
შენი ბავშვობის
ლანდი მიცურავს!..

ისევ გესმის ცისკრის საყვირი,
მზე, ფოთლები და
თრთოლვა ბალახის,
ნიავს გადააქვს ფრთების შრიალით
შენი სიცილი
და ლაპარაკი!..

11.04.59
სოხუმი

# გაზაფხულის დღესასწაული

რა საოცრად ანაზებს მზე აპრილის მთა-გორებს!
მე ცის გავცქერ საფირონს
და შენს თვალებს მაგონებს!
რტო ალუბლის ირხევა და ცას ჩიტი უგალობს,
მე სიცოცხლეს ვუმღერი
შენს ნაჩუქარს, უფალო!
ცას მერცხლები სერავენ და სულს თრთოლვა ედება
და სივრცეთა ხავერდი
გადაცურეს გედებმა...
მინდვრებს, ქუჩებს, ხეივნებს სიყვარულით მოვიარ,
ზის სარკმელთან გოგონა
და კვლავ უკრავს როიალს!..
გაზაფხული ზეიმობს! ყველგან შუქი რიალებს,
სულში სევდის ჩიტები
ვინღამ დამიფრთიანა?!
ცისარტყელას ფერებით ცამ მთა-ბარი შეღება,
მე კი შენზე ვლოცულობ
და ვგრძნობ ფრთების შეხებას!..
რა საოცრად ანაზებს მზე აპრილის მთა-გორებს!
მე ცის გავცქერ საფირონს
და შენს თვალებს მაგონებს!

17.04.59

სოხუმი

## მზე მოადგა სარკმელს!

გაზაფხულის მზე მოადგა სარკმელს და ვარდისფრად
ამიყვავა სული!..
რა საოცარ სურნელებას აფრქვევ,
რა ტკბილი ხარ,
მზეო გაზაფხულის!
სივრცე ფეთქავს და ოქროსფერს არხევს და ამინთებს
უჩვეულო სურვილს!
აქ ყველაფერს ცის
სინაზე ახლავს
და ყველაფერს მზის დინება უვლის!..
ამ სიხარულს მე ველოდი დიდხანს, შორს, გუგულის
მოძახილი მესმის!..
ო, სიცოცხლის სადღეგრძელო მითხარ,
სიყვარულის სადღეგრძელო შესვი!

შენს მინდორზე მინდა მოვილხინო, გაზაფხულო,
გამიშალე სუფრა!
მომიტანე შინდისფერი ღვინო,
ნახე ჩემი პოეტური სუნთქვა!..

მთელ სამყაროს ვეფერები ახლა, თითქოს მესმის
ვარსკვლავების რწევა...
ვიცი, ჩუმად მიმატოვებ, წახვალ
და უსაზღვროს დამიტოვებ წყენას!..

გაზაფხულის მზე მოადგა სარკმელს და ვარდისფრად
ამიყვავა სული!..
რა საოცარ სურნელებას აფრქვევ,
რა ტკბილი ხარ,
მზეო გაზაფხულის!

18.04.59
ბანძა

## ვის უგალობდა?!

საღამოს ცაზე ორი ლურჯი ვარსკვლავი კრთოდა,
გალობდა ჩიტი,
სადღაც ალვის ხეების იქით!..
უსმენდა სივრცე და მინდორზე სიოც არ ჰქროდა,
ვის უგალობდა გატაცებით
ნეტავი იგი?
ეფინა მინდორს მეწამული ხავერდი მთვარის
და ფოთლების ჩრდილს
ირეკლავდა კედელი სახლის...
და წყაროც თითქოს გრძნეულივით ახელდა თვალებს,
უსმენდა სიმებს გატრუნული
ეზო და ბაღი!..
მღეროდა იგი, თრთოდა სივრცე სიმების ხმაზე
და მთვარის ჩრდილის
აბრეშუმი ღელავდა ირგვლივ...
მღეროდა ჩიტი, კრთოდა ორი ვარსკვლავი ცაზე,
მღეროდა ჩიტი, სადღაც
ალვის ხეების იქით!..

22.04.59
ბანძა

## იმღერე, პატარა ცირა!

იჩქარე, ნიავო დილის, ჩამოდი მთებიდან ფრთოლვით,
ირხევა ნისლივით ცირა,
იღვრება ხავერდი თოვლის!..

შეისხი მსუბუქი ფრთები, იფრინე სიმღერით მაღლა,
ყვავილი მზის სხივით თვრება
და მზეზე შრიალებს ტალღა...

აკრიფე ზურმუხტი ცისკრის და ყელზე შეიბი მძივად,
დაფრინავს პეპელა მთვრალი
და აფრქვევს ლაჟვარდი ღიმილს!..

ცა გათოვს ზამბახებს მშვიდად, გიხმობენ, – შენ
აღარ ჩქარობ!
იმღერე, პატარა ცირა,
იმღერე, პატარა ქალო!

25.04.59
სოხუმი

## მესიზმრა წუხელ!

მესიზმრა წუხელ შენი ლურჯი თვალები ისევ,
ესხა წამწამებს ოქროსფერი
წვეთები თითქოს!..
ჩიტები ფრთებით მოარღვევდნენ ქათქათა ნისლებს,
ბაგეზე ენთო ვარდისფერი
სხივების სითბო!..

ორი ვარსკვლავი თრთოდა ჩუმად მდინარის ტანზე,
სერაფიმები დაცურავდნენ
სივრცეში ზემოთ...
და ჩემს ცხოვრებას ეძლეოდა ფერი და აზრი
და ირწეოდა ზეცა, როგორც
ტალღებზე გემი...

და გზებს მიწაზე დასასრული უჩანდა არსად,
ეს ცხადი იყო, თუ სიზმარი?
არ ვიცი, ღმერთო!
მერე სამყაროს იდუმალი მოირღვა გარსი
და ჩემი ჩრდილი წარმავალი
დაეცა ფერდობს!

28.05.59
ბანძა

## სიყვარულო, არასოდეს დაბერდე!

ბალახები თრთიან ფრთებზე ნიავის და გუმბათი
შუქით მოოქროვილი,
ისევ გვათრობს აღტაცებით ორივეს,
და მე ტყვე ვარ მაგ თვალების, ლიანა!..
სულო, ნუ კრთი, ფრთების გაშლა გაბედე, შეერიე ამ
მთრთოლვარე ნარინჯებს,
სიყვარულო, არასოდეს დაბერდე,
სიყვარულო, არასოდეს დადინჯდე!

10.06.59
სოხუმი

## სიყვარული კი არა!

ყველაფერი მოგონებად იქცევა – ვარსკვლავთ ცვენა,
ლაჟვარდები კრიალა,
ყველაფერი მოგონებად იქცევა,
მაგრამ ჩვენი
სიყვარული კი არა!

ყველაფერი მოგონებად იქცევა – ეს ღიმილი და ეს
მძაფრი იარაც!
ყველაფერი მოგონებად იქცევა,
მაგრამ ჩვენი
სიყვარული კი არა!

ყველაფერი მოგონებად იქცევა – ო, ეს მთები, ზღვა,
ხმელეთი მთლიანად!
ყველაფერი მოგონებად იქცევა,
მაგრამ ჩვენი
სიყვარული კი არა!

ყველაფერი მოგონებად იქცევა – ალბათ ოდეს ეს
შეხვედრაც, დიანა!
ყველაფერი მოგონებად იქცევა,
მაგრამ ჩვენი
სიყვარული კი არა!

უთვალავი ათინათი ირწევა... ჩვენ ბუნებამ ერთსულ
                                        გაგვამთლიანა!
ყველაფერი მოგონებად იქცევა,
მაგრამ ჩვენი
                    სიყვარული კი არა!

29.06.59
სოხუმი

## ივლისი

შეწყვიტა სიმღერა მთა-ბარმა, არ ვიცი,
ძვირფასო, როდემდის?
ჩამიქრა ფერების ზღაპარი
და გავცქერ
მიდამოს მოთენთილს!..
არ ისმის ჩიტების ჟივჟივი, ღრუბლების
არ მოჩანს ნასახიც!
ირმები გარბიან გიჟივით
წყაროსკენ შიშით
და ცახცახით!..
მდინარე სხეულს ძლივს მიათრევს და სიცხემ
დააცხრო მუხნარი!
სულს თრთოლვა
მოუნდა ნიავთან,
სულს – ჟამით ესოდენ მწუხარეს!

14.07.59
ბანძა

## ჭრიჭინობელა

მე ბავშვობიდან დაგსდევ და დაგსდევ, მაგრამ ვერ იქნა
ვერ დაგიჭირე!..
ხელში საკრავი გიჭირავს მშვიდად
და ჩემს მინდორ-ველს
ავსებ ჭრიჭინით!..
დაგეძებ, მაგრამ გპოულობ ვერსად ო, ყურდაცქვეტილს,
როგორც სამყურას!
შენ პატარა ხარ და
როგორც ვფიქრობ –
უჩინმაჩინის ქუდი გახურავს!..

22.08.59
ბანძა

## ტიროდა ქალი

მე მთელი ღამე მესმოდა წუხელ გულის შემძვრელი
ქვითინი ქალის.
ეზოში იდგა მდუმარე მუხა
და მიცურავდა მწუხარე მთვარე...
მიქროდნენ სადღაც მღვრიე ლანდები, ყმუოდა ძაღლი ხუ-
რავდნენ კარებს.
ოთახში ენთო ლურჯი სანთელი
და სასთუმალთან ტიროდა ქალი!..

16.09.59
ბანძა

## ხარები

შენ შემოდიხარ  ჩემში ისევ ღია თვალებით
და ბეღურები ბალახებში
                    მარცვლებს კენკავენ...
კვლავ ხმაურობენ მდინარეზე ურჩი ქარები
და იმუქრება
ზეცა გოროზი!..
ისევ ბღავიან შინდისფერი შენი ხარები
ჩამუხლულები გუბურასთან, –
სოფლის ბოლოზე!..

22.09.59
სოხუმი

## ფარული მუსიკა

მე მიყვარს ვარსკვლავთა მთრთოლვარე სიმები
და ცაზე თამაში
ღრუბელთა ფერების...
მე მიყვარს სამყაროს ფარული მუსიკა,
როდესაც გადმოდის
ზეციდან მიწაზე – ურიცხვი ფერით
და მღელვარე რიტმებით
და ავსებს სიცოცხლეს
უსაზღვრო ტრფიალით!..

29.03.60
სოხუმი

## ბვირილა

ფერდობზე ანთია ლამაზი გვირილა,
ო, როგორც სიცოცხლის
ხანმოკლე ზღაპარი!..

შენ ხომ ამ ყვავილთან ცეკვავდი, ირინა!
კვლავ მომაგონდი და
ფიქრებით დამფარე!..

მაღლობზე ფერმკრთალი ხმაურობს ჭადარი
და მიწას დასცქერის
ღრუბელი ორბივით...

სად არის, სად არის, სად არის, სად არის!
ცისფერი თვალები და
გედის პროფილი?!

შენ იყავ დაჭრილი ამურის ისარით
და სადღაც ბილიკზე
შველივით დაქანდი!..

შენ მაგონდები და ცისკარი იხსნება
და ციდან ჩამოდის
სხივების ნაკადი!..

ფერდობზე ანთია ლამაზი გვირილა,
ო, როგორც სიცოცხლის
ხანმოკლე ზღაპარი!..

შენ ხომ ამ ყვავილთან ცეკვავდი, ირინა!.
კვლავ მომაგონდი და
ფიქრებით დამფარე!..

22.06.60
ბანძა

## მოდი ჩემთან

ვკრეფ ყვავილებს ფერად-ფერადს და ირხევა
ატმის ტოტი...
როცა სიო დაუბერავს,
საყვარელო, ჩემთან მოდი!

ჟამი ფეხქვეშ ხავერდს გიფენს და ქათქათებს
თეთრი ყელი!
როცა სიო ჩამოირბენს,
შენც, ძვირფასო, ჩამოჰყევი!..

მოლოდინით ზღვაც კი ღელავს და მთვარის ქვეშ
ღამეს ათევს...
მოდი ჩემთან, ჩემო ყველავ,
მაგ თვალები მომანათე!..

04.05.60
სოხუმი

# ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲢᲘ

ნიავს მოჰყვება პატარა ქალი, პატარა ქალი
ზამბახისფერი!..
ნიავს მოჰყვება მთვარიან ღამით
და ზღვას ათრთოლებს ჰანგები წრფელი!..
ოლეანდრებში შრიალებს ქარი და თეთრ უბეში
ნებივრობს მთვარე...
ზღვის პირას მღერის პატარა ქალი
და შუქი ავსებს იდუმალ თვალებს!..
უნაზეს მკლავებს ფრთებივით გაშლის და ლურჯ სივრცეში
გედივით ფეთქავს!..
ხან კიდევ კვნესის ლერწამი ქარში
და ხმაში აქსოვს ტკივილს და სევდას!..
გარშემო უხვად ფანტავს სინაზეს, ხან ზღვის ხავერდზე
დაღლილი წვება...
აღიბეჭდება კვალი სილაზე
და მთვარის შუქზე ასული ქრება!..
და ასე მოდის ყოველ საღამოს პატარა ქალი
ზამბახისფერი!
ნიავს მოჰყვება დაუსაბამოდ
და ზღვას ათრთოლებს ჰანგები წრფელი!..

14.05.60
სოხუმი

## Ო, ᲜᲣ ᲨᲔᲐᲠᲮᲔᲕ!

ო, ნუ შეარხევ იდუმალ სიმებს, თორემ
ჩრდილები გადასერავს
ჩემი სულის ნათელ ნაპირებს!..
ო, ნუ შეარხევ იდუმალ სიმებს, თორემ
იჭვების შავი ჭინკებით
აივსება მდინარე ჩემი...
და მთვარიანში ცისკრის ჟამამდე
ითარეშებენ ლერწმოვანებში!..
ო, ნუ შეარხევ იდუმალ სიმებს!..

15.08.60
ბანძა

## სულში ღელვა ჩამიდგა

კვლავ გაზაფხულს მოველი, სივრცე
დღესასწაულობს,
სულში ღელვა ჩამიდგა,
სისხლი ისევ ხმაურობს!..
ფრთა ნიავის მეხება, ცისკრის კარებს
შევაღებ,
შრიალებენ ვერხვები
და ღიღინებს მებაღე!..
იქ ხოხობმა იფეთქა, აქ ჩანჩქერი
ზეიმობს,
ნაძვის ხე ნამს იფერთხავს,
ზღვაზე ნისლი სეირნობს...
კვლავ გაზაფხულს მოველი სივრცე
დღესასწაულობს,
სულში ღელვა ჩამიდგა,
სისხლი ისევ ხმაურობს!..

17.02.61
სოხუმი

# ენძელა

გამოარღვია თოვლის სიზმარი და ოცნების მზეს
უცინის ახლა!..
და სვამს მხურვალე ბაგებით
შინდისფერ სხივებს
და მზე კი ცურავს აფროდიტეს ლამაზ მკლავებზე,
გალობს ქალღმერთი
და ოქროსფერთმიანი ბიჭი
მიჰყავს მაღლა ბედნიერ დედას!..
გამოარღვია თოვლის სიზმარი
და ოცნების მზეს უცინის ახლა!..

22.03.61
სოხუმი

* * *

ბაღი სურნელით აივსო და მზე ირხევა მაისის,
ცას შვენის სიდარბაისლე,
სტვენენ ჩიტები ხალისით!..
ცვივა ყვავილი ფერადი და ტყეს მოედო სილურჯე,
ღელვით სავსე ვარ ყელამდე
და ეს ტკივილებს მიყუჩებს!

02.04.61
სოხუმი

## მზემ სიცოცხლისა დარეკა!..

გზას ნუღარ გადაუღობავ, თორემ წუხილი წალეკავს!
ცრემლი ისედაც ეყოფა,
მზემ სიცოცხლისა დარეკა!..
ბევრჯერ მოედო ნარ-ეკალს, იწურებოდა სისხლისგან!
ძალა მიწისგან ისესხა,
მზემ სიცოცხლისა დარეკა!..

09.04.61
ბანძა

* * *

სიკვდილს რა უნდა მიწაზე, როცა
სიცოცხლე იცინის!..
შენი თვალები ვიწამე
და ვარსკვლავების ციმციმი!..
სიკვდილს რა უნდა ონავარს, რატომ არ
უკრთის მამალმერთს?
მე სიყვარულის მონა ვარ
და ეს ზეცამდე მამაღლებს!..

29.04.61
ბანძა



## რამ გაგიტაცა?

მზე ცის თავანზე მიიწევს, მიწას უშუშებს იარებს,
მზე ცის თავანზე მიიწევს,
შუქ-ყვავილს მოაშრიალებს!..
წევს ბალახებში მაიკო და ცა დასცქერის ნეტარი,
მითხარ, პატარავ, რა იყო?
რამ გაგიტაცა ნეტავი?!

09.05.61
ბანძა

## როდესაც სიცოცხლე მოღელავს!..

გაბედე, თქვი, რასაც აპირებ და სული
                    მორჩება წამებას!
აინთოს ვარდების ნაპირი,
ან სივრცე წალეკონ ქარებმა!..
ვის უნდა სიკვდილი ოხერი, როდესაც მზე
                    ღებავს განთიადს?
როდესაც სიცოცხლე მოღელავს,
როდესაც სიცოცხლე ანთია?!

12.06.61
სოხუმი



## მიაყურადებ...

ზღვის მოქცევის ჟამს შენ ისევ გავსებს
ლურჯი შუქით
სექტემბრის მთვარე...

და ფოთოლცვენის იდუმალებას მიაყურადებ,
როგორც ბუნების
სევდიან აკორდს...

04.09.61
სოხუმი

* * *

ამ ბრძოლას ვინ შეაჩერებს? ო, რა ხაფი
                                        დგას გარეთ!..
ზამთარმა ზურგი აჩვენა
აპრილის მზეს და ქარებს!..
და შუქი უხვად იღვრება... ისმის
                                        ხეების ჩქამი!..
ცა გამარჯვებას ზეიმობს,
დგას ალტაცების ჟამი!..

22.03.62
სოხუმი

## ჩიტს სალამური უჭირავს!..

ზღვა, ასე რატომ გაჩუმდა? – არც ქედებს
ვხედავ ზვავიანს!
შეხედე, შუქურვარსკვლავებს, –
ეს რა სიგნალებს გზავნიან?!
დროს, შორს მიმავალს ზოზინით, ცამ
ელვა გადაუჭირა,
სიო მინდორზე ჩურჩულებს,
ჩიტს სალამური უჭირავს!..

27.03.62
სოხუმი

## ვაზის ცრემლები

მზემ გაუმართა ნადიმი: მინდორს, მთასა
და ჭალას,
ნიმფებს გზა მოახატვინა,
ზამთრის წყლულები შალა!..

და მოაზღვავა ფერები ცისარტყელების რხევით,
კივის ზვავების სამეფო,
მძიმედ გუგუნებს ხევი!..
ცა მიწას დაუმეგობრა, ისმის გალობა წვიმის!..
და მზის ჩანჩქერი ირხევა,
უკრავს ათასი სიმი!..

და ფრთოსნის ხმაზე ჟღურტულებს ცა
აღტაცებით სავსე,
ვაზს სიყვარულის ცრემლები
მოადგა ცისფერ თვალზე!..

30.03.62
ბანძა

## მოჩანს ცისფერი კარავი

ისევ აყვავდა ღიღილო და სევდა რაღას მიქვია?
ისევ მამალმა იყივლა
და დღენი კვლავაც მიქრიან!..
ვხედავ იდუმალ მირაჟებს, ეს დღეც იქით კენ გაფრინდა,
ისევ ვკრთი მე შენს წინაშე
და ზეცა რატომ გაფითრდა?!
მოჩანს ცისფერი კარავი, აქვს საიდუმლო ეგების?
ეს ჩრდილი რატომ ქანაობს,
მზე საით მიერეკება?!

14.04.62
ბანძა

# მთვარიანი ღამის რომანსი

სადღაც ტკბილად მღერიან, ვარ გრძნობათა მორევი,
მოვა ჩემი ფერია
თეთრი ნიამორებით!..
მოვა ჩემი ფერია და მომირჩენს იარას,
როგორც მთვარის სიმღერა,
როგორც თოვლის შრიალი!...
და გავყვები შორეულ ხავერდოვან ხვეულებს,
სად ქანაობს მინდორზე
ნისლის მკრთალი სხეული...
სად არასდროს ბერდება მთვარის ლურჯი კარავი
და სივრცეებს ედება
ღელვა დაუფარავი!..

20.04.62
ბანძა

## დროო, ვერ დამავიწყებ!

დროო, ვერ დამავიწყებ მე იმ დღეების ზვირთებს,
ო, რა ცრემლები ვღვარეთ
და რა ტკივილი ვზიდეთ!..
შეწყდა ჟღერანი ჩანგთა, იწყეს ზარებმა მოთქმა,
მხოლოდ გრიგალი ჩანდა,
ჟამი მრისხანე მოდგა!..
სივრცეს ფარავდა ფერფლი და ზვირთთა მიმოქცევა,
იყო უსაზღვრო მსხვერპლი,
იდგა უსაზღვრო ნგრევა!..
ო, იყო სისხლის წვიმა!.. მაგრამ გადავრჩით მაინც!
ახლა საფლავში სძინავს
რამდენ გმირსა და რაინდს!..

ვთქვათ სადღეგრძელო მათი, რომ მზემ გაშალოს აფრა,
შორს წუხილი და დარდი,
მათ დიდება და დაფნა!..

25.04.62
სოხუმი

## ჩემი სიმღერა

მომასმენიე, მეგობარო, ცისკრის გალობა,
ამავსე შენი იდუმალი
ცისფერი სხივით!..
ბედმა ო, ეს ცა ცოტა ხანი თუ მიწყალობა
და მოკამკამე ბინული ცივი!..
ჩემი სიმღერა, ვით მაისის დილა მზიანი,
გაცურავს სივრცეს
და შორეულ მერიდიანებს...

29.04.62
ბანძა

## დედას

შენი მსუბუქი ფეხის ხმა მიწყდა,
როგორც ბალახში ფოთლების ცვენა
და ჩემი სველი ფანჯრების იქით
ის შეერია
ღამეულ ლანდებს...
ის შეერია ქათქათა ნისლებს,
ლურჯ კლდეებზე რომ მიცურავს მაღლა,
დაიფშვნა ჩუმად თებერვლის თოვლი
და ნაფეხური
დატოვა თბილი!..
და თრთოლვა შენი მაღალი სულის,
მე, რომ უსაზღვროდ მიყვარდა, დედა!
შორეულ ღრუბლებს მიჰყვება სადაც
და დაბრუნდება? –
დიდი ხნის მერე, –
აირეკლება ლაჟვარდებს იქით,
ჩამავალ მზეზე შეიცვლის ფერებს,
როგორც ფოთლების შრიალი ჩუმი,
ან როგორც თოვლის
ფიფქების ცვენა!..

09.05.62
ბანძა

## სურვილი

ისევ ანთია ლურჯი სანთელი და ფანჯარასთან
ტოტი ალუბლის ქანაობს ნელა...
ანათებს სივრცეს ნათურების ფერადი ტალღა...
ღამეა რაღაც უჩინარი ხმაურით სავსე...
მე მივაბიჯებ ანთებული უსაზღვრო თრთოლვით
და ვდგები მარტო შენს სარკმელთან,
რომ ხასხასა ფარდების მიღმა ავლანდო
შენი სილუეტი მკრთალი და ჩუმი, როგორც
ზამბახი მთვარიან ღამით!..
ისევ ანთია ლურჯი სანთელი და ფანჯარასთან
ტოტი ალუბლის ქანაობს ნელა...

12.05.62
სოხუმი

* * *

ცაზე ნახტომი ირმის იტაცებს ნაცნობ მოტივს
და არხევს მთვარის სიმებს:
ქარი...
ღრუბელი...
ტოტი...
სულს შუქი ენაზება და რა ატირებს ლოტოსს?
ფეთქავს ფარული გზნებით:
ქარი...
ღრუბელი...
ტოტი...
და შორეული გზებით ლურჯი შრიალი მოდის,
შორს მთვარის მიმოზები, –
ქარი...
ღრუბელი...
ტოტი...

14.05.62
ბანძა

# ქამი აგორებს კამათელს

მიდის მდინარე ტაატით, როგორც ცხელი დღე
ზაფხულის...
რეკავს ისარი საათის და
გალობს ჩიტი ზღაპრული!..
მზე არწევს მთათა ქონგურებს, თუ დღემდე
ნისლი ფარავდა
და ჟღერს ათასი ჩონგური...
და წერს პოეტი ბალადას!...
მზერა ცის კიდეს ანათებს, ცხრა სანთელს
ანთებს სანათა!..
აგორებს ჟამი კამათელს და
დუმს ღმერთების პალატა!..

12.06.62
ბანძა

## კვლავ ეჩვენება

ის იყო შეუჩვეველი ღელვას უმკაცრეს დღეთა,
ის ჟამი კვლავ ეჩვენება
და ცრემლიანი დედა!..
ღელავდა გული მგზნებარე, ცეცხლი აკრთობდა თვალებს!
ნისლის მთა ჩამოეფარა
იმ საოცნებო მხარეს!..
ცას თვალი ჰქონდა სატანის, ჰქროდა ზვირთების წყება
და სივრცეს შიშით ატანილს,
ვერ მოუტანდა შვებას!
იდგა კვამლი და ხანძარი ო, თახთახებდა მიწა!..
მზე გლოვით ძარღვებდამწყდარი,
სისხლის მორევში იწვა!..
და იყო დრო მოჟამული, ედგათ ღრეობა სვავებს
და მიკიოდა სივრცეებს
მატარებელი შავი!..

16.07.62
ბანძა

# ნაპირთან წვებიან ცისფერი ლანდები

შრიალებს ღრუბელთა ფერადი ფარდები,
მზე ჩადის... და არხევს
ნიავი ლელიანს...
ნაპირთან წვებიან ცისფერი ლანდები
და რაღაც სევდიან
მოტივზე მღერიან!..
მედება თვალებზე ფარული ცრემლები!
ეს გრძნობა, ძვირფასო,
ტკივილზე მეტია!..
მზე ჩადის... მზე ალბათ
ათასჯერ დაცხრება,
მე შენთან არასდროს
მოვიშლი ხეტიალს!..

14.08.62
სოხუმი

* * *

ო, როცა ქარი გაიტაცებს ხასხასა ფოთოლს,
რტოს მოცახცახეს აღმოხდება
ფარული წყევლა!
და შენი ლანდი მოაწყდება შორეულ მწვერვალს,
ო, როცა ქარი გაიტაცებს
ხასხასა ფოთოლს!..

ბრუნავს მორევი მარად მღვრიე, ურჩი და შფოთი
და შიგ იმსხვრევა
უთვალავი სიცოცხლის სხივი!..
და თავდახრილი ბანოვანი ტირის და ტირის,
ო, როცა ქარი გაიტაცებს
ხასხასა ფოთოლს!..

05.09.62
სოხუმი

## ᲘᲡ ᲛᲔᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲫᲐᲮᲘᲡ!..

შენ ტკივილი დატოვე ამ ჩემს სულში რამხელა?!
ახლა თითქმის მარტო ვარ
სხვა თრთოლვით და სახელით!..
ვხედავ, ველარ წაუვალ მე იმ დღეთა მარწუხებს,
ო, რაც იმ დროს მტკიოდა,
ის ტკივილი მაწუხებს!..
ის მენავე მეძახის, მეძახოდა რომელიც!..
ისევ მიედინება
ძველებურად ყოველი!..

18.09.62
სოხუმი

## მდინარის ახლოს

ეს თებერვალიც გაივლის მალე და მზე აანთებს
ფერების სანთელს
და გაზაფხული
ანცი ბავშვივით
მოვა, მოგვიტანს სიხარულს რამდენს!..
მოვა, მოგვიტანს ვარდების კოცონს
და შორეული ალვების შრიალს,
შენ ისევ სადმე შემხვდები მორცხვად
და გადავირბენთ
ბალახებს ცვრიანს...
იდუმალ სიმებს შევარხევთ ფრთხილად, რომ საოცარი
დღეები ვნახოთ!..
და აინთება ბავშვობის დილა,
იქ, სადმე ჩვენი მდინარის ახლოს!..

19.02.63
სოხუმი

## მთვარის ხეივანი

გამოვიარეთ ალვის ხეთა ნათელი მწკრივი
და გაზაფხული
                    საოცარი სურნელით გვათრობს!...
ო, რა ლამაზად გვიცქერს ციდან ვარსკვლავი წყვილი
და რამდენ რამეს
მეუბნება ღიმილი სათნო!..
თეთრი ღრუბელი რა ფაქიზად მიარხევს სხეულს
და ათასფერად ცის ვეება
                    ელვარებს ჭაღი!..
ნისლი მიჰყვება მდინარისკენ ბილიკებს ხვეულს
და ყვავილების სურნელებით
სავსეა ბაღი!..
ოცნების ფრთებით ვეფერები გუმბათებს მაღალს
და ნიავს მოაქვს
                    იდუმალი შრიალი ლერწმის...
შუქსავსე მთვარე ცის ხავერდზე მიცურავს ლაღად
და ჩვენს სიყვარულს
უჩვეულო სინაზით ერწყმის!..
ხელები, ისევ ეხებიან ერთმანეთს კრძალვით
და ბილიკს ბაღის
                    მიუყვებით ნაბიჯით ნელით...
მე იმ გრძნობების გადმოცემა სულაც არ ძალმიძს,
არც იმ თვალების სილამაზის
და არც იმ ღელვის!..
გამოვიარეთ ალვის ხეთა ნათელი მწკრივი

და გაზაფხული
სააცარი სურნელით გვათრობს...
ო, რა ლამაზად გვიცქერს ციდან ვარსკვლავი წყვილი
და რამდენ რამეს
მეუბნება ღიმილი სათნო!..

19.04.63
სოხუმი

* * *

გაალღვიძეთ, გაალღვიძეთ, გაალღვიძეთ ჩქარა!
მზე მოდის და ეფინება
მინდორ-ველს და შარას!...
იმ ხალისით ფეთქავს სიო, რომ ფეთქავდა წინათ
და ირხევა სივრცეებში
ოქროსფერი წვიმა!..
ისევ სძინავს, ისევ სძინავს ამ პატარა ცირას
და მის რძისფერ სარეცელზე
ყვავილები ცვივა...
გაალღვიძეთ, გაალღვიძეთ, გაალღვიძეთ ჩქარა!
მზე მოდის და ეფინება
მინდორ-ველს და შარას!..

22.04.63
სოხუმი

## ის მიაბიჯებს

სულში შეარხევს იდუმალ სიმებს ის ერთი ღამე
ჩუმი და მკრთალი!..
სადღაც მიდიან ღრუბლები მძიმედ
და იისფერი ამოდის მთვარე...
და შორეული ნათდება სივრცე, ჯებირს აწყდება
ზვირთების წყება...
ის მიაბიჯებს ნაპირზე მტკიცედ
და მერე ისევ დუმილი წვება...

22.10.63
სოხუმი

* * *

დღე, როცა კარებს მიიხურავს, შენ
ჩემთან მოხვალ,
მოგყვება მთვარის შრიალი
და ღიმილი სათნო!..
ვარსკვლავებს თითქოს აღმოხდება
ფარული ოხვრა,
შენი ფეხის ხმის სურნელება
ბალახებს ათრობს!..

ატოკებს სივრცე ფორთოხლებით
ავსებულ უბეს,
ზღვა გაჩუმდება, სიყვარულზე
ჩურჩულებ როცა.

ისევ სინაზით ეცილები ქათქათა ღრუბელს,
რომელსაც მთვარის უჩვეულო
იტაცებს კოცნა!

09.11.63
სოხუმი

## თოვლის ზღაპარი

მე ვუცქერ ახლა ფიფქების რიალს,
          გულო, ადრეა, რატომ ღონდები?!
დღეს ისევ თეთრი ქარები ქრიან
და ჩემს ბავშვობას
ვუახლოვდები!..
შემოდის მშვიდად თოვლის ბაბუა,
          თეთრი წვერით და თეთრი ფაფარით,
მხარზე შეუსვამს ჩიტი ღაბუა,
ასე იწყება
თოვლის ზღაპარი!..

14.01.64
ბანძა

## თოვლის თეთრი საფარი

იქნებ გამოიდაროს, მზემ გაშალოს ფაფარი,
ფარავს ახლა მიდამოს
თოვლის თეთრი საფარი!..

ხეზე ჩიტი ქვითინებს და თავს სუროს აფარებს,
ფარავს ახლა მიდამოს
თოვლის თეთრი საფარი!..
ვარსკვლავებით მდიდარი გაქრა ზეცის ცარგვალი,
ფარავს ახლა მიდამოს
თოვლის თეთრი საფარი!..

ის თვალები გადამრევს, ვით ცისფერი ზღაპარი!
ფარავს ახლა მიდამოს
თოვლის თეთრი საფარი!..

29.02.64
ბანძა

## მწვანე მარაო

ახარე ლამაზი ჩითილი, სიცოცხლის ეს
მწვანე მარაო!
უმიზნოდ ჩაივლის სიკვდილი,
სიკვდილი ჩაივლის ამაოდ!..

ახარე ლამაზი ჩითილი, იმღერებს დღისით
და ღამითაც,
ო, თორემ გაფრინდა ჩიტივით, –
პლანეტის მშვენება წავიდა!..

04.04.64
სოხუმი

# ფუნჯი განთიადის!

ღებავს ცის კიდეებს ფუნჯი განთიადის
და სულს სილამაზე
ვარდის მოენთება!..
ეს შენ მოდიხარ თუ შენი ლანდი არის?
წყალში ოქროსფერი
ცურავს კომეტები.
სხივი მოირხევა ზღვაზე მომეტებით,
აფრებს აფერადებს
ირთოლვა ლაჟვარდების...
და სულს სილამაზე ვარდის მოენთება,
თუ მზე გაზაფხულის
სივრცეს გადმოენთო...
შუქით მეწამულით ზეცა გაირღვევა,
ნისლებს შეერევა
ღამე დავიწყების
ცვრიან ბალახივით სული დაირწევა,
ღებავს ცის კიდეებს
ფუნჯი განთიადის!..

08.04.64
სოხუმი

## ხომ არ მოგწყინდათ?!

რატომ ატირდი, ალვის ხევ, ხომ არ
                    მოგწყინდა უჩემოდ?
მე შენზე ფიქრით ავივსე,
დავტოვე ზღვა და ქუჩები!..
რად იცრემლები, კაკალო, ან შენ, ვაშლო
                              და ატამო?
აქ იდგა ჩემი აკვანი
და ჩრდილს
მირხევდით პატარას!..
შენ, ბროწეულო, სიცილი კვლავ შეგრჩენია ბაგეზე
და მარტოობის სიცივე,
იქნებ ამაოდ დაგეძებს?
ან შენ, სამყურავ, მითხარი,
                    რატომ დაცქვიტე ყურები?
ვერხვო, რად გადაიხარე სავსევ ზღაპრით
                                        და თქმულებით!...
სად არის ჩემი ნიავი,
                    ჩქამიც არ მესმის ქარების!
მაყალოვ, გამეხმიანე და ნუ დამღალე
                                        მთქნარებით!..
რა გაგიხარდა, ბეღურავ,
ო, ნუთუ ასე მოგწყურდი?!
ან შენ, ტოროლავ, ცის ბაღი
                    მიატოვე და მოცურდი?!

შენ, სკვინჩავ, გამომეცხადე,

გაშალე ფრთები ხატულა!
ჩემო, შავთვალა მერცხალო,
                    რამდენჯერ მოგინატრულე!

ჩემს ჭერქვეშ შემოფრთხილდი,
შენი გალობა მასმინე!..
სულში აისმა ინათა და სიყვარული მასხივე!..
ნისლებო ჩამოიშალეთ, რომ ირევთ
                              ტანზე ჭიაფერს,
მომწყურდა თქვენი შიშინი,
როგორც დასიცხულს ნიავი!
ღრუბელო, ფრთები დაკეცე, მომიღიავე
                                        ჩემი ცა,
ჩემი მზის შუქით დამმეწყრეთ,
გემოც სხვა აქვს
                    და ფერიცა!

14.04.64
ბანძა

* * *

ცას ვეფერები ახლა მზის რომ ედება ალი,
სულ სხვა სინაზე ახლავს
შენთან შეხვედრას, ლალი!
მოქრის ნიავი ნელი და ყვავილები მოაქვს,
მე იმ სიყვარულს ველი,
სულის სიმაღლე როა!..
ო, ეს დღები წავლენ, მზეც გახუნდება ალბათ,
შრიალებს სივრცე თეთრი,
ვით სადედოფლო კაბა!..

17.04.63
სოხუმი

* * *

სული იმ ხსოვნას ვერ იტანს,
ო, ეს რა ღმერთი გამიწყრა?
შენი სხეული ხელიდან,
როგორც კალმახი გამისხლტა!..
ახლა, სად უნდა ვეძებო,
შენი თვალების ნათება?
დავდივარ, ვერსად ვპოულობ,
არ ვიცი, რა მემართება?!

20.10.63
სოხუმი

## თქვი საგალობელი!..

შეხედე დილის მზეს, მოდის და მოღელავს!..
იცინის პირიმზე, –
კოცნამ რომ მოღალა!..
ჩიტები მზის ბაღებს გალობით მოედო,
შენც ჩანგი აიღე,
იმღერე პოეტო!..
ნუ ეძებ სიცოცხლის შორეულ სათავეს,
შეხედე ცის ხავერდს,
ო, როგორ თამთამებს!..
უსმინე, ამ ნიავს მთებიდან მობერილს
და ნუღარ აყოვნებ,
თქვი საგალობელი!..
შეხედე, შეხედე, ამ ქედებს ბიბლიურს,
რა კოხტად იმშვენებს
ნისლების გიპიურს!..
ამ მინდვრებს, ამ ვარდებს სიცოცხლე სწყურიათ,
ამაოდ აშინებთ
სიკვდილი სრულიად!

12.04.64
სოხუმი

## მზეო ნათელო!

ჩემს ლურჯ მდელოზე აახმაურე შენი სხივები,
მზეო ნათელო!..
ამინთე სულში სიყვარულის
დიდი სანთელი!
შორს, ღრუბლის თეთრი იალქანი
შენსკენ მოცურავს,
მე შენს მუხლებთან ჩამუხლული
შენზე ვლოცულობ!..
ჩემს ლურჯ მდელოზე ახმაურე შენი სხივები,
მზეო ნათელო!..

19.04.64
ბანძა

## მაინც იჟღერე, ჩანგო!

გზას გინათებდა დიდხანს და ის ვარსკვლავიც ჩაქრა!
დარჩი სინათლის მიღმა? –
მაინც იჟღერე, ჩანგო!..
ჟამს რწმენის ფთილა მოაქვს, ციდან გალობა ისმის!..
ისევ სიმღერის დროა,
რეკავს ზარები ცისკრის!..

27.04.64
ბანძა

* * *

შხაპუნა წვიმა მოვიდა და ნაწნავებით გრძელით
გადაირბინა მინდორი,
                    ტყე, ბაღები და ველი...
უკან მისდევდა ნიავი... ჰქონდა თვალები სველი!
ეძებდა ფრთების შრიალით,
გახდა ტრფობისგან ხელი!
ის სადღაც გაუჩინარდა
ფართო თვალებით შველის!..

10.05.64
ბანძა

## ზღვა აღარ იყო მშვიდი

თეთრი ღრუბლების ფონზე ისევ მოცურავს მთვარე,
ბევრჯერ მომტაცე მზერა,
ბევრჯერ ავყევი ქარებს!..
ზღვაზე გავშალე აფრა, ზღვა აღარ იყო მშვიდი,
მე შევიყვარე მძაფრად
შენი თვალების ბინდი!..
შინდის ბაგეთა გემო და შენი ნისლის რიდე,
ო, შორეულო ჩემო,
როდის შევხვდებით კიდევ?!

07.06.64
სოხუმი

## თვალთა სილურჯე

მომიხმობს ისევ ცრემლიანი თვალთა სილურჯე
და უჩვეულო სიჩუმის მიღმა, –
გავყვები ბილიკს, ნისლებში რომ ირწევა ღამე...
და შენს პატარა მდინარესთან
ალვების ჩრდილში,
ვიმღერებ დიდხანს!..

12.06.64
ბანძა

# დედა

ვერ განარიდეს კუბოს, ვერა, ვერ მოაშორეს!
სუნთქვა შეკრული ღრუბლის,
                    სადღაც მიჰქონდა შორეთს!..
ვერ განარიდეს ცხედარს, ატმის პატარა ყვავილს!
და იჯდა ხეზე კენტად
სულგანაბული ყვავი!
გზა უდაბური ჩანდა, ცა დაღუპული უფრო!
როცა დაეშვა ფარდა,
როცა ჩაუშვეს კუბო!..

17.06.64
სოხუმი

## რას ნიშნავს?

რად მეკითხები, მოწყენილი თუ რატომ დავალ?
როცა მიზეზი ამ მოწყენის
შენ უკეთ იცი!..
წუთისოფელი რაა? – მხოლოდ ფერების დავა
და ღმერთი თურმე ვერ იკავებს
ზეცაში სიცილს!..
შეხედე, მიწა ქალწულივით სამოსელს იცვლის,
შეხედე ღრუბელს, რომ მოარღვევს
ფერების სამანს!..
ნიშნავს რაიმეს, რომ ატირდა ფინჯანზე ყავა?!
ან ღმერთი რატომ ვერ იკავებს
ზეცაში სიცილს?!

19.06.64
სოხუმი

## არ ვიცი!

არ ვიცი, ასე რატომ გახდი მოუსვენარი!
ან გული ჩემი ასე მძაფრად
რატომ აძგერდა?
ნელა ირხევა ბინდში შენი ტანი კენარი,
შენი თვალებით ცის სილურჯე
შემომაცქერდა!..
ისევ ქანაობს წუთისოფლის მღვრიე მდინარე
და ვარსკვლავებით მოოჭვილი
ზეცის კამარა...
არ ვიცი, ასე რატომ გახდი მოუსვენარი,
ან რატომ გავცქერ ზღვის მოქცევას
ასე თამამად?!

22.06.64
სოხუმი

## შენგან მე რას წავიღებ?

ვერაფერი გავიგე წუთისოფლის ზმანების!
შენგან მე რას წავიღებ? –
სევდას მწუხრის ზარების!..
სული ლექსებს მივანდე – ზეცის მცირე ნახევი,
მაინც მრჩება იმედი,
ვიცი, დამენახვები!...
შენთან ღამეს გავათევ, იყოს ჟღერა სიმების,
კიდევ ერთხელ დამათვრე
გაზაფხულის წვიმებით!..
კიდევ ერთხელ მასხურე შუქი აყვავილების,
სად ხარ, ზეცის ასულო,
ხედავ, დარდით ვილევი!
ვნახე შენი ხატება, რომ ვარსკვლავთა სიმზე ზის,
ბევრჯერ მომენატრები
მაგ თვალების მიზეზით!
ვერაფერი გავიგე წუთისოფლის ზმანების!
შენგან მე რას წავიღებ? –
სევდას მწუხრის ზარების!..

17.07.64
სოხუმი

## ვარსკვლავს

გიცან, ბავშვობის ვარსკვლავო, ვერხვის თავზე
რომ ციმციმებ!..
გნახე და გულზე დამაწვა
გარდასულ დღეთა სიმძიმე!..
გიცან, ბავშვობის ვარსკვლავო, რომ არხევ
სივრცეს ტრიამელს...
გიცან, ბავშვობის ვარსკვლავო,
შორს, ობლად მოხეტიალე!...

29.07.64
ბანძა

## გზები მოითხოვენ განახლებას

როგორ არ მინდოდა განმეცადა,
სივრცეს გავცქეროდი ფეერიულს!..
სადღაც ის ბავშვივით გამექცა და
ლანდებს მოგონების შეერია!...
და სულს შემოდგომის ბალახივით
ცრემლი იდუმალი მოერია!..
გზები მოითხოვენ განახლებას
და შენს დაბრუნებას მოელიან!..

15.08.64
ბანძა

## მზე იწურება
(მამას)

ახლა გარდასულ დღეებს იხსენებ,
შორს მეწამული
მზე იწურება!..
ეზოში მცირე სახლი მიწური
და კართან ბლავის
ხარი ნიკორა!..
ახლა გარდასულ დღეებს იხსენებ
და წვეთავს სულში
ჩუმი ნაღველი!..
დრო, როგორც მღვრიე ზვირთი მიგორავს
და შორს მწვერვალი
ჩანს უსახელო!..
მომავალ დღეთა ხედავ მირაჟებს
და ვერ შორდები
წუთიით ზმანებას!..
შენ დგახარ ასე, ქარში, წვიმაში,
ფერიცვალების
რეკენ ზარები!..

02.09.64
ბანძა

## ეს არის ბედის წყევლა!

ქალს სიგარეტის წევა სულაც არ ალამაზებს!
ეს არის ბედის წყევლა,
რომ მწეველს ვამბობთ ქალზე!
ქალი ცის სინაზეა და ღვთაებრივი ძალა!
ქალი სიცოცხლის მზეა –
დაუშრეტელი მარად!..

21.09.64
სოხუმი

## კვლავ გამოჩნდება

დაეფინება ბინდისფერი მთებს და ბილიკებს
და შეღამების დაძენძილი
ნისლების იქით, –
კვლავ გამოჩნდება შორეული შენი ხატება,
რომელიც ჩემკენ
ფეხაკრეფით მოემართება!..

16.10.64
სოხუმი

# ფოთოლი

უსმენ ღრუბლების შორეულ შიშინს
და უსახელო დაღუპვას ელი!..
ცახცახებ მუდამ ქარების შიშით,
როგორ გეცვლება
ყოველდღე ფერი?!
ცახცახებ მუდამ ქარების შიშით,
სავსე გაქვს მწუხრის ცრემლით თვალები!..
და შენს ქვეშ ისევ შრიალებს ქვიშა,
როგორც სიმბოლო
ფერიცვალების!..

25.10.64
ბანძა

## რას წუხს?!

შემოდგომის მოთენთილი ზეცა, ქარი არხევს
ხეებს უმიზეზოდ!..
სიხარული გაატანა მერცხალს,
რას წუხს ახლა
ჩემი მცირე ეზო?!

ტყეებს ლურჯი დაუკეცავთ აფრა და მზე მკრთალი
ეფარება ღრუბელს...
ნისლი მთიდან ჩამოცურდა დაბლა
და სივრცეებს
ღელვა გადაურბენს!..

28.10.64
სოხუმი

## ყვითელი ჩიტი

საით მიდიან ეს შავლეგა ღრუბლები ზანტი?
ან ეს ქარები უგზო-უკვლოდ
საითკენ ილტვის?
აქ, ჩემს სივრცეში მსხვერპლს დაეძებს ჭანგები ზამთრის
და მაინც გალობს
ჩემი სიზმრის
ყვითელი ჩიტი!..
მივაყურადებ დროის ჩქარი ისრების ტიკტიკს,
თითქოს ამოდის
ოკეანის სიღრმიდან ლანდი!
აქ, ჩემს მინდორზე ვხედავ, ზამთარს დაუდგამს ტახტი
და მაინც გალობს
ჩემი სიზმრის
ყვითელი ჩიტი!..

15.11.64
სოხუმი

## გამთრის პირველი დღე

მზე ღრუბლებიდან ფერწასული ვარდივით მიმზერს
და რტოებიდან უსიცოცხლო
ფოთლები სცვივა...
თამაშობს ქარვის ჩრდილები გზაზე,
ჩამოდის თოვლი...
ჩამოდის წვიმა...
მზე ღრუბლებიდან ფერწასული ვარდივით მიმზერს,
ლანდები ხეთა ირხევიან
ნისლებში მხოლოდ...
და ჩემი სალი კლდეების ქიმზე
გუგუნებს თეთრი
ქარების ქორო!..

01.12.64
სოხუმი

* * *

ვფურცლავდით მე და შენ ალბომს,
ვიყავით ჩვენ ორნი მარტო!
ძვირფასო,
            შენ შეკრთი უცებ,
ატირდი, არ ვიცი, რატომ?!

04.02.65
სოხუმი

## გაგაფხულის ლანდები

ჩემს სარკმელს შენი შუქი მოადგა და გაზაფხულის
თეთრი ლანდები...
შენი ნათელი,
მზეო, მომმადლე
და უნაზესი ფერი ვარდების!..
შენ განმარიდე ქვეყნად ავსულებს, დამიმეგობრე
სულით მდიდარი,
რომ მკლავდეს ტრფობა
შენი ასულის
და სხვა სიმდიდრე – არავითარი!

საგაზაფხულო ქარები ქროდეს, ცას მოეძალოს
ფერი სმარაგდის!..
არ დამავიწყო აღარასოდეს,
ჩემი კრწანისი,
ჩემი მარაბდა!
არ დამავიწყო ველი ალაზნის, ჩემი ქართლი და
ჩემი კახეთი!
არ დამავიწყო გმირი სამასი,
საუკუნეებს გადამახედე!..

არ დამავიწყო ჩემი მთაწმინდა, ჩემი მცხეთა და
სვეტიცხოველი!
შენი ლაჟვარდი
მინდა მაწვიმდეს,
შენი ვარსკვლავი შუქისმთოველი!..

არ დამავიწყო ნანა მეგრული, ჩემი ჩერო და
ჩემი ლაფარო!

არ დამავიწყო
შფოთვა ენგურის
და გაფრენილი ქარის ფაფარი!..

არ დამავიწყო მთების ლილეო და იმერეთის
ლურჯი მორევი...
ირგვლივ რამდენი
ფერი ირევა,
შენ შემაყვარე, მზეო, ყოველი!..

მე შენს წინაშე მუხლებს მოვიყრი, მოვერიდები
განა ქარაშოტს?
ჩემში ვინა სთქვა
სხვა სიყვარული, –
ამ ცის და მიწის ფერი თამაშობს!..
ამ ცის და მიწის ჩანგი მიჭირავს, ამ ცის და მიწის
მტკივა ჭრილობა,
როცა ავდარი
შემოიჭრება,
მე ვებრძვი ქარს და უამინდობას!..
ჩემს სარკმელს შენი შუქი მოადგა და გაზაფხულის
თეთრი ლანდები...
შენი ნათელი,
მზეო, მომმადლე
და უნაზესი ფერი ვარდების!..
15.03.65
სოხუმი

## მზეს ზვირთმა გადაუარა

მიჰყვები ცისფერ ნაკვალევს, ჟამმა ტკივილი მოდენა,
სულს ის ღიმილი ახარებს –
ატმის ყვავილისოდენა!

გაქვს აღტაცების უნარი, თუ გაზაფხული გეწვია!
მზეს ზვირთმა გადაუარა,
როგორ ატირდა მზეწვია?!

25.03.65
ბანძა

## მომენატრა

მომენატრა, გაზაფხულის მზეო, შენი თეთრი
გვირილების ფენა!...
მომენატრა, გაზაფხულის მზეო,
ქალღმერთივით გაღიმება შენი!..

მომენატრა, გაზაფხულის ცაო, მოხასხასე
ლაჟვარდების ცქერა!..
მომენატრა, გაზაფხულის ცაო,
ვარსკვლავებით მოოჭვილი ჭერი!..

ჩემს მინდორ-ველს შენი ფუნჯი ხატავს
და აჟღერებს შენი
თეთრი სიმი!..

იცი, ახლა როგორ მომენატრა გაზაფხულის
სიცილი და წვიმა!..
თბილი ქარი, ააფეთქებს ატმებს
მერე დაღვრის ორნამენტებს ფერთა...

იცი, ახლა, როგორ მომენატრე და ჩემს სულში
აპრილის მზე ფეთქავს!..

02.04.65
ბანძა

## ...და ჟღერს მუსიკა ბახის!..

შემოღამების ბინდები შუქით გაცრიცა ერთობ,
გადმოვლო მთა და მინდორი,
რხევით აუყვა ფერდობს...
მე არ მინახავს მანამდე სხივი ამგვარი სახის!
ის ცას და მიწას ანათებს
და ჟღერს მუსიკა ბახის!..

09.04.65
სოხუმი

# ისევ გაზაფხულს მოელის

ო, ის ტკივილი განქარდა, შუქი აენთო იმედის,
თუ ბედს სწყევლიდა აქამდე, –
ახლა სხვა ღელვას მიენდო!..
ახარებს მზის ამონთება და დრო ხალისით მიღელავს,
ის გზები მოაგონდება
და სიყვარულის სიმღერა!..
ღელავს ცისფერი მორევი, სული ღმერთებთან
საუბრობს,
ისევ გაზაფხულს მოელის
და უხმოდ დღესასწაულობს!..

12.04.65
სოხუმი

## ხილვა

სადღაც სიღრმეში სართულს ისევ მისდევს სართული,
თვალთა სილურჯეს
                    გადასერავს ცეცხლის კამარა!..
და მზე გაწვება მოთენთილი ზამთრის ტრამალზე,
თუმც ჟამი ისევ
იცქირება მუხანათურად!..
მდინარის პირას ბალახებში სიო დაცურავს
და მდინარის ტანს
                    უცნაური თრთოლვა ედება!..
ხან აინთება, ხან ჩაქრება რაღაც მაცდურად
და ცვლიან კადრებს
ისევ მუნჯი კინოკადრები...

14.04.65
ბანძა

## მთვარიან ღამით

ავედევნები ალვის ხეებს მთვარიან ღამით,
მომყვება ჩუმად
უჩინარი გრძნეული ლანდი!..
ო, იმ პატარა მდინარისკენ მიილტვის სული,
სად სივრცეს არხევს
ჭრიჭინობელას გაბმული ხმა –
შეზავებული მწუხრის ფერებით!..
და როგორც ნისლი მიირწევა მდინარე ჩემი
განათებული იისფერი
მთვარის ხავერდით...

24.04.65
სოხუმი

## ო, იცი, როგორ დამენანება?!

ვინ თქვა, სიცოცხლე არ ღირს წვალებად
და აღტაცებად შენი თვალები?!
ო, იცი, როგორ დამენანება უსიყვარულოდ
ქროლვა ქარების?!
ო, იცი, როგორ დამენანება – ეს თოვლი,
მთვარე და ვარსკვლავები!..
ო, იცი, როგორ დამენანება ფოთოლცვენა
და ფერიცვალება!..
მიქრის მარხილი, მიექანება, შუქი ირხევა,
რეკავს ზარები!...
ვინ თქვა, სიცოცხლე არ ღირს წვალებად
და აღტაცებად შენი თვალები?!

20.10.65
ბანძა

## თოლია

ზღვაზე თოლია წივის, ზვირთი აწყდება ნაპირს,
წყდება წეროთა მწკრივი
და ქარი წეწავს აფრებს!..
ზღვაზე თოლია წივის, ველარ იპოვა ტოლი,
და კრთის სხეული ცივი
მღვრიე მორევთა შორის...

30.11.65
სოხუმი

## პირველი თოვლი

სხვა საოცნებო მე არ მქონია,
შენი ლამაზი თვალების გარდა!.
რომ ასე ქრიან – რა ქარებია?
ან ადრე რისთვის დაეშვა ფარდა?!
ირგვლივ რამდენი მორევი ღელავს,
რამდენი სიმი მეხება თრთოლვით!..
მე შემეხსნება ჭრილობა ყველა,
როცა ჩამოდის პირველი თოვლი!..

14.12.65
სოხუმი

## მეგობარ პოეტს

ამ ტკივილს შენსას, თუ ოდესმე დღეები წაშლის,
ო, უჩვეულოდ სხივნათელი
შეგრჩება ხსოვნა!..
ის დღეთა ტევრებს გაარღვევს და ღიმილით მოვა,
და ლურჯ მინდორზე
ირბენს ისევ ლამაზი ბავშვი!..
დროის სამანებს თუ გაარღვევს ქარები საშიშს,
დაიფარები გაზაფხულის
ფერადი თოვლით...
კვლავ სულს აგივსებს მოხასხასე ფერების კრთომა
და სიყვარულის თავბრუდამხვევ
იალქნებს გაშლი!..

02.02.66
სოხუმი

# შენი თვალები!

შენი თვალები კვლავ მომტირიან და ჩუმი ცრემლი
მე სულს მისველებს!..
ის ღამე გაქრა ნისლის ბლონდივით,
მაგრამ ვერ იქნა,
ვერ მოვისვენე!..
ბექობზე დნება თოვლი თებერვლის და გაზაფხულის
ირთოლვა მიზიდავს!..
ბილიკს მიჰყვება მთვარე შიშველი,
როგორც ნილოსის
ნაპირს – იზიდა!..

28.02.66
სოხუმი

## ჟამმა, რაც უნდა იდინოს!

ისევ გალობით მოფრინავს ო, ეს ჩიტუნა
ფრთაჭრელი,
მე ზეცა მიყვარს ულრუბლო
და არა ზეცის ნაჭერი!

არ გამიფითრდეს მთა-ბარი შიშით სეტყვის
და ქარების,
მე ვიცი რაა მთავარი, –
მხოლოდ მზით სავსე თვალები!..

ჟამმა, რაც უნდა იდინოს, ვერ გამიქარვებს
იმედებს,
სულო, სიცოცხლეს უმღერე,
გულო, სიყვარულს მიენდე!..

14.03.66
სოხუმი

# სიყვარული

ასე რატომ ვეფერები წარსულს?
სულმა ყრმობის
კვლავ გაშალა აფრა!..
ეს ატმის რტო მე მაგონებს ასულს,
რომ შეიჭრა
ჩემს ხსოვნაში მძაფრად!
ცვივა ისევ ყვავილები თოთო
და ალვის ხე
ეფერება მთვარეს!
გაზაფხული კვლავ მოისხამს ფოთოლს
და ზამთარი სულს
უღონოს დალევს!
რტოზე ჩიტი მოფარფატე ცალად
იგალობებს ჩემი
ბაღის კართან!..
ამ ქვეყნიდან ყველაფერი წავა,
სიყვარულის სილამაზის
გარდა!

15.03.66
ბანძა

## მზე გაიმინდვრებს

მზე გაიმინდვრებს, შეეკვრება პირი იარას,
და აყვავდება ცისარტყელა
ცვრიან მდელოზე!..
ირმის ნახტომზე გაზაფხული გაიშრიალებს
და ჩვენს სიყვარულს
არ სჭირდება სხვა სილამაზე!..
მზე გაიმინდვრებს, თუმცა მოსვლას
ბევრი ველოდეთ!
ცას ოქროსფერი სხივები,
რომ მოავარაყებს,
ვირბინოთ მინდვრად ფეხშიშველა ცვრიან ბალახზე
და ჩვენს სიყვარულს
არ სჭირდება სხვა სილამაზე!..

02.04.66
სოხუმი

* * *

მასვი ბაგეთა ბადაგი, გრძნობის
მგზნებარე თასი!
შენი თვალები გადამრევს –
შეღამების ცის მსგავსი!..

არ ვიცი, თუ რას ვადარო მათი
ლამაზი კრთომა?
შენი ღიმილის სადარი
ცვივა ყვავილის თოვლი!..

ჩემი ცხოვრების ბილიკზე მუდამ
ქარ-წვიმა მსდევდა!..
შენა ხარ ჩემი პირიმზე,
ჩემი ლამაზი სევდა!..

11.04.66
სოხუმი

## მოდის აპრილი

მოდის აპრილი
და ფრთოსნების თბილი გალობით
ინთება სივრცე!..
მზე ამოდის
და სხივები ლიფსიტებივით ფართქალებენ
მწვანე მოლზე იდუმალების!..
მოდის აპრილი –
შეუცნობი მშვენიერება!
და სიცოცხლის ჰამაკებს არწევს
უდაბურ ველზე...
მღერის ბალახი,
მღერიან მთები
და მღერიან მდინარეები!..
და მზის სიმაღლეს  ეთაყვანება არსი ყოველი.
მოდის აპრილი – შეუცნობი მშვენიერება!..
ლაჟვარდების სიმღერა მოდის!..
მოდის აპრილი
და მზე იცინის
და ოქროსფერი მზის თავთავი
ეღვრება მიწას...
მოდის აპრილი – მთებით,
ზღვებით,
მდინარეებით
და მოიმღერის, როგორც სოფლის პატარა გოგო
შეყვარებული მეზობლის ბიჭზე,
ფეხშიშველა რომ ორღობეში მოედინება!..

მოდის აპრილი!..
და მიწა – დიდი სიცოცხლის დედა –
ხვდება უსაზღვრო სიყვარულის
მხურვალე ლოცვით!..
ირწევა სივრცის მოლურჯო ბადე...
აპრილი გალობს ცისარტყელას
შვიდფერ მკლავებზე,
როგორც ცისა და მიწის გამოღვიძების
იდუმალი დიდი სიმღერა!..

14.04.66
სოხუმი

## ჟღერს საიდუმლო ქნარები

გული გულს ესადაგება, თვალებს უცქერენ თვალები!..
ასე ინება განგებამ,
ჟღერს საიდუმლო ქნარები!..
საითაც მიგეჩქარება, მეც იქით მივეჩქარები,
გული გულს ესადაგება,
თვალებს უცქერენ თვალები!..
მე შენი მადლობელი ვარ და მაგ ცისფერი ქარების,
გული გულს ესადაგება,
ჟღერს საიდუმლო ქნარები!..

16.04.66
სოხუმი

## ო, იგალობე ჩიტუნავ!

ო, იგალობე ჩიტუნავ და მზის ფერებით ამავსე,
ჩემი ცხოვრების გზაშარა
სიმღერით გამილამაზე!..
მე სულ რაღაცას დავეძებ, ხშირად ტკივილით ვივსები,
შენ მაინც მომიალერსე,
რომ გამიფანტო ნისლები!
ღრმად სწვდები კაცის ოცნებას, სატკივარს
უგებ ადვილად,
როცა შემატყობ მოწყენას,
გალობით მომინადირებ!..

მწამს უცნაური ძალების, შენ ხარ
ცისფერი ზღაპარი!
ტკივილი მომეძალება? –
გალობას შემომაპარებ!..
ო, იგალობე ჩიტუნავ და მზის ფერებით ამავსე,
ჩემი ცხოვრების გზაშარა
სიმღერით გამილამაზე!..

07.05.66
სოხუმი

## ზღვა

დაუფლებია დუმილი ვრცელი და ვარსკვლავებით
სავსე აქვს უბე,
მთვარე შინდისფრად აანთებს ღრუბელს
და მეწამული
ფათურობს შუქი...
დაუფლებია დუმილი ვრცელი და ფარავს სივრცეს
ფერი ფოლადის!..
მრავალი ახსოვს მრისხანე წელი
და არხევს ნელა
დაღლილ ხომალდებს!..

09.05.66
სოხუმი

## მაისის ღამით

ჩვენ მდინარისკენ გავყევით ბილიკს, ათოვდა მთვარე
ცისფერ ხეივნებს...
და იყო ღამე მაისის თბილი,
გვათრობდა შუქით ცა მოზეიმე!..

აკაციების თეთრი მტევნების იდგა სურნელი
თავბრუდამხვევი!..
მერე ნიავიც აგვედევნა და,
ფრთების საოცარ
ფარფატს ავყევით!..
შორს დარჩა ო, ის ბილიკი ვიწრო და მოხასხასე
სივრცე, ინელი!
მე ის თვალები რამ დამავიწყოს
და რხევა შენი სულის სიმების?!

12.05.66
სოხუმი

## დგება ხილვების წამი

მე ჩუმად ვუსმენ ღამით ალვების თრთოლვა-შრიალს,
დგება ხილვების წამი, –
სულის წამება მიაქვს!..
ჩემს წინ ქანაობს ღამე – მკრთალი ლანდების რიგი
და ვიჭერ მთვარის გამებს
თეთრი ღრუბლების იქით...
და მერე შთანთქავს გარსი ძახილს ცისა და მიწის,
ვიცი, წამების ფასი
და აღტაცებაც ვიცი!

29.05.66
ბანძა

## დგას სიჩუმეში

მე მიყვარს მთვარე სოფლის, ჩემი ეზო
და ფაცხა,
აგერ ბინული მორბის
ჩემი ბავშვობის განცდა!..

ისევ შრიალებს ცაცხვი, სოფელს
ედება რული,
სულის სიმშვიდეს მაცლის
ო, ხსოვნა გარდასულის!..

მისდევს ორღობეს ოხვრით ლანდი
მაღალი ტანის,
დგას სიჩუმეში ქოხი,
ჰოი, რამდენი ხანი!..

15.06.66
ბანძა

## მდინარის პირას

მდინარის პირად კიპარისთა ჩრდილები კრთიან,
მდინარის ფსკერზე
ირწევიან მწვანე რტოები...
მდინარის პირად სავსე მთვარე ამოდის გვიან
მუქი ტყეებით და
მდუმარე სამრეკლოებით!..
მთვარის ჩრდილები ჩემს გარშემო როკავენ წყებად
და თეთრი ფრთებით
ეხებიან იდუმალ სიმებს!..
მდინარის პირას საოცარი სინაზე წვება
და სული ჩემი უერთდება
ვარსკვლავთა ღიმილს!..

16.06.66
სოხუმი

## ისევ მოდის!..

ისევ მოდის ტირიფებთან შენი თეთრი ლანდი
და მდინარე იხსნის მშვიდად
ნისლის ფერმკრთალ მანდილს!
მოდიხარ და წყლის სარკეში იმზირები ჩუმად,
ვარსკვლავები ჯერ არ ჩანან
და მინდვრები დუმან...
მზე ტკივილით იდუმალით ეთხოვება მხარეს,
ჰა, საცაა, ლურჯი ქნარით
გამოჩნდება მთვარე...
ის გადმოჭრის ბილიკს ნაცნობს, სული იგრძნობს შვებას,
იწყებს ცაზე საგალობელს
ვარსკვლავების წყება!..

17.06.71
სოხუმი

# ცვივა ფოთოლი

მოდის დღეები რუხი, მზეს გაუხუნდა კალთა,
ცვივა ფოთოლი უხმოდ
ამ შემოდგომის კართან...
ცვივა ფოთოლი უხმოდ შიშით ღრუბლის
და ქარის,
ცვივა ფოთოლი უხმოდ
და მას ფერი აქვს მთვარის!

08.09.66
სოხუმი

## გაფრინდნენ ბავშვობის დღენი!..

ალვები მდუმარედ დგანან, ჩიტებიც დაღლილან ფრენით,
წავიდა ლამაზი ხანა,
გაფრინდნენ ბავშვობის დღენი!..
ჩემს ფიქრებს შორს მიაქანებს
დაისის ფერმკრთალი სხივი...
მზე ჩადის, ამოდის მთვარე
და ხეზე ჩიტუნა წივის!..
მეფერა, ვერ შემიმშრალა ნიავმა თვალები სველი
და სოფლის სევდიან შარას
მივყვები ჭალისკენ სტვენით!..

14.09.66
ბანძა

## ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲮᲕᲐᲚ!

ო, მაგ თვალებს გადაეკრა ლიბრი და შეწყვიტა
საოცარი კრთომა!
ნაზი იყავ, როგორც
ტოტი იფნის
და გიყვარდა შეღამების თოვლი!..
ისევ ვდგავარ იმ კარებთან ბაღის,
თუმცა ვიცი, ვერასოდეს მოხვალ!
მე კი შენზე მოგონება დამღლის
და სულს ბევრჯერ
აღმოხდება ოხვრა!..

01.10.66
ბანძა

## ტყე

მზემ ძლივსღა გადმოიხედა ღრუბლების მოაჯირიდან,
ავდარი აღარ იხევდა,
ქარიც მოვარდა ჯირითა!..
ღრუბლის ლანქერი დიოდა, კლდე იდგა, როგორც
ჯვარცმული,
ტყე შეშლილივით კიოდა
სამოსელშემოძარცული!..

05.11.66
სოხუმი

## თოვლის სანთელი

თოვლის ფანტელებს ფანტავდა ქარი, სული უსაზღვრო
ღელვას მინებდა,
ტანზე გვეხვია თეთრი ნამქერი
ამღერებული მთვარის სიმებით!..
თოვლის ფანტელებს ფანტავდა ქარი და
დაბურული იყო ქვეყანა,
რეკავდნენ ზამთრის თეთრი ზარები
და ყველგან მხოლოდ თოვლი ეყარა...
და მივდიოდით, ო, მივდიოდით და ელვარებდა
სივრცე ნათელი,
მიწაზე იწვა თეთრი სინათლე,
მიწაზე ენთო თოვლის სანთელი...

09.12.66
სოხუმი

## ღამე ზღვასთან

ღამეა. ზღვასთან მოვდივარ, სივრცე
თამთამებს ყვითლად,
ყრია მდუმარე ლოდები,
მთა-ბარი ძილში ყვინთავს!..
ირხევა ნისლი ფაფუკი და ღვრის
მინდორზე რძისფერს...
ო, ეს ტყე ფრთებს შლის ბამბუკის,
თითქოს მიფრინავს ცისკენ!..

28.03.67
სოხუმი

## თეთრი პალატა

(მამას)

სალამოს შვიდი, სალამოს შვიდი, მზემ ერთხელ
კიდევ შემოანათა!
სალამოს შვიდი, სალამოს შვიდი,
საავადმყოფოს თეთრი პალატა!
ვერ გაუმკლავდი ბოლომდე სიკვდილს, რეკავდა
ზარი ფერიცვალების,
რომ ამაოა ეს ბრძოლა მიხვდი
და ჩამოგაწვა ნისლი თვალებზე!..
სარკმელთან ენთო რტოები თეთრად და ბიბინებდა
მინდორი ვრცელი...
სიკვდილმა კვალი გაავლო მკვეთრად
და იყო მხოლოდ მზე ალმაცერი!..
და იისფერი ფრთების შრიალით გაფრინდა სული
შორეულ მხარეს!..
ისევ არხევდა ტირიფს ნიავი
და გადაჰქონდა ფიფქები ქარებს...

19.04.67
სოხუმი

## სიცოცხლის საგალობელი

თვალზე შეაშრა შეღამების ტკივილი ლანდებს
და ლაჟვარდებში
განთიადი სინათლეს ბარდნის...
თითქოს ერთბაშად დაილეწა დუმილის ლოდი
და ფერდობებზე ჩანჩქერების
დგაფუნებს ტოტი...
ცას შეყვარებულ ქალწულივით აემღვრა ლოყა,
ქორბუდა კლდეზე გადმოდგა და
ქვამარილს ლოკავს...
ფერდობზე მიხტის, მიხვიხვინებს წითელი კვიცი
და იადონის სულის სიმზე
ირხევა სივრცე!..
მოლზე იღვრება, იფანტება ფერები ატმის
და ფეხშიშველა ბალახებში
მიცურავს ხატი!..
აღიმართება უსასრულო ოცნების კიბე
და დედამიწა გვირილებით
გულისპირს იბნევს...
და ნაკადულის მოიმღერის მინდორზე ნიმფა
და ტირიფები მდინარეზე
დალალებს იბანს..
შეხედე, მოლზე კუნტრუშებს და ბოჩოლა ბღავის,
ერთბაშად თითქოს
მოიგლიჯა დუმილი ღამის!..

და ეს სიცოცხლის ოკეანე მზის ფერებს ერთვის,
ცის დარბაზებში დააბიჯებს
ღიმილით ღმერთი!..

23.04.67
სოხუმი

## ეს ვინ არხევს ამ სევდიან სიმებს?!

გულზე მაწევს ულმობელი დარდი და ტკივილი
უხილავი მზარავს!
სივრცე შიშით თითქოს გადაქანდა
და სიცოცხლის
ახმაურდა ზარი!..
რა აშინებს, რა წამება ელის, ეს ვინ არხევს ამ
სევდიან სიმებს?
მზეს შეხედე თვალები
აქვს სველი,
ჟამი აცლის ფოთოლივით იმედს!..
სული თვრება ვარდფურცლობის ცქერით,
მღერის მეხრე,
თესლი ცვივა ხნულში...
აქ ატმის რტოს მზის ხავერდი შვენის
და ყაყაჩო მზეს
იხუტებს გულში!..
ცამ მაჩუქა სიყვარულის ნიჭი და ღიმილით
ვუნაწილებ ყველას!..
და სიცოცხლის ოკეანე მღერის,
და სიცოცხლის ოკეანე ღელავს!..

29.04.67
სოხუმი

## რად შეკრთა?!

ხეს მოსწყდა ფოთოლი ნორჩი და ჩუმი
ტკივილი ვიგრძენ!
ხეს მოსწყდა ფოთოლი ნორჩი
და იყო მდუმარე სივრცე!..
ხეს მოსწყდა ფოთოლი ნორჩი, დაეცა
მიწაზე ფრთხილად,
ცა იყო საოცრად ლურჯი!..
რად შეკრთა მაისის დილა?!

22.05.67
ბანძა

## ზღვა გვიხმობს...

ძვირფასო, მე შენი თვალების უმანკო
სხივებში გავები!..
წინ გვიდევს გზა იდუმალების,
ზღვა გვიხმობს ცისფერი ნავებით!..
ანთიხარ ყვავილის სიალით და ფეთქავს
მკლავები შიშველი!
დალალებს შეგირხევს ნიავი
და სულის ზამბახი იშლება...
გვეძახის ზღვა დაუსაბამო, გაფრინდა
დღე უიმედობის,
ირწევა ცისფერი საღამო,
ერთმანეთს საოცრად ვენდობით!...
შორიდან გალობის ხმა მოდის... ირწევა
ნაძვები მაღალი,
მთვარე კი სიმღერით ამოდის
და ვკოცნი მაგ თვალებს საყვარელს!..
არ ვფიქრობთ საწუთროს ტრიალზე, ჟამთა სვლას
არ ვემორჩილებით!
და ანძა მაღალი ჭრიალებს
და ბაღი სავსეა ჩრდილებით...
მივდივართ, მივდივართ, ძვირფასო, მივდივართ
სულაც არ ვიღლებით!
ზღვა ტალღებს კვლავ მოათამაშებს
და ბაგე ბაგეზე იღვრება!..

14.08.67
სოხუმი

* * *

ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას

რატომ ხარ ასე მოწყენილი და სევდიანი,
ამ ციხე კოშკებს,
ამ ნანგრევებს როცა ჩაუვლი?!
საით მიდიხარ მორღვეული, როგორც მდინარე,
ო, ტკივილებით შინაგანით, –
არა ხმაურით!..

10.09.67
სოხუმი

* * *

ცვლის გაზაფხული-ზამთარს და ზაფხულს – შემოდგომა,
შენ არ მოდიხარ, თამთა,
ჟამს კი ტკივილი მოაქვს!..
საითკენ მიქრი, სულო, შენ ასე ურჩი ბედის!
მე ტყვე ვარ გარდასულის,
ო, ნებით შემოქმედის!
კვლავ ვდგავარ ბაღის კართან, როგორც გრძეული ლანდი!
შენ არ მოდიხარ, თამთა,
მაფორიაქებს დარდი!..
ბღავის ხომალდი პორტში, რადგან არ უყვარს დგომა,
ცვლის გაზაფხული-ზამთარს
და ზაფხულს-შემოდგომა!..

12.09.67
სოხუმი

## ყვავილის სიკვდილი

უეცრად დახუჭა თვალები, შეხედე, ავდარმა
რა უქნა?
მინდორი გაძარცვეს ქარებმა
და მზერა უმანკო ჩაუქრა!

უეცრად დახუჭა თვალები, რომ იგრძნო
ჟამთა სვლის სიავე!
მინებდა ის ფერიცვალებას,
აწი ვერ
შეხვდება ნიავებს!

უეცრად დახუჭა თვალები, რომ უცხო
აჩრდილი ეწვია!..
უეცრად დახუჭა თვალები
და როგორ
ატირდა მზეწვია!..

14.09.67
ბანძა

## ის ვარდობისთვე გავიდა!

ფერს იცვლის რა უცაბედად, ჟამი რამდენის მთქმელი!
ის ვარდობისთვე გავიდა, –
უკვე მოვიდა რთველი...
აღარ შრიალებს ყვავილი, არც ვარსკვლავები ფშვინავს,
მიჩუმდა ირმის ბღავილი,
რომ მაფხიზლებდა ხშირად!

დღეს ნისლი შემოეპარა, უკვე მზეც კარგავს ღონეს!
შეხედე, ნავი პატარა,
როგორ მიარღვევს მორევს!..
სულს უნდა გაუთანაბრდეს ამ საარწივო მწვერვალს,
ის სიყვარული თანამდევს,
როგორც მდინარეს ღელვა!
ფერს იცვლის რა უცაბედად, ჟამი რამდენის მთქმელი!
ის ვარდობისთვე გავიდა, –
უკვე მოვიდა რთველი...

12.10.67
ბანძა

# სული ცას დაუმეგობრდა

ის გრძნობა სულაც არ ცხრება, არც იმ
ფერების ტრფიალი!
დრო სივრცეს ფრთებით აწყდება,
მიდის და მიდის ტიალი!..

მოჩანს ფერდობი ტყიანი და ლაჟვარდების ქსოვილი,
შეხედე, როგორ ხმიანებს
ეს სივრცე მოოქროვილი!..
სული ცას დაუმეგობრდა და ყვავილების სიალეს,
მოჩანს პატარა ბექობი,
როგორც ლურჯი ფრთა ნიავის!
იქ ნაკადული გალობდა და სიყვარულით ვეწვიე,
ამოსვლა მზეს უხაროდა
და ხმას იწმენდდა მზეწვია!...
ის გრძნობა სულაც არ ცხრება, არც იმ
ფერების ტრფიალი!
დრო სივრცეს ფრთებით აწყდება,
მიდის და მიდის ტიალი!..

31.06.67
ბანძა

# ცრემლის სიცილი

შენ წამოიწყე გალობა ჩუმი და მაგ თვალების
ლამაზმა სხივმა
                    მომანათა ყოველის მხრიდან!..
მოახავერდებს ველს უდაბურს შენი ხმის ექო
და ვარსკვლავების ყვითელი ჩიტი
გაზაფხულის ტოტიდან გალობს
და ეფინება ჩემს მარტოობას მღვრიე
მდინარის ნაპირებზე მოხეტიალეს!..
შენ წამოიწყე გალობა ჩუმი!..
როგორც ბალახი აინთება მზის სხივებით
ნამისგან სველი, ო, ამიყვავდა
წამწამები სიცილით ცრემლის!..

10.03.68
ბანძა

* * *

მზე ღრუბლებს გამოარღვევს, გაშლის ოქროსფერ კალთას,
მერე გახედე ბაღებს,
თუ რა ნათელი ადგას!..
მოდის აპრილის დილა და რტო იცინის ატმის,
მერე ბუდეში ტკბილად
აჟღურტულდება ბარტყი!..
ნიავი გაიმინდვრებს, ფრთებს ცისარტყელად გაშლის
და ქვეყნად ცოცხლობ ვიდრე,
შენც ვერ დარჩები ვალში!

21.03.68
სოხუმი

depositphotos

## ცაო, რას უცდი?!

მე ვიცი შენი წარსული და მომავალი მაფიქრებს!
ზღვა ღელავს უდასასრულოდ,
ცაო, რას უცდი, დამფიფქე!..
მე ამ გზის მეიმედება და სული შენზე ლოცულობს!..
შეხედე, როგორ თენდება,
გულო, ტკივილით მოცულო!..
ო, ისევ მოქრის ზღვაური, მაგრამ სულაც არ მაშინებს,
ის გაზაფხული ხმაურობს
და მზე იცინის ბავშვივით!..
კვლავ ვხედავ სივრცეს სანატრელს იმ მოზეიმე იერით!
ო, ის თვალები ანათებს,
კვლავ სიყვარულით ძლიერით!..

23.03.68
სოხუმი

# მოედინება

მოედინება ცის სიღრმიდან ლურჯი მდინარე
და სივრცეების ფერიცვალებას
ეფერება უხმო შრიალით...
მოედინება ცის სიღრმიდან ლურჯი მდინარე
და ვარსკვლავების
ჩუმი თრთოლვა
გამოაღვიძებს სიყვარულის დამშრალ კალაპოტს!..
მოედინება ცის სიღრმიდან
ლურჯი მდინარე
და ყვავილების მღვრიე ცეცხლი აფეთქებული
მინდვრის ღია ჭრილობებიდან, –
ეჩურჩულება სიყვარულის მარადისობას!..

06.04.68
ბანძა

# ო, პაწაწინა ჩიტო!

ო, პაწაწინა ჩიტო, შენ ამდენს რატომ კვნესი?
შეხედე მწვანე მინდორს, –
მიწის ყივილი გესმის?
შეხედე სხივთა ჩქერალს, სივრცეს ფერებით
რომ რთავს...
ყველას სიცოცხლის სჯერა,
შენ კი ყოველდღე მოთქვამ!..
ზეცა ხატებას იცვლის, იცვამს ხასხასა პერანგს,
ვარდი ტრფიალით იწვის, –
ყველას სიცოცხლის სჯერა!..
წყარო სიცილით მორბის...
ფუტკარს ყვავილი ათრობს!..
ზეცას აწყდება ორბი, შენ იცრემლები მარტო!..
ყველას აქვს თავის ჰობი,
რა გემართება სულო!
იქნებ ამ წუთისოფლის
შენ იცი საიდუმლო?!

12.04.68
სოხუმი

## მოვიდა, მოვიდა აპრილი!

შენ, გუშინ აქ მოსვლას დამპირდი, მოვყევი იდუმალ ბილიკს,
მოვიდა, მოვიდა აპრილი!
ცას უჩანს ლამაზი პირი!..
ჭადრები შემოსვას აპირებს, ზოზინებს ნისლები ხშირი,
მოვიდა, მოვიდა აპრილი!
რამდენი ველოდე, ლილი!
ვინ იცის რამდენი ვეხეტე, გამოჩნდა ვარსკვლავი წყვილი!
მერცხლებიც მოფრინდნენ, შეხედე,
შენ აღარ მოდიხარ, ლილი!
გალობენ წყვილ-წყვილად ჩიტები, იცვალა ბუნებამ ნირი!
თვალები ალერსით ინთება,
ცამ ღელვით შეიხსნა ღილი!
შენ, გუშინ აქ მოსვლას დამპირდი, მოვყევი
იდუმალ ბილიკს,
მოვიდა, მოვიდა აპრილი!
შენ აღარ მოდიხარ, ლილი!

18.04.68
სოხუმი

## არ მიმატოვო!

არ მიმატოვო, მოწყენის ჟამს არ მიმატოვო!
თორემ მე ისე დავღამდები, მოვითენთები,
როგორც ფოთოლი ივლისის ხვატში!
არ მიმატოვო, მოწყენის ჟამს არ მიმატოვო!
თორემ ათასი მწარე ეკალი დამიჩხვლეტს ხსოვნას!..
და ჩემი სული შეერევა
შორეულ ღრუბლებს
და არასოდეს მოიქცევა მიწაზე მერე!..

22.04.68
ბანძა

## წყაროს

განთიადის ცა უსმენს მდუმარე
შენს გალობას,
პატარა წყაროვ!..

თეთრი ჩიტები ნებივრობენ
შენს უბეში,
პატარა წყაროვ!..

ო, რა ტკბილია მათი ჟღურტული
განთიადის ჟამს,
პატარა წყაროვ!

26.04.68
ბანძა

## იმღერე ჩიტუნავ!

ალვის ხის წვეროზე პატარა ცისფერი
ჩიტუნა ზის,
სიმღერა მოარხევს ლაჟვარდებს...
ხე კი დგას ნაპირზე გზის.

ჩურჩულებს ნიავი მაისის, ირხევა
კენწერო ხის,
სივრცეში ზღაპრული ხმა ისმის
და სიო ბალახებს ხრის...

დრო თითქოს შეჩერდა მრისხანე, ირწევა
ტალღები ზღვის...
სხივებით ინთება ცისკარი –
სხივებით მაისის მზის!..

დრო მოვა, იქცევი ფიტულად და მაინც
სიმღერად ღირს!..
იმღერე, იმღერე, ჩიტუნავ!
დიდხანს ნუ მოიხვევ ნისლს!

12.05.68
სოხუმი

## დილის სურათი

მზე ამოდის მეწამული ფერის და ქანაობს მთებზე
ნისლის ბადე...
მზე ამოდის მეწამული ფერის
და იღვრება შუქთა სიდიადე...
მზე ამოდის მეწამული ფერის, წყალში ცურავს
ოქროსფერი თმებით,
მზე ამოდის მეწამული ფერის,
სული იწვის ღელვით ანანთები!..
მზე ამოდის მეწამული ფერის, ყვავილების სუნთქვა
მოაქვს ნიავს...
მზე ამოდის მეწამული ფერის
და იწყება ფერთა სიმფონია!..

20.05.68
სოხუმი

## სულის მუსიკა

ლურჯად ხასხასებს მინდორი... ისმის
გალობა ჩიტის,
აქ კი ბალახიც იტირებს,
თუკი შეახე თითი!..
შეხედე, როგორ უთქმელად გრძნობენ ყველანი
ერთურთს!..
სულის ამგვარი მუსიკა
ჯერ არ მსმენია, ღმერთო!

22.05.68
სოხუმი

## სივრცის წყურვილი

გრძნობს სურნელებას მინდვრის, ფოთლებზე ნამის ციმციმს,
ზის გალიაში ჩიტი
და კლავს წყურვილი სივრცის!..
ზის გალიაში ჩიტი ცის უსაზღვრობას უცქერს,
ზის გალიაში ჩიტი
და გული ძლიერ უცემს!..
რტოზე ტოლები სხედან და მზე უთრთოლებთ კუნთებს,
ზის გალიაში ჩიტი, –
ფიქრით ლაჟვარდებს უტევს!..

22.08.68
სოხუმი

## შემომანათე!

ო, მაგ თვალებმა, მაგ თვალებმა განა დამინდეს?
და მეც სიმშვიდეს ვერ ვპოულობ,
არც მსურს არავინ!
ახლა უშენოდ მე არ ვიცი საით წავიდე,
ეს რა ალმური შემომენთო დაუფარავი!..
ო, კაცი ალბათ ბედისწერას ვერსად წაუვა!
ისარი შხამის გულზე ასე
რატომ დამასვი?
შემომანათე, მაგ თვალების შუქი ლამაზი
და ეს იქნება ჩემი
დიდი დღესასწაული!..

10.09.68
სოხუმი

## მატარებელი

მატარებელი გადარბის ხიდზე, მიარღვევს ქშენით
დამის უკუნეთს!..
მატარებელი გადარბის ხიდზე,
თითქოს ათასი ზარი გუგუნებს!..
მატარებელი გადარბის ხიდზე, თელავს ბორბლებით
დამის ობელისკს!..
მატარებელი გადარბის ხიდზე
და მიქრის, როგორც
წუთისოფელი!..

12.10.68
სოხუმი

## სად არის?!

სად არის ის წყარო, ნეტავ? რატომ დუმს
ექვანი მიწის?
სად არის ის წყარო, ნეტავ,
ასე რომ მღეროდა მიწყივ?!
სად გაქრა ფოთლების ღელვა და ლურჯი
ციმციმი სივრცის?
სად არის პატარა გოგო,
მისი თრთოლვა და ფიცი?!

18.10.68
სოხუმი

## ამაღამ

ამაღამ ქარი მოაწყდება მთვარის ხეივანს,
ამაღამ ისევ მაღალ ალვებს
ზედიზედ მოხრის!..
ამაღამ ისევ მღვრიე ფიქრებს სული შეება,
გადაურჩება ძლიერ ქარებს, –
ეს ჩემი ქოხი?!

04.11.68
ბანძა

## ცაო, რას უცდი?

მე ვიცი შენი წარსული და მომავალი მაფიქრებს!
ზღვა ღელავს  უდასასრულოდ,
ცაო, რას უცდი, დამფიფქე!..

მე ამ გზის მეიმედება და სული შენზე ლოცულობს!..
შეხედე, როგორ თენდება,
გულო, ტკივილით მოცულო!..

ო, ისევ მოქრის ზღვაური, მაგრამ სულაც არ მაშინებს,
ის გაზაფხული ხმაურობს
და მზე იცინის ბავშვივით!..

კვლავ გხედავ სივრცეს სანატრელს იმ მოზეიმე იერით!
ო, ის თვალები ანათებს,
კვლავ სიყვარულით ძლიერით!..

23.03.68
სოხუმი

* * *

აქ მოვარდნა ხშირად ქარმა თეთრი
                    ფრთებით იცის!
ახალი წლის ღამით სივრცე
იწყებს რხევა-ციმციმს!..
ახალი წლის დილა ფეთქავს, გაქრა
                    ზეცა ლურჯი,
პაპა მოდის და მოათრევს
ძღვენით სავსე ხურჯინს.

01.01.69
სოხუმი

## ისევ ირხევა ალვის ხე

ჯერ არ დამდგარა ის ჟამი, რომ აღტაცებით მოველი,
ჯერ არ დამდგარა ის ჟამი,
უნდა მოვიდეს რომელიც!..
ჯერ არ მიგრძვნია ის ზეცა, არც გაზაფხულის ზღვაური,
მთვარემ გზა გადამივერცხლა
და სისხლი ისევ ხმაურობს!..
ადრე რაც ვიყავ ისა ვარ, გულს კვლავაც ძალუძს მოლხენა,
ისევ ირხევა ის ალვა
და ის მდინარე მოღელავს!..

22.02.69
ბანძა

## მიახლოვდება

მიახლოვდება შორეული შუქი ბდღვრიალა,
ჩემი მინდვრები გაზაფხულის
მზით იმოსება!..
ირმის ბღავილი გადაურბენს მთებს
და იალაღს,
ფრთებით ასწევენ
ცის გუმბათებს ანგელოზები...
როგორ იქნება არ ვადიდო
ქვეყნის გამჩენი?
ჩემს ალტაცებას
ხევხუვებში რა გააჩერებს!
თეთრ ფრთებს  შეისხამს უსასრულო
ჩემი ოცნება
და მუხლში
ძალა ჩაუდგება
ლექსის ჩანჩქერებს!..
სიმებს საოცარს შეათრთოლებს
ჩემი სიმღერა,
ზამთრის ტკივილებს
მომიშუშებს,
ალბათ, გვირილა!
შეხედე, შუქი გაზაფხულის,
როგორ იმღვრევა,
ყური მიუგდე, –
ისმის მთიდან
ირმის ყვირილი!..
05.04.69
სოხუმი

# რა დაგიშავა?!

შეხედე, ამ ხეს ვაშლის, როგორ ცახცახებს ქარში?
ის მუდამ ეძებს მფარველს,
როგორც უმწეო ბავშვი!
მე შენთანა ვარ ვალში, სხივი იღვრება დილის...
ისევ აცურდა წყალში
ღრუბლის ფერადი ტივი...
მზე ოქროს ფაფარს გაშლის, ისევ დაუვლის კალოს,
ტირის ყვავილი ვაშლის,
რა დაგიშავა, ქარო?!

15.04.69
ბანძა

* * *

დგება დღეები ფერიცვალების და უთვალავი
ღელვის დამტევი!..
გულს სიხარული მოეძალება,
როგორც გუმბათებს
თოვლის ნათელი!..
მოუსვენრობა და უძილობა და სივრცეების
თეთრი ხედები...
სულში გამიქრობს
ყველა ჭრილობას
ძალა მაღალი შემოქმედების!..

20.04.69
სოხუმი

## ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲐ

ტყეთა აბრეშუმს ახლავს თრთოლვა შორეულ რიცხვის,
მზე კი მიიწევს მაღლა
და არღვევს დუმილს სივრცის!
სიო აღვიძებს კოკორს და აღტაცებით კოცნის!
შენ, საით მიხვალ, გოგო,
ასე ჩუმი და მორცხვი?
კვლავ ჩამიარა ახლოს იმ შორეულმა თრთოლვამ! –
სივრცე კვლავ გადმოლახა,
შუქი კვლავ მომათოვა!..

22.04.69
ბანძა

* * *

ფრთები შეახო თეთრი, იგრძნო სიცოცხლე უმალ!
ფრთები შეახო თეთრი
განთიადის ცამ ჩუმად!..
მოდის ციმციმით წყარო, ზვირთი მსუბუქი უვლის,
რა უნდა ნეტავ სტუმარს,
რამ აუჩქროლა გული?!
მზემ აიწია ცაზე, დაუშვა ოქროს წვიმა!..
და ჟღერს ბუნების ჩანგი
ასი ათასი სიმით!..

12.05.69
სოხუმი

## კვლავ იგუგუნე ქარო!..

რად დაიზნიქა ასე ცა ჟამის შავი ტვირთით?
რატომ ედება ხავსი,
რატომ ედება ფითრი, –
ჩემს ხავერდოვან ზეცას, ჩემს ხავერდოვან ფრესკებს?
რად სდის ცრემლები მერცხალს,
ქვებს ხომ არ ესვრის სესე?
რად დაიზნიქა უხმოდ ჟამი სიკვდილის მუხტით?
რატომ ეტკინა ნიავს
ცისფერ ბილიკზე მუხლი?
ისევ გაშალე აფრა იმ შორეული გზების,
ისევ აყვავდი შუქით,
ისევ აენთე გზნებით!..
რომ სალოცავად ეყოს საგაზაფხულო ქნარებს!
კვლავ იხმაურე ვერხვო,
კვლავ იგუგუნე ქარო!..

09.06.69
სოხუმი

* * *

მოვა იგი და სიყვარულით თვალებს აგიხელს,
რომ იგრძნო ქვეყნად
სილამაზე ჭეშმარიტების!..
და ჩუმი თრთოლვით ბაგეები ტრფობას გაგიმხელს,
მოგეფერება უთვალავი
სხივი დიდების!..
შენ იგრძნობ დღემდე, რომ ცხოვრობდი
მხოლოდ მითებით
და დარბეული გქონდა გული
ჟამის ქარებით!..
სიმებს ლამაზად შეეხები ნაზი თითებით
და აინთება ცისარტყელა
შენი თვალების!..

12.06.69
სოხუმი

## მდინარესთან

მდინარესთან ტირიფი დგას, სიო ურხევს ნაწნავებს,
აქ მოვდივარ, როცა ფიქრი,
უსაშველოდ მაწვალებს!..
მდინარესთან ნისლის ფთილა შენს სინაზეს მაგონებს,
შეღამდება და ცა ფრთხილად
ბინდში გახვევს მთა-გორებს...
მდინარესთან სული ღელავს და ის შენზე ლოცულობს,
სივრცე ქარით აიმღვრევა
სევდით გარემოცული!
ვარსკვლავების შუქი მკრთალი ტალღებს ეთამაშება,
ვუცქერ, ვნებით სავსე მთვარის
ღრუბლის მკლავზე დაშვებას...
მდინარესთან ტირიფი დგას, სიო ურხევს ნაწნავებს,
აქ მოვდივარ, როცა ფიქრი
უსაშველოდ მაწვალებს!..

25.06.69
სოხუმი

## მიხმობს შთაგონება!

ო, რა სევდიანი მოჩანს მთა-გორები!..
ისევ ოცნებები, ფიქრი შენეული!..
მიხმობს შთაგონება – ლურჯი მეგობარი,
ღელვა უსამანო
ბინდში შერეული!..
ბევრჯერ გავარღვიე სივრცე უდაბური,
გზები შორეული ახლოს მეჩვენება!
სულში სიხარული ბევრჯერ დავაბრუნე,
ქროლვა უსაშველო,
არსად შეჩერება!..
ისევ მეძახიან შორი ნაპირები,
გზები იდუმალი შუქით იბადრება!..
შენით თუ იმსხვრევა ყველა დაპირება,
ყველა იმედიც ხომ
შენით იბადება?!

27.06.69
ბანძა

## მთვარე?!

მოვა დრო მკაცრი ფერიცვალების, დაილუქება ბაგეები,
და სულის ცივ და დაწყვეტილ სიმებს
ვერ შეათრთოლებს მოშრიალე მინდვრის ზეფირი!
ჩამოიშლება შეღამების მუქი ჩრდილები
და ლურჯ ხავერდზე ატირდება ჩუმი იელი...
და ნისლი მინდვრის დედოფალი მოვა რხევით
და მუხლებს მოიყრის,
დაგვაფენს კალთას ზამბახისფერს...
და მოფრთხიალე თეთრი ჩიტები
ლაჟვარდებიდან გვეტყვიან ღამეულ საგალობელს!..
მთვარე?! – მთვარე კი ჩვენი სიყვარულის მესაიდუმლე,
ქუჩაბანდებში მოწყენილი იხეტიალებს!..

28.06.69
სოხუმი

## მზემ ისევ მოავარაყა

ისევ ღუღუნებს ნიჟარა და ტალღა მიმოსეირნობს,
სადღაც გაფრინდა ის ჟამი
და გამარჯვებას ზეიმობს!..
წყარო კანკალებს მშიშარა და კოცნის მიწის იარას,
მზის შუქი ჩამოიშალა,
მთიდან მოცურავს ნიავი...
მე გზა მოვნახე მთავარი, თუ ბედისწერამ მანახა?
და ჩემი ზეცის თავანი
მზემ ისევ მოავარაყა!..

06.07.69
სოხუმი

## აღმოსავლური მოტივი

დღეს ასე არის, ხვალ იქნება სულ სხვანაირად,
მზის ეტლი ბევრჯერ შემოურბენს
ამ ცის კამარას...
ლამაზო ქალო, დაუკარი შენი დაირა,
დღეს ასე არის, ხვალ იქნება
სულ სხვანაირად!..

12.07.69
სოხუმი

## რაა უცვლელი?!

თუ სულს განგება მოდგება და ფორმებად დაშლის,
რომელიც შემდეგ
მოლივლივე ფერებში ცურავს!..
გაოცებული შენ ყოველთვის დარჩები ბავშვი
და როგორ შექმნი
ამ სამყაროს ერთიან სურათს?!
რაა უცვლელი? – ყველაფერი იცვლება, ბრუნავს
და სხვადასხვა დროს
განსხვავებულს იძლევა ნიშანს!..
გრანიტზე დგახარ? – არა, ფეხქვეშ შრიალებს ქვიშა
და როგორ შექმნი
ამ სამყაროს ერთიან სურათს?!

16.07.69
სოხუმი

* * *

მაკოცე ძლიერ, სანამ გზნებით ტუჩები მითრთის!
სანამდის ჟამი სასიკვდილოდ
დამჭრის, გამწირავს!
სანამდის ტანზე მომედება ხავსი და ფითრი,
სანამდის დამშლის
ო, ეს მიწა
ნაწილ-ნაწილად!..
გადმომაღვარე ბაგეებზე ხავერდი ცეცხლის
და გადავლახოთ მოთმინების
საზღვრები ვიწრო!..
სანამდის, სულო, სიყვარულით გული გულს ერწყმის,
რომ აღტაცება
ამ სიცოცხლის
ბოლომდე ვიგრძნოთ!..
რამდენიც უნდათ დემონებმა გვიცქირონ რისხვით,
მხოლოდ გაზაფხულს და
მთვარიან ღამეებს ვენდოთ!..
ო, ერთხელ კიდევ ამიჯანყე ძარღვებში სისხლი,
რომ სიყვარულის სილამაზედ
ბოლომდე ვენთოთ!..

17.05.69
სოხუმი

## ადგილის დედა

მზე მოდგება და ამოხაპავს ბალახის სევდას,
ცის დარბაზებში აცურდება
ღრუბელი ქარვის...

ჩემი ბავშვობის თეთრფრთიანი
გაფრინდა მტრედი
და ჩემი ლანდი დასდევს
მოლზე ბოჩოლას ბღავილს!..
ალვების იქით, ახლაც ისმის სიმღერა ღამის
და ცისკრის გოგო, როცა ცაზე
ვარსკვლავებს მოსწყვეტს...

ჩემი ოცნების ბიბლიური ინთება ბუჩქი,
ადგილის დედა დგას და ღელავს
ყველაფრის მოწმე!..

22.08.69
ბანძა

## ჩემი თუთა!

ჩემთან პირველად როდი ხარ, რად შემიყვარე მითხარ?!
ჩემს ფანჯარასთან მოდიხარ,
მეჩურჩულები დიდხანს!..

სივრცეს გადმოჭრი, მოცურავ, როცა სიო ქრის ნელი,
ჩემთან რამდენჯერ მოსულხარ,
მთვრალი სურნელით ველის!..

განთიადისას მშორდები და ფეხაკრეფით მიხვალ,
უშენოდ, როგორ ვლონდები,
ცრემლს ვერ ვიშორებ დიდხანს!..

ფიქრით მოთენთილს და დაღლილს შენ მეფერები მუდამ,
ჩუმად მოდიხარ, შუქს მაღვრი,
ჩემო კეთილო თუთა!..

21.09.69
ბანძა

## გელოდები

გაზაფხულო, გელოდები, მოდი და ბავშვობის
დავიბრუნებ ხალისს!..
ამიყვავე ჩემი
ატმის ტოტი,
და იმედი
დამიბრუნე ხვალის!..
გაზაფხულო, გელოდები, მოდი, სანამ ჟამი
მომაყრიდეს ეკალს,
სანამ ბაგეს
დამიდუმებს ლოდი,
გამაგონე ვარსკვლავების რეკვა!..
შეუცვალე ამ სანახებს ფერი, აგრძნობინე
მზის ხავერდის სითბო,
ცას დაუვლის
ანგელოზი ფრენით
ჩამოსული მეცხრე ციდან თითქოს!
შევერწყმები ლაჟვარდების თრთოლვას და იალქნებს
სიყვარულის გავშლი,
გაზაფხულო,
შუქი მომათოვე:
აკაციის, ატმების და ვაშლის!..
მომიტანე მოხასხასე ტოტი, მზეჭაბუკის
დავიმშვენებ ხალისს,
გაზაფხულო,
გელოდები, მოდი,
და იმედი
დამიბრუნე ხვალის!..

11.02.70
ბანძა

* * *

ხვალ რა იქნება რა იცი, ან მზე ამოვა როგორი?
ავდარი გზაზე დაიცდის?
იმღერებს შუქი კოკორის?
ხვალ რა იქნება რა იცი, მზე როგორ ამოინთება?
ავდარი გზაზე დაიცდის?
ან საით წავლენ ზვირთები?!
ვის აატირებს დემონი, ქარი ვის გაეკიდება?
ხვალ რა იქნება რა იცი,
მზე როგორ ამობრწყინდება?!

17.03.70
სოხუმი

# ვედრება

ცას ვარსკვლავი რომ მოსწყდება და გაინავარდებს,
ალვა უეცრად შეკრთება
და ცრემლი დასცვივა...
სხივი ჩაუქრა ეს რამდენი ზეცის კაბადონს
და ჰგავს მინდორი ვარდ-ყვავილთა
სევდანაწვიმარს!
ნიავი ხიდზე გადაქანდა, როგორც ყმაწვილი,
მდინარეს უჭირს
მოქანავე ნისლის ტარება!
და დგას ალვის ხე მლოცველივით ხელებაწვდილი,
რომ არ დალეწონ ცა ლამაზი
ღამის ქარებმა!

06.04.70
სოხუმი

* * *

დილის მოხვეტა ბინდი და შუქი მომათოვა,
თრთის ცისარტყელას ხიდი
და ყვავილების თოვლი!
ვერხვი ნამს იშრობს ტანზე, ალვა ივარცხნის ქოჩორს,
შველი წყლის სარკეს დამზერს
თვალრიქრაქა და ნორჩი!
ნუკრს დაუსველდა კანჭი, დედას შესჩივლა უმალ,
მზე ათრობს ნისლის ნაჭერს,
როგორ არ იგრძნოს გულმა?

20.04.70
ბანძა

## შუქი იღვრება მძლავრი

ხეივანს ალვის ხეთა ადგას ნათელი მთვარის,
ლურჯი ვარსკვლავი ფეთქავს,
ღამის ზმანებით მთვრალი!..
ო, რა სიჩუმე სუფევს და რა საოცრად თბილი,
ისმის ბალახის თრთოლვა, –
ბალახს ედება თრთვილი...
მოჩანს მწვერვალის შუბლი, როგორც ვარსკვლავის ქიმი!
ზამბახს სავსე აქვს უბე
მთვარის ცისფერი სხივით...
კრთის სივრცე აბრეშუმის ღამის ცისფერი სარკე,
მოდის გოგონა ჩუმი,
აქვს ანგელოზის სახე!
ხიდზე გადმოდის კრძალვით, მთვარე ყვავილებს უფენს,
შუქი იღვრება მძლავრი,
რა აღტაცება სუფევს?
ხეივანს ალვის ხეთა ადგას ნათელი მთვარის,
ლურჯი ვარსკვლავი ფეთქავს
ღამის ზმანებით მთვრალი!.,.

06.05.70
სოხუმი

## ქამი გათელეს რაშებმა

ვუსმენ ჟრიამულს ჩიტების, თითქოს სამოთხე მანახეს!..
ხედავ, მზე ეთამაშება
ჩემი ბავშვობის სანახებს!..
ქამი გათელეს რაშებმა, სადღაც სივრცეში გაიჭრნენ...
ხედავ მზე ეთამაშება
ჩემი ბავშვობის კარიბჭეს!...
ო, ის ცრემლები არ შრება და ის თვალებიც არ ჩანან,
ხედავ, მზე ეთამაშება
ჩემი ბავშვობის ფანჯარას!..

10.05.70
ბანძა

## სიზმარი

სიზმარში ვნახე წუხელ ჩემი ეზო და სახლი!..
ქარი არხევდა ნაზად
ალვებს თეთრსა და ტანადს...
ნისლში კრთებოდა, სადღაც შენი ფერმკრთალი სახე
და საოცარი გრძნობით
მე მიმღეროდა ნანას!..
მზე ფეთქდებოდა ჩემში თავბრუდამხვევი ძალით
და მშობლიური ქარი
არხევდა ფერთა მორევს!..
შორს, მთვარის სამრეკლოდან, ისევ რეკავდა ზარი!..
მიაცილებდა ღრუბლებს,
სადღაც მიმავალს მდოვრედ...

14.05.70
სოხუმი

## სიყვარულის საგალობელი

ვარდის გულ-მკერდზე კრთის და ფეთქავს წვეთები მომცრო
და ცის სიზმრებში თვალებს ახელს
ყვავილი ვაშლის!...
მე ქვეყანაზე ერთნაირად მიყვარს და მომწონს –
მზის თავთავი თუ ვარდისფერი
ღიმილი ბავშვის!..
მე ქვეყანაზე ერთნაირად მიყვარს და მომწონს –
ჩიტის გალობა და ცისკრის ჟამს
ყივილი მამლის!
ვარდის გულ-მკერდზე კრთის და ფეთქავს წვეთები მომცრო
და სულს ამაღლებს
საოცარი შრიალი ალვის!..
მე ქვეყანაზე ერთნაირად მიყვარს და მომწონს –
ვარსკვლავთა გზები,
ვერცხლისფერი დუმილი ღამის!..
ვარდის გულ-მკერდზე კვლავ იცინის წვეთები მომცრო,
ვარდის გულ-მკერდზე კრთის და ფეთქავს
წვეთები ნამის!..

17.05.70
ბანძა

* * *

დღეს ცა დაგცქერის ლამაზი და ვარსკვლავები რჩეული,
გული გაქვს მეტად ხალასი,
თვალები კი უჩვეულო!
დღეს ცა დაგცქერის ლამაზი და სევდის უარმყოფელი!
მინდვრად ბალახი ხასხასებს
და მღერის წუთისოფელი!..
დაქრის ჭრელკაბა ნიავი და ტალღა ფერებნასვამი,
და როგორც ტყუპი სიამის
ფეთქავს ის ორი ვარსკვლავი!..

24.05.70
სოხუმი

## დგანან მდუმარედ!..

ღამეა... სხივებს ისრუტავენ ლურჯი ფოთლები
და ზღვის იისფერ ზედაპირზე
მიცურავს მთვარე...
ნიავი არ ქრის, ღამეული ლანდები თვლემენ
და მოყვითალო
ვარსკვლავთა ფონზე
ბებერი ციხის ნანგრევები მდუმარედ დგანან!..
და დაბურული ფიქრიანი კიპარისები
ო, როგორ მძაფრად განიცდიან
დინებას დროის?!
აქ არსად არ ჩანს მეციხოვნის ჯიუტი მზერა
და არც ფარანის შუქი დასდევს
ღამეულ ლანდებს!
მხოლოდ შორეულ ვარსკვლავთა ხომლი
დასცქერის მშვიდად
ამ მიწიერ იდუმალებას!..

02.06.70
სოხუმი

# ᲘᲧᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

შეირხა ჩუმად ლერწამის ღერო, როგორც ბუნების
სიმი ციური
და ცის სიღრმიდან რეკავდა წერო,
იყო ტკივილი ამქვეყნიური!..
ცა ირხეოდა შემოღამების, როგორც ფოთლების
ლურჯი ხავერდი...
გამოჩნდა ბინდში სითბო თვალების
და იდუმალი თრთოლვა გამანდო!..

07.06.70
სოხუმი

## ზღვაზე

მზე ეშვებოდა ზღვის სიღრმეში და დიდხანს მერე
გადახრილ სვეტებს
                    იისფერი ღებავდა ფუნჯი...
მე და შენ ჩუმად თეთრ ბაქანზე ვიდექით, ნანა!
და შენს თვალებში ზღვა მღეროდა
უსაზღვროდ ლურჯი!..
თეთრი ხელებით აპურებდი პატარა თევზებს,
მზე ჩაიძირა
                    გადახრილი სვეტების მიღმა
და ოქროსფერი სკაფანდარით
დაეშვა ფსკერზე...

12.06.70
სოხუმი

# ისევ შეირხა ფარდა

სულს ისევ აფერადებს ქარი მზის იალქნების,
ისევ შეირხა ფარდა,
ზვირთი აწყდება ჯებირს!..
დღეს რამდენ რამეს თხზავენ და არც არავის უკვირს,
დრო, როგორ აბალზამებს
იმ ხმას გაბზარულს ბუკის!

ვარ უსაზღვრობის სევდა, სული ამაოდ ტირის,
ისევ გეძახის, დედა,
ჩემი პატარა ჩრდილი!..
ვერ გავექეცი ვერა მზერას ულმობელ სივრცის,
და ვარსკვლავები ფერადს
ვერ მომაღვრიან სიცილს!
ვარ აღტაცება წამის, ერთი შერხევა სიმის,
ვარ სათამაშო ჟამის
და ჩუმი სევდა წვიმის!
გალობს ჩიტუნა ხეზე, მივსდევ იალქნებს სიზმრის,
წყალი ციმციმებს მზეზე,
როგორც ნატეხი ლინზის!
სულს ისევ აფერადებს ქარი მზის იალქნების,
ისევ შეირხა ფარდა,
ზვირთი აწყდება ჯებირს!..

17.06.70

სოხუმი

## ის მოდის!

წვიმის წვეთები ეცემა მინას და ცახცახებენ
ფოთლები გარეთ,
ფიქრით ივსება პატარა ბინა
და სადღაც ჩუმად რეკავენ ზარებს!..
სარკმელთან ნელა ირხევა ტოტი, ოთახს ანათებს
სანთელი სუსტი...
ო, ის მსუბუქი ნაბიჯით მოდის
და ქარი მაღალ სართულებს უსტვენს!..
ინთება ზეცის კამარა ლურჯი, სიღრმეში თეთრი
სვეტები ბრწყინავს!..
სარკმელთან ნელა ირხევა ტოტი,
წვიმის წვეთები ეცემა მინას!..

31.06.70
სოხუმი

* * *

ამ ცხოვრებას იქნებ ვეღარ ვუგებ,
ვით შორეულ ვარსკვლავების ციმციმს?
უსმენს ჟამი ჩემი ლექსის ფუგას
და ტკივილი აცახცახებს სივრცეს!..
ჩემი სული უსასრულოდ იწვის,
თუმც არ კარგავს სიყვარულის უნარს!..
ამ მკლავებზე ანგელოზი მიწევს
და ცისფერი სიმღერებით ბრუნავს!..
ბევრი რამე გაიტანა შურმა,
ახლა ისევ შემოტევას ლამობს!..
ბევრი რამე გაიტანა შურმა
და მეც მღუპავს სიყვარულის გამო!

29.07.70
სოხუმი

* * *

შეხედე ვარსკვლავს, ცის კიდეზე როგორ ციმციმებს,
შეხედე ღრუბლებს,
ქარის ფრთებზე როგორ მიქრიან?
შენ რა ხარ მაშინ, თუ ვერ იგრძენ ჟამის სიმძიმე,
შენ რა ხარ მაშინ,
თუ ტკივილიც არ შეგიძლია?!
შეხედე, როგორ მოფრინავენ თოვლის ფიფქები...
დიდება იმას, ვაჟკაცურად
ვისაც უვლია!..
ჩვენი ხატება დღეს არის და
ხვალ არ იქნება,
ამ პლანეტაზე
რომ ბობოქრობს – ჩვენი სულია!

06.08.70
სოხუმი

## რა იქნება მერე?!

ეფინება მზერა შემოდგომის ფერებს,
ეს დღეები წავა,
                    რა იქნება მერე?!
თუ ჩამოწვა ზამთრის ზვირთი უთავბოლო,
ვინ დაგიდევს მაშინ
კეთილსა და ბოროტს?!
გაიღვიძებს შუქთა მღვრიე შემართებით, –
იმ თვალების ჭრილი
                    და ის შეღამება?!
წყლის სარკეზე როცა მზე აანთებს ლოტოსს,
გადავარჩენთ განა
იმ ვარდისფერ ფოთოლს?!
როს ჩამომდგარ ჟამის ცრემლი დაშლის ლოდებს,
არ შეეხოს შხამი
                    ქარს რომ მიმოჰქონდა!..
ეფინება მზერა შემოდგომის ფერებს,
ეს დღეები წავა,
რა იქნება მერე?!

12.09.70
სოხუმი

## სიცოცხლე ასე იწყება

ამ დილით მზემ მომაგება ბავშვის ღიმილი წრფელი,
ღელავდა ზღვა სანაქებო
და ცის ზღაპრული ფერი!..
მოდის აპრილი ხივილით ო, რა თილისმა ახლავს!
დახედე მიწას ტკივილით,
ცასაც ახედე მაღლა!..
შეხედე მინდვრებს ნაზამთრალს, ცის ღიმილს
როგორ ითხოვს?
მზე ტრფობით ზეცას ხაზავს და
სულს უნაწილებს სითბოს!..
ამ ვერხვს შეხედე დაცვარულს და ჩიტს მზეზე რომ წივის,
მე ვერსად ვნახე ამ დილით
ბუნების თვალი ცივი!
დრო მოდის არ დავიწყების და ლაჟვარდების კრთომა,
სიცოცხლე ასე იწყება
და ყვავილების თოვა!..

29.03.71

## მზე მოდის!..

დრო მიდის და ტკივილს სულაც ვერ მიქარვებს!
და თვალებს ცრემლების
მეწყერი მოადგა!..
ო, ვიღაც მეძახის: წუხილი იკმარე!
ეს ვისი ხმა არის?
საიდან მოვარდა?!
მიდიან დღეები და ხელებს იშვერენ,
მზე მოდის!.. დაეძებს
ცრემლების სათავეს!..
გამორბის ნაპირზე ბიჭუნა შიშველი
და დილა ქვიშაზე
თევზივით ფართქალებს!..

04.04.71
სოხუმი

## სიცოცხლის გასწვრივ

აშრიალდება მთის წყარო და მოგაღვრის სიცილს,
ლურჯი ტანიდან გაზაფხულის
ამოჰყრის ფოთოლს...
და მზის თითები ამოქარგავს ჭრილობას სივრცის,
დაიტვირთება ყვავილების
გვირგვინით ტოტი!..
მზე გაზაფხულის გაგაბრუებს სიცოცხლის განცდით
და სიყვარულის უნაპირო
ფერები დაგღლის.
შენ პლანეტაზე ივლი მუდამ სიცოცხლის გასწვრივ
და შენი სულის იშრიალებს
ლამაზი ბაღი!..

26.04.71
სოხუმი

## დაეფინება ხსოვნას

შუქი დაისის ქრება, ნისლი მიჰყვება ნაპრალს,
ჩინარი დგას და ჰყვება
ქარში შორეულ ზღაპარს:
მოაქვს ღიმილი მთვარის ჭაბუკს მდინარის პირას
და ალტაცებით მთვრალი
ხვდება საყვარელ ცირას!..
ორივე ტრფობით სავსე უცქერს ერთმანეთს რიდით,
სული ვერ უძლებს დუმილს,
როგორც მთვარის შუქს ბინდი.
ტკივილს ულვიძებს ჩინარს ის წყვილი რომ
ვერ მოვა!
დაეფინება ხსოვნას
შუქთა ფარული კრთომა...

17.05.71
სოხუმი

## ყვავილს ათრობს

ყვავილს ათრობს სხივი ბროლის, ცეკვავს
სიო დილის,
გეფინება მზერა შორი,
უმანკო და თბილი!..
გეფინება მზის ხავერდი, აბრეშუმი მთვარის,
გეფინება ცის სილურჯე
და ზღვა გითვალთვალებს...

ცა იტაცებს ფერთა მტევნებს და ღრუბლები ნაზი,
მიირხევა ნისლი თეთრი
ზღვის ხასხასა ტანზე...

ყვავილს ათრობს სხივი ბროლის და
მზე გეფერება,
და ჩემს სულში, ჩემს თვალებში
დრო და სივრცე ქრება!

21.05.71
სოხუმი

## მიყვარს

მიყვარს ღამით ხეტიალი ლანდების და ჩრდილებით
ჩემი ქოხის შემოსვა,
ვარსკვლავების მხოლოდ
ლურჯი სანთელი,
ხეივანში შენი ჩუმი შემოსვლა...
მთვარიანში მიყვარს თრთოლვა ნიავის
და ბაგეზე გამოკრთომა ღიმილის!..
მავიწყდება წუთისოფლის სიავე,
მავიწყდება ქვეყნად
ყველა ტკივილი!

24.05.71
სოხუმი

## ამ გზას რა ეშველება?!

შენზე ფიქრებს, ძვირფასო, უკვე ვეღარ ვიცილებ!
ეს ვარსკვლავი ცის ფსკერზე,
                    ნუთუ არ გრძნობს სიცივეს?
ზღვა გუგუნებს, ზვირთები ნეტა რამეს ელიან?
ამ გზას რა ეშველება,
ქარს რომ დაურბევია!..
მზემ ინათა ვერხვებთან და ცრემლებიც შრებიან,
ეს ხომალდი, შეხედე,
ზღვას რომ შეჭბერებია!..

11.06.71
სოხუმი

* * *

ღელვით მოიჭრა ღრუბელი, ზეცის კარიბჭე გაიღო,
წვიმის ღრუბლების შემოსვლა,
უკვე ბალახმაც გაიგო...
ისმის ჟივილი ფრინველთა, ელიან ციდან წყალობას,
მზის მხურვალება მინელდა,
იწყეს ფოთლებმაც გალობა!..
ციმციმებს წყაროს თვალები! ისიც სიხარულს მოელის,
ბუნების ფერიცვალებას
როგორ გრძნობს
                    ნეტავ, ყოველი?!

14.07.71
სოხუმი

* * *

ო, ვინ ჩასწვდება წუთისოფლის იდუმალებას?
მოდის საღამო...
                        ხე ქანაობს ტოტებდახრილი.
შენ გეძებენ და მოგძახიან ჩემი თვალები
და ჰორიზონტზე მიირწევა
მზე გადაღლილი...

15.07.71
სოხუმი

## ო, მე ის რტო ვარ!

ანა კალანდაძეს

მე ახლაც იმ გზით მოვდივარ, რომ მოვდიოდი ოდესღაც,
ო, მე ის რტო ვარ გალობით
სულს რომ ჩაუდგამს ლოდებსაც!..

მე შენი ტრფობით მთვრალი ვარ, იმ მზეს
უცქერენ თვალები!..
ო, მე ის რტო ვარ პატარა,
რომ კრთის ხმაურზე ქარების!..

17.07.71
სოხუმი

## რაზე ფიქრობენ?!

მთვარე ქანაობს ცაზე თეთრი ღრუბლების ზევით
და გადარბიან გზაზე
ჩემი ალვები რხევით...
რატომ ხმაურობს ტალღა, რატომ გუგუნებს ხევი?
რატომ მოაწვა თვალებს
ისევ ფარული ცრემლი?!
რატომ იშლება ზღვაზე რუხი აფრები ისევ,
რად აქანავებს ქარი
გზებზე ვარხვისფერ ნისლებს?
ცაო, ნათელი შენი გულს ღელვით მოენთება,
რაზე ფიქრობენ ნეტავ,
ჩემი მაღალი მთები?!

03.08.71
სოხუმი

* * *

ცას შეხედე, მზე რომ აფერადებს
          და ცისკარზე ამ იისფერ სერებს...
მოვა ჟამი და ჩამოღვრის ფარდას,
მოვა ჟამი,
ვინმე გამიხსენებს!..
რტოს ფოთოლი შემორჩება სველი
          და ციაგი ლაჟვარდოვან თვალებს.
აქ ბინული იბუტბუტებს მერეც
და გედივით
აცურდება მთვარე...

12.08.71
სოხუმი

* * *

ო, მომაჰყარი ისევ შენი ფარული მზერა!
ხმაურობს სივრცე,
მოყვითალო ფოთლები ცვივა...
იმსხვრევა ჩუმად ბალახის ღერო,
შემოდგომაა ნისლიანი
და მთვარე ცივი!...
ო, მომაჰყარი, ისევ შენი ფარული მზერა!
და ცის სიღრმიდან
გამინათე სავალი გზა
მომავალ დღეთა,
დამძიმებული წვიმით და ქარით!..

26.09.71
სოხუმი

* * *

მიმოიქცევა ტალღა მღვრიე და დღეებს მტაცებს,
როგორც ქარები ფოთლებს აცლის
ხეების წყებას...

ტრამალებიდან მოგუგუნებს სიცივე ზამთრის,
უღელტეხილზე გადმოდიან
ღრუბლები როკვით...

და ჩემს მთა-გორებს მათი თალხი ეცემა ჩრდილი
და მოყვითალო ბალახების
უსაზღვრო სევდა!..

02.10.71
სოხუმი

* * *

მწუხარეა სივრცე და გზა სავსე ნისლით...
მწუხარეა სივრცე,
ვისმენ ქარის სისინს.
მწუხარეა სივრცე, მესმის ფეთქვა აფრის.
მწუხარეა სივრცე
და მდინარე სწრაფი...
მწუხარეა სივრცე, წყალი მღვრიე მორბის...
მწუხარეა სივრცე
და თვლემს ღამის ორბი!..

09.10.71
სოხუმი

# ო, მზეო!

ო, მზეო, ბავშვობის დღეების, სიხარულს
რად განმარიდე?
წავიდა ის ჟამის მღელვარე,
ვშორდები ჭალას
და მინდვრებს!..
ო, მზეო ბავშვობის დღეების, სად გაქრა
ნათელი დილის?
ცახცახებს რამდენი ფოთოლი,
ირხევა ფერმკრთალი ჩრდილი!..
ო, მზეო, ბავშვობის დღეების მოიხსენ
სამოსი წვიმის,
წყალს მიაქვს ფოთლები ყვითელი,
ქანაობს ალვების მწკრივი...

20.10.71
ბანძა

## ოღონდ გული სიყვარულით თრთოდეს!..

ეს დემონი მკლავს მოგხვევდეს ვიდრე, ფრთა გაშალე და
გაფრენა სცადე!..
თორემ ფეხქვეშ ჩაგიტყდება ხიდი
და შენს ტკივილს
ზე აზიდავს ცამდე!..
ხვალინდელ დღის გჯეროდეს და გწამდეს,
მოვა მზე და აამღერებს ფოთლებს!..
ოღონდ გული სიყვარულით თრთოდეს
და უთუოდ აფრინდები ცამდე!..

24.10.71
სოხუმი

## მე უშენობა ვიგრძენი ახლა!

დნება თოვლი და სახურავიდან ო, ვისმენ ისევ
წვეთების წკარუნს!..
ეს თებერვალიც უკვე წავიდა
და ახმაურდა
ფერდობზე წყარო...
მზემ აიწია... იხუვლა წყალმა... ერთობ აშვავდა
თეთრი სხეული...
მე ვდგავარ თოვლში
და ვგავარ წარმართს
და მოჩანს მთები მკერდმორღვეული!..
მე უშენობა ვიგრძენი ახლა და ვუსმენ ფრთების
შორეულ შრიალს!...
მზე მიცურავს და ხმაურობს ტალღა
და ზამთრის
თეთრი სხეული მიაქვს!..

20.02.72
ბანძა

## რატომ მეტკინა?

კვლავ ფეთქავს ზეცა ფერებით შინდის,
მზემ აიწია...
იმატა სითბომ!...
მეტკინა გული, რომ თოვლი მიდის,
რატომ მეტკინა? –
არ ვიცი თვითონ!

22.02.72
სოხუმი

* * *

ზღვის პირას წვება საღამო, ბაღში თამაშობს ნიავი,
მოახლოებით აპრილის, –
სული გრძნობს თრთოლვა-სიამეს!..
მინდვრად ბალახი იღვიძებს და ზღვაც საოცრად
ციმციმებს,
ზღვის პირას წვება საღამო
და მესმის შენი სიცილი!..

24.02.72
სოხუმი

## გაზაფხული მოვიდა

ზამთრის ქარი გაიქცა თავის თეთრი ფაფარით,
თოვლის კოშკი დაიქცა
და ბალახმა დაფარა...
მზე იცინის შორიდან, სხივი ისევ ალესა,
გაზაფხული მოვიდა,
და ბაღს მოუალერსა!..
ჟრიამულმა ჩიტების სულს ხავერდი მოჰფინა
და ტყეს დანაბინდებმა
ლექსი მაამბობინა!..

14.03.72
ბანძა

## სხვა არაფერს ითხოვს

მიდის იგი ბილიკ–ბილიკ აღმა, მიაქვს თრთოლვით
ყვავილების წარღვნა!..
გაზაფხულო ამიყვავე ბაღი,
იგალობოს სიყვარულის ბაღმა!..
მომაღვარე ოქროსფერი ჩქერი, ცის ხავერდი,
ყვავილების ჩერო...
ამიმღერე ცისარტყელას ღელე
და მეც ვიტყვი საგალობელს მერე!..
და ვიაროთ ეზო–ეზო წყვილად, სიმღერებით შევხვდეთ
ყოველ დილას...
ეს სიცოცხლე სხვა არაფერს ითხოვს,
მზის მდინარეს, ყვავილების სითბოს!..

23.03.72
ბანძა

## გამოეღვიძა ნიავს!..

იცვლის ბუნება იერს, გამოეღვიძა ნიავს,
ცა დაიწმინდა მღვრიე,
                    დუმილს სიცოცხლემ სძლია!..
მზე კი შეება წყვდიადს და გაარღვია მედგრად,
მერე მოვიდა გვიან
და ჩემს მინდორზე შედგა!..
მკერდზე კოცნიდა ხარბად: ზამბახს, ენძელას, იას!..
სვამდა სიცოცხლის შარბათს,
თუ სიყვარულმა სძლია?!

24.03.72
ბანძა

## ალუბლის ტოტი

წვიმს... ამ საშინელ წვიმას, ნეტავ გადიღებს როდის?
სველდება უმოწყალოდ
ჩემი ალუბლის ტოტი!..
ცვივა ყვავილი თოთო, როგორ ელოდა სხივებს!..
ქარი ატირებს სიმებს,
წეწავს ზღვაური ფოთოლს!..
ზვირთი გადარბის თავზე, თელავს ულმერთოდ ობოლს,
ხელებს იფარებს თვალზე
ჩემი პატარა გოგო!

11.04.72
ბანძა

# დედის ლოცვა

მე შეუძლებელს არ ვითხოვ შენგან, ოღონდ მაჩუქე
შუქი მცირედი!
შენ გამიხარე ორი ყვავილი, –
ჩემი ცხოვრების ორი იმედი!..

მე შეუძლებელს არ ვითხოვ შენგან და განკურნებას
ყველა ტკივილის!
ოღონდ მიცოცხლე ორი ყვავილი,
ოღონდ აშორე ქარის კივილი!

მე შეუძლებელს არ ვითხოვ შენგან, მაღალო ღმერთო,
ღმერთო ძლიერო!
ოღონდ ისმინე ეს ჩემი ლოცვა, –
რაც გინდა მთხოვე სამაგიეროდ!

12.04.72
სოხუმი

* * *

მზეს შეხედე, ცის თავანზე რა ზოზინით
მიდის...
როგორ ხიბლავს მოღაღანე
ყვავილები მინდვრის!..

და უგზავნის მთებს და ველებს შუქით
სავსე ამბორს,
ეს ჩიტუნაც ცის და მიწის
საგალობელს ამბობს!..

სივრცეს ზამთრის ქარიშხალი თუ იკლებდა
წინათ,
დღეს შეხედე, რა ხალვათად,
რა სინაზით ბრწყინავს!..

არსად არ ჩანს ლაჟვარდებში ნაფლეთური
ღრუბლის
და ყველაფერს სიყვარულის
ჟრუანტელი უვლის!..

14.04.72
ბათუმი

## მაისი

ცა ყვავილებით აივსო, მოდის თვეთა მშვენება,
მზე ამოდის მაისის,
ვიცი მომეფერება!..
ზღვასთან ახლოს ვსეირნობ, ცამ ფერები მათოვა,
დღე მაისის ზეიმობს
და მეც მომაჯადოვა!..
ზღვა სიმშვიდეს არ იშლის, მზე სილურჯით
მთვრალია!
სულმა ფრთები აიშვა,
სადღაც მიუხარია!..
ლაჟვარდების კამკამი სულს ედება ნაღვლიანს,
ცას მერცხლები ქარგავენ
და სიყვარულს მაღვრიან...
ზღვასთან ახლოს ვსეირნობ, ცამ ფერები მათოვა,
დღე მაისის ზეიმობს
და მეც მომაჯადოვა!..

30.04.72
სოხუმი

## ორი ვარსკვლავი იცინის

მიდის ეს ღამე ციმციმით, მე ფეხაკრეფით ჩაგივლით,
ორი ვარსკვლავი  იცინის
და ფეთქავს ორი ყვავილი!..
იძინეთ ჩემო ბარტყებო, მე თქვენ სიმშვიდეს ვდარაჯობ
და ცისკენ მიემართება
ჩემი ოცნების ხარაჩო!..

12.05.72
სოხუმი

# ᲒᲐᲛᲝᲠᲑᲘᲡ ᲒᲝᲒᲝ!

მზე ამოდის და ოქროსფერი ხვიხვინებს კვიცი,
მთის წვერზე ღრუბლის
ჩრდილები კრთება...
გამორბის გოგო და ენძელას მოგაფენს სიცილს,
და მერე ტანის თოვლისფერი
შრიალით თვრები!..
შემოგადნება მეწამული ფერები სანთლის,
როგორც ენძელას
ბაგეებზე ფიფქები თოვლის!
შენი დღეების იდუმალი გაშალე კარტი
და გაირღვევა შორეული ცა უნაპირო!..

14.05.72
ბანძა

## რამ შეგაყვარა?!

ეს ყვავილების ბაღი რამ შეგაყვარა, ნანა?
ცა ცისარტყელას არხევს,
ცას ცისარტყელა ნამავს...
ჟღერენ სიმები გაბმით და მზე აღვიძებს კოკორს,
შენ ცისარტყელას კაბით
სად დაჰფარფატებ გოგო?
ჩიტი მზის სხივებს კენკავს...
ჩიტს ნისკარტი აქვს ოქროს!
შენ მინდორ-მინდორ ცეკვავ,
ჩემო პატარა გოგო!
თოვლი, ყვავილთა თოვლი, თეთრი ღრუბლების სოკო,
შენ მზის სხივივით თრთი და
ვარდებს აღვიძებ, გოგო!..
ეს ყვავილების ბაღი, რამ შეგაყვარა, ნანა?
ცა ცისარტყელას არხევს,
ცას ცისარტყელა ნამავს...

16.05.72
ბანძა

## ფრთებით ჩამოაქვს სერაფიმს

ბავშვის თვალების ნანახი – მზე ვარდის ეშხით მთვრალი!
ღრუბელი, ქარი, ბალახი,
ცა, ვარსკვლავები, მთვარე!..
ბავშვის თვალებით ნანახი – თეთრი აფრები ზღვაზე,
ხომალდი – შუქის ქალაქი,
ჩრდილი – საღამოს გზაზე!

ფოთლებში ჩიტის გალობა, ცას მერცხალი
რომ სერავს..
და ეჩვენება სამყარო,
როგორც ფერადი სფერო!

ტრფობით, უცქერის ყველაფერს და
ჟღერს ათასი სიმი!..
ფრთებით ჩამოაქვს სერაფიმს
ჩქერი ვარსკვლავთა სხივის!..

17.05.72
სოხუმი

## ნეფერტიტის ჩიტი

აათამაშებს პალმის ჩრდილებს ქარი ნილოსის
და მღვრიე ფრთებით
                    ნაპირისკენ ტალღებს მოდენის...
და, როცა გაშლის ცის სიღრმეში მთვარე მიმოზებს,
უსტვენს სივრცეებს
ნეფერტიტის ჩიტი ყვითელი!..
პირამიდებზე გაწოლილა სუნთქვა წარსულის
და უცქერს ზეცას სფინქსი –
                    მარად მზერა ირიბი!..
ოხრავს ნანგრევი ბიბლიური, მზე გადასული
და კლეოპატრას ლანდი ღელავს
მთვარის ბილიკზე!..
სულს და ოცნებას ლეგენდები ახლაც იზიდავს,
ზღვაზე დაისის მეწამული
                    ფეთქავს ხაზები!..
ნილოსის გასწვრივ ფეხშიშველა მიდის იზიდა
და პირამიდას ეფარება
ლანდი რამზესის...

19.05.72
სოხუმი

## ცისფერი სევდა

დიდი ხანია ველოდები შენი სხივების
იდუმალ კრთომას!
ლურჯ ჰორიზონტზე მოირწევა ფერადი ნისლი...
და მოაქვს თვალებს ყვავილების
ცისფერი სევდა!..
და მოაქვს ხელებს სურნელება თეთრი შროშანის!..
დრო აკაკუნებს ჩემს სარკმელზე –
ფერმკრთალი გოგო.
კვლავ არხევს სიმებს ატმის რტოზე
ცისფერი ჩიტი!..
მე გამოვდივარ ბურუსიდან და ჩემს თვალებში
უჩვეულო ინთება სხივი!..
ლურჯ ჰორიზონტზე მოირწევა
ფერადი ნისლი...

20.05.72
სოხუმი

## მითხარი, ზღვაო!

მთვარიან ღამეს მომწვანო შუქზე ლაპლაპებ, როგორც
სელაპის ტანი!..
რაც შენს სევდიან სიმღერას ვუსმენ,
გასულა უკვე რამდენი ხანი!..
შენ იცი რაა მსხვრევა ზარების, როცა ავდარი
მოგეძალება!..
მითხარი, ზღვაო, ო, როგორ უძლებ
ამდენ ღელვას და ფერიცვალებას?!

11.06.72
სოხუმი

## რა თვალები ვიხილე!

მზეს მინდორი მოურთავს, რა თვალები ვიხილე!
სულს სიმღერა მოუნდა
და მეც ტკბილად ვღიღინებ!..
ღმერთო, ეს რა მომმადლე, გრძნობას ვეღარ ვიოკებ!
თუ გრიგალი მოვარდა,
ვიცი, ამაწიოკებს!
კარუსელი ზღაპრული, ხედავ როგორ ტრიალებს?
ღელავს ცა გაზაფხულის
და ვარდების სიალე!..
ეჰ, რამდენი ვეხეტე, მახსოვს: ცრემლიც, ობლობაც!
ცა რატომ კრთის? – შეხედე,
რას ქსოვს ჟამის ობობა?!

15.06.72
ბანძა

# ცისფერი კვალი

ნიავმა ჩუმად გაალღვიძა ლანდები მკრთალი,
ტყეთა სილურჯე შორეული დაბურა მთვარემ...
ვიღაც ჩურჩულებს,
თუ შენი ხმა მეძახის გარეთ?!
და მიდის სადღაც, ბალახებში ცისფერი კვალი...

22.06.72
ბანძა

## მე ყველაფერი მახსოვს!

ეს ატეხილი ჭალა მოგონებებით მთვრალი,
აქვს საოცარი ძალა,
                    როს იმოსება მთვარით!..
იქ წყარო მოხასხასებს, აკრთობს შრიალი ტყეთა,
მე ყველაფერი მახსოვს,
მაგრამ უფრორე – დედა!
ო, იმ შორეულ ხანას ვინ მარცვლავს ასო-ასო?
დროო, იდინე, მაგრამ
არ წარმიკვეთო სასო!

27.06.72
ბანძა

## გწამდეს ბოლომდე!

მატარებლიდან თუ უეცრად ჩამოვალ სადმე,
არ დაეფინოს დავიწყების
ღრუბელი ბაქანს!
შენ სიყვარულის ნიაღვრების ბოლომდე გწამდეს,
რომ წაიკითხონ შემდეგ
ჩვენი ცხოვრების დაფა!..
მიწაზე თუკი ღონიერი გაავლე ხნული,
შთამომავლობა
მზის სხივების მოიმკის თავთავს!..
სხვა მხრივ ცხოვრება, მე არ ვიცი რა არის მართლა? –
საკუთარ ხელით მიწერილი
დაფაზე ნული!

04.07.72
სოხუმი

* * *

ეს სევდა ვერ დასაძლევი! რას მაკრთობს ნეტავ, რა უნდა?
ზღვა მოჩანს ქარით ნარბევი
და აფრაც დაობს ზღვაურთან!..
ხომალდი ზვირთებს შებმია, მზეც ზღვაზე მიმოგზაურობს...
ხომ ყველას თავის ფრთები აქვს
და ყველას თავის გზა უნდა!...

09.08.72
სოხუმი

## მე ის დღეები რამ დამავიწყოს!

მე ის დღეები რამ დამავიწყოს და გაზაფხულის
ფერიცვალება!..
მე ის დღეები რამ დამავიწყოს
და იდუმალი რეკვა ზარების?!
მე ის დღეები რამ დამავიწყოს და საოცარი ფერი
მნათობთა!..
მე ის დღეები რამ დამავიწყოს,
როცა ვარდების თრთოლვაც მათრობდა?!
მე ის დღეები რამ დამავიწყოს, სულში სინათლე
როცა მატულობს!..
შენი თვალების შუქით ბრწყინავდა
ჩემი ოცნების ყველა სართული!..
მე ის დღეები რამ დამავიწყოს, როცა ზარები
რეკენ უბრალოდ!
მე ის დღეები რამ დამავიწყოს,
მე ყველაფერი ვნახე, უფლო!
მე ის დღეები რამ დამავიწყოს, სულში რამდენი
სხივი ანთია!..
მე ის დღეები რამ დამავიწყოს,
ჩემო ნანა და ჩემო ნათია!

24.08.72
სოხუმი

## გავყვეთ მუსიკას ქარში

იცეკვე ჩემთან, გოგონავ, სანამდის
გვათრობს დარი!
იცეკვე ჩემთან გოგონავ,
მოლურჯო შუქზე მთვარის!..

იცეკვე ჩემთან, გოგონავ, მძლავრად
გავშალოთ ფრთები!..
იცეკვე ჩემთან და მხრებზე
გადმომაღვარე თმები!..

იცეკვე ჩემთან, გოგონავ, მომეცი ხელი
ჩქარა!
თორემ ცა გადახურდება,
მზე გაზაფხულის ჩავა!..

იცეკვე ჩემთან გოგონავ, სანამ დრო
ხავერდს გვაღვრის!..
ვიცეკვოთ, სანამ შრიალებს
ჩვენი ოცნების ბაღი!..

იცეკვე ჩემთან, გოგონავ, თორემ დღე
ნისლებს აშლის!
იცეკვე ჩემთან, გოგონავ,
გავყვეთ მუსიკას ქარში!..

26.08.72
სოხუმი

## ღმერთი როგორ დამსჯის?!

ლურჯ დინებას ჩამოვყევი ციდან... გვერდით ლანდი
მომყვებოდა შავი!...
რადგან მქონდა სული ძლიერ წმინდა,
რა ულმობლად ამიმხედრდა ჟამი?!

ლურჯ დინებას ჩამოვყევი ციდან და ცხოვრებამ
უხვად მასვა შხამი!..
ხეს ფოთოლი ისევ ჩამოსცვივდა
და ბუნებამ გაიტაცა შვავი...

ლურჯ დინებას ჩამოვყევი ციდან... მათრთოლებდა
ვარdფურცლობის ქარი!..
ლურჯ დინებას
ჩამოვყევი ციდან და საოცარ
სილამაზეს მთვარის!..
შენი ეშხით მოხიბლული ვივლი, სანამ ჟამი
სასიკვდილოდ დამჭრის!..
ვეფერები შენი
თმების ლივლივს
და ტრფობისთვის ღმერთი როგორ
დამსჯის?!

28.08.72
ბანძა

## გაგახსენდება

ჩემს ყველა იმედს მინდა შენი სახელი ერქვას
და მაგ ბილიკზე შენ
უჩემოდ გაივლი როცა!..

გაგახსენდება ამ სამყაროს ხელახლა შექმნა
და, როცა თვალებს სხივნათელი
ცრემლები მოსწყდა!..

გაგახსენდება უჩვეულო ოცნების ჟამი,
შემოადნება ხსოვნის სიმებს
ნისლები მორცხვად...

და ატირდება მარტოდმარტო შთენილი მგზავრი,
ათამაშდება ორი ლანდი
ბილიკზე როცა!..

27.09.72
ბანძა



## მთვარის ოლარებს ვეხები

მწვერვალს ნისლები სტოვებენ, ირხევა მთვარის კანდელი,
კვლავ სივრცეს ვემარტოები,
ფეთქავს ვარსკვლავი რამდენი!..
მზერას ვადევნებ სანახებს და სულს სიმღერა სწადია,
ჭკნება ბავშვობის ბალახი
და გული მტკივა, ცხადია!
მთვარის ოლარებს ვეხები, სული სინაზით ანთია,
შეშრიალებენ ვერხვები,
ამ სივრცეს მრავალსანთლიანს!..

28.09.72
ბანძა

## ის გზები დამილოცნია!

ბადაგს ასმევდა დილის მზე: ამ ტყეს, მინდორს
და ბექობს,
ის გზები დამილოცნია
და იმ ფოთლების ექოც!..
ბადაგს ასმევდა დილის მზე წყაროს კალმახა ტალღებს
და სილამაზით პირიმზის,
როგორ ვთვრებოდი ბალღი!..

მზე გაზაფხულის სიმღერით მეწურებოდა სულში,
ახლა საოცრად ვიმღვრევი,
თუ ცას ვწვდებოდი გუშინ!
სექტემბრის ბაღი ცახცახებს, აქ სევდა აღებს კარებს,
მიდი, სივრცეებს გასძახე
და ზეცის სიანკარეს!..

21.10.72
სოხუმი

## სიკვდილი

ის არ მოსულა რბევით, მუქარით,
ო, არც ქურდულად
და არც ანაზდად!
ჩააქრო უხმოდ ცეცხლი ბუხარის
და მერე ყველა
კარი დარაზა!..
არ წაუღია რამე ნადავლი,
წავიდა – არც კი
მიუხაროდა...
და დარჩა ბუხრის თავზე შანდალი
და ძველმანებით
სავსე კარადა!

30.12.72
ბანძა

* * *

ჰა, მოფრინდება საცაა, შეარხევს სივრცეს ჰანგებით
ჩემი პატარა ჩიტუნა
                    მოვლინებული განგებით!..
მოჩანს ლაჟვარდი ნაქები, თრთოლვა დაუვლის ფშიარებს,
მთიდან ჩამოდის ნიავი
და სივრცეს მოაშრიალებს!..
ზღვა გატრუნულა საოცრად, ღელვას სულაც არ აპირებს,
რომ ეს მთა-ბარი დალოცოს,
                    დგას და ჩურჩულებს აპრილი!..
კლდიდან ჩამორბის ჩანჩქერი
ცისარტყელების თამაშით,
მზეო, უმღერე ჩემს მამულს
ზამთრის ქარებით დამაშვრალს!
ჰა, მოფრინდება საცაა, შეარხევს სივრცეს ჰანგებით
ჩემი პატარა ჩიტუნა
მოვლინებული განგებით!..

12.03.73
სოხუმი

# ჩამოდის თოვლი გალობით

მე შენზე ფიქრი თანამდევს, როგორც მზის შუქი განთიადს,
ფრთა ანგელოზის გფარავდეს
და ვარსკვლავების სანთელი!..
ჩამოდის თოვლი გალობით და ხსოვნის სიმებს შეარხევს,
და ხარობს ღმერთის წყალობით
ჩემი ბაღი და ვენახი!..
ქვეყნად არაფერს ვინაღვლებ, – შუქს მფენდეს თვალი ელვარე,
ოღონდ ვიპყრობდე სიმაღლეს,
ვით ალპინისტი მწვერვალებს!..
მათოვდეს გზებზე მიმავალს ვარდებს მაისის ქარები,
არ ვიცი, ახლა ვინა ვარ,
ან საით მივექანები?!

22.03.73
სოხუმი

## ჩამოიქროლე!..

ჩამოიქროლე, გაზაფხულის ლურჯო ნიავო,
აათამაშე ყვავილების
                    ფერი მდელოზე!..
ჩამოიქროლე, გაზაფხულის ლურჯო ნიავო,
ირწევა ზეცა და ცის ფსკერზე
კრთის ანგელოსი!..
ზღვაზე ანთია იდუმალი ლურჯი სანთელი
და ჰორიზონტზე შუქი ცისკრის
                    გაშლის მარაოს...
მე შენს ნაპირზე ეჰ, რამდენი სევდა ვათრიე
და შენი ლანდი ჩემს თვალებში
ახლაც ქანაობს!..

15.04.73
სოხუმი

## რა გემართება?!

რა გემართება, დილის მზევ, რომ თვალებს
ვეღარ ახელ?
მაჩვენე შენი ხატება,
შენი ფერი და სახე!..

რა გემართება, დილის მზევ, რომ ვეღარ
არღვევ ღრუბლებს?
ღელავს ფერდობზე პირიმზე,
ცრემლით სავსე აქვს უბე!..

ჩანს მყინვარწვერის შუბლი, ქარი რომ
ამღვრევს ძლიერ!..
რა გემართება, დილის მზევ,
რომ ღრუბლებს ვეღარ სძლიე?!

რხევით გამოდი ბილიკზე და შუქი სტყორცნე
ბაღებს...
რა გემართება, დილის მზევ,
რომ თვალებს ვეღარ ახელ?!

14.05.73
სოხუმი

## ინესას

ჩამოაფარა დრომ კრეტსაბმელი, დრომ კრეტსაბმელი
ჩამოაფარა!..
მდინარის აქეთ გულს ღრღნის
სევდა, სხვა არაფერი!
მდინარის იქით დარჩა
მხოლოდ თეთრი ზღაპარი!..
საით მივყვები გზებს ცივსა და დაუსაბამოს?
და არც მიგრძვნია
ზეცა როგორ გადაინისლა!..
შენი თვალები მეჩვენება ყოველ საღამოს,
შენი თვალები! სხვა არაფერი,
სხვა არაფერი, ჩემო ინესა!..

08.09.73
სოხუმი

## ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲐ

ო, ახლა ცაზე ნატამალი ღრუბლების არ ჩანს,
არხევს ნიავი შეღამების
მეწამულ ფოთლებს...
წყარო ბავშვივით იცინის და
გარს უვლის ლოდებს
და ლაქაშებში დაახტება ამაყი ყანჩა...
ლურჯი დროშები აღუმართავს ხეების ლაშქარს,
მზე უხმოდ ჩადის...
ეფერება იისფერ ბლონდებს...
მინდორზე ვწევარ, ჩემთვის ჩუმად
ვკითხულობ ბოდლერს
და ლაქაშებში დაახტება
ამაყი ყანჩა...

19.09.73
ბანძა

## მზეს გაუხუნდა კალთა

მოდის დღეები რუხი, მზეს გაუხუნდა კალთა,
ცვივა ფოთოლი უხმოდ
ამ შემოდგომის კართან.
ცვივა ფოთოლი უხმოდ, – შიშით ღრუბლის
და ქარის,
ცვივა ფოთოლი უხმოდ
და მას ფერი აქვს მთვარის!..
მიქრის ჟამი და სივრცე იქნებ რაიმეს ნანობს?
თუ ემონება მტკიცედ
მარადისობის კანონს?!

27.09.73
ბანძა

## ო, როცა შეგხვდება!

თვალები სავსე აქვს სევდით და გული რა
მძაფრად უცემს!..
მე ვხედავ მძიმეა ხვედრი, –
მზის სხივიც გამოკრთის თუმცა!..

დღეთა წიგნს ვიღაცა ფურცლავს და აფენს
იების სანთელს!..
საოცრად შეკრთება უცებ,
ო, როცა შეგხვდება სადმე!

28.09.73
სოხუმი

## ცა გაზაფხულის სამოსელს იცვლის

ცა გაზაფხულის სამოსელს იცვლის, მზე ეფერება
ნისლების ბლონდებს...
უფრო და უფრო მუქდება სივრცე
და ეხეთქება ზვირთები კბოდეს!..
ქვეყნად რამდენი წამება მერგო, მაგრამ ამ ტკივილს
არაფრად ჩავთვლი!
ოღონდ ფეთქავდეს იმედის ნერგი,
ოღონდ ვაშორო ქარები ზამთრის!
სული მაღლდება ოცნებით ცამდე და შლის იალქნებს
იმედი ხვალის!..
მე მუდამ შენი სიმაღლე მწამდა,
როგორც ზღვის ტალღებს ღიმილი მთვარის!

ცხოვრების ზღვაო, იღელვო უნდა! სულში ზეიმობს
ყვავილი ყრმობის,
კვლავ მოფრინდება მერცხლების გუნდი,
რომ იციმციმონ თვალებმა ტრფობით!..
ცა გაზაფხულის სამოსელს იცვლის, შეხედე, ფერი
ეცვლება ტოტებს!
უფრო და უფრო მუქდება სივრცე
და ეხეთქება ზვირთები კბოდეს!..

14.10.73
ბანძა

* * *

შენ არაერთხელ დაუბრუნდები ყვავილოვან
პატარა მდელოს,
ბალახის ჩურჩულს არაერთხელ
მიაპყრობ სმენას!..
ცისფერ თვალებში აინთება ცისკრის სხივები
და მეწამული მზის სხეული
ამოცურდება ოკეანის სიღრმიდან ერთთოლვით!..
შენ ისევ ირბენ უცნაური ფერებით მთვრალი,
გაილუმპები ბალახების
ლამაზი ცრემლით!..
მერე კი სივრცეს გააყოლებ ფიქრიან თვალებს
და ყურს მიუგდებ ფოთოლცვენის
სევდიან შრიალს...

20.11.73
ბანძა

## შენ მაგონდები!

ვდგავარ სარკმელთან და შიშველ ხეებს,
ო, რა ლამაზად ათოვს!..
მე მაგონდება კვლავ ის დღეები და
ბაგეები სათნო!
ვდგავარ სარკმელთან და თოვლში ვხედავ,
რომ შენი ლანდი მოდის!..
სარკმელთან თეთრი მტრედები სხედან,
ირხევა თეთრი ტოტი...
ხედავ, რამდენი ფიფქი თამაშობს და
ყველა თეთრი ფერის!..
შენ მაგონდები, შენ მაგონდები,
შენ მაგონდები, მერი!..

24.01.74
სოხუმი

## მზე სიყვარულის მწვავდა!..

ო, რამდენ რამე ველოდი, მზე სიყვარულის მწვავდა!
შენი თვალების მჯეროდა,
შენი თვალების მწამდა!
ო, რამდენ რამეს ველოდი, შუქის მორევი მადგა!..
ცა გაზაფხულის მღეროდა,
სიო არხევდა ფარდას!..
ო, რამდენ რამეს ველოდი, რა თრთოლვა იყო ანდა?!
შენი თვალები მშველოდა,
შენი თვალების მწამდა!..

27.01.74
ბანძა

## ჩემი სოფელი

დასერილია ჩემი ტკივილით შენი მზისა და
მთვარის მინდორი,
ჩემი ბავშვობა ახმაურდება
და ჰორიზონტზე მიედინება!
ჭალებს ატეხილს ავედევნები, შიშველ მკერდს ვუშვერ
ქარებს მობერილს,
შენით სავსეა ჩემი დღეები
და ჩემი სულის საგალობელი!..

12.02.74
ბანძა

## შენ გელოდება!

შენ გელოდება ჩემი სულის ფერიცვალება,
როგორც ბალახი ელოდება
ცისკრის გალობას!..
შენ გელოდება ჩემი სულის ფერიცვალება,
შენი სინათლის მობრძანებას
ელოდება, კეთილო ბავშვო!..
შენ გელოდება უხილავი სხივების კრთომა
და აღტაცების მოზღვავება
მინდვრის ყვავილის!..
სიზმარეული ნისლებიდან რომ მოციაგობ
და თავბრუდამხვევ
ქრუანტელად მოედინები!..
შენ გელოდება ჩემი სულის ფერიცვალება,
შენს ლამაზ ღიმილს
ელოდება კეთილო ბავშვო!..

18.02.74
სოხუმი

* * *

ვიღაც ფარულად ტირის! ლანდი ქანაობს ორი,
ცაზე ღრუბლების ტივი
და ვარსკვლავები თრთოლვით,
მიირხევიან სადღაც... საით არავინ იცის!
მივალ, მივდივარ მარტო,
უკვე არავინ მიცდის!
თუმც ისევ ვფანტავ დარდებს, ირგვლივ
სუსხია მარტის
და გაზაფხულის ლანდი
მეთამაშება გზაზე
და თოვლს სიცილით მაყრის!..

08.03.74
სოხუმი

## საიდან მოდის?!

საიდან მოდის ეს სიმღერა რომ შუაღამისას –
გამოაღვიძებს ჩემი სიზმრის
იდუმალ აფრებს,
როგორც ბალახებს გაზაფხულის ქარის გალობა?!
საიდან მოდის ეს მოლურჯო
სინათლის თოვლი,
რომ ეფინება მომავალი
დღეების ტკივილს,
როგორც ჭრილობას
საყვარელი ხელების სითბო?!
საიდან მოდის ეს ოცნების თეთრი მდინარე
დარხეული ვარსკვლავების
თბილი თითებით,
როგორც ცისკრის ჟამს მზის გალობით
პურის თავთავი?!

25.03.74
სოხუმი

## რა გიხარია?!

შენს ოცნებაში სიახლის კუდიანები დაჰქრის,
როცა შენც იქით წახვალ,
თუ რას დატოვებ, მარქვი!
რომ ძველს ივიწყებ, მანახე, მაგ შენი ფრთების გაშლა!
ზეცის კარები განახვნე? –
რა გიხარია, ლაშა?
გინახავს ფოლიანტები წლების
სიმძიმით მკრთალი?!
მაგ ღმერთკაცების ნათელი,
ან ჟღერა მათი ქნარის?!

ყოფილხარ გელათს, მარტვილს, ან
სვეტიცხოვლის ახლოს?
სად ეპოქები ღელავს
და წინაპრების სული
ანგელოზებში სახლობს!..
ირწევი, როგორც ბალახი, გიყვარს ტაში
და ვაშა!
ზეცის კარები განახვნე?
რა გიხარია, ლაშა?!

29.03.74
სოხუმი

# რა ლამაზად ღელავ?!

ო, სხეულო, შენ იკითხე, თორემ
          სულს რა უჭირს გაფრინდება სადმე...
ის სივრცეებს ისე ჩაუქროლებს,
ვით დაჰქროდა უზრუნველად ადრე!..
ო, სხეულო, შენ იკითხე, თორემ
          სული დასძლებს გრიგალების წყებას,
ის ცეცხლოვანს გაიტაცებს მორევს,
ვარსკვლავები ფეხქვეშ გაეგება!..
ო, სხეულო, შენ იკითხე, თორემ
          ის მწვერვალებს გადუქროლებს ყველას!..
ალვის ხეო, რა ლამაზად თრთოდი!..
ატმის რტოო, რა ლამაზად ღელავ!..

10.04.74
ბანძა

## ᲞᲘᲠᲘᲛᲖᲔ

ახლა ბილიკებს ვენდობი, მოჩანს პირქუში ხრამი,
ო, როგორც უიმედობა,
                    როგორ ტყუპი და ღამის!..
ნისლი მიცურავს ბილიკზე, გული ტკივილს ვერ იშლის!
ჩუმად ქვითინებს პირიმზე
და თვალებს ხუჭავს შიშით!..

17.04.74
შოვი

## მოცურავს ხავერდზე დილის მზე

მე შენთან შეხვედრა მახარებს,
მზე მოდის სიმების წკრიალით!..
ირხევა ჩემი ცა მაღალი,
მოფრინავს ფრთალურჯი ნიავი...
კვლავ მთვარე ამოვა ახალი
და განა შორდება სანახებს?
მე შენთან შეხვედრა მახარებს,
გვიგალობს წყაროც და ბალახიც!..
მოცურავს ხავერდზე დილის მზე,
ზღვამ მორცხვად წამწამი დახარა!..
მოდიხარ ოცნების ბილიკზე
და მღერის ეს ზეცა ჭაღარა!..

29.04.74
სოხუმი



## ლურჯი ფრინველი

მე განთიადის ნისლებში ვცურავ და
მზის ამოსვლას ველოდები,
რომ ვუგალობო სიყვარულის ფერიცვალებას!..
მე განთიადის ნისლებში ვცურავ...
ზღვა იშმუშნება და თვალებს ახელს,
როგორც ჩემი პატარა გოგო
გაბრუებული სიზმრის გრძელი კარუსელებით!..
მე განთიადის  ნისლებში ვცურავ
და უთვალავი ყვითელი ჩიტი
მოარღვევს ნისლებს ფრთების შრიალით
და აღვიძებს მთვლემარე სიმებს!..
და გალობს მერე ზღვის ლამაზი ლურჯი ფრინველი!..

18.05.74
სოხუმი

* * *

აქ ყველაფერი შენით იწყება და ყველაფერი
შენით თავდება!
ო, მოვლენ სულ სხვა განთიადები
და მზე სხვაგვარად ათავთავდება!..
შორს, სადღაც მთვარის ლანდი ირწევა, ზეცა მომავლის
უფრო ნათდება!..
აქ ყველაფერი შენით იწყება
და ყველაფერი შენით თავდება!..

20.05.74
ბანძა

## კვლავ აცურდება დილა!

სადღაც მზე გადაქანდა, ბინდი დაეშვა სველი,
ლურჯი მორევი ჩანდა
და ვარსკვლავების ქსელი!
ჩემს ხავერდოვან მინდვრებს ფერი წაერთვა უმალ!
ფეხქვეშ ქანაობს ხიდი,
ტკივილი იგრძნო გულმა!
აგერ გამოჩნდა გზაზე ნისლის მოლურჯო ფთილა,
გულო, შენ სწუხარ, – რაზე?
კვლავ აცურდება დილა!..

02.06.74
სოხუმი

## ნიქარისფერი მდინარის მიღმა

მზემ მწვერვალები შეღება წითლად,
იდგნენ ხეები
            ქარით ნაცემი!..
მე გავცქეროდი მზის ჩასვლას დიდხანს
და იყო მხოლოდ
მზე ალმაცერი!..
ნიქარისფერი მდინარის მიღმა,
იფარებოდნენ
            ბინდით ბორცვები...
მე გავცქეროდი მზის ჩასვლას დიდხანს
და მიმაფრენდა
ფრთები ოცნების!..

12.06.74
ბანძა

## სინანულის სიმი

ვუცქერდი თვალებს ღამეული ლოდინით დაღლილს
და სულს იდუმალს
                    სინანულის არხევდა სიმი!..
და ჩემს ხსოვნაში ირწეოდნენ ტოტები ატმის
ანთებული ცისკრის სხივებით!..
ვუცქერდი თვალებს! ცოცხლდებოდა სურათი სოფლის, –
მთვარისოდენა პატარა ეზო
                    და ცისფერთვალა ცქრიალა წყარო,
რომელსაც ყელზე ეკიდა მუდამ, –
შენი სიცილის თეთრი ექვანი!..

14.06.74
სოხუმი

# ისევ ირხევა ჩერო

თუკი დაქანდა ერთხელ, მას ვეღარ შეაჩერებ,
ო, იმ ბავშვობის დღეთა,
                    ისევ ირხევა ჩერო!..
სივრცე გაუძლებს განა ამ ვარსკვლავების ჩქერებს?
მოდის ლამაზი ხანა,
არხევს სანუკვარ ფერებს...
ტოტზე ჩიტები სხედან, თითქოს სიზმრებში თვლემენ!..
და გაზაფხული, ხედავ,
                    შორს მიაჭენებს ცხენებს!..
მოდის ზაფხული ცხელი, სული სივრცეებს ითხოვს,
ო, სუნთქვა უჭირს ღელეს,
ო, სუნთქვა უჭირს მინდორს!
ცას მზე უსაზღვროდ თენთავს, ლერწმის ახუნებს ღეროს,
ო, იმ ბავშვობის დღეთა,
ისევ ირხევა ჩერო!..

22.06.74
სოხუმი

## სხვა შუქით შეიმოსება!..

მე მზე მათრობდა მაისის, შენს გულთან
მარად მინდობილს,
სულ სხვა ქარების ხმა ისმის,
ო, გაზაფხულო, მშვიდობით!..
ეს მწვერვალები ძლიერი სხვა
შუქით შეიმოსება,
ვით შუბლი ოლიმპიელის,
როგორც პოეტის ოცნება!

14.08.74
სოხუმი

# მოდის სექტემბრის მთვარე

ო, რად მარიდებ თვალებს, ჩემო პატარა ქალო!
მე ეს ზღაპრული ბაღი
არ გამიძარცვო, ქარო!
მოდის სექტემბრის მთვარე და სევდიანად გალობს,
რატომ მარიდებ თვალებს,
ჩემო პატარა ქალო!
მე, იცი, როგორ მიყვარს შენი ლამაზი ქნარი!
დროო, საითკენ მიხვალ?
მზეო, სად მიიჩქარი?!

24.08.74
სოხუმი

# ლილის

ეღვრება საღამოს ჩრდილი ქუჩების სევდიან მზერას!
ვერ ვხედავ იმ ვარსკვლავს, ლილი!
და სივრცეს ამაოდ ვზვერავ!..
ეს ლექსი გადმოსცემს განა იმ ფერთა
უნაზეს ლივლივს?
ეღვრება საღამოს ჩრდილი
შენს მინდორს ხასხასას, ლილი!
შეხედე, ყვავილიც ტირის და მთვარე
იალქნებს ფერავს.
ეღვრება საღამოს ჩრდილი
ქუჩების სევდიან მზერას!..

25.08.74
სოხუმი

# ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲯᲘ

იყეფე, ძაღლო, იყეფე, ტყის კაცმა გადმოალაჯა!..
იყეფე, ძაღლო, იყეფე,
სოფლის ერთგულო დარაჯო!
იყეფე, ძაღლო, იყეფე, ავსულმა გადითარეშა!..
რაა სოფელი უშენოდ,
შენი სიფხიზლის გარეშე?!
შენ ასი თვალი გასხია! ასი ყური გაქვს ახრილი!
ავ თვალს არ გააჭაჭანებ,
მისდევ ცეცხლით და მახვილით!..
შენი იმედით ეძლევა ღრმა ძილს დიდი და პატარა!
შენ გაწევს სოფლის სიმძიმე,
ჩრდილსაც არ გადაატარებ!
ვეღარ გადივლის ღრუბელი შენი ნებართვის გარეშე,
ქარიც ვერ ჩამოუბერავს,
სეტყვაც ვერ გადითარეშებს!
შენი ფოლადის ზარებით ირგვლივ ყველაფერს აჩუმებ!
ნისლიც ვერ გაგეპარება,
სიოც ვერ გაიფაჩუნებს!
იყეფე, ძაღლო, იყეფე, ტყის კაცმა გადმოალაჯა!..
იყეფე, ძაღლო, იყეფე,
სოფლის ერთგულო დარაჯო!

27.08.74
ბანძა

* * *

ვარსკვლავების სხივი აწვიმს ბინულს,
შუქი მისდევს სადღაც მთებში გზაწვრილს...
ჟამი ამსხვრევს ჩემს გარშემო ყინულს
და მივდივარ შორს,
მდინარის გასწვრივ....
და მოლურჯო ციაგს ვუცქერ ცაზე,
სად მიდიან წეროები მწყობრად?
ო, ეს გული, ვინ მატკინა ასე?
ვინ აბრუნებს ამ
ჟამთა სვლის ბორბალს?!

06.09.74
სოხუმი

## გზა მოგონებებს აშლის

ვდგავარ მდინარის პირას, მზე იცრიცება წყალში,
არ ჩანს ლამაზი ცირა
და მოდის ჟამი მლაშე!..
გზა მოგონებებს აშლის, როგორც ქარები ღრუბლებს,
ვდგავარ ფიქრების კვამლში
და როგორ მიხურს შუბლი!..
ვხედავ, იალქნებს ფხიზელს, ფეთქავს ჭაღარა თმაში,
უკვე გამიქრა პირზე
თბილი ღიმილი ბავშვის!..

24.09.74
სოხუმი

# რად მიცქერ ასე?!

რად მიცქერ ასე ცივი თვალებით?
რატომ ირხევა მაგ ღაწვებზე
მწუხრის ფერები!..
საით გაფრინდნენ თოვლისფერი შენი ჩიტები,
საით წავიდნენ სიყვარულით
მთვრალი დღეები?!
რად მიცქერ ასე ცივი თვალებით?
ო, რამ დასწყვიტა, რამ დასწყვიტა
სიმები თეთრი?!
დაღლილ ფოთლებზე მთვარის ლურჯი
სხივები ფეთქავს
და შორეულ
ზმანებას ერთვის!..

27.09.74
სოხუმი

## ცა რატომ ირხევა ასე?!

ტყე რატომ კანკალებს შიშით? ცა რატომ
ირხევა ასე?!
შეხედე, ალვის ხეს შიშველს
მზეშ ვეღარ აუვსო თასი!
მიცურავს ღრუბელი ცაზე და ფრთებით
მოხვეტა სხივი...
ქარები მიქრიან სადღაც
და წყვეტენ გზადაგზა სიმებს!..
მე ვისმენ  ღრუბლების შიშინს, ყელამდე ბოღმით
ვარ სავსე!..
ტყე რატომ კანკალებს შიშით?
ცა რატომ ირხევა ასე?!

10.10.74
ბანძა

## რჩება უმისამართოდ!

იმ ბექობზე მზე არის, ამ ბექობზე
მარად თოვს...
რაღაც ძალით ზენარის,
გრძნობა სულ არ მღალატობს!

რაა ქვეყნად მარადი, ვეღარ ვხვდები
ეგების?
ბევრი გავხსენ ბარათი
ცრუ ხოტბის და შექების!

ვინც ღირსია დიდების, რჩება უმისამართოდ,
ვინღა გაეკიდება
წუთისოფლის სამართალს?!

ქარი ღრუბლებს საავდროს, ისევ მიერეკება,
სულო, ჰქენი სამადლო,
ნუ მოითხოვ შექებას!

იმ ბექობზე მზე არის, ამ ბექობზე
მარად თოვს...
რაღაც ძალით ზენარის,
გრძნობა სულ არ მღალატობს!

12.10.74
სოხუმი

## რეკავს ზარები სიონის!..

უცნაურ ქროლვას დღეთა უკვე
ვერაფერს შველი!
იქ მძლავრი ცეცხლი ფეთქავს
ბაირონის და შელის!...

მარტო ზის ბარათაშვილი, აქვს
დიალოგი მტკვართან!..
მთაზე გადმოდგა აჩრდილი,
ჰგავდა ილია მართალს!

ზვავებს მოარღვევს ფშაველა მთებში
მუხლებით დევის!..
გულს აწევს ბოღმა შავი რამ,
გუგუნებს მთა და ხევი!..

რეკავს ზარები სიონის და ჟამს
ულვიძებს მადას!...
შორს, მიქრის გალაკტიონი
ლურჯა ცხენებით სადღაც!..

14.10.74
სოხუმი

# რიცხვების ფილოსოფია

ყველაფერია რიცხვი
პითაგორა

ერთმანეთს ცვლიან ეს რიცხვები კენტი და ლუწი,
მზე არხევს სიმებს
და მუსიკით სამყაროს ათრობს!..
თუ რა ჯადოა ამ რიცხვებში არავინ უწყის!
ო, ის მოიცავს დროს და სივრცეს
მანძილს და ფართობს!..
ერთმანეთს ცვლიან ეს რიცხვები ლუწი და კენტი,
რიცხვები გვხიბლავს,
რიცხვები გვღლის, რიცხვები გვათოვს,
დრო მიდის ასე და დისკოზე ეხვევა ლენტი,
ნუთუ სამყარო რიცხვებისგან
შედგება მარტო?!

16.10.74
სოხუმი

* * *

მუდამ იქითკენ მიიწევ, სად  ისმის ჟამის ხმაური,
იმას ადვილად ივიწყებ,
                    რასაც გულგრილად ჩაუვლი!
ღამე ამაოდ ნებივრობს, სულს შუქი კვლავ ემატება,
იქითკენ მიემართება და
ფრთებით არღვევს ჯებირებს!..
იალქნებს ქარი უბერავს, ნისლი შორდება ხეივნებს,
მზე ამოდის და ღრუბლებთან
კვლავ გამარჯვებას ზეიმობს!..

27.10.74
სოხუმი

## მეწამული ფოთოლი

ბედნიერია, ვინც მოიმკის სიყვარულს მაღალს!
ბედნიერია, ვინც ვერ ასცდა
სხივნათელ მიზანს!..
ჩამოიცილებ დავიწყების ნისლიან სიზმარს
და გაზაფხულის იშრიალებს
ფერადი ტალღა!..

ჟამი მოვა და ჩანგს მომართავს მდინარის გაღმა,
მზე გაზაფხულის აამღერებს
სარკეში ლოტოსს...
და, როცა ყველა ბეწვის ხიდს გახვალ,
ცა იდუმალი დაგაფარებს
მეწამულ ფოთოლს!..

19.03.75
ბანძა

## ორი და

მიჰყვება ნაპირს მდინარის ია და ენძელა –
ორი და!
შრიალებს ვერხვი
და ჩინარი
და ისმის სიმღერა შორიდან!..
მზეს მოაქვს სითბო და სინათლე და ვხედავ
ზამთარი ფითრდება!..
აღმართზე დაჭრილ
მხრებს მიათრევს,
მისდევენ ხარხარით მინდვრები!..

24.03.75
სოხუმი



## ფრთები

შენი შვილი ვარ, დედამიწავ, და ჩემს სხეულში
მიიგრაგნება შინდისფერი სისხლის მდინარე!..
შენი შვილი ვარ, დედამიწავ, და ჩემს თვალებში
ანთია შენი საოცარი
ფერების ტალღა!..
შენ მაზიარე ამ სამყაროს იდუმალებას,
ო, შენ ურიცხვი ვარსკვლავები აანთე ჩემში!..
მე რა მაბრუნებს, რა მტკივა და რა მიმაქანებს?
მხოლოდ შენი სინათლის ქარი
და შენი ჩუმი ტკივილის ფერი!..
ჩემი ფიქრები მიარღვევენ საუკუნეებს
და ჩემმა სულმა
ო, არ უწყის რაა დუმილი,
და ის მოიცავს სივრცის ყველა განზომილებას...
ასე მგონია მე წინ მივდივარ და, იქნებ, ვბრუნავ
მხოლოდ წრეში მარადისობის?!
შენი შვილი ვარ, დედამიწავ! მე შენს კალთაზე ავიდგი ფეხი,
ჩემი ხელები ფათურობდნენ
ვიწრო წრეში იდუმალების
და ასაფრენად ვწაფავდი ფრთებს არწივის მართვე
მოწყურებული სივრცეების უსაზღვროებას!..
შენ შვილი ვარ, დედამიწავ! ეს შენ მომმადლე, მომანიჭე
აზრი და გრძნობა, რომელსაც ახლა
მე სტრიქონებს გავუმხელ თრთოლვით.
მე ვწვდები ახლა ყოველივეს – ყოფილს და მყოფადს
და მომავლისკენ ფრთებგაშლილი

მივცურავ ლაღად – მზის თავთავების და ღრუბლების ოკეანეში
და ვარსკვლავების ყვავილებს ვკრეფ უდაბურ ველზე...
ო, ჩემი ფრთები უკვე არ ჰგავს იკაროსის ფრთებს,
უფრო მძლავრია,
ლაღია და თავისუფალი!..

30.03.75

სოხუმი

## სად მიხვალ, დღეო?!

მიაფრენს ქარი ქათქათა რაშებს,
მიქრის და არსად ჩერდება გზაზე!..
ო, რა საოცრად
თენდება მთაში!..
ო, რა საოცრად
ღამდება ზღვაზე!..
სად მიხვალ, დღეო, ღელვებით სავსე,
რომ შლი იალქნებს აპრილის ქარში?!
ო, რა საოცრად
თენდება ზღვაზე!..
ო, რა საოცრად
ღამდება მთაში!..
მე მახსოვს, მაშინ ვიყავი ბავშვი,
მზის მოლაღური გალობდა ცაზე!..
ო, რა საოცრად
თენდება მთაში!..
ო, რა საოცრად
ღამდება ზღვაზე!..
ცა ღრუბლის ლამაზ იალქნებს გაშლის,
ზღვა ნისლის პერანგს გაიხდის ტანზე.
ო, რა საოცრად
თენდება მთაში!..
ო, რა საოცრად
ღამდება ზღვაზე!..

12.04.75
სოხუმი

## ბალახი

მე ვარ ბალახი!
მე ვარ ბალახი!
და მიყვარს ქარის რაფსოდია
მთვარიან ღამით!..
მე ვარ ბალახი!
მე ვგრძნობ ყველაფერს...
ჩემი სხეულის ყველა ძარღვი
თრთის და კანკალებს,
როგორც ბუნების
გრძნეული სიმი!..
მე მწუხარებაც შემიძლია,
როკვაც, სიცილიც...
მე ვიბადები გაზაფხულზე
მზის თრთოლვით სავსე
და მაძლევს ღონეს შხაპუნა წვიმა,
ნიავი ველის...
და ვფლობ მიწაზე
ყველა სიმდიდრეს!..
რა ვუყოთ მერე, რომ ადრე დგება
ჟამი ჩემი ფერიცვალების?!
მე ვარ ბალახი!
მე ვარ ბალახი!
და მიყვარს ქარის რაფსოდია
მთვარიან ღამით!..
14.06.75
ბანძა

## ვინმე გამიხსენებს!

ცას შეხედე, მზე რომ აფერადებს და ცისკარზე ამ
იისფერ სერებს,
მოვა დრო და ჩამოუშვებს ფარდას,
მოვა დრო და ვინმე გამიხსენებს!..
რტოს ფოთოლი შემორჩება სველი და ციაგი
ლაჟვარდისფერ თვალებს!
აქ ბინული იბუტბუტებს მერეც
და გედივით აცურდება მთვარე!..

22.06.75
სოხუმი

## ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ჩემს ქალიშვილს — ნანას

ეთამაშება გოგონას ზღვა მსუბუქი თრთოლვით
და მზე უცინის ბაგეებზე
და ლურჯ თვალებში!..
ეთამაშება ცირა ტალღებს და თაფლისფერი ნაწნავების
ლამაზი ჩრდილი
მიმოირხევა და ილვრება
ცისფერ სარკეზე...
ფეხქვეშ მსუბუქად ემსხვრევა ტალღა და
თეთრი ქაფი,
ვით რბილი მატყლი
ეფინება გოგონას ფეხქვეშ...
იცინის ცირა...
იცინის ცირა...
იცინის ცირა...
და ცისარტყელას მოხასხასე ფერებში ცურავს...
ეთამაშება გოგონას ზღვა
მსუბუქი თრთოლვით!..

07.08.75
სოხუმი

* * *

დღეს ვარდფურცლობის ათია, გავცქერ ფერების ლივლივს,
შენ გელოდები, ნათია,
და მერე ერთად ვივლით...
ცამ მიწას ფერი უცვალა, შემოღამება მოდის
და მალე მთვარეც ამოვა,
შეარხევს ცისფერ მოტივს!...
ხეზე ზის ჩიტი პატარა და რტო ირხევა სუსტი,
ალბათ ჩემსავით უჩუმრად,
ისიც მეგობარს უცდის!..

10.05.75
სოხუმი

## გოგონა წვიმაში

ცახცახებს გოგონა სოველი წვიმაში, –
მდინარის პირას!..
მითხარი, გეთაყვა, ყოველი
რა გტკივა პატარა ცირას?!
საიდან ამდენი ნაღველი? – რად დგახარ
ტირიფის ძირას?
მითხარი, რა გქვია სახელად? –
მანანა? მარინა? ირმა?
გაშინებს ბაჯბაჯა ღრუბელი, თებერვლის თოვლი
და წვიმა?
რა ვუყოთ, ქარები უბერავს,
ნუ ტირი პატარა ცირა!

10.02.76
სოხუმი

## მზე ღრუბლებში

მზეს გამოჩენა ცის ბაღებში ამ დილით უჭირს,
ო, ვერ იქნა და ვერ გაააპო
ღრუბლების სისქე!
მრისხანე მთები თითქოს ზარებს რეკავენ თუჯის
და ქარი სადღაც ერეკება
მთვლემარე ნისლებს...
ჩიტის გალობა ტოტებიდან სივრცეებს ერწყმის,
ერთობ იფშვნება ღამეული
დუმილის ლოდი!..
მოეფინება სულს ამღვრეულს შრიალი ლერწმის
და ცისარტყელას აფეთქდება
ზეცაში ტოტი!..

14.04.76
სოხუმი

## ხელში ვარდებით

შეხედე კარგად, შუბლს გაბზარულს, მძიმედ ნატყვიარს!
შეხედე კარგად, ფრთებს
გადაღლილს უიმედობით!
ხელში ვარდებით ჩაირბინა სიომ ფერდობი
და მერე ჩუმად მიაყარა
გულზე ხატიას!..
ადგილის დედა იცრემლება – თეთრი გადია!
ნეტავი, ტკივილს როგორ უძლებს
იგი აქამდის?!
შეხედე, ღმერთო, ეს რა ფერის ზეცა ანთია!..
შეხედე, ღმერთო, ეს რა ფერის
მოდის ნაკადი!..

19.04.76
ბანძა

## ცისკრის ზარები

მე ვერ ვშორდები მაგ თვალების ცისფერ სამანებს
და სურნელებას აკაციის
თეთრი მტევნების!
ცისკრის ჩიტები გადასერავს სივრცეს ფრთამალი
და, როცა ბილიკს
მთვარის ლანდი აედევნება...
შემოიჭრება ლურჯ ტევრებში ქარი დაღლილი,
დაიფარება სიმღერებით:
მთები, მინდვრები...
და ცისკრის ზარებს ჩამორეკავს შენი თითები!
მე კი მაგ თვალთა
სილაჟვარდეს გავეკიდები!..

09.05.76
ბანძა

## მე ტყვე ვარ!

მე ტყვე ვარ შენი მაღალი სულის და მას ვადარებ
თოვლიან მწვერვალს!..
მე ტყვე ვარ შენი მაღალი სულის,
რომელიც მუდამ
იწვის და ღელავს!..
მე ტყვე ვარ შენი მაღალი სულის და მიყვარს ზღვა და
მაისის ბინდი!..
მე ტყვე ვარ შენი მაღალი სულის,
უბერავს ქარი
და ჟამი მიდის!..

12.05.76
სოხუმი

## ჩემი ალუჩა

ეს მერამდენედ აყვავდა ტყის პირას ჩემი ალუჩა!..
ვიხსენებ დღეებს გაფრენილს
და ტკივილს ბოლო არ უჩანს!..
ეს მერამდენედ აინთო ო, ჩემში შენი ხატება!..
უშენოდ დავბორიალებ,
არ ვიცი, რა მემართება?!
ისევ სიშორეს გავცქერი, თუმცა არავის მოველი!
და მერამდენედ მეტკინა,
ეს გული – დარდის მორევი!..
მე ის ხმა ისევ მესმის და როგორ მაფორიაქებს!
შენ მეჩვენები, ძვირფასო,
ჟამი შლის ცისფერ იალქნებს!..
ცა გაზაფხულის ირხევა, და სივრცე გადაალურჯა,
ეს მერამდენედ აყვავდა
ტყის პირას ჩემი ალუჩა!

12.03.09
ბანძა

## იცინის მზე და მინდორი

მზემ გაუცინა ბალახებს, წყაროც მორბის
და იცინის...
ვარდებს ნიავი ალაღებს,
დილა ხვიხვინებს კვიცივით!..
ჩიტს დასდევს ჩემი ბიჭუნა... მინდვრის
ხავერდი ბიბინებს...
იხარე, სანამ დრო არის,
ჩემო პატარავ, ირბინე!..

ახლა გოგონაც იღვიძებს... ზღვა აღტაცებას
მოდენის!..
ამ სიხარულში მიმიძღვის
მეც წვლილი მცირეოდენი!

შეხედე, შუქი მოედო ჩემი ბავშვობის
სანახებს!..
მადლობელი ვარ, უფალო,
რომ ეს ზღაპარი მანახე!..

16.05.76
ბანძა

# იასამნის ტოტი

შენს ფანჯარასთან იასამნის ირხევა ტოტი და მთვარის
თოვლით დაფერილი მდინარის იქით იღვიძებს ქარი
და შორეულ სივრცეებიდან
მოფრინავენ ჭრელი ჩიტები...
მათი გალობის ჟრუანტელი ედება არეს და ვარსკვლავების
თეთრი თითები აღვიძებენ ჩემი სულის მაღალ კლავიშებს!..
და მე უსაზღვრო ოკეანის ფერად ტალღებში
ვდგავარ და ვღელავ!..
ვდგავარ და ვღელავ!..
თითქოს მეხება ათასი ხემი და ჩემში თრთის
უთვალავი სინათლის სიმი!..
ბაგეები კი ჩურჩულებენ, ძვირფასო, შენზე და
სიყვარულზე ლოცულობენ
მხოლოდ და მხოლოდ!..

22.05.76
სოხუმი

## ბალახის ცრემლები

ეს მერამდენედ ვხვდები გაზაფხულს, ძვირფასო ჩემო,
                    მხოლოდ უშენოდ!
ეს მერამდენედ ვხვდები გაზაფხულს,
ო, გადაპენტილს ტყემლით, ნუშებით!..
ეს მერამდენედ გული მეტკინა და ვეთხოვები
                    ფერმკრთალ სანახებს,
ვიცოდე ნეტავ, თუ რა ატირებს
სოფლის ბოლოზე ცისფერ ბალახებს?!

14.06.76
ბანძა

## ამოდის ზღვიდან...

შენს მკლავებს თოვლის სითეთრე ახლავს
            და თვალებს ჩუმი მზერა მთიების!..
მეძახის შენი ლამაზი სული,
ვით მაღალ ღრუბლებს
მზის ელვარება!..
ამოდის ზღვიდან შიშველი მთვარე
            და იფენს ტანზე ფოთლებს ბალახის...
შუქი აღვიძებს ცისფერ სანახებს
და ტირიფების
ზღაპრული რხევა!..

24.06.76
სოხუმი

## ტიროდა ცისფერი ყვავილი

ჟამს ფრთებით არღვევდა პეგასი, ისმოდა
ბოჩოლას ბღავილი!..
და იქვე პატარა ზეგანზე
ტიროდა ცისფერი ყვავილი!..
რა სურდა? რას წუხდა ნეტავი? ცა მიწას
ნისლებით ბარდნიდა...
მოვიდა ჩიტუნა ჟღურტულით
და ისიც უეცრად ატირდა!..
რა სურდა? რას წუხდა ნეტავი? ამ ცრემლებს
რა ერქვა, – არ ვიცი!
მოვიდა ღრუბელი პატარა
და ისიც ცრემლებად დაიქცა!..

12.07.76
ბანძა

## მე სივრცეები მეძახიან

ჩემი ბილიკი დაუფარავს ფოთლებს, ბალახებს
და ვრჩები ახლა
მოზღვავებულ ფიქრებთან მარტო...
სინათლეს ჩემსას ჯერ რამდენი ბურუსი ახლავს
და მე გავცქერი შორეული
დღეების ფანტომს...
აილანდება ჩემ წინ ახლა რამდენი სახე,
რამდენსაც კიდევ
დავიწყების დაფარავს ხავსი!..
მე სივრცეები მეძახიან უსაზღვროდ მაღლა,
მე ვიცი მხოლოდ
ვარსკვლავების ღიმილის ფასი!..

19.07.76
სოხუმი

## მოჩანს ორი ბილიკი

გავცდი დღეებს ივლისის, ღელვას ვეღარ ვიკავებ,
დავრჩი ახლა პირისპირ
ჟამთან მოფარიკავე!..
ღრუბლით ცა იზნიქება, არ ვიცი რა მომელის!
მოჩანს ორი ბილიკი,
ავირჩიო რომელი?!

24.07.76
სოხუმი

## მთვარე ათოვდა ბექობს

მეგონა ვეღარ ვნახავდი, მთვარე ათოვდა
ბექობს...
მეგონა ვეღარ ვნახავდი,
ო, რა სახმილი მენთო!..
მეგონა ვეღარ ვნახავდი, გზა ულმობელი
მედო!..
მაგრამ თვალები აყვავდნენ,
ისევ ვიხილე, ღმერთო!..

15.09.76
სოხუმი

## ვარდფურცლობის ჟამი

ბაღში ისევ თეთრი ნისლი იწვა,
ვარდფურცლობის ჟამი იდგა მშვიდი...
ბაღში ისევ თეთრი ნისლი იწვა,
ცას ეკიდა მხარზე
მთვარის მშვილდი.
ბაღში ისევ თეთრი ნისლი იწვა,
ციმციმებდნენ ვარსკვლავები ბროლის...
ბაღში ისევ თეთრი ნისლი იწვა
და შენს ტუჩებს
ღელვით ვეამბორე!..
დაბურულან ეს ხეები წიწვით
და თვალებით გვიცქერიან სველით...
ო, იმ ღამეს მე რა დამავიწყებს,
რომ ვთვრებოდით
ერთმანეთის ცქერით!..
ბაღში ისევ თეთრი ნისლი იწვა
და ცა კრთოდა უჩვეულოდ ღამის!..
ბაღში ისევ თეთრი ნისლი იწვა,
ირხეოდა ვარდფურცლობის ჟამი!..

03.11.76
სოხუმი

# ზღვა

მე ცისკრის სიმღერა ჩამიდგა თვალებში,
დაქანდა ეს ღამე
მრუმე და უძირო...
დილით კი მთებიდან ბილიკზე დავეშვი,
ზღვა ვნახე ნაბრძოლი,
დაღლილი, უძილო!
ო, როგორ ბრუნავდა ეს სივრცე ქარებში
და ღელვა შორეულ
ვარსკვლავებს მოედო!..
დილით კი მთებიდან ზღვის
პირას დავეშვი,
ზღვა ჰგავდა
უსაზღვროდ მდუმარე მოედანს!..

03.02.77
სოხუმი

* * *

არ ვიცი, ასე სანამდე გასტანს,
არ ვიცი, ასე სანამდე ვივლი?!
დრო მიდის, როგორც ფერადი ფილმი
და უჩვეულო
მედება განცდა!..
უკვე თებერვლის ქარები დაცხრა
და სადღაც ტყეში ხოხობი ყივის!
არ ვიცი ასე სანამდე გასტანს,
არ ვიცი ასე
სანამდე ვივლი?!
გავცქერ ტალღების მოლურჯო ლივლივს
და მინდა ზღვაზე კვლავ ნავით გასვლა!..
არ ვიცი, ასე სანამდე ვივლი,
არ ვიცი ასე
სანამდე გასტანს?!

17.03.77
სოხუმი

## პატარა ევას

რაა სიცოცხლე ღელვის გარეშე,
ქარს უყვარს მუდამ ზვირთების მსხვრევა!..
ელავს მთიები ცისფერ თვალებში,
ცაზე შენი მზე იცინის, ევა!..
რაა სიცოცხლე ღელვის გარეშე,
მხოლოდ უმწეო ლანდების თვლემა...
ქანაობ მზის და მთვარის მკლავებზე
და გიყვარს გზაზე შუქ-ჩრდილის რხევა!..

20.04.77
სოხუმი

## მზეო, შემასვი ბადაგი!

დამეწყრე, ცაო, მაგ შუქით, მზეო შემასვი ბადაგი,
ვარ სილამაზის აშუღი
და სიყვარული გადამრევს!..
გრძნობას ვენდობი უჩუმესს, მზე გაზაფხულის ვარვარებს,
სიო ყვავილთან ჩურჩულებს,
სიო ქალივით ნარნარი!..
დამეწყრე ცაო, დამეწყრე და გულზე გადამიარე,
მე მიყვარს შენი ღიმილი,
და ეს წყარო და ნიავი!..
დღე გაზაფხულის ხასხასა, განთიადის მზით ნაფერი,
მე მინდა ისე ვიმღერო,
რომ გულს ავგლიჯო სარქველი!..
დამეწყრე, ცაო, დამეწყრე, მზეო შემასვი ბადაგი!..
ვარ სილამაზის აშუღი
და სიყვარული გადამრევს!..

07.05.77
სოხუმი

## საწუთრო

საწუთრო, როგორც მღვრიე ზღვა ღელავს,
არისხებს ზარებს!..
ყველას თავისი მიეზღო,
შენც მოგეზღვევა მალე!..
მოვდივარ, კარი გამიღე, დიდხანს ვეომე
ქარებს!..
სადღაც ღრუბელი გაირღვა
და მიქანაობს მთვარე...
ვარსკვლავნი მითვალთვალებენ... ვეღარ ვუჯერებ
თვალებს!
ყაყაჩოს რაღა ატირებს?
რად სდის ცრემლები ცხარე?!

13.05.77
სოხუმი

## მზის ჩასვლა ზღვაზე

კიპარისებმა დახარეს თავი ზარების ხმაზე,
მზე ჩადის ზღვაზე და მთებიდან
ამოდის მთვარე...
კიპარისებმა დახარეს თავი, ნაღველი უჩანთ
და ნათურების ურჩი თვალები
მოაწყდა ქუჩას!..
კიპარისებმა დახარეს თავი ერთბაშად, უცებ.
ფეხის წვერებზე დგება ჩუმად
პატარა ბუჩქი
და მზის ჩასვლას
ბავშვივით უცქერს!..

14.06.77
სოხუმი

## შეხედე!..

შეხედე ფოთოლს, მზის მუსიკის ფერებში ცეკვავს...
შეხედე, ვარდი რომ მოუხმობს
სიცილით ეკას!..

შეხედე, როგორ იღიმება ბექობზე ნუში
და მინდვრის თეთრი ზღაპარივით
შემოდის სულში!..

შეხედე, წყარო, რომ იმსხვრევა ლოდებზე ხევში,
თითქოს გოგონა დაეცა
და გაუტყდა თეფში!

შეხედე, ხეზე ეს რა ფერის ჩიტები გალობს?
შეხედე, თვრება ყვავილები
მუსიკით ქარის!..

შეხედე, ჩუმად გაზაფხულის ფერების მაჭარს!..
შეხედე, შაშვი როგორ უმღერს
ლაჟვარდის ნაჭერს!..

რომ არ გიყვარდეს ეს სამყარო, იქნება როგორ!
წამოდი ჩემთან
და ზღაპარში
ვირბინოთ, გოგო!..

15.07.77
სოხუმი

## ნუთუ?!

ნუთუ ერთ დროს ეს ცაც დამივიწყებს,
ნუთუ ერთ დროს
ეს მზეც მიმატოვებს?!
მაგრამ მაინც მე ყველაფერს მივცემ
ამ ღელვას და
ამ ვარდისფერ რტოებს!..
ქვეყანაზე ბევრი რამე ვპოვე,
შენი ცეცხლი
მაფხიზლებდა ყმაწვილს!
მე ვეძებდი მაგ შენს ოქროს საწმისს
და თვალების
ულამაზესს კრთომას!..
მემსხვრეოდა მოგანგაშე სივრცე,
ფრთებით, სადღაც
მივარღვევდი მორევს!..
ნუთუ ერთ დროს ეს ცაც დამივიწყებს?
ნუთუ ერთ დროს
ეს მზეც მიმატოვებს?!

19.07.77
ბანძა

## პატარა ჩიტი

პატარა ჩიტო! შეარხიე შენი ჩანგის ლამაზი სიმი
და დამიბრუნე ჩემი ბავშვობის
თეთრი ღრუბელი თოვლივით წმინდა!
პატარა ჩიტო! მაგ შორეულ ვარსკვლავთა წკრიალს
შეუხმატკბილე შენი
სულის უსასრულობა...
და ჩემი ყოფნის ლურჯ მდელოზე ბალახის ფოთლებს
დაეკიდება ცრემლის
თეთრი მარგალიტები!..

21.08.77
ბანძა

* * *

ნელა მიიწევს მთის კალთაზე რძისფერი ნისლი
და უდაბური მინდვრების იქით, –
ტყეები თვლემენ
მოცახცახე ვარსკვლავთა შუქზე
და ბალახებში ჭრიჭინობელას
ისმის სიმღერა სევდიანი,
როგორც მგზავრული!..

27.08.77
ბანძა

# რად ღელავ, ტირიფის რტოო?!

ის ჟამი გაფრინდა ჩიტივით ო, საით, არავინ იცის!..
ის ჟამი გაფრინდა ჩიტივით...
მინდორზე ვარდების ციმციმს,
დავეძებ, ამაოდ მხოლოდ!
ის ცეცხლი ჩამქრალა უჩუმრად
და უკვე ამოდის ბოლი!..
სად არის ბალახის ჩურჩული? ვინ არხევს
სევდიან მოტივს?!
ის მოდის, ის მოდის,
სულ ჩუმად, ცახცახებს ტირიფის ტოტი!..
რად ღელავ, ტირიფის რტოო,
ღრუბლებში რომ გაქრა მთვარე?
კვლავ მოვა აპრილის წვიმა,
კვლავ მოვა აპრილის ქარი!...

26.09.77
სოხუმი

## მივდივარ, მივდივარ, მარტო!..

მოზღვავდა ღრუბელი მარტის,
ხან მზეა, ხან ქარი კივის!..
მივდივარ,
მივდივარ
მარტო
და წვიმა მასველებს ცივი!..
ო, ეს ვინ მოსულა სამტროდ,
ვინ ღებავს ყორნისფრად აისს?
მივდივარ,
მივდივარ
მარტო,
მივდივარ, არ ვიცი საით?!
ხან მაწვიმს, ხან კიდევ მათოვს
და ციდან ყრანტალებს სვავი!..
მივდივარ,
მივდივარ
მარტო,
მივდივარ, არ ვიცი საით?!
მე შენზე ვლოცულობ, გნატრობ,
შევნატრი მზესა და მაისს!..
მივდივარ,
მივდივარ
მარტო,
მივდივარ, არ ვიცი საით?!

15.03.78

სოხუმი

# მოვა დრო

მე მავსებს თეთრი ზამბახი მთვარის
და ისევ ლურჯად
ღელავენ ზღვები!..
მოვა დრო, მღვრიე დაჰბერავს ქარი,
მეც წავალ, როგორც
წასულან სხვები!..
მდელოზე თეთრი გვირილა ხარობს
და მესმის ციდან
ფარული ხმები!..
მოვა დრო, მღვრიე დაჰბერავს ქარი,
მეც წავალ, როგორც
წასულან სხვები!..

05.04.78
სოხუმი

## კიპარისი

ჩემ წინ დგას ერთი კიპარისი მაღლობზე მარტო,
მუდამ ჟამს ჩუმი,
ფიქრიანი და იდუმალი!..
მე მხოლოდ მისი ლურჯი ტანის სინაზე მათოვს
და, როცა ფრთხილად
შეღამების შეარხევს ქარი,
მე მიყვარს ჩემი კიპარისი, – სიმღერა მთვარის!..

09.05.78
სოხუმი

## ვარდფურცლობის სიმები

მივაყურადებ ვარდფურცლობის სიმებს იდუმალს
და ცა, როდესაც
გადაუვლის რწევით ფშიარებს!..
ჰორიზონტები ეს რა ფიქრით გადაბინდულა?
და ვარსკვლავების თვალებშიც კი
სევდა შრიალებს!..
და სუნთქვა თბილი მაღლა მიაქვთ ირთოლვით ლიანებს,
და მთვარე, როცა
ცას და მიწას მოახავერდებს...
შეხედე წყაროს, ლოცულობს და ცას ევედრება,
სხვა რაღა გინდა
არ სინაზეს თუ ეზიარე?!

16.05.78
ბანძა

# ირხევა ალვის ხე

მე ვხედავ სივრცეში უშავეს აჩრდილებს,
ო, ღმერთო, სამყარო შენ გადაარჩინე!
ფიქრების რა მღვრიე ხანძარი მედება,
რა მალე ღამდება,
რა გვიან თენდება?
უდაბნოდ დაფაროს ცისფერი პლანეტა?
ო, სულო ამაზე ფიქრიც არ გაბედო!
სიცოცხლის ლამაზი თვალები მანახე
და ქვეყნად ბოროტი
ძალები დალახვრე!..
რა ტანჯვა, რა ბრძოლა, რა სისხლი დადინდა!..
ო, ღამევ, დამოკლდი და დღეო, გადიდდი!..
ირხევა ალვის ხე და სივრცეს ანაზებს,
მითხარი, ძვირფასი
რა არის ამაზე?!
შეხედე, რამდენი ვარსკვლავი ციმციმებს,
სამყარო ზეიმობს, სამყარო იცინის!..
შეხედე, ვარდებს რომ თვალები სველი აქვთ,
მზისაგან ალერსს
და სიყვარულს ელიან!..
მზე, როგორ მოარღვევს გუმბათებს თოვლიანს,
ძვირფასო, შენამდე გზა კიდევ შორია!..
შეხედე ლაჟვარდებს მერცხლებით მოფენილს,
გუგუნებს ქალაქი,
გუგუნებს სოფელი!..
შეხედე, გლეხი რომ ყანაში ღიღინებს,

იცინის ყაყაჩო, იცინის ღიღილო!
ო, ეცი თაყვანი ამ ცას და სინათლეს,
ეძიე უშიშრად
გზები და სიმართლე!..
შეხედე ამ თვალებს – სიყვარულს ღაღადებს,
თუ შესძელ, მხატვარო, მიდი და დახატე!..
შეხედე პატარას, – ცის ლამაზ ნახელავს!
გახსოვდეს წარსული, –
შენც იყავ ამხელა!

სიცოცხლის უსაზღვრო სიმღერას მღეროდი,
მზე ამოდიოდა მზის ყოველ ღეროდან!..
შორს, სადღაც მღვიმეში დემონი ხარხარებს,
მას მუდამ ნგრევა და
სიკვდილი ახარებს!

არ კმარა, რომ გქონდეს მოთმენა იობის,
როს ბეწვზე კიდია სვე კაცობრიობის!
ურჩხულმა საზარი ფრთები არ გაშალოს,
არ გაწყდეს მიწის
და სიცოცხლის კავშირი!
ირხევა ალვის ხე და სივრცეს ანაზებს,
მითხარი, ძვირფასო,
რა არის ამაზე?!

19.05.78
ბანძა

## თვალთა სილაჟვარდე

მე ვერ ვშორდები მაგ თვალების ცისფერ სამანებს
და სურნელებას აკაციის
თეთრი მტევნების!..

ცისკრის ფრინველი გადასერავს სივრცეს ფრთამალი,
და, როცა ბილიკს
მთვარის ლანდი აედევნება...

შემოიჭრება ლურჯ ტევრებში ქარი დაღლილი,
დაიფარება სიმღერებით –
მთები, მინდვრები...

და ცისკრის ზარებს ჩამორეკავს შენი თითები,
მე კი მაგ თვალთა
სილაჟვარდეს გავეკიდები!..

25.05.78
ბანძა

* * *

გრძნობს სურნელებას მინდვრის, ფოთლებზე ნამის ციმციმს,
ზის გალიაში ჩიტი
                    და კლავს წყურვილი სივრცის!..
ზის გალიაში ჩიტი, ცის უსაზღვრობას უცქერს!..
ზის გალიაში ჩიტი
და გული ძლიერ უცემს!..
რტოზე ტოლები სხედან და მზე უთრთოლებთ კუნთებს,
ზის გალიაში ჩიტი, –
ფიქრით ლაჟვარდებს უტევს!

22.08.68
სოხუმი

## ლურჯი ხეივანი

ლურჯი ხეივანი შუქით იმოსება
და აქ ზეიმია ოდით მშვენიერთა!..
ო, ეს იდუმალი რხევა მიმოზების
მთვარემ მოგონებად
რატომ შეიერთა?!
ციდან მოცურავენ ციცინათელები
და სულს საოცარი შუქი ეუფლება!..
ზღვა კი შენეული მზერით ნაფერები,
იმ დიდ სიყვარულზე
ახლაც მეუბნება!..

07.06.78
სოხუმი

* * *

ეს გაზაფხული ჩემს მინდორ-ველს მოახავერდებს
და თბილი ქარი აკაციის თეთრი მტევნების
დამათრობს და შორს ნაცნობ ბილიკს ავედევნები
და გული ჩემი აქ არასდროს არ დაბერდება!
აღიმართება თეთრი ლანდი, როგორც ვედრება
და საუკუნე შენს სიხარულს გაიზიარებს!...
ო, შენს თვალებში ჩაიღვრება დილა მზიანი
და გული ჩემი აქ არასდროს არ დაბერდება!..

18.06.78
ბანძა

## მე წავალ

მე წავალ, მაგრამ ვიცი აღარ დამემდურები
და გულზე მხოლოდ
სიყვარულის ყვავილს დაიბნევ!..
მე წავალ, მაგრამ ვიცი აღარ დამემდურები
და ბაგეს მძაფრად
შეათრთოლებს სიტყვა – „ვაიმე“!
მე წავალ, მაგრამ ვიცი აღარ დამემდურები
და ზერდაგივით დაჭედილი
ჟამი გაირბენს!...
მე წავალ, მაგრამ ვიცი აღარ დამემდურები,
რა რჩება გარდა
სიყვარულის? – არარაიმე!

19.06.78
სოხუმი

# დაისის ცა

ცა დაისის ჟამს ღუის ისე, როგორც მოცხარი
და შეღამების მოიისფრო
ჩანან ქედები...
ციდან მდარაჯობს ანგელოზის თვალი მოწყალე
და ნისლში კრთება
მზე სისხლისფრად შენადედები!..
ზღვა მოციმციმე ეფერება ცათა დაფიონს,
კალმახებივით ნაპირებთან
ხტიან ჭავლები...
დგანან ანძები უმოწყალოდ განაჯავრები
და ქარი რტოზე
შემოდგომის ფოთლებს ათრთოლებს...
სადღაც ხევიდან ამოცურდა
ნისლი გედივით,
რომ ფერი ცისკრის ზღვის სილურჯეს
გადაათოვოს...

20.06.78
სოხუმი

# თეთრი ზარები

მე მთელი ღამე გავცქეროდი ზეცას მთრთოლვარეს
და უჩვეულო, იდუმალი
შუქი მეფინა!..
ამობუბუნდა ირემივით მთაზე მთოვარე,
ჩამოიქროლა ლურჯი ფრთებით
მთიდან ზეფირმა...
ფიქრთა მერცხლები ეხლებოდნენ ფრთებით კაბადონს
და ცა ელვარე აურაცხელ
სხივებს გზავნიდა...
თუმც ვეჩურჩულე, არაფერი აღარ გამანდო,
მხოლოდ რეკავდნენ –
შორეული თეთრი ზარები!..

28.06.78
სოხუმი

* * *

ვიცი, ერთ დროს ეს ცაც დამივიწყებს და მაისის
ქარიც მიმატოვებს!
მაგრამ, მაინც
მე ყველაფერს მივცემ
ამ ღელვას და ამ ვარდისფერ რტოებს!...
ქვეყანაზე ბევრი რამე ვპოვე, შენი ცეცხლი
მაფხიზლებდა ყმაწვილს!..
მე ვეძებდი მაგ შენს
ოქროს საწმისს
და თვალების ულამაზეს კრთომას!..
მემსხვრეოდა მოგანგაშე სივრცე, ფრთებით ისევ
მივარღვევდი მორევს...
ვიცი, ერთ დროს
ეს ცაც დამივიწყებს
და მაისის ქარიც მიმატოვებს!..

10.07.78
სოხუმი

## მაინც სიმაღლეს ველტვი

რაც ვნახე მასზე მეტი, მითხარ, რა
უნდა ვნახო?!
სადღაც მიმაფრენს ეტლი
მთის მწვერვალებთან ახლოს!..
მაინც სიმაღლეს ველტვი, სად ვარსკვლავები
სახლობს,
რაც ვნახე მასზე მეტი,
მითხარ, რა უნდა ვნახო?!

14.07.78
სოხუმი

# პეპელა

გადმოენთები ცისარტყელას ფერთა სიუხვით,
არ იცი – რაა სიმუხთლე ჟამის!.
            გათრობს, ბალახში რომ ჩაიმუხლებ,
ვარდის ლაწვებზე დაღვრილი ნამი!..
ო, იფარფატე, პეპელავ ჭრელო,
            არხიე ნაზად ფერადი ფრთები!...
გახარებს, როცა ბიბინებს მდელო!.,.
ჭკნება ყვავილი?
შენც იფერფლები!..

22.07.78
ბანძა

## რას ისახავ მიზნად?!

სულო მითხარ, რას ისახავ მიზნად,
თუ შობილი
ვერას არგებ მშობელს?!
შენ შორეულს იქნებ ხედავ სიზმარს,
რომელიც გულს
სილამაზეს მოჰფენს?!
იალქნები ზღვაზე ქარებს ხმობენ
და შენ ნუთუ
ვერ ჰპოულობ მიზეზს?
შენ არაფრად არ სჭირდები სოფელს,
თუ შობილი
ვერას არგებ მშობელს!

07.08.78
ბანძა

## ო, გევედრები!

გადმოანათე შენი სხივით ჩემი სიშორე
და შორს გაჰფანტე ქარში
შავი ღამის ნაცარი...
უკვე გამოცდა შენი შუქი მღვრიე სამანებს
და ჩამოწვება ჩემს ზეცაზე,
აჰა, საცაა!..
დასწვი, გაჰფანტე მოყაშყაშე ფრთები სვავების
და დაუბრუნე ჩემს ცას
თრთოლვა იასამნის!..
ო, გევედრები, გადმოლახე მღვრიე მორევი,
გადმოანათე შენი სხივით
ჩემი სიშორე!..

12.08.78
ბანძა

# თამამად მივალ

მე ყველა შენი სატკივარი ო, როგორ მტკივა!
არ მეშინია ამ დღეების,
თამამად მივალ!..
და ეს ბილიკიც არ მაშინებს კლდე-კლდე რომ ცოცავს,
როგორც ზღვის ღელვა
არ აშინებს გამოცდილ ლოცმანს!..
მე წინ მივდივარ და ავდარი მეკვეთოს თუნდაც,
გადავყრი ამ ძვლებს ხევხუვებში,
ვითარცა ხურდას!..
ოღონდ, მაგ შენი სილამაზით ვიყო მდიდარი,
ოღონდ ჩემს სულში
სიყვარულის თრთოდეს მდინარე!..

22.08.78
სოხუმი

## ვეთხოვები გაზაფხულის მინდვრებს

ვეთხოვები გაზაფხულის მინდვრებს და უსაზღვრო სევდა
ახელს თვალებს!..
შეღამების მოირღვევა ბინდი
და სივრცეებს ახმაურებს ქარი!..
მე არ ვიცი, თუ რა ვუყო ხსოვნის, ამ სევდიან და
ულმობელ სიმებს?!
ჩემს ბილიკზე ჩამოწვება თოვლი
და ქალწული თოვლის გამიღიმებს!..
მე არ ვიცი, ო, არ ვიცი, რა ვქნა? და ფერდობზე ქარი
ფოთლებს აფენს,
მათრობელა მზის სხივები გაქრა
და ფერს უცვლის ჩემი სულის აფრებს!..
ჟამმა ბევრჯერ ჩამიმტვრია ხიდი და ფოთლები
ჩამოღვარა ბაღმა...
ვეთხოვები გაზაფხულის მინდვრებს
და მიიწევს ეს ხომალდი გაღმა!..

16.09.78.
ბანძა

## იქნებ შენ მითხრა, ცაო?!

ჟამი ტკივილით მავსებს, ეს არ მჩვეოდა წინათ!
შლის ცისარტყელას ხაზებს, –
ეს შემოდგომის წვიმა!..
შლის ცისარტყელას ხაზებს, თითქოს ქურდულად, უხმოდ
და სული ისე ბრაზობს,
როგორც გრიგალში მუხა!..
შუქი ჩამიქრა, ზღვაზე გავცქერ ზვირთების ქაოსს!..
არ ვიცი რაზე ვბრაზობ,
იქნებ შენ მითხრა, ცაო?!

19.10.78
სოხუმი

## გაგაფხულის საგალობელი

ახლა მინდვრებს ქარი წვიმით რეცხავს
და ძარღვებში ამიზვირთდა სისხლი!..
ნაწვიმარზე გაზაფხულის ზეცა
სიყვარულით მოახვავებს
მზის სხივს!..
ვეფერები მიწის ხავერდს უხმოდ,
მზე მოხატავს ამ ფერდობებს ფუნჯით...
ცას შეხედე, კვლავ სიყვარულს უხმობს,
ზღვამ გაშალა
იალქნები ლურჯი!..
მე სასწაულს ველოდები ახლა
და თვალები ვერ მალავენ ღიმილს!
რა უსაზღვრო აღტაცება ახლავს,
გაზაფხული ხოხობივით ყივის!..
ყაყაჩომაც თრთოლვით შეხსნა ბაგე
და ძარღვებში აუჩქამდა სისხლი!..
ნაწვიმარზე გაზაფხულის ზეცა
სიყვარულით მოახვავებს
მზის სხივს!..

12.04.79
სოხუმი

## მაინც იქით მივიწევ!..

თუმც ჭაღარა მომეძალა, მაინც აღარ გივიწყებ!
ბევრჯერ ხელი მომეცარა,
მაინც იქით მივიწევ!..
გაზაფხულის ჩიტი გალობს და მზე ფეთქავს მაისის,
ალბათ ისევ ბედი მწყალობს,
რა ლამაზი ხმა ისმის?!
ატმის რტოზე მზემ სამოთხის უკვე ბუდე იშოვა,
საყვარელო, შენ ჩამოდი,
დარდი ჩამოვიშოროთ!
ის ბაღები მოვიაროთ, ის გზები და ფერდობი,
მოვიშოროთ მგლოვიარე,
სივრცე უიმედობის!
თუმც ჭაღარა მომეძალა, მაინც აღარ გივიწყებ!
ბევრჯერ ხელი მომეცარა,
მაინც იქით მივიწევ!..

26.04.79
სოხუმი

# დილით

მე ზღვისკენ ნელა, მარტოდმარტო მივყვები ქუჩას,
ზღვა ფეთქავს,
როგორც ბიბლიური ფრინველი ლურჯი!..
მიიზლაზნება ბილიკებზე ნისლები დილის
და ავოკადო სიხარულის
ცრემლებით ტირის!..
ზღვაზე სხივები განთიადის ირიბად წვება
და მოიმღერის
მოხასხასე ტალღების წყება...
ო, ეს ტირიფი ლურჯ სარკეში ნაწნავებს არხევს
და ის ზღაპრული სილამაზით
აოცებს მნახველს!..
და მიჰყვებიან ფრთებგაშლილი პალმები ქუჩებს,
მზე იღვრება და ეფინება
ბიბლიურ ბუჩქებს...
შორს, კიდევ იქით მთა-გორები ლაჟვარდებს ერწყმის,
ლაქაშებიდან მოდის
თბილი შრიალი ლერწმის!..
და ჩემს გარშემო ყველაფერი იცინის, ფეთქავს,
ეს გაზაფხული ეზიდება
სიუხვეს ფერთა!..
მე ზღვისკენ ნელა, მარტოდმარტო მივყვები ქუჩას,
ზღვა ფეთქავს, როგორც
ბიბლიური ფრინველი ლურჯი!..

29.04.79

სოხუმი

## ჟამი მიდის!..

ჰა, საცაა, ამ სივრცეში ფრთებს ოცნება გაშლის,
განა უფრთხის სული ქარებს,
ეძებს მათთან კავშირს!..
ამ ლერწამმაც სასიმღეროდ მოიღერა ყელი,
იგალობებს მზის ჩანჩქერში
ეს ყვავილი ველის!..
ამღერდება მთის ნიავი და ჩამოვა ბარად,
ჟამი მიდის, მაგრამ მაინც
შენთან ვრჩები მარად!..
იმ ბავშვობის ცა დამცქერის, მაგრამ სულ სხვა თვალით!
სიო ფეთქავს ვარდნარებში
სიყვარულით მთვრალი!..
მზე ამოდის და სხივები ოქროს ბადეს ქსოვენ,
მე კი წავალ, მაგრამ სული
ველარ მიგატოვებს!
მეგობრებო, ნეშტს წაიღებთ, გაასვენებთ ცხედარს,
აქ დარჩება სული ჩემი
სად არწივნი სხედან!..
ჰა, საცაა, ამ სივრცეში ფრთებს ოცნება გაშლის,
განა უფრთხის სული ქარებს,
ეძებს მათთან კავშირს!..

28.05.79
ბანძა

## ᲐᲠ ᲛᲘᲔᲙᲐᲠᲝᲡ!

არ მიეკაროს სუნთქვა კვამლის მინდვრის შროშანებს,
არ გაირუჯოს ცის სიზმარი
ხანძრის ენებით!..
ყველა სანგარი ამოვავსოთ, ისე მოვშალოთ,
რომ არასოდეს განმეორდეს
ქვეყნად კოშმარი!
და ვცეთ თაყვანი ცის სიმაღლეს, მზეს და განთიადს,
ხე ცხოვრებისა შრიალებდეს
მრავალშტოვანი!..
მიწა რა არის? – მზის გვირგვინის ლურჯი ტახტია
და სიყვარულის
ვრცელი სავანე!..
სახსენებელი მოიშალოს თერმობირთვების,
რომ სიცოცხლეზე ღუღუნებდეს
ვარდი სამარის!..
მზე ნებივრობდეს ცის თავანზე ოქროს თითება,
მხოლოდ სიყვარულს
და განთიადს ჩემი სალამი!

22.06.79
სოხუმი

## ᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲮᲕᲘᲗᲝ

მზე გადმოენთო ატეხილი ჭალების თავზე,
გადააქვს ზანტად
დასიცხული სხეული თითქოს!..
გარბის ბიჭუნა ფეხშიშველა მხურვალე ქვებზე
და ოქროსფერი ბუჩქიდან კი
იცინის ხვითო!..
იხრჩობა ბუღით შუადღის მზეზე ლანდები ხეთა,
ბალახებს სული ეხუთება
და შველას ითხოვს!..
მზე კივის ცაზე ისე მწარედ, რომ ქვასაც ხეთქავს
და ოქროსფერი ბუჩქიდან კი
იცინის ხვითო!..
ჭიხვინებს კვიცი და გავაზე გადასდის ხვითქი,
მზე მოვარვარე ცხელ ქვიშაზე
გაადნობს ლითონს!
მდინარის პირას ტანს ისველებს პატარა ჩიტი
და ოქროსფერი ბუჩქიდან კი
იცინის ხვითო!..

12.07.79
ბანძა

## მზე ჩადიოდა!..

უკვე ვერაფერს შველოდი, ყელი ჭკნებოდა გედის!
შენ მწუხარებაც გშვენოდა,
შუქი სწყდებოდა ქედებს!..

მზე ჩადიოდა... ქარაფებს ნისლის მისდევდა ფარა...
ის თხოულობდა არაფერს,
ცა კი არხევდა ფარანს...

შემოდიოდა აგვისტო და შრიალებდა ყანა...
და ფანჯარასთან ატმის რტო
ტირილით დაიღალა!..

02.08.79
ბანძა

## მენავე

ოქროსფერი ნაყოფით ნაპირები ელავენ,
ზღვაზე ნავი ქანაობს
                    და ღიღინებს მენავე!..
შორით მოჩანს ქედები ლურჯად გადათოვილი,
ტკბილად მღერის მენავე
და მზეც გადიფერდება...
მხოლოდ ნავის კიჩოზე ბინდი დაბორიალებს,
ისევ მღერის მენავე, –
დაუბერე ნიავო!..

26.10.79
სოხუმი

## სული აიტანს ყველა წამებას!

რად მეზიდება იქითკენ ფიქრი,
ან წარსულს რატომ განვიცდი მძაფრად?
რად ამატირა ჩამოსვლამ ფიფქის
და ზღვაზე ნავის
მოლურჯო აფრამ?!
რად მეზიდება უხილავ ძაფით,
შენსკენ, ძვირფასო, გული ბებერი?
მე ჟამის სულაც არ მაკრთობს ხაფი
და ვრჩები
დღემდე აუღებელი!..
რად მეზიდება ცისფერი სხივით
შენი თვალები ასე ლამაზი?
მე არ ვიქნები შენდამი ცივი,
თუნდაც ვიცხოვრო
წელი ათასი!
გული აიტანს ყველა წამებას,
როგორც იტანდა ხშირად მანამდის!
ჟამს მოაქვს მუდამ ფერიცვალება
და რჩება მაინც
რაღაც მარადი!..
რად მეზიდება იქითკენ ფიქრი,
ან წარსულს რატომ განვიცდი მძაფრად?
რად ამატირა ჩამოსვლამ ფიფქის
და ზღვაზე ნავის მოლურჯო აფრამ?!

17.11.79

სოხუმი

## გაზაფხულის სიცილი

ქარო, საით ერეკები ღრუბლებს, მონატრული
ლაჟვარდების ციალს?
ქარო, საით ერეკები ღრუბლებს და რას გალობს
ჩემი რძია-რძია?
ქარო, საით ერეკები ღრუბლებს?.. ვერ გავიგე,
არაფერი ვიცი!
ჩემს მყინვარწვერს
გაუბრწყინდა შუბლი
და მე ვუსმენ გაზაფხულის
სიცილს!..

14.03.80
ბანძა

# სადა ხარ, თამარ?!

წუთისოფელთან ნუთუ შენი დასრულდა დავა?
ფერწასულ ბორცვზე
დახოცილი ფოთლები ცვივა...

მე გული მტკივა, შენ გეძახი, სადა ხარ, თამარ?!
და ხელში შევრჩი გზებს უდაბურს,
ქარებს და წვიმას!..

ვერ იქნა, ველარ შევეჩვიე ტყუპისცალ დღეებს,
მარტის თოვლივით იცრემლება
ჩემი ცა სუფთა!

მიედინება ორღობეში პატარა ღელე
და მიაქვს სადღაც ლაჟვარდების
დაღლილი სუნთქვა!..

02.05.80
ბანძა

## კრთის მთვარიანში იასამანი

ვხედავ, საწუთროს ჭკნება ყვავილი
          და პოეზიის ცეცხლი ილევა!..
სადღაც სატანა ჩხავის ყვავივით,
ტყისკენ ყვირილით
მიდის ირემი!..
ფეთქავს სიცოცხლის მღვრიე კოცონი,
          სული გრძნობს მარად ციურ ზმანებას!..
და ებრძვის იგი ზვირთებს მოწოლილს,
როგორც საწუთრო
კივილს ზარების!..
ისევ ელვარებს ლურჯი თავანი
          და საოცარი შუქი მოღელავს!..
კრთის მთვარიანში იასამანი
და ვარსკვლავების
მათრობს სიმღერა!..

07.05.80
სოხუმი

## მომღერალ ქალს

იმღერე, შენი სიმღერის ძალა ო, ჩემი სულის
სიმაღლეს ერთვის!..
ირხევი, როგორც
სინათლის წყარო,
როგორც ლაჟვარდში
ღრუბელი თეთრი!..
ციდან იღვრება თოვლის ფანტელი, სულში ათასი
სანთელი იწვის,
და, როცა ნისლი
გაიფანტება,
ეს ნიშნავს
ყველა სიმაღლეს მისწვდი!..

შენი ხმის ეშხით ბუნება გალობს, ამაზე მეტი
რა უნდა გვითხრა?
იმღერე ისევ,
ლამაზო ქალო, ჩემო ფერიავ,
იმღერე დიდხანს!..

09.05.80
სოხუმი

## ჩემო პატარა ცირა!

ხეზე ქლურტულებს ჩიტი, მზეზე ბალახი გალობს,
ფეთქავ, ვით ატმის ტოტი
და მე ოცნებით ვხარობ!..

წყარო ციმციმებს დილის და შენს სინაზეს ნატრობს,
ჩემო პატარა ცირა,
ჩემო ლამაზო ხატო!

შენ ხატპეპელას ფრთებით ყვავილებს დაჰფარფატებ
და თრთოლვით ანანთები,
არხევ ღიმილის ფანტელს!

ხან ზამბახს ეფერები, ხან კი ყაყაჩოს ათრობ, –
მაგ თაფლისფერი თმებით
და მზე მაისის გათოვს!..

მოსვლა იმისთვის ღირდა, რომ შენ მენახე მარტო!
ჩემო პატარა ცირა,
ჩემო ლამაზო ხატო!

19.05.80
ბანძა

## ირხევა შუქი ვარდების

სევდა გავფანტე დაისის, როგორც ღრუბლები ქარებმა,
სულში მზე ფეთქავს მაისის,
დრო მიდის, მიექანება!..
მთიდან ჩამოდის მდინარე ცისარტყელების გალობით
და მთებიც მზეზე ბრწყინავენ
ამ გაზაფხულის წყალობით!..
ირხევა შუქი ვარდების და მთა-გორებზე გადადის,
სული გრძნობს ციურ ნათებას,
რტოდან მოწვეთავს ბადაგი!..
და ვსვამ ლაჟვარდებს ხალისით, ეს ცხადია თუ ზმანება?
სულში მზე ფეთქავს მაისის,
დრო მიდის, მიექანება!..

30.05.80
სოხუმი

## ქარს მიაქვს ჟამის ფურცელი

უსმინე დროის მოძახილს, რა არის
ქვეყნად უცვლელი?
ტოტს მოსწყდა
ლურჯი ფოთოლი,
ქარს მიაქვს ჟამის ფურცელი..

რომ ყველაფერი იცვლება, ეს ხომ
ყველასთვის ცხადია?
მაგრამ რად
გინდა სიცოცხლე,
თუ ვერ უმღერე განთიადს?!
მზეს თუ ვერ შეხვდი ზეიმით და ფრთები
აღარ გაშალე,
რად გინდა
მაშინ სამზეო,
რად ღირს სიცოცხლე ფრთაშავი?!
გულს, როგორ მოეფონება, თუ რჩები
სევდის ამარა?
თვალი უსწორე ცხოვრებას
და წინ გასწიე თამამად!..

დრო, თუ სატკივარს მოდენის, ფიქრით
ვარსკვლავებს ეწვიე...
შეხედე, ბეწვისოდენა
მზეს რომ
უგალობს მზეწვია!
07.06.80
სოხუმი

## ჯერ შემოდგომა ადრეა!

ჯერ შემოდგომა ადრეა, რად ფეთქავს ფერი ყვითელი?
ჯერ შემოდგომა ადრეა
და ქარი ფოთლებს მიდენის!..

ჯერ შემოდგომა ადრეა და სივრცე რატომ ხმაურობს?
ჯერ შემოდგომა ადრეა,
რად აიწყვიტე, ზღვაურო?!

ცას ვინ მიხუნებს მადლიანს, ფერი ეცვალა ბილიკებს,
ჯერ შემოდგომა ადრეა,
ქარებს, ვინ მოაჯირითებს?!

13.07.80
სოხუმი

## უწყლოდ ბუნება ტირის!..

წვიმა მოსწყურდა ბალახს, ხეებს, მთებსა
და მინდვრებს,
წვიმა მოსწყურდა ქალაქს და
რამდენ რამეს კიდევ!..

ცას ვუცქერ ყოველ დილით იქნებ
მაპკუროს რამე!
უწყლოდ ბუნება ტირის,
ვით ფოთოლცვენის ღამე!..

და სიცხით მოთენთილი წყარო თვალს
ახელს ოდნავ,
ბაიას ღრუბლის ჩრდილი
ესიზმრება და ბოდავს!..

31.07.80
ბანძა

## ᲛᲐᲠᲢᲝᲝᲑᲐ

ის მოაჯირთან იდგა ზღვაში შეტყორცნილ ხიდის,
მზეს უცქეროდა დიდხანს,
დარდი რამდენი ზიდა!..
ანგელოზები თრთოლვით კვლავ მოფრინავდნენ ციდან,
ის მარტო იდგა დიდხანს,
დარი იყო თუ წვიმდა!..
ზღვა კი ღელავდა ლურჯი, ზვირთებს ზვირთებზე შლიდა,
ხიდს ერყეოდა ბურჯი,
ის იდგა მაინც მშვიდად!..
ფრთები მოტეხა ქარებს, ჟამს აღარ დაერიდა.
...მერე დარეკა ზარმა,
მერე დარეკა ციდან!..

10.08.80
სოხუმი

## რა გემართება, ბატონო?!

არასდროს ბედი არ სწყალობს, ჟამი მიდის და ბერდება!
ყველას ჰგონია საწყალი,
რომ ასე დაეხეტება!..
მისი ოცნების ედემში ყვავის ვარსკვლავი ათობით,
თუმც არ სწყალობენ ღმერთები,
არც გაზაფხულის მნათობი!..
რა გემართება, ბატონო! ასე როდემდე გაუძლებ?
ის კი არაფერს არ ამბობს,
დრო კი აბრუნებს კარუსელს!..

04.09.80
სოხუმი

## გულს დასერავს თოთოს!

სული ეშხით თუ ვერ აამღერე,
ჟამის დანა გულს დასერავს თოთოს!...
დაგამსგავსებს შენ შლამიან ღელეს,
ან უმწეო შემოდგომის ფოთოლს!
სიყვარული რამდენ რამეს მოგთხოვს,
თუნდაც ცხრა მთას გადაგაფრენს მერე!..
სული ეშხით თუ ვერ აამღერე,
ჟამის დანა გულს დასერავს თოთოს!..

28.09.80
სოხუმი

## ჩუმად!

უსმინე ჩუმად! რას ლოცულობს მინდვრის ყვავილი?
საგაზაფხულო, როცა მოდგა
ნისლის ბლონდები...
გუთანს ეძახის, მეგობარო, მიწა ყამირი,
მოარღვევს სივრცეს,
მზე გუგუნით გვიახლოვდება!..
ქალწულებივით ტკარცალებენ ატმის ტოტები,
შეხედე, ღრუბლებს
ვარდისფერი თრთოლვა ედება!..
ჩუმად, ძმობილო, გაზაფხულის შუქი მოცურავს,
ჩუმად, ძმობილო,
გაზაფხულის დილა თენდება!..

15.03.81
ბანძა

## ბაია

უსმინე ტყიდან გუგულების ლამაზ მოძახილს!
მიაყურადე, ჩანჩქერების
ისმის ჩქაფუნი!..
უსმინე კარგად, ფრინველების გალობს ოჯახი,
და ძველებურად ყეფს და
ჩხავის ჩემი ჯაფარა!..
ხედავ, მინდორი მზემ ხოხბების ფრთებით დაფარა,
შენი თვალები იცრემლება, –
ვისი ბრალია?
ხარობს ბუნება! შენ სევდა ვინ შემოგაპარა?
რად იცრემლები ასე ჩუმად,
ჩემო ბაია?!

17.04.81
ბანძა

## ისმის ყივილი მიწის!..

ის არხევს ცისფერ სიმებს და სივრცეს
თრთოლვით უმზერს,
აპრილის თბილი წვიმა
ზამბახს გადასდის გულზე!..
ჩუმად ეცემა მუხლზე ანგელოზივით
მორცხვი,
თავს სასოებით უხრის
და სიყვარულით კოცნის!..
ჩიტი უგალობს მზის სხივს და ჩიტს
ყვავილი ათოვს!..
ისმის ყივილი მიწის
და მთელ სამყაროს ათბობს!..

21.03.81
სოხუმი

## ეს ახლა არის?!

ის იდგა ხელაპყრობილი, მზემ გაზაფხულის ინათა!..
ეს ახლა არის, ძმობილო,
თუ ასე იყო წინათაც?!
ერთის ოჯახი ზეიმობს, მეორის თითქმის მინავლდა!
ეს ახლა არის, ძმობილო,
თუ ასე იყო წინათაც?!
ის გოგო-ბიჭი ლამაზი თრთოლვით შეჩერდა ჩინართან...
ეს ახლა არის, ძმობილო,
თუ ასე იყო წინათაც?!
მზე ამოვიდა ზეიმით და სადღაც გაუჩინარდა,
ეს ახლა არის, ძმობილო,
თუ ასე იყო წინათაც?!

25.03.81
სოხუმი

## მღერის სიცოცხლის ქალაქი

ხედავ, კვლავ გამოზაფხულდა! მზე კვლავ
მოაწვა სანახებს...
გალობს ჩიტების მინდორი,
მღერის სიცოცხლის ქალაქი!..
ცა აღტაცებას ვერ მალავს, სული
ოცნებას უნდება,
ზამთარს ბეგთარი გაუცვდა,
თოვლის სიმღერა ხუნდება!..
კვლავ მოდის დღესასწაული და სული
ზეიმს აპირებს!
ამ ცას მე ვერსად წავუვალ,
ამ აყვავებულ ნაპირებს!..
მზემ გამიღიმა ქალივით, სული ბადაგით
ამივსო!..
ქრიან აპრილის ქარები,
რომ დარდი გადამავიწყონ!
ცას ვუქებ სიდარბაისლეს, მიწას
ყვავილთა სინაზეს!
მოდის მზე
ოქროს ქალწული
და თრთოლვით წვება სილაზე...
ხედავ, კვლავ გამოზაფხულდა! მზე კვლავ
მოაწვა სანახებს...
გალობს ჩიტების მინდორი,
მღერის სიცოცხლის ქალაქი!..

06.04.81

სოხუმი

## გამოღვიძება

გამოიღვიძა ბუნებამ და საოცრება მაჩვენა!..
სასწაულია ნამდვილად
ქვეყნად სიცოცხლის გაჩენა!..

შეხედე, – მთვარეს, ვარსკვლავებს, დილით
მზის ამობრძანებას,
ეს ყველაფერი გვაჩუქა,
მხოლოდ ბუნების ძალებმა!

ყვავილი ცეკვავს, იცინის, ჩიტი სამოთხეს
უგალობს!..
ყველგან სიცოცხლე ირხევა,
შენგან ნაკურთხი, უფალო!

მინდვრად ბალახი შრიალებს და შუქი
ათოვს მთა-ველებს,
შეხედე, როგორ ირწევა, –
ეს უთვალავი თაველი!..
გამოჩნდა ლანდი ვეება და ბიოსფეროს
აშინებს,
ჩემი პლანეტა ცახცახებს
და იცრემლება ბავშვივით!..
გამოიღვიძა ბუნებამ და საოცრება მაჩვენა!..
სასწაულია ნამდვილად
ქვეყნად სიცოცხლის გაჩენა!..

21.04.81

სოხუმი

# თოვლიანი დღეების სერენადა

ქარს ფიფქები მოაქვს და ფერს უცვლის ხედებს,
მე გავცქერი ღელვით
ბუნების ამ შედევრს!..

ქარს ფიფქები მოაქვს, ეფინება არეს...
თოვლის თეთრი გოგო
ისევ ცეკვავს გარეთ...

ქარს ფიფქები მოაქვს და ნატერფალს ტოვებს,
ვინ გაიგებს ახლა
ამ ჩემს სიმარტოვეს?!

ქარს ფიფქები მოაქვს და ფერს უცვლის ხედებს,
მე გავცქერი ისევ
ბუნების ამ შედევრს!..

12.01.82
სოხუმი

## გული სიხარულს ვერ მალავს

ისევ აფეთქდა ტყემალი, ზღვა ზამთრის
ქარებს იშორებს,
გული სიხარულს
ვერ მალავს, –
ცა კი ღიმილს და სიშორეს!
სულს აღტაცება ედება, დღე თითქოს
ციდან ჩამოდის,
ღრუბლის აცურდა გედები,
შუქი იღვრება სამოთხის!..
მივალ ოცნების ბილიკზე, წამწამზე
ცრემლი მაშრება,
მზეზე პირს იბანს პირიმზე
და სიო ეთამაშება!..
ისევ აფეთქდა ტყემალი, ზღვა ზამთრის
ქარებს იშორებს,
გული სიხარულს
ვერ მალავს, –
ცა კი ღიმილს და სიშორეს!..

29.02.82
სოხუმი

## დილის მზე

აწყდება ფანჯრებს დილის მზე, ეს გაზაფხულიც მოვიდა!
როგორ იცინის პირიმზე
და მეც სიცილი მომინდა!
ჩემი ცა კრთის და კამკამებს, თითქოს ვიწყები თავიდან,
ეს სასწაული მაკმარეთ,
სხვა სასწაული არ მინდა!
ხასხასებს ჩემი მინდორი, ვით აბრეშუმი ფერადი,
მე სილამაზეს ვეძებდი,
ახლა სავსე ვარ ყელამდი!...
მე მინდორ-მინდორ დავრბივარ, თითქოს ბავშვი ვარ პატარა,
მე ის სითბო მწვავს ულევი,
რაც დედამ გამომატანა!..
ჩემი ცა მინდა მეხუროს, მეგოს რძით სავსე ქათიბი,
ფერდობზე წამოვწვები და
მზეც ჟრიამულით გადივლის!..
მოსწყდება სივრცეს გალობით ვარსკვლავი ოქროს ჩიტივით!
ჩემს ფანჯრებს ქროლვით ჩაუვლის
და სიხარულით იტირებს!..
აწყდება ფანჯრებს დილის მზე, ეს გაზაფხულიც მოვიდა!
როგორ იცინის პირიმზე
და მეც სიცილი მომინდა!..

10.03.82
ბანძა

## მზე მოაწვა ნაპირებს

გულო, რაღას აპირებ, სულო, შენ რას მოელი?
ახლოვდება აპრილი
და მზე უკრავს როიალს!..

ისმის ირმის ყვირილი, რომ მიდამოს ედება...
და გალობა გვირილის
როგორ მეიმედება!..

ეს მთა ისევ გუგუნებს, ცას სერავენ გედები...
უნდა იყო უგულო,
რომ ვერ იგრძნო ედემი!..

მზე მოაწვა ნაპირებს, ისევ უკრავს როიალს!..
გულო, რაღას აპირებ,
სულო, შენ რას მოელი?!

24.03.82
სოხუმი

## შენ გამიგონე, ცაო!

ნუ გამიქარვებ იმედს, შუქს ნუ ჩამიქრობ დილის!
ნუ დაამსგავსებ მღვიმეს, –
ძლეულს ხავსით და ჩრდილით,
ჩემი ცხოვრების დღეებს დაღლილს კვეთებით ქარის,
ნუ დაამსგავსებ მზის მკერდს, –
ო, მკერდს გაძარცულს მთვარის!

ნუ გამაგონებ ტირილს უდედოდ შთენილ ბავშვის!
შუქს ნუ ჩამიქრობ დილის
და ნუ გაჰფანტავ ქარში!..

ნუ გამიმეფებ ღამეს, მზეს ნუ დამიმხობ ხვალის,
ნუ გამაგონებ ბღავილს
უჭირისუფლო ხარის!

ნუ გამიქარვებ იმედს და ნურც ნურაფერს მეტყვი,
ნუ დაამსგავსებ ჩემს სულს
ვენახს დაგლეჯილს სეტყვით!

ნუ დამიძენძავ ბინდით მინდვრებს შუქი რომ ენთო!
ნუ დაამსგავსებ ერთურთს
ჭალებს, მთებსა და ფერდობს!

18.04.82
სოხუმი

## გაზაფხულო, ამიყვავე ბაღი!

მოდის იგი ბილიკ-ბილიკ აღმა, მოაქვს თრთოლვით
ყვავილების წარღვნა!..
გაზაფხულო, ამიყვავე ბაღი,
იგალობოს სიყვარულის ბაღმა!..
დამირხიე ოქროსფერი ჩქერი, მზის სიმები
ყვავილების ჩერო!...
ამიმღერე ცისარტყელას ღელე
და მეც ვიტყვი საგალობელს მერე!..
და ვიაროთ ეზო-ეზო წყვილად და სიმღერით შევხვდეთ
ყოველ დილას!
ეს სიცოცხლე სხვა არაფერს ითხოვს,
მზის მდინარეს, ყვავილების სითბოს!..

07.07.82
ბანძა

## ყვავილი

მოიხსენ თეთრი თავშალი და ტრფობით უცქერ მზეს!...
შრიალებს თოვლი ფაშარი,
                    ჟამმა იცვალა ზნე!..
ირხევი თითქოს ეკრანზე, ჩიტებს ეცვალა ხმა
და გაზაფხულის რეკავს მზე,
მოვა აპრილი ხვალ!..
შენ მარტის სუსხი გაშინებს, ო, რა საოცრად კრთი!..
მზესთან გწყურია კავშირი,
                    როცა ქარები ქრის!...
მოიხსენ თეთრი თავშალი და ტრფობით უცქერ მზეს!..
შრიალებს თოვლი ფაშარი,
ჟამმა იცვალა ზნე!..

30.03.99
ბანძა

* * *

საღლაც ღრუბელი დაეშვა და მზე დაღლილი მიწვა,
სადღაც ქარები თარეშობს
                                  და მკერდი სტკივა მიწას!
სადღაც ვარსკვლავი ციმციმებს, გზავნის მოლურჯო სხივებს,
სადღაც დემონი იცინის და არხევს ჟამის სიმებს!..

10.07.82
ბანძა

## ცხრა ანგელოზი გალობს

შეხედე, მაღალ მწვერვალებს მზე სხივებს როგორ ახვევს,
მერე მოვა და ეწვევა
მინდორ-ველსა და ბაღებს...
შეხედე, ზვირთი მოღელავს და მზე უვარცხნის ქოჩორს,
ფოთლებში ფეთქავს ხოხობი,
მოლზე კაკანებს როჭო...
ისევ იცინის პირიმზე, შენც გაიცინე, ქალო!
მოდის, მოღელავს დილის მზე
ცხრა ანგელოზი გალობს!..

23.07.82
სოხუმი

# ო, არ მაჩვენოთ!

ო, არ მაჩვენოთ ეს შავი ჯვარი, რამე თუ მზარავს!
ყრია ყვითელი ფოთლების შავი,
ბრუნავს მღელვარე დღეების ჯარა!..
აღარ მაჩვენოთ ღრუბლები შავი, ჩემს ცას ძაძები
გახადეთ ჩქარა!
მე მიყვარს რბილი ფერები ღამის
და განთიადის ცისფერი შარა!..
მინდა ვუსმინო ფუტკრების ფუსფუსს,
როცა შრიალებს ყვავილი წყნარად...
არ მიყვარს ღამის ფერი უსულო,
რამეთუ მზის ფერს
ვეტრფოდი მარად!..

15.10.82
სოხუმი

# მარადისობის კანონი

განა ღმერთია ზეცაში, ან ჯოჯოხეთში ქარონი?
ცვივა სიცოცხლის ფოთოლი მარადისობის კანონით!..
რა შორს გაფრინდა ის წლები დეგრიესი და მანონის?
და ყველაფერი ირწევა
მარადისობის კანონით!..
ზეიმობს ზღვა ანგარების, არიან უანგარონიც!
ასე ინება განგებამ მარადისობის კანონით!
მოვა ჟამი და ყვირილით მოსეს დაამხობს არონი!
ცას ორბი გადიყივილებს
მარადისობის კანონით!..
ზღვა ბობოქრობს და ირევა, მოიმღერიან წყარონი,
ბუნებამ ასე ინება
მარადისობის კანონით!
დროს კალმით ბევრი ედავა, იზნიქებიან თარონი!..
და მიქრის ოთხი მხედარი
მარადისობის კანონით!..

16.10.82
ბანძა

* * *

მზე ღრუბლებს გამოარღვევს, გაშლის ოქროსფერ
კალთას,
მერე გახედე ბაღებს,
თუ რა ნათელი ადგას!..
მოდის აპრილის დილა და რტო იცინის ატმის,
მერე ბუდეში ტკბილად
აჟღურტულდება ბარტყი!..
ნიავი გაიმინდვრებს, ფრთებს ცისარტყელად გაშლის
და ქვეყნად ცოცხლობ ვიდრე,
შენც ვერ დარჩები ვალში!

21.03.82
სოხუმი

# ᲗᲝᲕᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ

ახლა აქ მხოლოდ დუმილი სუფევს და ეფინება
ფიფქები საფლავს,
ახლა აქ მხოლოდ დუმილი სუფევს
და შლის ტკივილი იისფერ აფრას!..
ახლა აქ მხოლოდ დუმილი სუფევს და თოვლის თეთრი
ჩიტები ფეთქავს...
ახლა აქ მხოლოდ დუმილი სუფევს
და დაობს თოვლი საფლავის ფერთან!..
ცაზე გადადის ღრუბლები ქროლვით და სულს მწუხარე
სიმები ზაფრავს!..
ჩამოდის თოვლი, ჩამოდის თოვლი
და ეფინება ფიფქები საფლავს!..

08.01.83
ბანძა

## ვერ დააბრუნებ!

სულაც არ გავხარ წლებით უვნებელს,
          თუმც გიცხოვრია პატარა ხანი!
ვერ დააბრუნებ დაუბრუნებელს
და დაგეფშვნება
თოვლივით ტანი!
თუ ქარში მბრუნავ ფიფქების მორევს
          გაატან ჩუმად სევდას და ვარამს...
დაგიბრუნდება, ძვირფასო, ღონე,
სულში ჩადგება
სინათლის ძალა!..

23.02.84
სოხუმი

## შუქი არღვევს სიშორეს!..

ის ტკივილი მე დღემდე ველარ ჩამოვიშორე,
შეხედე, ვით ჭრილობა,
შუქი არღვევს სიშორეს!..
გადმოლახა ის მთები, ის ხევი და ზეგანი,
გაზაფხული შემოდის,
გაზაფხული ზეგ არის!..
მზე გადმოდგა მწვერვალზე, ტანზე ძოწის ქსოვილით
და გამოჩნდა გუმბათი
შუქით მოოქროვილი!..

27.02.84
სოხუმი

## საიდან?!

შენი ლამაზი სიმღერა მესმის, – საიდან
ნეტავ?!
საგაზაფხულო ქარების ხმა
მოარღვევს სივრცეს!..
კვლავ ეხეთქება სულის აფრებს
ზამთარი ურჩი,
ნისლი ეფარვის
შემოგარენს,
ვერაფერს ვხედავ!
შენი ლამაზი სიმღერა მესმის, –
საიდან, ნეტავ?!

28.02.84
სოხუმი

## იგალობე, სიყვარულის მზეო!..

ცა მომაპყრობს ხავერდოვან მზერას,
მზე მაისის აფერადებს ბექობს...
ჩემს მინდორზე გაზაფხული ღელავს
და ქარს მიაქვს
სივრცეებში ექო!..
მე მზის ვისმენ ოკეანის გუგუნს
და ხმა მესმის იდუმალი ლოცვის!..
მზეს უცინის და ზეიმობს სული!...
მზეს უცინის და
ზეიმობს ხორცი!..
სიყვარულის საგალობელს ამბობს
ცისარტყელას მოხასხასე შუქი!..
ცამ ცრემლები მოიშორა უკვე
და მზეს უყოფს
ეს ყაყაჩო ამბორს!..
შენი ჩუმი არ მშორდება მზერა,
მესმის ციდან ანგელოზი გალობს!..
იგალობე, სიყვარულის მზეო,
იგალობე, სიყვარულის ქარო!

08.03.84
სოხუმი

## იყო წამება ყოფნის!

სული მანამდის იწვის, სისხლი სანამდის ღელავს!
მერე შორდება ყოველს,
მერე შორდება ყველას!..

უდაბურება სივრცის მას არ აშინებს სულაც!
სხეულს დაამსხვრევს ისე,
ვით ბავშვი ქვაზე სურას!..

იყო წამება ყოფნის, შუქი აპრილის ალის!
ღელვა ამაო სოფლის
სულს არ უკარგავს ხალისს!

მზის სხივს ღიმილით დავლევ, შუბლი სანამდე მიხურს,
მერე დავტოვებ მთაზე
მთვარის პატარა ჯიხურს!..

25.03.84
სოხუმი

## ჩიტი

მზე ამოდის! გაზაფხული უკვე ფეხზე დგება,
მე იმ დღეთა სატკივარი
გულზე მომენთება!..

ო, ამ დილით ფაშარ თოვლში ჩიტმა იბანავა,
მერე მოჰყვა ატმის რტოზე
გალობას და ნავარდს!..

16.03.85
სოხუმი



# უკრავს ჩანგი ბუნების

სიო არხევს ბალახებს მზე ვარდებში იცინის,
მინდა ისევ განახო
                    წყალში შუქის ციმციმი...
წამო, ჩემო გოგონა, და ზღვის რხევას ვუცქიროთ,
ვკოცნოთ ატმის კოკორი
და ცა ვნახოთ უძიროს!..
აქ ალვის ხე შრიალებს, შორს ღრუბელი მიცურავს...
და ტოროლა წკრიალით
                    მზესთან ახლოს მისულა...
ვაზი ტირის, ტრფიალით  მზე ყელზე რომ ეხვევა,
ვარდი იწვის სიალით,
რომ გრძნობს სიოს შეხებას!..
ისმის ხმა უჩინარი, აყოლილი ცდუნებას,
ისევ ღელავს ჩინარი
უკრავს ჩანგი ბუნების!..

02.04.85
სოხუმი

## ისევ ვეწვიე

ჩემს ჭალას ისევ ვეწვიე ბუნებამ რომ მიწყალობა,
დიდხანს ვუსმენდი მზეწვიებს
და იადონთა გალობას!
ჩემი ბავშვობის ბილიკი სადღაც, შორს მიილანდება...
წყაროც გზას სადღაც მიიკვლევს, –
რატომღაც აგვიანდება!
ირხევა ჩემი ვაშლის ხე ტანდაკორძილი, ეული,
ყვავილს ხავერდად გამიშლის,
რომ მოვასვენო სხეული...
ატმის რტოს მოვეფერები და ჩიტუნების გალობას,
კვლავ ვთვრები ცათა მშვენებით
და ვლოცავ მე შენს ქალობას!
ჩემს ჭალას ისევ ვეწვიე ბუნებამ რომ მიწყალობა,
დიდხანს ვუსმენდი მზეწვიებს
და იადონთა გალობას!..

04.04.86
ბანძა

## მიტოვებული საფლავი

დღეს შენს საფლავთან არავინ მოდის, მხოლოდ ცრემლები
ჩამოსდის იას!..
დუმს ბალახებში ბებერი ლოდი
და ისხლეტს ტანზე
აპრილის ნიავს!..

დღეს შენს საფლავთან არავინ მოდის, ო, თუმცა მზის და
ვარდების თვეა!..
მხოლოდ ობოლი ირხევა ტოტი
და რა იდუმალ
ჩურჩულებს, თეა!..

10.04.86
სოხუმი

## ისმის ვარდების სიმღერა

კვლავ დაიბრუნე ის გზები და ზეცა ნაოცნებარი!
თვალები შუქით ივსება,
თუ დღემდე ნისლი ეფარა!..

კვლავ დაიბრუნე ის გზნება და გრძნობა უფაქიზესი,
ისმის ვარდების სიმღერა,
ვით სიყვარულის მიზეზი!..

გულს აღარ ეუცხოები, არც დასაღუპად გიმეტებს!
მიდის და მიდის ცხოვრება
და მაინც მოაქვს იმედი!..

18.04.85
სოხუმი

## მიფარფატებს ხავერდულა

შეხედე, რა გაბედულად ანთებს ეს მზე ფერთა გამას,
მიფარფატებს ხავერდულა
და ცისფერი შვენის კაბა!
აქ ბინული გალობს ნაზად, იქ ხოხობი ჩაიქროლებს,
შორს, არწივი სივრცეს ხაზავს,
გადმოფრინდა ხიდან ქორი...
ვერხვი ტანზე ცვარ-ნამს იშრობს და მზე თვალებს
ახელს დიდრონს!
ეს ბაჭია რაზე შიშობს,
რომ ეცემა ჩრდილი მინდორს?
აქ ყაყაჩო მოლაღანებს, იქ ნარჩიტა და გულსაბა,
ამ ყვავილს კი რაღა ჰქვია,
რომ ჩაუცვამს ჩითის კაბა?
და მხილველი ამდენ რამის, ო, მეც ჩუმად ჩავიმღერებ,
იქ, ხის წვერზე რად ზის ყვავი?
ან რად შეკრთა ლერწმის ღერო?
შეხედე, რა გაბედულად ანთებს ეს მზე ფერთა გამას,
მიფარფატებს ხავერდულა
და ცისფერი შვენის კაბა!

10.05.86
ბანძა

## ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲛᲘᲔᲚᲢᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ

გიგრძნია სურნელი ბალახის ცისკრის ჟამს უმანკო ცვარში?
გინახავს ბიჭები ლამაზი
ქუდებს რომ ისროდნენ ცაში?
გიგრძნია ფერები აპრილის, ზეცა რომ იცვლიდა სამოსს?
გინახავს ცისფერი ნაპირი,
ძვირფასო, იქითკენ წამო!..
გიგრძნია ღრუბელი ფაფუკი და ჩუმად მზის ჩასვლა ზღვაზე?
ან ტყე რომ ირწევა ბამბუკის
ნიავის უცნაურ ხმაზე?
გიგრძნია სიცილი ტალღების მზის სხივზე მაისის დილით?
გინახავს ჩიტუნა პატარა,
ო, როცა მეგობარს ტირის?
გიგრძნია ზარების წკრიალი თოვლიან მწვერვალთან ახლოს?
გინახავს ბალახი შრიალა
სიო რომ გადუფრენს მაღლობს?
ირწევა ცისფერი მდინარე, მისდევენ ტალღები ტალღებს...
გინახავს ქალწული მძინარე?
თუ აღარ გინახავს, ნახე!..
გიგრძნია მზის ამობრძანება, ან რტოზე ფუსფუსი ფუტკრის?
მთვარიან ღამეში ზმანება,
ან ტყიდან ძახილი შურთხის?
გინახავს ენძელა სიცილით ქათქათა სამოსს რომ არღვევს?
გიგრძნია ვარსკვლავი ციმციმით
ლაჟვარდის კარებს რომ აღებს?
გიგრძნია ცა შემოღამების ზარებს რომ რეკავდა მნათე?
ან რტოდან ნაღვლიან თვალებით,

რომ დედას ეძახდა მართვე?
სიცოცხლეს მიელტვის ყოველი და ცისფერ ბილიკებს ეძებს!..
გინახავს თვალები სოველი,
რომ ჩუმად იცინის მზეზე?
გიგრძნია სურნელი ბალახის ცისკრის ჟამს უმანკო ცვარში?
გინახავს ბიჭები ლამაზი
ქუდებს რომ ისროდნენ ცაში?

01.07.86

## ღრუბლის ქულა

ცის სიღრმეში ღრუბლის ქულა იწვა,
ტანზე მრუმე სამოსელი ეცვა!
აბობოქრდა!.. მერე რისხვად იქცა...
და მთა-ბარი
ერთიანად შესძრა!..

30.09.86
ბანძა

## სიმღერით მოემართება

მასვლებს წვიმა მაისის, ფერდობს ნიავიც გამოსცდა,
კვლავ ის ლამაზი ხმა ისმის
და სისხლს მიჩქროლებს საოცრად!..

გული მაქვს შენით დაჭრილი და მზის გამოკრთის ნათება
და ეს ჩიტუნაც ფრთაჭრელი
სიმღერით მოემართება!..

31.05.87
სოხუმი

## ატირდება ფანჯარასთან ტოტი

ვიცი, მოვა განშორების ჟამი, ცრემლი უხმოდ
მოგადგება თვალზე,
ეს დღეები გაფრინდება, წავა,
ვით ლაჟვარდში
გედის სილამაზე!..

ატირდება ფანჯარასთან ტოტი და ჩამოშლის
მოყვითალო ფოთლებს,
ხიბლი უკვე
არ ექნება ლოდინს,
საყვარელო, ან რა უნდა ჰქონდეს?!

დაღლილ სხეულს სული ველარ ათრევს და მზის შუქი,
ვერ აგივსებს უბეს,
მერე ფორმას
ვერ უპოვი სათქმელს,
სულში დარდის ჩაგიდგება გუბე!..

ვერც ზღვის ღელვა შეგაშფოთებს ალბათ, ვერ მიაგნებ
სიყმაწვილის ბოგირს,
რუხი ნისლი
დაეშვება დაბლა,
მხოლოდ წვიმის იქანავებს თოკი!..

ვიცი, მოვა განშორების ჟამი, ცრემლი უხმოდ
მოგადგება თვალზე..
ეს დღეები გაფრინდება, წავა, –
ვით ლაჟვარდში
გედის სილამაზე!..

27.06.87
სოხუმი

# ცისფერი სანთელი

სიხარულიც მქონია და ტკივილიც რამდენი,
მაინც ჩემი მგონია, –
ის ცისფერი სანთელი!..
დღეებს დაუბრუნებელს სული მისდევს ვედრებით,
კარგად ვიცი ბუნება
ჩემი შემოქმედების!...
იქ მთებია მაღალი და ჩანჩქერიც მოღელავს,
აქ ენგური ხმიანებს,
იქ ღიღინებს ნოღელა!...
მე არ ვიცი რა არის სულის ულმობობა!
ფეთქავს ზეცის კამარა,
მზე ვიცი რომ ამოვა!...
სიხარულიც მქონია და ტკივილიც რამდენი,
მაინც ჩემი მგონია, –
ის ცისფერი სანთელი!..

03.07.87
ბანძა

## ჩემო პატარა დედოფალო!

შენ ჩამოჰყვები ცისფერ ბილიკს მინდვრის ყვავილთა
ფერადი ცეცხლით,
ჩემო პატარა დედოფალო!
შენ მოხვალ ჩემთან,
მომიტან მთვარის შორეულ ღიმილს
და აკაციის ყვავილების უნაზეს თრთოლვას...
დამაფენ გულზე ფოთლების ლაჟვარდს
და მაისის მზის
მეწამულ შრიალს...
და ჩემი სულის უსაზღვრო ცაზე, –
შენ აინთები სხივნათელი
ჩუმი ვარსკვლავი!..

22.02.88
სოხუმი

* * *

შემოდგომა მიილია, ქამი ბალახს ცელავს,
ეჰ, რამხელა ტკივილია,
ეს ფოთლების ცვენა!..

არც ვარდები მიღიმიან, არც ის თვალი ელავს!
ცას ფრინველნი მიჰყივიან
და სული რად ღელავს?!

14.10.88
სოხუმი

## მორჩებიან ლოცვას

შენ დუმილის მინებდები ხელებს, სიმღერისგან
დაიცლები როცა!
შენ წახვალ და
სხვა იმღერებს მერე,
ბაგეები მორჩებიან ლოცვას!..
მაშინ, ვინღამ მოიგონოს ის დრო და ლამაზი
დაისები ზღვაზე?
ნისლი თრთოლვით
გადაივლის მინდორს,
გზა დარჩება მდუმარებით სავსე!..
გააღვიძებს ენძელას და იას გაზაფხულის
ფრთახასხასა სიო,
გედის ყელი
გადაუგდე ნიავს,
რომ ოცნების შუქი მოგახვიოს!..
მინებდები შენ დუმილის ხელებს, სიმღერისგან
დაიცლები როცა!
შენ წახვალ და
სხვა იმღერებს მერე,
ბაგეები მორჩებიან ლოცვას!..

06.07.89
სოხუმი

## ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲛᲘᲡᲮᲘ!

ერთხელ კიდევ შენს მოსვლას, მზეო, მივესალმები!
მინდვრებს შუქით შემოსავ,
იმღერებენ ალვები!..

ერთხელ კიდევ შენს მუხლთან, მუხლს მოვიყრი ლოცვებით!
სივრცეს მზერით დავმუხტავ,
წყლულიც შემიხორცდება!

ერთხელ კიდევ მოვილხენ ამ მთებით და ჭალებით!
ვერხვი ნიავს მომირხევს,
ტრფობით გავიმჭვალები!..

ერთხელ კიდევ, ძვირფასო, მოვა ღელვა თავისით,
ერთხელ კიდევ მოვილხენ,
ერთხელ კიდევ დამისხი!

ერთხელ კიდევ მე და შენ იმ ძველ ბილიკს ვეწვევით,
მერე თუნდაც მოვარდეს
ბედისწერის მეწყერი!..

30.07.89
სოხუმი

## ჟამი მიდის, ლაურა!

არ შესწყვიტო ეგ სიმღერა, თორემ დარდი მერევა!..
თუ შენ არა, საყვარელო,
ვინღა მომეფერება?
გაზაფხულის ცაზე ღამით ქარმა გადიხმაურა...
ჟამი მიდის,
ჟამი მიდის,
ჟამი მიდის, ლაურა!
ეს ბილიკი ერთად ვთელეთ, მთვარეც გავინაპირეთ,
გახსოვს, თეთრი იალქნებით
მოდიოდა აპრილი!..
ნიავს ნისლი მიმოქონდა და მზეც მოგვესალამა,
ჭადრის ხიდან თეთრი ჩიტი
აკვნესებდა სალამურს!..
გახსოვს, ერთხანს რომ შევჩერდით ო, იმ ბაღის კარებთან
და მებაღეს ბავშვურ თრთოლვით
ვუცქეროდით გარედან?
ის დრო გაქრა უგზო-უკვლოდ, ნეტავ, საით წავიდა?
გახსოვს, იმ დღეს აივნიდან
გეძახოდა მამიდა!..
არ შესწყვიტო ეგ სიმღერა, თორემ დარდი მერევა!..
თუ შენ არა, საყვარელო,
ვინღა მომეფერება?
გაზაფხულის ცაზე ღამით ქარმა გადიხმაურა!..
ჟამი მიდის,
ჟამი მიდის,
ჟამი მიდის, ლაურა!

12.08.89
სოხუმი

## ტყეს ფოთოლი სცვივა

მოვიქანცე, მაგრამ მაინც იმ ბილიკზე მივალ,
ცაზე მოჩანს მთვარე მკრთალი,
ტყეს ფოთოლი სცვივა!..
ბებერ ხეზე ყვავი ჩხავის, კვამლი სწყდება ღუმელს,
სადღაც იქით, მოჩანს ხრამი, –
პირქუში და მრუმე!..

მზე კი ჩადის და ჩასვლის წინ შეჩერდება წუთით,
შეღამების ჩიტი წივის,
ხე აიკლო თუთის!..

საიდუმლო წუთისოფლის ვეღარ ამოვხსენი!
როგორ დაჭკნა ვარდი ქორფა,
როგორ ღვარა ცრემლი?!
მოვიქანცე, მაგრამ მაინც იმ ბილიკზე მივალ,
ცაზე მოჩანს მთვარე მკრთალი,
ტყეს ფოთოლი სცვივა!..

16.08.89
ბანძა

## სასაფლაოზე

სასაფლაოზე ცისფერთვალება პატარა გოგო
პეპელას სდევდა...
ფეთქავდა სივრცის
ლურჯი ზმანება
და ცრემლებს უხმოდ მალავდა დედა!
სამარე მამის იყო მდუმარი და სიო ცისფერ
ხავერდს აღვრიდა...
ანგელოზების
ხმა იდუმალი
ფრთებით მოჰქონდა ნიავს ბაღიდან!..

05.09.89
ბანძა

## მუსიკა თოვლში

სარკმელთან ზის და უკრავს ლატავრა
და გასცქერს მინდორს თოვლით მოფენილს...
რა სიმაღლიდან იხმო პატარამ,
სული ბახის და
სული შოპენის?!
გარეთ ფიფქების არის ტრიალი,
სულს უჩვეულო ღელვა მოება!..
გადამავიწყა ჟამი ტიალი
და ნაღვლიანი განმარტოება!..
სივრცეს ფერადი ზვირთი ედება,
ის სიყვარულის ჰანგებს ათოვებს...
და ამ საოცარ შემოქმედებას
ვუსმინე დიდხანს,
ვერ მივატოვე!..

14.02.90
სოხუმი

## ჩემს ფანჯარასთან

ჩემი ფანჯრიდან შემოდის ფრინველთა ლაღი ხმები,
ამ საოცრებას ველოდი
და სიოს განახლების!..
ჩემს ფანჯარასთან მზის ჩქერი სიმებს საოცარს არხევს,
მოდი, ძვირფასო, იჩქარე,
ზღვა მოლივლივე ნახე!..
ჩემს ფანჯარასთან თამაშობს ჭრელი პეპელა ორი,
მე კი დაღლილს და დამაშვრალს
მზე მეფერება შორი!..
ჩემს ფანჯრებს ელაციცება სიო ალუბლის ტოტის,
ნახე, ზღვის სუნთქვა იცვლება,
თუ გაზაფხული მოდის?
ჩემს ფანჯარასთან ყვავილი ისევ იცინის ატმის,
მისწყდა ყვავების ჩხავილი
და ხე ირხევა ნატვრის...
ჩემი ფანჯრიდან შემოდის ფრინველთა ლაღი ხმები,
ამ საოცრებას ველოდი
და სიოს განახლების!..

23.03.90
სოხუმი

## ველოდები სიშორიდან მერცხალს

სხვა გემო აქვს გაზაფხულის წყაროს,
სხვა ფერი აქვს
გაზაფხულის ზეცას!
სულს ახარებს ო, ეს მთები მწვანე,
თუმცა ბევრჯერ
 აღმომხდება კვნესა!..
ახლა მხოლოდ მოლოდინის ტყვე ვარ
და თვალები ღიმილით
მაქვს სველი!..
გული უძლებს ჟამის შემოტევას,
ვარდფურცლობის
საოცრებას ველი!..
სხვა გემო აქვს გაზაფხულის წყაროს,
სხვა ფერი აქვს
გაზაფხულის ზეცას!
სულს ახარებს ო, ეს მთები მწვანე,
ველოდები სიშორიდან მერცხალს!..

17.03.90
სოხუმი

# წევს ეს მდინარე გულაღმა

გავცდი იმ დღეებს უფერულს და გულს
არავინ მიჩეხავს!
დღეს ზამთრის ბოლო ღრუბელი
უფსკრულში გადაიჩეხა!..
სულს ღელვა შემოუნახავს და სივრცე
გაითავისა!
წევს ეს მდინარე გულაღმა
და ამბობს ზღაპარს ღამისას!..

27.03.90
სოხუმი

## მზე ქვიშაზე

ადამის მოდგმას შეცოდება, ღმერთო შეუნდე!
და ნუ ჩაუქრობ
ცის კამარას მზეს და განთიადს!
კვლავ ღამის ფსკერზე დააბიჯებს უხმოდ იუდა,
მაგრამ მწვერვალზე
მაცხოვარის სული ანთია!..

ადამის მოდგმას შეცოდება, ღმერთო შეუნდე!
და ნუ მაჩვენებ დედის სახეს
ისევ დარდიანს!
სადღაც კვლავ მისდევს ქუჩა-ქუჩა ფაუსტს შეგირდი
და ემუქრება ბავშვის თვალებს, –
მზე რომ ხატია!

სხვა სიყვარული მე არ ვიცი, ვის ვეზიარო,
არ მითხოვია სხვა მზეები,
სხვა სადგურები,
აქ ჩემს მიწაზე კვლავ კაენის სული ტრიალებს
და ემუქრება
სილამაზეს განადგურებით!..

ანგელოზებო, არ დამემსხვრეს ფრთები ოცნების,
სადა ვარ ახლა? სულს ვინ მიმღვრევს
მრავალსანთლიანს?!
დარეკავს ჟამი! – სიცოცხლისთვის დავიხოცებით,
რომ კვლავ ქვიშაზე
მზეს ხატავდნენ – ნანა, ნათია!

12.06.90
სოხუმი

## ჩემო ქალაქო!

გალობს ბულბული და მინდორზე შველი ბალახობს,
გაღვიძებს ქარი და ზღვის ღელვა,
ჩემო ქალაქო!
ამოდის მზე და ზღვაზე ნისლის აფრა თამთამებს,
შენა ხარ ჩემი ოცნებების
თეთრი სათავე!
მე სიყვარულის შენი ერთი ტალღაც მეყოფა!
ვეჩურჩულები ოლეანდრებს,
როგორც მეგობარს!..
მაოცებს მთვარე, ზღვის სიმღერა, ცა საფირონის, –
მე შენი მიწის სილამაზის
მცხია მირონი!
ო, როგორ მიყვარს ლაჟვარდები შენი ხედების,
ზამთარია თუ გაზაფხულის
მზე იხედება!..
გალობს ბულბული და მინდორზე შველი ბალახობს,
გაღვიძებს ქარი და ზღვის ღელვა,
ჩემო ქალაქო!

14.06.90
სოხუმი

* * *

კაცი მაინც იმედებით ცხოვრობს,
თუნდაც ერთი სხივი კრთოდეს ცაზე!
კაცი მაინც იმედებით ცხოვრობს,
თუნდ ყელამდე
დარდით იყოს სავსე!
კაცი მაინც იმედებით ცხოვრობს,
მზის ამოსვლას ელოდება ხვალის!..
კაცი მაინც იმედებით ცხოვრობს,
ღელავს სული
მარად დაუმცხრალი!..

30.07.90
სოხუმი

## მტრედის სიკვდილი

ის ფრთებს ვერასდროს გაშლის, ვერც
ვარდფურცლობას ნახავს!
ის ფრთებს ვერასდროს გაშლის,
ჟამის დინებას გაჰყვა!..
ის ფრთებს ვერასდროს გაშლის, ვერც ცისკრის
ნახავს სიზმარს!..
ღამეს ჩაუდგა კვალში
და სიკვდილს შეეხიზნა!..
ის ფრთებს ვერასდროს გაშლის, ვერც
გადაუფრენს ქედებს!
მას უღალატა გულმა,
როცა მიაწყდა კედელს!..

03.08.90
სოხუმი

## ოღონდ გწვავდეს!

არ სჭირდება ერთგულებას ფიცი,
ოღონდ გწვავდეს
სიყვარულის ალი!..
რას ჭიხვინებს ეს ქურანა კვიცი?
ან რად კივის
სულში ნაღვერდალი?!
არ სჭირდება ერთგულებას ფიცი,
მხოლოდ ეტრფე
ანგელოზის თვალებს!..
შენი სულის საიდუმლო ვიცი,
მიტომ მიყვარს
ბილიკები მთვარის!..

არ სჭირდება ერთგულებას ფიცი,
არც საჯაროდ
აჟღერება ქნარის!
უგალობე ვარსკვლავების ციმციმს,
ართოდეს სულში
ცეცხლი ჩაუმქრალი!..

28.08.90
ბანძა

## გულო, აღარ შეუშინდე!

ჩემ სულს ისევ ასხივოსნებს ის თვალები მწველი!
წამებს, ისევ წამი მოსდევს
და წლებს ისევ წელი.
შუქი მოსავს იმ მწვერვალებს, ამ მწვერვალებს ნისლი,
ჟამი მოდგა, ვით მევალე
გასროლაზე ისრის!

გულო აღარ შეუშინდე, შენ ამ დღეთა ნობათს,
ეს დღე არ ჰგავს
დღეს გუშინდელს,
ვით ყოფილი მყოფადს!

ქარი იკლებს არემარეს, ნეტავ რაზე კივის?
და ფერდობზე თეთრი მთვარე
ჩამოცურდა ტივით...

ჩემ სულს ისევ ასხივოსნებს ის თვალები მწველი,
წამებს, ისევ წამი მოსდევს
და წლებს, ისევ წელი!..

22. 11. 90.
სოხუმი

# მიწას სუნთქვა მოეძალა!..

თოვლი კარგავს სილამაზეს და ცრემლი
სდის თვალებიდან,
მზე ამოდის შუქით სავსე
და ის მზეს ვერ გაწერიდა!

მიწას სუნთქვა მოეძალა, ვისმენ
ჩურჩულს ბალახების!..
სული თრთოლვას ველარ მალავს
და ცა ფეთქავს განახლების!..

სიო ისევ ფრთებს შლის ნაზად, არხევს
რტოებს უნებურად,
სივრცე როგორ გალამაზდა
და ზამთარი ეძებს ბუნაგს...

გელოდები! მოდი ისევ და ხეივნებს
გავყვეთ ჭადრის,
სულს ახარებს სიმაისე
და სევდას მგვრის მზე რომ ჩადის!..

04. 03. 91.
სოხუმი

## მზეო, ამოდი!

შევყურებ რიდით ხეებს ნაზამთრალს და მიპყრობს
სევდა გაუგონარი,
ო, ეს მდინარე
ისევ აზავთდა,
რომ დამიწყვიტოს
ფიქრის ზონარი!..

მზეო ამოდი, ამოანათე და ჩამოღვარე
შუქი ცხოველი,
შენი ლამაზი სუნთქვით დამათვრე,
რომ ვიგრძნო
ღელვა დაუცხრომელი!..

და ამოზიდე მიწის სიღრმიდან სიცოცხლე
ძალით პირველყოფილით,
ყველა ძარღვიდან
სისხლმა იყივლოს,
სული ავარდეს
ცაში ორბივით!..

მზეო ამოდი, ამოანათე და მაგრძნობინე
ღელვა ახალი,
შენი სხივების
რხევით დამათვრე
და გაზაფხულის მოსვლა მახარე!..
06. 03. 91.
სოხუმი

## რა საოცარი დარია!..

ცრემლი შეაშრა სანათას ო, ეს რამდენი ხანია!
თავს ხრიან უმუზარადოს, –
ეს ბუმბერაზი მთანია!..
სივრცეს საზღვარი არ უჩანს, ლელას სად მიუხარია?
სცვივა ყვავილი ალუჩას,
მზის სიყვარულით მთვრალია!..
შეხედე, ჩემი ალვის ხე რა თრთოლვას აუტანია?!
დამალევინე, დამისხი!
რა საოცარი დარია!..

15. 03. 91.
სოხუმი

# თეთრი გიტარა

მზე დაეძებს ლაჟვარდებს და თუ გამოიდარა,
იქნებ კიდევ აჟღერდეს
შენი თეთრი გიტარა!..

ფიქრები გვაქვს საერთო, სხვა კი არა მინდა-რა,
იქნებ კიდევ აენთოს
შენი თეთრი გიტარა!..

გასცდეს ღელვა სამანებს... სივრცეს გადაუაროს...
იყოს ქვეყნად სიმშვიდე,
ვპოვოთ  ნავსაყუდარი!..

უნდა მარად გვახსოვდეს – სულთან სულის მიტანა,
იყოს ქვეყნად სიმშვიდე,
ჟღერდეს თეთრი გიტარა!..

15. 04. 91.
ბანძა

## გესმის ყივილი მიწის?!

შენ ამდენს რატომ კვნესი, ო, პაწაწინა ჩიტო!
შეხედე, მწვანე მინდორს,
მიწის ყივილი გესმის?!

შეხედე, სხივთა ჩქერალს სივრცეს ათასფრად
რომ რთავს!..
ყველას სიცოცხლის სჯერა,
შენ კი ყოველდღე მოთქვამ!..

ცა კი სამოსელს იცვლის, იცვამს ხასხასა პერანგს,
ვარდი ტრფიალით იწვის,
და სიმს აჟღერებს ფერადს!..

წყარო სიცილით მორბის... ფუტკარს
ყვავილი ათრობს,
ზესაც აწყდება ორბი,
შენ იცრემლები მარტო!..

გულს რად იკაწრავ კვნესით და ჟამს რად
უცქერ უნდოდ?!
იქნებ ამ წუთისოფლის,
შენ იცი საიდუმლო?!

21. 05. 91.
ბანძა

# ისევ შენზე ვლოცულობ!

ისევ შენზე ვლოცულობ, ღამე დგება მზიანი,
ისევ შენზე ვლოცულობ,
ჩემი სულის ზიარო!

ისევ შენზე ვლოცულობ, ენა ლექსით ავიბი,
ისევ შენზე ვლოცულობ,
გულიც შენსკენ გამირბის!..

ისევ შენზე ვლოცულობ, ჟამი კბილებს ილესავს,
ისევ შენზე ვლოცულობ,
მხოლოდ შენზე, ინესა!..

18. 02. 92.
სოხუმი

## ႧႭႥႪႨႱ ႢႭႢႭႬႠ

ნაძვის ხეებთან ჩუმად ტირის გოგონა თოვლის
და სულს მოაწვა უმალ
სევდა ფარული თრთოლვით!..

დღე კი საოცრად ფეთქავს მზის შინდისფერი ხატით,
ღელავს მინდორი თეთრად,
სივრცეს მოარღვევს მნათი...

ქარი აღვიძებს კოკორს... ცა ელავს მინანქარის
და აკრთობს თოვლის გოგოს
აპრილის მზე და ქარი!..

12. 04. 92.
წყალტუბო

## სულო, რამდენს გადაურჩი!

ცა კვლავ მოჩანს ლურჯზე ლურჯი
და ნიავი მიამიტობს,
ვაყურადებ ღამის ჩურჩულს,
მწვანე ღამეს ვარჩევ მიტომ!..
ცა კვლავ მოჩანს ლურჯზე ლურჯი,
სიო დასდევს მთვარის ლანდებს...
სულო, რამდენს გადაურჩი
და რამდენჯერ დაიბადე!..

12. 05. 92.
სოხუმი

## კვლავ ის დინება მეძახის!..

სიო მოლურჯო ფრთებს არხევს
და მკერდს უკოცნის ყვავილებს,
კვლავ ის დინება მეძახის, –
უკვე დიდი ხნის ჩავლილი!..
მზე მინდვრის ხავერდს შუქს ათოვს,
რა სჯობს აპრილის ყურებას?!
მინდორზე ლეკვი ლანდს უყეფს
და ლანდიც ეხმაურება!..

04. 07. 92.
ბანძა

## თოვლიანი ღამე

ღრუბლებიდან კვლავ გამოჩნდა მთვარე, – უჩვეულო
ფერით მოსავს ნაძვებს,
გავცქერ სივრცეს
თოვლით ნაფერმკრთალებს
და სულს სევდის
მღვრიე ნისლი აწევს!..

საოცარი სიჩუმეა გარეთ და თეთრად დუმს:
ტყე, მინდორი, ხიდი,
ღრუბლებიდან
იხედება მთვარე
და თოვლიან
ბილიკებით მიდის!..

31. 01. 93.
ქუთაისი

# საგაზაფხულო ქარები ფეთქავს

აქა-იქ მოჩანს მინდვრები თეთრად, მე კი უჩუმრად
დაგეძებ, თამთა!..
საგაზაფხულო ქარები ფეთქავს
და სადღაც შორს, შორს,
მიდენის ზამთარს!..
თოვლს იფერთხავენ ხეები ნაძვის
და გამჭვირვალე ნისლების წყება, –
ხასხასა მზეზე და გზებზე წვება,
და შორს მიდიან ღრუბლები ძაძით...
იშორებს სივრცე დღეების სევდას, მზე იზმორება
ფერებით მარწყვის!..
მე ყველგან შენი
თვალები მსდევდა
და ახლაც ლურჯი ფერები მაწვიმს!..
აქა-იქ მოჩანს მინდვრები თეთრად,
მე კი უჩუმრად დაგეძებ, თამთა!..
საგაზაფხულო ქარები ფეთქავს
და სადღაც შორს, შორს, მიდენის ზამთარს!..

05. 03. 93.
ქუთაისი

## დღე შუქს მოეზიდება

გაზაფხული ისევ ღელავს, მზემ ფანჯრებთან ინათა
და გულმა თქვა ის სიმღერა,
რაც კი სულმა ინატრა!

ზღვას შორდება ნისლის ფენა, ვიგრძენ ღელვის მოდება,
სიო მინდორს მოეფერა
და სულ აღარ შორდება!..

კვლავ მერცხლების ჟღურტულს ვისმენ,
ცა სიმღერით იღვრება...
მზე კი ტყორცნის ოქროს ისრებს,
გზა ოცნებით ილღება!..

ცისარტყელას ჰგავს ნაპირი, დღე შუქს მოეზიდება,
ჩიტი გალობს სააპრილოს,
და გაზაფხულს დიდება!..

07. 04. 94.
ბათუმი

## ქართული ენა

საუკუნეთა სიღრმიდან მოღელავ, მოედინები,
ტანს მზის ხავერდი გიფარავს
და სილაჟვარდე იების!..
რამდენი ენა მოისრა და ჩაიშლამა სიბერით,
შენ კი საოცრად ელვარებ, –
ენავ რუსთველის, იბერის!
იქნებ ცით გადმოიღვარე და მზის ფესვები გაიდგი,
ხან ქალწულივით ნაზი ხარ,
ხან სიმედგრე გაქვს რაინდის!
ხან "ნანად" მოედინები... ცაში ვარსკვლავებს ეწვევი,
ხან ვეფხვის ტყავი გაცვია
და ჩანჩქერების მეწყერი!..
საუკუნეთა სიღრმიდან მოარღვევ სივრცეს მხარულით,
ხან "განთიადის" თრთოლვა ხარ,
ხან ტატოს "მერნის" თქარუნი!..
ხან ფრანგულივით მჭრელი ხარ, ქარქაშში ვეღარ ეტევი,
ხან კი აკაკის ჩანგი ხარ
მარადის გაუცვეთელი!..
იქნებ ზღვით ამოიზიდე და იალქნები გაშალე
და დრო და სივრცე მილეწე
შენი სიტყვების ლაშქარით!..
მოღელავ, მოედინები გამორჩეული ღირსებით,
ჯაჭვის პერანგი გაცვია
გაუცვეთელი ისრებით!..
ენა ხარ დიდი დავითის, თამარის საგალობელი,
უმღერ სიცოცხლეს, სიყვარულს

ლაჟვარდებიდან მობერილს!..
უდაბურ გზებით მოქრიხარ... ლურჯა ხარ ფაფარაშლილი,
ილიას სულის მეკვლე ხარ
და ლოცვა ბარათაშვილის!..
მოარღვევ დროთა სამანებს... გამოაღწიე მითოსებს!..
შენ ავთანდილის ჰიმნი ხარ,
მულღანზანზარის მინდორზე!..
შენი ხმით მოახავერდე ნიკორწმინდა და სიონი,
შენ ვაჟას სულის ბორგვა ხარ
და ქროლვა გალაკტიონის!..
საუკუნეთა სიღრმიდან მოღელავ, მოედინები,
ტანს მზის ხავერდი გიფარავს
და სილაჟვარდე იების!..

07. 05. 94.
ბათუმი

## მოხუცი და ჩიტები

შენ ჩიტების ენა გესმის, ვით ზღაპარი ძველი!..
ნახავ ჩიტებს, ფრთები გესხმის
და საფრენად გშველის!..

შენ ჩიტების ენა გესმის, ფეთქვა მათი გულის!..
შენ ჩიტების ენა გესმის,
ვით ხმა გაზაფხულის!..

შენ ჩიტების ენა გესმის და თრთის სული ქარვის,
შენ ჩიტების ენა გესმის
და არ უმხელ არვის!

შორს მიცურავს ღრუბლის ქულა თეთრი,
როგორც კრავი...
შენ ჩიტების ენა გესმის,
მათი კილოკავი!..

შენ ჩიტების ენა გესმის, ვით ზღაპარი ძველი!..
ნახავ ჩიტებს, ფრთები გესხმის
და საფრენად გშველის!..

25. 11. 94.
ბათუმი

## გაგაფხულის კართან

შაშვი გალობს... ხიდან თოვლი სცივა...
მზეს თანდათან ემატება ძალა!..
მოდის რხევით გზაზე თეთრი ცირა
და მე სევდა
რატომ მომეძალა?!

შაშვი გალობს... ცა სილურჯეს აღვრის
და მზე ღრუბლებს აღარ უშინდება!
ასე რატომ იცრემლება ბაღი,
როცა უკვე
გაზაფხული დგება?!

24. 02. 95.
ბათუმი

## ვარსკვლავებს

მოდის შუქი უჩვეული ირთოლვით ციდან,
ვდგავარ ზღვასთან ახლოს, ისევ ვარჩევ დუმილს!..
ჩემი სულის ღელვა საზღვრებს გადასცილდა
და მეღვრება ლურჯი
სხივთა აბრეშუმი...

სულს აწყდება სევდის მძაფრი ნიაღვარი,
ყოფნა წამიერი ისევ გვაცახცახებს!..
მე კვეთებით ჟამთან გული დამეღალა,
მაგრამ ტკივილს მწვავეს,
მაინც ვეღარ ვამხელ!

დღემდე ვეღარ ჩავწვდი თქვენს დიდ საიდუმლოს,
ვდგავარ ზღვასთან ახლოს, ფიქრი აღარ ცხრება!..
როცა სივრცეს მძაფრი ღელვა გადაუვლის,
ო, მე ვეღარ ვმალავ
ჩემს დიდ გაოცებას!..

12. 04. 96.
ბათუმი

# შენს კალთას შევეფარები

შემეძლოს შორად მარებმა ცხოვრება ისევ დავიწყო,
შენს კალთას შევეფარები,
რომ ტკივილები დავიცხრო!

ოღონდ ცამ ფერი მანახოს შუქის ძლიერი მოსევით,
შენი მინდვრების ბალახის
ფოთლებით შევიმოსები!..

04. 09. 97.
მოსკოვი

## ბეღურები

ჩიტებს შორის თქვენ მახსოვხართ ასე
მკვირცხლნი მუდამ!
მარტოობა აღარ გიყვართ
და დაფრინავთ გუნდად...

მახსოვს, როგორ ჟივჟივებდით ჩემი
სახლის კართან,
და გიყვარდათ შემოდგომის
მარად უხვი კალთა...

ქარი, როცა ზამთრისპირას ფოთლებს
გაირეკავს
და ყინული მინდორ-ველად
ფოლადივით რეკავს!.. –

თქვენ ბუჩქებზე მობუზულნი, მაინც
ერთად სხედხართ
და გაწვებათ, ჩიტუნებო,
ზამთრის მძიმე სევდა!..

თუმცა იმედს და მოთმენას არასოდეს
კარგავთ,
ამ ცხოვრების ავანჩავანს
იცნობთ ძალზე კარგად!..

თუ გამოჩნდა გაზაფხული... ტკივილს
აქცევთ ლხენად,
აღტაცებით და ჟივჟივით
გაიჭრებით ველად...

06. 12. 97.
მოსკოვი

# თოვლის ყვავილი

ცამ გადმოღვარა თოვლის ყვავილი
და სულმა ცისკენ
ფრენა გაბედა!..

ცამ გადმოღვარა, თოვლის ყვავილი
და მიწა თეთრად
მოახავერდა!..

ცამ გადმოღვარა თოვლის ყვავილი
და აღტაცებად
ესეც მეყოფა!..

ცამ გადმოღვარა თოვლის ყვავილი
და მიწა უცბად
გაადედოფლა!..

22. 12. 97.
თბილისი

## ანა და თოჯინები

დასვენება მათაც ნებავთ, უკვე ღონე ელევათ,
ანას არ სურს განშორება,
მაგრამ ძილი ერევა!..

ამ თოჯინებს ბინდში ღამის ვინღა მოეფერება?
ნაძვის ხე დგას მოსასხამით
და იღვრება ფერებად!..

მინებს ფანჯრის თეთრი ფერით, როცა თოვლი შეღებავს,
თოჯინები ანას ხელის
სიზმრად გრძნობენ შეხებას!..

დილა მოდის!.. გამორჩევით ო, რა თეთრი ფრთები აქვს!..
და დედოფლის გამოჩენას
აღტაცებით ხვდებიან!..

12. 01. 98.
მოსკოვი

## მესმის ხმა უჩვეულო! . .

ზეცამ ფერი იცვალა, გავცქერ სივრცეს შეფერილს,
უხმოდ გარდაიცვალა
თოვლი ძალზე ბებერი!

ცის ურიცხვი ნათურა ტყე-ველს ისევ ანაზებს
და მზემ დაისადგურა
ზამთრის ფერმკრთალ
ტრამალზე...

ის დღეები რჩეული მღვრიე ფიქრებს დამასევს...
მესმის ხმა უჩვეულო
და საოცრად ლამაზი!..

07. 03. 98.
მოსკოვი

* * *

პატარა ანას

შენ ჩიტებს უყრი საკენკს, გიყვარს ჟივჟივი მათი,
და ცის ციმციმებს სარკე,
მიდის დღეები ზამთრის...

შენ ჩიტებს უყრი საკენკს, მოდის ლამაზი ხანა,
შენ ჩიტებს უყრი საკენკს
და მზე გიღიმის, ანა!

20. 03. 98.
მოსკოვი

* * *

სანამ ლაჟვარდში მზე ცურავს, ნუღარ
აჰყვები ზმანებებს!
სათქმელი ამოგეწურა? –
სიმღერას თავი ანებე!

ვერ იტყვი სიტყვას ფესვიანს, რამდენიც
უნდა ეძიო!
და ლექსი, განა ლექსია? –
ძმობილო, უპოეზიოდ?!

22. 03. 98.
მოსკოვი

## ნაკადულებად მიდის

მზე კვლავ გამოჩნდა შორიდან, ფეთქავს
ფერები შინდის,
თოვლი ფიფქებად მოვიდა, –
ნაკადულებად მიდის...

ბუჩქთან ჩურჩულებს ორი და
ჩამოიშორეს ბინდი;
თოვლი ფიფქებად მოვიდა,
ნაკადულებად მიდის...

შენ, ჩუმად წახველ, ლოლოტა, ნეტავ
საითკენ ილტვი?
თოვლი ფიფქებად მოვიდა,
ნაკადულებად მიდის...

30. 03. 98.
მოსკოვი

# გაზაფხულის თოვლი

ზამთარი უკვე წავიდა და თოვლი მაინც მოდის,
მე გაზაფხულის ცა მინდა და
ვაშლის თეთრი ტოტი!..

მზეო, ლაჟვარდი ამინთე და დამიბრუნე ყრმობა!
მე გაზაფხულის ცა მინდა
და ვარდფურცობით თრობა!..

რამდენი წელი გავიდა, რაც მე ტრფობის
ცეცხლს ვანთებ!..
მე გაზაფხულის ცა მინდა
და სივრცის სილაჟვარდე!..

ზამთარი უკვე წავიდა და თოვლი მაინც მოდის,
მე გაზაფხულის ცა მინდა და
ვაშლის თეთრი ტოტი!...

09. 04. 98
მოსკოვი

* * *

სულო, იმღერე ბოლომდის, სივრცეს შენი
ხმაც ერიოს!
ქვეყანა გახდა ბოროტი,
ვინ უნდა მოვიშველიოთ?!

მოაქვს იმედი მოლოდინს, თუ
გაზაფხული გვეწვია!..
ვარდს უგალობოს ბულბულმა
და მზეს მაისის – მზეწვიამ!..

22. 04. 98.
სოხუმი

## გაიპარა ჩემი თეთრი ბებო!

ჩემს მდინარეს ცა ლაჟვარდით ავსებს,
სიო ვარდებს ეუბნება ზღაპარს!..
გაზაფხულის მზე მიცურავს ცაზე,
არც თოვლი ჩანს
და არც თოვლის პაპა!..
ვეფერები მინდვრებს სანაქებოს,
ცის სინაზეს მიწა იწოვს ხარბად!..
გაიპარა ჩემი თეთრი ბებო,
არც თოვლი ჩანს
და არც თოვლის პაპა!..
მე კი შენი სილამაზით ვთვრები,
ია ბუჩქთან ისევ თვალებს ნაბავს!..
მზე მიცურავს ცაზე ალტაცებით,
არც თოვლი ჩანს და არც თოვლის პაპა!..

29. 04. 98.
ბანძა

* * *

გამოიღვიძეს ხეებმა და აღტაცებით ვინთები!
ზამთრისგან განახელები,
ზამთრისგან განაფითრები!

კვლავ აჟღურტულდნენ ჩიტები, მზემ დაამსხვრია ყინული,
გაზაფხულს მარად დიდება,
თვალი ვერ ძღება ხილულით!..

ჟამი კვლავ ეხალისება გულს ტკივილებით დატენილს,
სივრცე ხავერდით ივსება,
გაქრა სიუხვე ფანტელის...

20. 04. 99.
ბანძა

## ნოქტიურნი მერცხლის სიყვარულზე

შენ აღტაცებით ინთები, იწვი და რჩება ფერფლი,
ჩემი ცისა და მინდვრების
ხარ სიყვარულის მსხვერპლი!

ზამთარმა უკვე გაშალა მთებზე ქათქათა ტილო,
ევფრატს ვერ გადინავარდებ,
ვერც ცისფრად გაშლილ ნილოსს!..

ციდან თანდათან ეშვები... უკვე არაფერს ითხოვ,
არავინ გენუგეშება,
ჩემო პატარა ჩიტო!

24. 09. 99.
თბილისი

* * *

გაზაფხული ისევ მოდის, ხეებიდან თოვლი სცვივა,
გაზაფხული ისევ მოდის,
ფანტელები იქცა წვიმად!..

გაზაფხული ისევ მოდის და გამოჩნდა ზეცა სუფთა,
გაზაფხული ისევ მოდის,
ყვავილების მესმის სუნთქვა!..

გაზაფხული ისევ მოდის, ენძელები მინდვრად კრთიან!..
გაზაფხული ისევ მოდის
და იძახის ჩიტი–ტიას!..

12. 03. 2000.
ბანძა

## რა გესიზმრება?

რა გესიზმრება, ენძელავ, თოვლში მთვლემარეს ჩუმად,
რა გესიზმრება ენძელავ,
სოფლის ხანმოკლე სტუმარს?

რა გესიზმრება ენძელავ, როცა ფიფქები გმოსავს?
რა გესიზმრება ენძელავ,
იქნებ აპრილის მოსვლა?

რა გესიზმრება, ენძელავ, თოვლში ყელამდე ჩაფლულს?
რა გესიზმრება, ენძელავ,
წყაროს, რომ ისმენ ჩქაფუნს?

რა გესიზმრება, ენძელავ, იქნებ ცა მოხასხასე?
რა გესიზმრება ენძელავ,
რატომ იღიმი ასე?!

27. 03. 2000.
ბანძა

* * *

ცა კამკამებდა ლურჯი... ვიდექით ვერხვის ძირას,
მე – მეოცნებე ბიჭი,
შენ –საოცნებო ცირა!

აპრილის მთვარე თეთრი ატმის რტოებზე იწვა
და ტრფობით ერთმანეთის, –
ხარობდა ცა და მიწა!..

ნიავი მოიჩქაროდა და ჩვენს სიყვარულს ზრდიდა
და ორი გული გალობდა,
ვით ორი ჩიტი ხიდან!..

25. 09. 2000.
მოსკოვი

# გათოვდეთ შუქი ზენარის

დიანა ღურწკაიას

ეთაყვანები სამშობლოს უღვთოდ ნაგვემს და ნაწამებს!..
და გტანჯავს მისი ტკივილი,
ცრემლი გისველებს წამწამებს!..

შენ უსინათლო გოგონა, სულის სიმებით ანათებ!..
და გრძნობის ჭიაკოკონად
მამულს უნთიხარ სანატრელს!..

მის მზეს შეჰნატრი საფიცარს
სიმღერით მოუსვენარი!..
ორივეს ღმერთი გწყალობდეთ,
გათოვდეთ შუქი ზენარის!..

20. 11. 2000.
მოსკოვი

## მოცეკვავე გედი

ნინო ანანიაშვილს

ეამაყები სამშობლოს მუდამ საქმით
და ნიჭით!..
შენს სიყვარულში მისდამი
არ გვეპარება იჭვი!

ისე ანთიხარ სცენაზე, როგორც
კოცონი თეთრი!..
და სალოცავი ხატი ხარ
შენი სამშობლო – დედის!..

ნიჭი ხარ უზენაესი და სინარნარით
სავსე,
შენით ხარობენ მთიები
საგანთიადო ცაზე!..

დიდი რუსთველის გორის ხარ, ქალი
ამაყი გვარის!
თეთრი გედივით მფეთქავი
და ცეკვის ჯადოქარი!..

09. 12. 2000.
მოსკოვი

# მე და ანა

ჩემს შვილიშვილს – პატარა ანას

ფანტელები ცვივა სიფრიფანა... მზე ღრუბლიდან
ტრფობით იჭვრიტება...
და ფანჯრიდან ვუცქერთ
მე და ანა
ფიფქები რომ ეცემა და დნება...
სივრცეს შუქი სააპრილო მოსავს, ქარი არხევს
ხეებს ნება-ნება...
გაზაფხულის გვიხარია მოსვლა,
მაგრამ თოვლის წასვლაც გვენანება!

24. 03. 01.
მოსკოვი

## საგაზაფხულო დაფრინავს ქარი

საგაზაფხულო ქარები ქრიან
და მზე აპრილის
მინდვრებს ანაზებს!..

ფანჯრიდან გავცქერ ლანდების რიალს
და მე ვწერ ისევ
ლექსებს ანაზე!..

სიცოცხლის ღელვას არა აქვს ზღვარი
და ისევ ვფიქრობ
იმ ძველ ხანაზე!..

საგაზაფხულო დაფრინავს ქარი
და მე ვწერ ისევ
ლექსებს ანაზე!..

კვლავ ჟივჟივებენ ჩიტები გარეთ
და ათრთობს შუქით
სულს სილამაზე!..

ტოტიდან ტოტზე დაფრინავს ქარი
და მე ვწერ ისევ
ლექსებს ანაზე!..

14. 04. 2001.
მოსკოვი

## ირმა და გედი

ირმა მოდის ნაპირთან, გედიც აქეთ მოცურავს,
მათი ჩუმი შეხვედრის და
ტრფობის დრო მოსულა!

ტბა კამკამებს ლურჯთვალა... უქარო და უნისლო
და ვერ სძლებენ ისინი
ერთმანეთის უმისოდ!..

გედი ნაპირს მოადგა, ირმას ნახვა ინება!
ის, რომ სადმე გაფრინდეს
ირმა გადაირევა!

08. 08. 95.
ბათუმი

# რომ იგრძნო წუთისოფელი

ღელვას არ გადაეჩვიო, რომ იგრძნო წუთისოფელი!
ის შენი კუთხე გერჩიოს
და ის თვალები სოველი!..

შენი ფრთათეთრი ფერია, წყარო მზით გადანაფერი,
იმ ჩიტებს სულ სხვა ფერი აქვთ
და სხვა ფრთები აქვთ საფრენი!

უსმინე ჰანგებს ფრთოსნების და ყვავილების საუბარს,
სხვა შუქით შეიმოსები,
გრძნობას ყავლი არ გაუვა!

გახედე იმ ძველ სანახებს, როცა ცისკარი გადივლის,
გულს დაიყარე ბალახი,
ო, სულ ახლახან ნათიბი!..

ღელვას არ  გადაეჩვიო, რომ იგრძნო წუთისოფელი!
ის შენი კუთხე გერჩიოს
და ის თვალები სოველი!..

24. 09. 95.
ბათუმი

## მტრედებს

სული ფარფატით ამინთეთ და სივრცე თოვლისფერით,
თქვენი ღუღუნით გამითბეთ
ჩემი მამულის ჭერი!..

მთელი დღე ფრთების ფათქუნით ჩემს ფანჯარასთან
ხარობთ!..
გულში იმედი ფათურობს,
როგორც სიცოცხლის წყარო!..

სულს სხივი მოენატრება, როგორც დილის მზე
სოფელს!..
და ვგრძნობ სიცოცხლის ნათებას
სიკვდილის უარმყოფელს!

გულს სევდა უნახევრდება და ცას ღრუბელი ბაცი!
ჩემი მამულის ხედებო,
თქვენზე ვლოცულობ
კაცი!..
ქვეყანა მოვიმთაბარე, მუხლზე ვეცემი ლოცვით!..
მოვკვდები, ფრთებით დაფარეთ
ჩემი საფლავის ბორცვი!..

სული ფარფატით ამინთეთ და სივრცე თოვლისფერით,
თქვენი ღუღუნით გამითბეთ
ჩემი მამულის ჭერი!..

12. 12. 95.
ბათუმი

## როცა თოვლი მოდის!..

შენთან მიმეჩქარება, სული შენსკენ მორბის,
გულს ედება ღვარებად
სევდა უგზოობის!..
ისევ ქრიან თავნება – ეს ქარები ზამთრის
და გზა თეთრი თავდება
სადღაც იქით, – ცხრა მთის!..

და ჟამს ეთანადება გამოხედვა ჯიქის,
გამიტყუეს ლანდებმა,
სადღაც შორს, შორს, იქით!..
სულს სინაზე უშრება, ვეღარ ითმენს ლოდინს!
ტყე კი ყვავის ნუშივით,
როცა თოვლი მოდის!..

ზღვამ კი ღელვას უმატა, ვერ სძლებს უშფოთველად,
თოვლმა მოაგუმბათა,
ო, ეს მთები ყველა!..
შენთან მიმეჩქარება, სული შენსკენ მორბის,
გულს ედება ღვარებად
სევდა უგზოობის!..

15. 12. 95.
ბათუმი

## შესანდობარი

ო, ის დღეები ქათქათა საით წავიდნენ, ნეტავ?
მინდორზე თოვლი ადგა და,
უკვე ბალახი ფეთქავს!..

წყარო ხმაურობს ათასი, მიდის მდინარე ზავთით,
დგას გაზაფხული და თასით
სვამს შესანდობარს ზამთრის!

14. 04. 96.
მოსკოვი

# თეთრი ბილიკით

მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და ისევ შენი თვალები მიცქერს!
მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და ფეთქავს მღვრიე
ფერებით სივრცე!..

მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და ის თვალები ვეღარ მიმეტებს!
მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და შენს იდუმალ
სურვილს მივენდე!..

მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით,
თითქოს იზიდა მიმყავს ოზირისს!..
მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და მიდის ცაზე
მთვარე ზოზინით...

მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და ცას მოურთავს მკერდი მძივებით!..
მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და მზვერავს ვიღაც
შურისძიებით!

მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და შენს ღვთაებრივ თვალებს ვემონე!
მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და ვეომები
გზაზე დემონებს!..

მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით,
თითქოს იზიდა მიმყავს ოზირისს!
მე მივალ ჩემი თეთრი ბილიკით
და მიდის ცაზე
მთვარე ზოზინით...

08. 05. 96.
თბილისი

## ჩემო გიორგი!

ჩემს შვილიშვილს – გიორგ გოშუას

ხუთი წელია ერთმანეთი აღარ გვინახავს!
გადაგვავიწყა სოხუმის ზღვა
ჟამთა სიავემ!..
იმ დღეთა თრთოლვას, როგორც ყვავილს სულში ვინახავ,
რომელსაც ხშირად მოგონების
არხევს ნიავი!..
შენი ღიმილი არ მინახავს ხუთი წელია,
არც ის ბაღები,
არც ის ზეცა, – ასე ნაქები!
ჩემი თვალები მოგონების ცრემლით სველია
და გული ულვთოდ
დაფარული სევდის ლაქებით!..
ჩემო გიორგი! შენ ჩემს ტკივილს ჯერ ვერ შეიცნობ,
მაგ ბავშვურ გულით
და თვალებით ასე ნათელით!..
მოვა ჟამი და ამ ჩემს ღელვას ზეცა შეიწოვს
და მერე სივრცე აივსება
ლურჯი ნათებით!..
ჩემო გიორგი! როცა ღამის ნისლი დამბურავს
და უჩვეულო
მდუმარებით მოვითოკები!..
მჯერა, რომ ბევრჯერ მოიგონებ კეთილ ბაბუას
და ხსოვნის სუფრას ააყვავებ
ღვინის დოქებით!..

ცხოვრების გზაზე გევლოს მუდამ თავაწეულად,
გახდი მფლობელი
 დიდი აზრის, დიდი ფიქრების!..
გიყვარდეს ზეცა გაზაფხულის შუქით ძლეული
და სული გქონდეს სუფთა
როგორც თოვლის ფიფქები!..
ხუთი წელია ერთმანეთი აღარ გვინახავს,
გადაგვავიწყა სოხუმის ზღვა
 ჟამთა სიავემ!..
იმ დღეთა თრთოლვას, როგორც ყვავილს სულში ვინახავ,
რომელსაც ხშირად მოგონების
არხევს ნიავი!..

25. 08. 96.
ბათუმი

## შეღამების თოვლი

გულო, მითხარ, ახლა რაღას დარდობ?
სულო, მითხარ, რად ატირებ სიმებს?
ნუთუ ცაზე გაზაფხულის მნათობს,
ვერ მოსწყვიტეთ
სიყვარულის სხივი?!

ო, შეხედე, რა ლამაზად ბარდნის,
შეღამების თოვლი მოდის ჩუმი...
გულო, მითხარ, ახლა რაზე დარდობ?
სულო, მითხარ,
რატომ არჩევ დუმილს?

ღელავს ირგვლივ თეთრი აბრეშუმი
და ტოტებზე ბეღურები სხედან...
შეღამების თოვლი მოდის ჩუმი,
მე რა ვუყო
ამ უსაზღვრო სევდას?!

16. 12. 96.
ბათუმი

## მთა დაუფარავს თოვლს

ამოიწვერა მზე... წითლად შეღება მთა...
და მიმოზების რხევას
მშვიდად ვადევნებ თვალს...

ოდნავ ირწევა ზღვა და დღე ბურუსში თვლემს...
ტყე სხივებს ძუნწად სვამს,
ო, ამ ღვთისმშობლის თვეს!..

მთა დაუფარავს თოვლს... ქარი ტირიფებს ხრის...
ქსოვენ სამოსელს თეთრს –
ეს ნიმფატები ტყის!..

ამოიწვერა მზე... წითლად შეღება მთა...
და მიმოზების რხევას
მშვიდად ვადევნებ თვალს...

28. 12. 96.
ბათუმი

## ბელურა

ჩემი ბავშვობის პატარა ჩიტი მარტო ზის ტოტზე
ფერშემკრთალი და მოწყენილი!..
თოვს ულმობლად თოვს...  ქამი თეთრი აფრებით მიდის
და თეთრ ეკრანზე
ნაცრისფერი ირხევა ჩრდილი...
თოვლის ყვავილით დაიბურა მინდორი ვრცელი...
გაუჩინარდა სითეთრეში
საგნების წყება...
ვხედავ, ბელურას თვალები აქვს ცრემლებით სველი,
თოვს, ულმობლად თოვს
და მინდორზე საღამო წვება...

12. 01. 97.
მოსკოვი

# გულწითელა

ისევ გიხილე გულდაკოდილი და
უცოდველი მზერით!..
შენ დაიღალე
უკვე ლოდინით, –
ზამთრის ზღაპარით გრძელით!..

მოდის, მოჰყონავს სისხლი ნებისად, ვერ
შეგიხორცდა წყლული!..
ჩუმად ქვითინებს
შეღამებისას
შენი ლამაზი სული!..

რამ შეგაყვარა ეს მარტოობა და
შეღამების ბინდი?
და გაძარცული
ქარით რტოები
ალუბლისა და შინდის?

ვინ აგიყვავა გულზე მოცხარი, ფიფქებს რად
ხვდები თრთოლვით?
რად შეიჩვიე
სევდა მცოცავი
და შეღამების თოვლი?!

ისევ გიხილე გულდაკოდილი და
უცოდველი მზერით!..
შენ დაიღალე
უკვე ლოდინით, –
ზამთრის ზღაპარით გრძელით!..

24. 02. 97.
ბანძა

## ᲜᲣ ᲛᲝᲛᲘᲙᲚᲐᲕᲗ!

ნუ მომიკლავთ ბუნებას, ჩემს საყვარელ მეგობარს!
ნუ მომიკლავთ ბუნებას,
ტანჯვა ისეც მეყოფა!

ნუ მომიკლავთ ბუნებას, ჩიტუნების გალობას!
ნუ მომიკლავთ ბუნებას,
ღმერთმა რომ მიწყალობა!

ნუ მომიკლავთ ბუნებას, სურნელებას ტყე-ველის!
თორემ გამიხუნდება
სულის ცისარტყელები!

ნუ ჩამიქრობთ ვარსკვლავებს მაგ ხელების შეხებით!
თორემ სევდანასვამი
სადმე გადვიჩეხები!..

ნუ მომიკლავთ ბუნებას, ზღვებს და
მინდვრებს სახატეს!
ვის რად უნდა ეს მიწა,
თუ ხავერდი ახადეთ?!

ნუ მომიკლავთ ბუნებას და დარდს ნუღარ მათოვებთ!
ნუ მომიკლავთ ბუნებას,
ცოტა კიდევ მადროვეთ!

ნუ მომიკლავთ ბუნებას, ჩემს საყვარელ მეგობარს!
ნუ მომიკლავთ ბუნებას,
ტანჯვა ისეც მეყოფა!

21. 03. 97.
თბილისი

* * *

ჭირს ბუნებას ავი ზნე და არ ვიცი, –
რა მიზნით?
გაზაფხულის ყვავილზე
რა ბებერი ყვავი ზის?!

19. 04. 97.
მოსკოვი

* * *

იცის ყველა სატკივარი ამ ცისა და მიწის!
უცქერს ჩუმად ფოთლებიდან
ვარსკვლავების ციმციმს...

ნაღვლიანად გალობს კიდეც, სიმს აკვნესებს მიწყივ
და ბუნების საიდუმლო
რა საოცრად იცის!..

14. 05. 97.
მოსკოვი

* * *

ფანჯარასთან გოგოს ისევ სძინავს
და ნიავი ალუბლის
რტოს არხევს!..

ფანჯარასთან გოგოს ისევ სძინავს
და სიზმარი
უცისკროვნებს სახეს!..

ფანჯარასთან გოგოს ისევ სძინავს
და დაღმართზე
ღამე მიდის ხვნეშით...

ფანჯარასთან გოგოს ისევ სძინავს
სულ ლამაზი
თოჯინებით ხელში!

ფანჯარასთან გოგოს ისევ სძინავს
და მტრედები
დასცქერიან რიდით!

ყვავილების თოვლი ბარდნის მიწას,
გაზაფხულის მზე
ამოდის დილით!..

12. 04. 2000.
ბანძა

## ორი მტრედი

ნიავი კვლავ ეფერება, – სიცოცხლეს ოქროსფრთებიანს!..
ზის ორი მტრედი რაფაზე
და სიყვარულით თვრებიან!..

ელვარებს ლურჯი დარბაზი, მზე მიდის ცაზე გუგუნით,
ზის ორი მტრედი რაფაზე
და მესმის თბილი ღუღუნი!..

16. 05. 01.
მოსკოვი

# დაჰქროლე ქარო!..

დროო, მითხარი, ასე უღვთოდ, სად მიმაქანებ?!
რას უცდი, ისევ ამიმღერე
აპრილი გულში!..

დაჰქროლე ქარო, ერთხელ კიდევ, დაჰქროლე ქარო!
და მომაყარე ყვავილები
ტყემლის და ნუშის!..

სულო, მითხარი, დღენიადაგ სად მიიჩქარი?!
შორს მოვიტოვე ყვავილების
ფერადი ველი!

დაჰქროლე ქარო! ერთხელ კიდევ, დაჰქროლე ქარო!
ოღონდ თვალები არ შემიშრო
ცრემლებით სველი!

დაჰქროლე ქარო! ერთხელ კიდევ, დაჰქროლე ქარო!
სანამ ბუნება ნუკლონებად
დამარღვევს-დამშლის!

დაჰქროლე ქარო! ერთხელ კიდევ, დაჰქროლე ქარო!
და მომაყარე ყვავილები
ატმის და ვაშლის!..

04. 02. 07.
თბილისი

* * *

ძვირფასო ჩემო! მზეს აპრილის ნუ ემალები!
და არ მიუშვა მწუხარების
ყველა სადავე!..
ცრემლის მორევმა არ დაგიჩრჩოს ო, ეს თვალები,
არ აგიმღვრიონ დემონებმა
სულის სათავე!

ჩამოიშორე გზიდან დარდი, – ჟამის მეკობრე,
არ შეუშინდე ტკივილების
მწარედ მოსევას!

მხოლოდ სიცოცხლის სილამაზე დაიმეგობრე
და გზა ოცნების
სიყვარულით შეიმოსება!..

04. 01. 08.
მოსკოვი

## უცხო ფრინველი

ერთი ფრინველი მოფრინდა ო, როგორც
ცისკრის ნათება!..
და სალოცავად ყოფნიდა, –
ეს მზე და ზეცის ხატება!..

რტოებს მზის სხივი ათოვდა დატვირთულს
მწიფე ნაყოფით!..
ის კი გალობით ათრობდა
ცასა და მიწას გაყოფილს!..

04. 09. 97.
ბათუმი

## ვერ გნახე!

ვერ გნახე, როგორ მეწყინა, გულს მოეძალა ნაღველი!..
რომ შენს მაგივრად მეწვინა
მკლავებზე ნისლის ნახევი!..

ვერ გნახე, ობლად დარჩენილს სული დრომ გამიტიალა!..
ვეღარ უშველის გამჩენიც
ამ ჩემს ტკივილს და იარას!..

დავდივარ სევდით მოცული, სული ვერ ითმენს სიავეს!
ხიდან ფოთლები მოცურავს
და მიაქვს ჟამის მდინარეს!..

07. 10. 97.
მოსკოვი

## იწყება ფერთა გალობა!..

მე მზის გავცქერი ამოსვლას და სიხარულით ვტირი!..
ღამე ტახტიდან ჩამოსვა,
ცეკვავს ნიავი დილის!..

მე მზის ამოსვლას ვუცქერი, მზგავსი რა უნდა ნახო?!
ლექსით ივსება ფურცელი,
სხივი ეღვრება მაღლობს...

იწყება ფერთა გალობა, მიდის შუქსავსე წყარო,
მე ვეტრფი მაგ შენს ქალობას
და ვკოცნი უმოწყალოდ!

კვლავ მესმის ლოცვა – კურთხევა, გულს სიხარული ასწევს!..
იშორებს სევდას ურთხელი,
ვით ზეცა ღრუბლის ძაძებს!

მზე კი სხივების სიუხვით ფერთა სიმრავლეს კოცნის!
აქეთ ყაყაჩო ირხევა,
იქით ბაია მორცხვი!

აქ ყოჩივარდა ციმციმებს და ღამის ზღაპარს ამბობს!
ო, ეს ზამბახი სიცილით
აღარ გადაჰყვეს ამბორს!

მე მზის ამოსვლას ვუცქერი,
მსგავსი რა უნდა ნახო?!
ლექსით ივსება ფურცელი,
სხივი ეღვრება მაღლობს!..

17. 04. 49.
ბანძა

* * *

ზღვა კვლავ ნაპირთან დაობს, ამოდის
მთვარე სრული,
მე კი პალმებთან ვდგავარ,
ფეთქავს აფრები სულის!..

მთიდან ჩამოდის ნისლი და
ეფინება ქუჩებს,
ჩქამი ტალღების ისმის
და ცა ირხევა ლურჯი...

შორს ვარსკვლავები ქერა, სადღაც
მიდიან რხევით...
გადაავლეს მთა და ხევი,
შუქს მიგზავნიან ფერადს!..

ზღვა კვლავ ნაპირთან დაობს, ამოდის
მთვარე სრული,
მე კი პალმებთან ვდგავარ,
ფეთქავს აფრები სულის!..

17. 05. 52.
სოხუმი

## ორი ღრუბელი

მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, შავი კი
მუდამ მაშინებს!
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი,
შავი – ვეშაპს ჰგავს საშინელს!

მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, ის თითქოს
შექმნა განგებამ!
მაშინებს შავი ღრუბელი,
რომ ცაზე მიიგრაგნება!..

მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, რომ ეტრფის
ზეცის საფირონს!..
და ცდილობს შავმა ვეშაპმა
მთვარე არ გაინაპიროს!

მისი სინაზის ღირსება როგორ
არ დავასახელო?
როცა გრძნობით და ფაქიზად,
ის უქსოვს მთვარეს საყელოს!..

მე მიყვარს თეთრი ღრუბელი მსუბუქი
როგორც ოცნება!
რომ მისდევს მთვარის ნატერფალს,
მიდის და მიიკოცნება!..

მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, შავი – ბორგავს
და ტრიალებს!..
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი
სივრცეში მოხეტიალე!..

24. 09. 52.
სოხუმი

## შეხვედრის მოლოდინში

გავცქერი ზღვაზე ძოწისფერ ბილიკს
ჩამავალი მზის
სხივებით ნარხევს!..
შენ გელოდები ძვირფასო ლილი!
ზღვა კი სიჩუმით
აოცებს მნახველს!..
აქ გლისერები დაქრიან ისევ,
ზღვა კი მიარხევს
აფრების წყებას...
კვლავ მიზოზინებს ფერმკრთალი ნისლი
და ირგვლივ ლურჯი
საღამო წვება...
ვინ იცის, რამდენ ათას წელს ითვლის,
ეს სანაპირო
ბულბულის ხმებით!..
მე კი ამ ზღაპარს ვპასუხობ რითმით
და მოაქვს ნიავს
ხმა განახლების!..
არ უჩანს ბოლო ჭავლების ლივლივს,
მთაზე ეშვება
ღრუბელი რბილი...
და მოლოდინში, ძვირფასო ლილი!
გავცქერი ზღვაზე
ძოწისფერ ბილიკს...

12. 05. 53.
სოხუმი

## ღამის საგალობელი

ცას დაუჭიმავს მთვარის მშვილდი და
ოქროს ისრებს,
ის აღტაცებით, ყოველღამე
მიწისკენ ისვრის!..

ის ყურს არ უგდებს ღრუბლის თხოვნას,
ღამის მუდარას,
და არც ვედრებას
ჰორიზონტზე გაფენილ ნისლის...

ანგელოზები სიშორიდან ფართხატით ფრთების,
კვლავ უგალობენ უჩვეულოდ
სიცოცხლის ფერებს!..

რა სიმაღლეზე აზიდულან მიწიდან მთები,
სიო ათრთოლებს ამ ჩემს ბაღებს, –
ცით მონაბერი!..

ზეიმობს სული მომლოდინე რამდენი რამის...
და ზღვის ნაპირზე ხეივანში
სანუკვარ ფრთებს შლის!..

და სიყვარულის ულამაზესს ჩანგს უკრავს ღამე,
მხოლოდ მთის წყარო ბრმად მიდის და
იდუმალ ხვნეშის!..

26. 05. 55.

სოხუმი

## შემოდის ჩემში!..

ის ამ ცხოვრების ეკრანიდან უეცრად გაქრა!
თითქოს მინდორზე გადიქროლა
ქარმა ხივილით!..
დემონმა ფრთები უბასრესი ზედ გულზე გამკრა
და მოგონებად შემრჩა მხოლოდ
მისი ღიმილი!..
დავდივარ ჟამით ამღვრეული, ვერაფერს ვამბობ!
და გათანგული დარდით
რეკენ მწუხრის ზარები!..
ის სიშორიდან ულამაზესს მიგზავნის ამბორს,
შემოდის ჩემში სერაფიტის
თეთრი ზმანებით!..

18. 05. 59.
ბანძა

# მთვარის ბილიკებით

მთვარემ გადმოლახა ღრუბლის სამანები,
ჩუმად, საიდუმლო
ლურჯი ფრეგატივით...

ნეტავ, საით მიდის ასე გამალებით?
შორს ჩანს მწვერვალების
თეთრი პერგამენტი...

მთვარის ბილიკები ვეღარ მივატოვე,
როგორც კიპარისი
ვდგავარ გარინდული!..

ამ ცას ო, რამდენჯერ ფიქრი მივათოვე,
რეკავს ჩემი მთების
სული რაინდული!..

ღამის წამწამები ლურჯად ელვარებენ,
ნისლებს არ სწყინდებათ
ზღვაზე ხეტიალი...

ვეღარ დავიოკე სულის მღელვარება,
სადღაც ღამის ჩიტი
სტვენს და მემალება...

უხმოდ ირწევიან მთვარის მიმოზები,
არ ჩანს სივრცეებში
ქარი მორიალე!

მთები ბიბლიური შუქით იმოსება
და ზღვის უჩვეულოდ
უკრავს როიალი!..

სხივი უჩინარი ჩუმად მეფერება,
რომ სულს მოაშოროს
ბინდის საბურველი!

მოჩანს ვარსკვლავების ტოტი შეფერილი
და ზღვის უსასრულოდ
უკრავს როიალი!..

უცხო სილუეტი სადღაც ილანდება,
ღრუბლებს მდუმარება
მოაქვთ ტრამალების...

მთვარე ფრეგატივით მიდის გამალებით,
შედის ღრუბლებში და
სადღაც მემალება!..

თითქოს აიშალნენ შორი ლეგენდები,
ნისლებს მივაცილებ
მთვარის ბილიკებით...

დგას და კიპარისი ზეცას ევედრება
და ლურჯ თვალებში კი
სევდა ირეკლება!..

მთვარემ გადმოლახა ღრუბლის სამანები,
ჩუმად, საიდუმლო
ლურჯი ფრეგატივით...

ნეტავ, საით მიდის ასე გამალებით,
შორს ჩანს მწვერვალების
თეთრი პერგამენტი...

14. 11. 60.
სოხუმი

* * *

ვიცი, ისე გაქრება, ვით ნიავი მთვარისა,
სივრცე იყო ნაქები
ოქროსფერი დაისის!..

ვიცი, ისე გაქრება, როგორც მსხვერპლი ქარისა,
ვიყავ შეყვარებული
ამ მზისა და მთვარისა!..

ცამ მაჩუქა სიალე და ზღაპრული ხალისი!
ქროდა ღამის ნიავი,
ვით იმედი ხვალისა!..

ვიყავ შეყვარებული, მწამდა შუქი დილისა
და შენს თვალებს, ძვირფასო,
ჰქონდა, რაღაც თილისმა!..

დღეს სხვა ზვირთი თარეშობს, მღვრიე სევდას მოდენის
და ფერს ფანტავს ღამეში,
ვით ყვავილი ბოდლერის!..

გაქრა ღამის ფიქალი და საგანი ოცნების!
და ფრთებს უწვავს იკაროსს
სხვა მზის გასხივოსნება!..

17.07.64
სოხუმი

* * *

დავდივარ ტრფობით მთვრალი, ვუსმენ
ვარსკვლავთა ქოროს!..
ეს ხეივანი მთვარის,
კვლავ შენსკენ მიმაქროლებს!..

ო, თუმცა შეგხვდი გვიან, მაგრამ სულაც
არ ვნანობ!
შენი თვალები, ლია,
მექცა ოცნების წყაროდ!..

ამ ტირიფების რხევას ციდან
ეღვრება ოქრო,
სიო კვლავ მოგვეხვევა
და მთვარის შუქი, გოგო!

ვარ ერთიანად გრძნობა და
შენზე მეოცნებე!..
ქვეყნად ამგვარი ტრფობა
არ ახსოვს მთვარეს ბებერს!

21. 05. 72.
სოხუმი

## ნანას

ფეთქავს პეპელა თეთრი, ქარი ამღერებს ყანას,
შენ მიდღეგრძელე, ღმერთო,
ჩემი პატარა ნანა!

მაღლა ნავარდობს მტრედი, მოდის ვარდების ხანა,
დიდხანს მიცოცხლე, ღმერთო,
ჩემი პატარა ნანა!

ბევრჯერ მეწვია სევდა! ო, ეს სევდაა განა?
დიდხანს ახარე, ღმერთო,
ჩემი პატარა ნანა!

სადღაც მიცურავს გედი, ფრთებით ცის ნაჭერს ფარავს,
იყოს ლამაზი ბედის,
ჩემი პატარა ნანა!

წყარო მოჰყვება ფერდობს და არხევს ლერწამს ტანადს,
შენ მიდღეგრძელე, ღმერთო,
ჩემი პატარა ნანა!

29. 07. 77.
სოხუმი

* * *

სარკმელს ცისკარი მოაწვა,
მის ფრთების შრიალს ვენდობი!..
სარკმელს ცისკარი მოაწვა,
ვით მტერი უიმედობის!

სარკმელს ცისკარი მოაწვა
და ცა შეღება უფერო!
სარკმელს ცისკარი მოაწვა,
გაფანტა ქარმა ღრუბელი!

სარკმელს ცისკარი მოაწვა
და ცის ირხევა სამანი!
სარკმელს ცისკარი მოაწვა,
ვით თრთოლვა იასამნის!

14. 06. 97.
თბილისი

* * *

ჩემს ფანჯარასთან ისევ ფეთქავს მზე გაზაფხულის!
ო, რა მსუბუქად ირხევიან
თეთრი ალვები!..

იღვიძებს სივრცე ზამთრის სუსხით გადაზაფრული
და მე ამ ზღაპარს
სიყვარულით მივესალმები!..

ქანაობს ჩემ წინ დღე აპრილის თეთრი ჩანჩქერით,
ხასხასა ფრთებით
გაზაფხულმა იცის დაშვება!..

ამ სილამაზის უსაზღვრობას ღმერთის გაჩენილს
მზე ლაჟვარდიდან
ალტაცებით ეთამაშება!..

09. 04. 09.
ბანძა

* * *

ო, ის აფრები საუკუნოდ გახუნდა ჟამით
და ოხრავს მთვარე
                    უჩვეულოდ ნაფერმკთალები!..
აჰა, ჩამოწვა შენს ზეცაზე ღრუბელი შავი,
იცრემლებიან სათაყვანო
შენი თვალები!..

იმ დღეთა ზღაპარს, მეგობარო, კვლავ გუნდრუკს ვუკმევ!
ეს წყარო მიდის
                    და არ ვიცი, თუ რაზე ნაღვლობს!

ო, ის ფრინველი სიყვარულის გაფრინდა უკვე,
და სევდიანი, – გაზაფხულის
ვშორდები მაღლობს!

01. 05. 09.
ბანძა

* * *

რამდენი ბაგე დამიღლია ლამაზი კოცნით
და კულულები განასკვული
თეთრი ბანტებით!

მე იმ დღეებზე ერთხელ კიდევ აღვავლენ ლოცვას
და ამ მიწაზე
ხელმეორედ დავიბადები!..

ის ჟამი მომსდევს, მეგობარო, როგორც ზმანება
და მოგონება იმ დღეების
რამდენს მავალებს!

რამ დამავიწყოს ჩემი დროის ლამაზმანები
და მეჩვენება სიო არხევს
ისევ დალალებს!..

10. 05. 09.
მოსკოვი

***

ო, ეს ჭალარა მიჩანს არარად,
თუმცა შორს დავტოვე
                    ყრმობის ნაპირი!..
გული შემომრჩა პოეტს ალალი
და უჩვეულო სუნთქვა აპრილის!
მე შენი ტრფობა ვეღარ დავმალე,
ვით გაზაფხულმა
                    ყვავილი ნუშის!
შემოვრჩი ხელში ამ ცივ ტრამალებს
და მხოლოდ ხსოვნას ვიხუტებ გულში!..

11. 05. 09.
მოსკოვი

## შემოდგომის მოახლოება

სულში უხმოდ ვერ ჩავიკალ ბოღმა,
თუმც იმედის ნაპერწკალი ელავს!..
დუმს მიდამო და დუმილით ოხრავს,
ნუთუ არსად აღარ
არის შველა?
ზღვას შეხედე, რა უსაზღვროდ ღელავს,
თუმცა ხშირად ეუფლება ბნელი!
ჰა, საცაა, ქარიც დაუბერავს
და ზვირთები
მოაწყდება ხმელეთს!..
მწვერვალს ისევ ნისლი მოეხვევა,
სივრცეს დაჰკრავს რაღაც ნაცრისფერი!..
და ჩიტები უსიცოცხლოდ ფრენენ,
დუმს ჭიუხი,
მინდორი და ველი!..

13.09.86
სოხუმი





# სონეტები

* * *

ქვემეხის ლულა დაუფარავთ მტრედებს ღუღუნით
და სული ისევ ხვალინდელ დღის რწმენით აივსო!..
მე თვალწინ მიდგას სივრცეები გადაბუგული,
გულო, ბოლომდე ბოროტება აღარ დაინდო!

ვიხსენებ იმ დროს, ჟამის კედლებს სევდას მივახლი,
კუთხე – კუნჭულიც აღარ დარჩა ბრძოლის გარეშე!
მიწა დახეთქეს, შემზარავი ცეცხლის ნიაღვრით,
ქარტეხილებმა დედამიწა გადითარეშეს!..

დღე მიირხევა სიშორეში ფრთამოღუღუნე,
მაგრამ ტკივილი მოგონების მწარედ მედება!..
ჩემი ბავშვობის კვლავ მეძახის ტყიდან გუგული,
რომელიც უკვე ცისკარივით მეიმედება!..

ველარ დაშრიტეს მზის თვალები დინოზავრებმა,
სივრცე გუგუნებს!.. კვლავ მშვიდობის რეკონ ზარებმა!..

27. 06. 52.
სოხუმი

* * *

იმ დღეთა ხსოვნა კვლავ ულმობელ ტკივილად მაწევს,
მე თქვენზე ვფიქრობ შეპყრობილი ღელვით, განცდებით!
დღემდე  ცრემლები მწარედ კაწრავს დედების ღაწვებს,
გამოწვეული ბრძოლის ველზე თქვენი დაცემით!

იდექით მედგრად, შეკრულები ერთ დიდ სხეულად,
მერე დაეცით დაგლეჯილნი ტყვიების ჯერით!..
მჯერა იბრძოლეთ, მეგობრებო, გამორჩეულად,–
ასეთი იყო ბედისწერის ეს განაჩენი!

თქვენი ღიმილის გულწრფელობა შემომრჩა ყმაწვილს,
თუ სად დაეცით ბრძოლის ხაზზე არავინ იცის!
მამულის ტრფობით ჭაბუკური გულები დასწვით,
ბოლომდე დარჩით ერთგულები კაცური ფიცის!..

ქართული სისხლი ცეცხლოვანი უშიშრად ღვარეთ
და დაუბრუნდით აჩრდილებად მშობლიურ ჭალებს!..

14. 05. 55.
ბანძა

* * *

მაკოცე მეგი! სანამ ჟამი არარად გვაქცევს,
ნუთუ ბუნებამ ერთმანეთი ფუჭად გვანახა?!
რაც კი გვიბოძა, ამ სიმდიდრეს თუ ვეღარ გავცემთ,
დარეკავს ზარი! – გადვიქცევით მიწად, ბალახად!..

თუ არ გავხდებით ოკეანე, ძვირფასო, ვნების,
მაშინ საწუთრო უცაბედად გვაქცევს არარად!
ამოისუნთქავს ეს სამყარო იდუმალ შვებით,
ოცნების ცაზე სულ ამაოდ შევკრავთ კამარას!

რადგან მოვედით, ზურგს ნუ ვაქცევთ მიწიერ გრძნობას,
თორემ ცხოვრება დავიწყების ბინდებში გაგვხვევს!..
სიცოცხლისადმი, თვით ბუნება დაკარგავს ნდობას
და სიყვარულსაც სამუდამოდ ეცვლება სახე!

უსიყვარულოდ სილამაზე არაფერს ნიშნავს
და სულ უბრალოდ შევერევით შლამსა და ქვიშას!..

12. 10. 56.
სოხუმი

* * *

ღამეა... უკვე მეთორმეტედ დარეკა ზარმა,
ჩვენ კი თამამი ნაბიჯებით დავდივართ ისევ...
იღვრება ზღვაში შორეული ვარსკვლავთა ქარვა
და ბილიკებზე მიირწევა ფერმკრთალი ნისლი...

შრიალებს მთვარის მოცისფერო ხასხასა ფარჩა,
ზღვა გატრუნულა და ხანდახან იდუმალ ხვნეშის!
დავდივართ ორნი... ირგვლივ უკვე არავინ არ ჩანს,
ღამეს ვარსკვლავებმოგალობეს შემოვრჩით ხელში...

დარეკა ზარმა, მეთორმეტედ დარეკა ზარმა,
გვაფრთხილებს, მაგრამ სულაც აღარ მიგვეჩქარება!
ააშრიალა ბაღი ისევ მაისის ქარმა
და ჩვენ არაფრად მიგვაჩნია დროის ჩარევა!

ციმციმებს სივრცე შუქთა კრთომით გადანასერი
და ვერწყმით ჩვენ ამ სილამაზეს მთელი არსებით!..

12. 05. 59.
სოხუმი

* * *

შენ, პირზამბახა გოგონავ, ვერ იქნა ვეღარ გივიწყებ!
რად ჩამიღვარე სხეულში ასე უღმერთოდ კოცონი?!
ეს სული შენკენ მოფრინავს და გულიც შენკენ მიიწევს,
დავდივარ შენით ძლეული, გრძნობას ვერ ვუძლებ მოწოლილს!..

საიდან გადმოანათე ო, ასე თვალებკამარამ,
რა გულმა უნდა გაუძლოს ამგვარ რხევას და ნათებას?!
შენ გამირბიხარ ნუკრივით და ვრჩები სევდის ამარა,
ჩემი ყველა გზა, ძვირფასო, კვლავ შენსკენ მოემართება!..

მაგ სათნო გულის დაპყრობა ვერ იქნა ვეღარ შევძელი,
უკვე ოცნებით დაღლილი ეულად დავეხეტები!..
წალეკილი ვარ ერთიან მაგ სილამაზის მეწყერით,
რა ვქნა, როდესაც უბრალოდ აღარ მწყალობენ ღმერთები!

ო, მაგ ცისფერმა თვალებმა მინდა სულ ჩემში იალოს,
ჩამოიქროლე და სადმე კვლავ შემახვედრე, ნიავო!

12. 08. 61.
სოხუმი

* * *

დაჩოქილი ვარ შენს წინაშე, ჩემო ღვთაებავ!
სიოც მაშინებს, არ შეგახოს ხელი უხეში!
მე ეს სამყარო შემაყვარეს შენმა თვალებმა
და ორმა მთვარემ, რომ საოცრად გითრთის უბეში!..

მღვრიე ქაოსის გავხდებოდი ალბათ ნაწილი,
ძვირფასო ჩემო! ამ ბილიკზე, რომ არ მენახე!
ზედ დამყიოდა მსხვერპლს უმწეოს ციდან არწივი,
მაგრამ შენ გაჩნდი და საშველად ხელი შემახე!

ო, რა საოცრად განმარიდე ღამის უკუნეთს
და სიყვარულით ჩემი გული ცამდე აზიდე!..
ჟამი, როდესაც მღვრიე ზვირთებს ააგუგუნებს
და ჩასანთქავად სამყაროც რომ ერთად აზვირთდეს, –

ეგ ჩემი სული გადურჩება, ალბათ, უვნებლად,
რადგან მაჩუქა სიყვარულის ნიჭი ბუნებამ!

21. 04. 62.
ბანძა

* * *

ჩამოდიოდა სიშორიდან თოვლი შრიალით
და მეგობრები ახალი წლის მოსვლას ველოდით!..
მოვიდა ღამე ფრთებქათქათა, თეთრთავშლიანი,
გადაათეთრა მინდვრები და მთები მელოტი...

ბუხართან ახლოს სიყვარულით გავშალეთ სუფრა,
და იყო ღამის იდუმალი თრთოლვა დიადი!..
ჩამოდიოდა გარეთ თოვლი თეთრი და სუფთა
და შორს ჰფანტავდა მდუმარებას ურჩი წყვდიადის!

მახსოვს ის ღამე უჩვეულო, სავსე ღირსებით,
დღემდე რომ მირხევს სათნოებით სულის ანტენებს!..
მე მოგონების მხოლოდ მძაფრი შუქით ვივსები,
ვით ცა იანვრის უთვალავი თეთრი ფანტელით!

ჩვენ გვეჯდა გვერდით – სამ მეგობარს, სამი რჩეული
და ირხეოდა გარეთ ზამთრის თეთრი სხეული!..

31. 12. 63.
სოხუმი

* * *

მე მუდამ მჯერა შენი გულის ულალატობის,
რა ვქნა, ძვირფასო, ბედისწერამ აღარ დამინდო!
გადმომაღვარა ყველა სხივი ციდან მნათობმა
და მაინც ვეღარ შეიცვალა ჩემში ამინდი!

ვეღარ ვიშორებ ამ ცხოვრების ბრჭყალებს საშინელს,
მაგრამ სრულებით არ ვნებდები უიმედობას!
დღე ხვალინდელი კივის, მაგრამ ვეღარ მაშინებს,
რადგანაც სულმა შენი ტრფობის ზღვაში შეტოპა!..

რად მიცქერ აგრე ცრემლიანი, ჩემო ქალღმერთო?
შენსკენ მოვილტვი, მინდა ისევ გავინაპირო...
რას მიზამს ჟამი, რადგან გრძნობა შენით აღენთო
და რა სინაზით მეფერება ცა სააპრილო!..

იმედად მიჩანს მაგ თვალების ლურჯი ზმანება,
რად ამატირა გაზაფხულის შემობრძანებამ?!

19. 03. 64.
სოხუმი

* * *

ვდგავართ ნაპირზე და ზღვა არხევს ტალღებს უჩუმრად,
ვუსმენთ მზის ჩასვლის მელოდიას მე და შენ, მერი!. .
გზებს შეღამების გადაუვლის ნიავი ფრენით
და ყვავილნარში ჩაიმუხლებს მერე ჩურჩულით...

გადააქვს ზეფირს ლურჯი ფრთებით ვარდების სუნთქვა
და როგორ გვხიბლავს იდუმალი თამაში ფერთა...
აქ ყველაფერი უწმინდესი ტრფიალით ფეთქავს
და ცას სერავენ თოლიები ზღვის თავზე გუნდად...

მზე კი ჩაეშვა... კიდევ ერთი დღე მიიწურა,
ჩვენს აღტაცებას უჩვეულოს არა აქვს ბოლო!..
როგორ არ მინდა ამ დღეებმა რომ ჩაიქროლონ,
შორს, ცის სიღრმეში ღრუბლის თეთრი გედი მიცურავს...

მოდის საღამო... სულს ფარული ღელვა მოება
და ჩვენ შევხარით უკვე ღამის მოახლოებას!..

07. 05. 64.
სოხუმი

* * *

ეს ვინ გამოსცდა წუთისოფლის მღვრიე მდინარეს?
უკრთის თვალებში იდუმალი ცეცხლი ღვთიური!..
როგორ იქნება ეს სიმაღლე გაუჩინარდეს,
ან უჩვეულო ნეტარება ამქვეყნიური?!

გაზაფხულია... გალობს ჩიტი ხმით საამურით,
ირხევა სიმი სიყვარულის შეუცნობელი!..
ვინ ააჟღერა ამ მინდორზე მზის სალამური,
ხმით მშვენიერით, რომ წამისად დატკბეს სოფელი?

შენი თვალების გამოხედვას ვერ ვემალები
და სული სულის სილამაზეს ესხივოსნება!..
შენით მთვრალია ჩემი გული, ჩემი თვალები,
მხოლოდ ლამაზი სიყვარული ვიცით მგოსნებმა!

ღამის ნისლებში თუ გაქრება შენი ხატება,
ჩემს ლექსს შერჩება მაგ თვალების ლურჯი ნათება!..

17. 04. 65.
ბანძა

* * *

აჰა, საცაა მოვარდება გრიგალი ურჩი,
იჩქარე, სულო, ახლა შევხვდეთ, და არა მერე!
სანამ ტკივილით გახუნდება ბუნება ლურჯი
და შემოდგომა მოაზღვავებს სევდიან ფერებს!..

შორეულ გზებზე ვარსკვლავები მიქრიან სადღაც,
არც მომავალი, არც წარსული არ ვიცით მათი!
ძვირფასო ჩემო! სამზეოზე მოვედით რადგან,
ამ გაზაფხულის სურნელებით ბოლომდე დავთვრეთ!..

სული ზეიმობს, საყვარელო, როცა ვარ შენთან,
სიყვარულია ერთადერთი მაღალი ღმერთი!
მთელი სამყარო ამ საოცარ ბურანში ფეთქავს
და გვიხმობს მარად საოცნებო ბილიკი თეთრი!..

შეხედე ზეცას, სიყვარულის გამოა სუფთა,
ჩვენსავით მთელი ვარსკვლავეთი ტრფიალით სუნთქავს!..

19. 08. 65.
სოხუმი

* * *

ედიტ პიაფს

თრთოდი "ბელურა" იადონის უკვდავი ყელით,
მთელი პლანეტის ღვთაებრივი გახდი ასული!
შენ სიმღერასთან, დედოფალო, ხარ განუყრელი,
ის იყო შენი დასაბამიც და დასასრულიც!

მაგ ხმათა სპექტრთან ო, რამდენჯერ ღამე ვათიე,
მოფრინდი ციდან, იმღერე და შებრუნდი მისკენ...
შენ, ორფეოსის მარადიულ და დიდ პარტნიორს
მიწის ტკივილი გამღერებდა ისევ და ისევ!..

მსოფლიო სევდა გსდევდა მარად მოურჩენელი,
მერე გედივით გაცურდი და მიწაც დატოვე!..
ცის სიშორიდან ღმერთი იყო შენი მრჩეველი,
ფერიცვალებას არ მორჩილებ, შენ ქალბატონო!

დგახარ ამაყად სივრცისა და ჟამის გარეშე,
შენს ნაკვალევზე დრო ვერასდროს გადითარეშებს!

14. 09. 65.
სოხუმი

* * *

აპრილის ჩიტი ყვავილნარში ო, ისევ გალობს,
ირწევა სივრცე და დღეები იალქნებს შლიან!..
წამოდი, მერი, გაზაფხული სანამდის გვწყალობს,
მივაყურადოდ ხეივნების იდუმალ შრიალს!..

ვიჩქაროთ, თორემ შეუმჩნევლად გაირბენს წლები,
მიეფარება სანატრელი დღეები თვალებს!
ვერც ბაგეები შეხვდებიან ერთმანეთს ვნებით,
ვერც ხეივანში შეცურდება სინაზით მთვარე!

და გაფრენილი წლები ძალზე დაგვენანება,
ჩვენს ნაფეხურებს, როცა ჩუმად დაფარავს თოვლი!..
მერე ამაოდ გაგვიტაცებს შორი ზმანება
და ყვავილები სიოს ფრთებით კვლავ ანათრთოლი!

წამოდი, თორემ ჟამთა დენის გავხდებით მსხვერპლი
და ამ დღეთაგან თითქმის აღარ დარჩება ფერფლიც!

16. 04. 66.
სოხუმი

* * *

ირეკლავს სივრცე გარდასულის იდუმალ ხსოვნას,
დღე ვარდფურცლობის არ ნებდება უამინდობას!
მოვდივარ ღელვით და ეს გული მგზნებარე მომაქვს,
რადგან მან ყოფნა სამუდამოდ შენთან ინდომა!

ჩემს სხეულს ვიცი გაიტაცებს ჟამის მორევი,
მაგრამ ვერ შესძლებს ის ამ სულის გაბედითებას!
ძვირფასო, მე ხომ უკვდავებას შენგან მოველი,
არც მინატრია და არც მინდა მე სხვა დიდება!

მზე გაზაფხულის ისევ ცურავს ზეცის თავანზე,
ის ჩავა უხმოდ და ცა მთვარით მოისირმება!
მე გული გიძღვენ და შენც გული შემომთავაზე
და სული მძაფრად შემირხიეს ლექსის სიმებმა!..

ეს გაზაფხულიც წავა ისე, ვით სხვა წასულა,
მაგრამ ამ ღელვას მე ვერ ჩავთვლი ფერგადასულად!

24. 04. 66.
სოხუმი

* * *

რამ შეგაყვარა, საყვარელო, ფერი მოცხარის,
ასე საოცრად, რომ გიტაცებს და ეფერები?
ციდან გვიცქერის ანგელოზის თვალი მოწყალე
და ქრის ნიავი სიყვარულის დაუბერები!..

რამ შეგაყვარა ო, ეს ზღვა და ზღვის მელოდია
და სიოს ფრთებზე უჩვეულო რხევა სიმების?
ვერ გამიგია, ეს დღეები ასე რად რბიან
და რატომ გვათრობს მზე მაისის ოქროს წვიმებით?!

რამ შეგაყვარა იდუმალი ქროლვა ნიავის
და ნაპირისკენ ზღვა როდესაც ტალღებს მოდენის?...
მე შენი სულის სილამაზე გავიზიარე
და აღტაცება უსაზღვრო და მოულოდნელი!

მოხვედი ქვეყნად? – სურნელს მიწის უნდა იწოვდე,
რომ ასაფრენი სივრცე აღარ დაგივიწროვდეს!

20. 05. 66.
სოხუმი

* * *

ვინ იცის, სულო, ვისთვის რას ქსოვს ბედი მაცდური?
გულს სიყვარულის უბოლოო ზვირთი მოება!..
სულში ღრუბელი ვარდისფერი ისევ აცურდა
და სულ ამაოდ იზმორება ამაოება!..

რა შორს ფეთქავენ ვარსკვლავების მღვრიე თვალები,
საწუთროს სიო ნეტავ რაზე გვეჩურჩულება?
მის ფრთებს ულმობელს, ვიცი, ვერც ჩვენ დავემალებით,
რა რჩება ქვეყნად? – სიყვარულზე მხოლოდ თქმულება!..

ნაზამთრალ მინდვრებს გადაათოვს ფერი ატმების,
ცა გაზაფხულის ოცნებებით გაიბადრება!..
ჩვენ ამ ხეივნებს უჩვეულოდ მოვენატრებით,
როცა სივრცეში გავიბნევით ხსოვნის სანთლებად...

ჟამი არ მკიდეს მე ისეთი რა მეგულება?
მაგრამ სიყვარულს ის ვერ წაშლის, ვერც ერთგულებას!

12. 02. 68.
სოხუმი

* * *

ო, მზის გარშემო სანამ ბრუნავს ეს დედამიწა
და ჩვეულებრივ, სანამ კიდევ საათი რეკავს!..
თუ ბილიკებზე ხარ-ირმების ყვირილი მიწყდა,
აცრემლდებიან გულსაკლავად ღვია და დეკა!..

თუკი სიცოცხლის ნაკვალევზე სიკვდილი გაწვა
და მზის ნატერფალს აეფარა დემონი ურჩი!
რა ეშველება ფრთებს ცეცხლოვან ლავაში დამწვარს,
ჩამოიშლება ლაჟვარდები საოცრად ლურჯი!..

ხავერდოვნებას თუ დაკარგავს საგნების წყება,
დაიშლამება საუკუნოდ ჩქერები ვერცხლის!..
და მიეცემა ყოველივე აქ დავიწყებას,
არც ბულბულის ხმას გავიგონებთ, არც ჭიკჭიკს მერცხლის!

რას ვუცდით, მეგი, კვლავ დავჭიმოთ სიმები მძაფრად
და სიყვარულის ერთხელ კიდევ გავშალოთ აფრა!

02. 04. 68.
სოხუმი

* * *

გული განსაცდელს კიდევ დიდხანს გაუძლებს ალბათ,
რადგან აინთო სიყვარულის ძლიერი სხივით!..
მე დავეწაფე შენი ბაგის ვარდისფერ შარბათს
და სულმა სულთან უთვალავი გააბა სიმი!..

მინდორზე ფეთქავს გაზაფხულის ყვავილი ქორფა
და სიოს ფრთების უფაქიზეს შეხებას ელის!
მერე ზამთარი გაავებულს აუშვებს ქოფაკს
და შემოგრჩება მწუხარებით თვალები სველი!..

შეუქცევადი არის მარად ჟამის დინება,
ძვირფასო, შენი სიყვარული რამდენს მავალებს!
მოგაგონდები, ვიცი, იგრძნობ და გეტკინება,
და ბევრჯერ ჩუმად აგაცრემლებს მზე ჩამავალი!..

ქვეყნად ვერ უძლებს ვერაფერი ჟამის შეტევას,
მაგრამ მაგ შენი სიყვარულის მეიმედება!

28. 05. 68.
სოხუმი

* * *

შევდივარ ბაღში, დათოვილი ხეები დგანან,
მიდის მდინარე ყინულის ქვეშ... არ ისმის ჩქამი!
ზამთრის დღეები ტყუპებივით ერთმანეთს ჰგვანან
და ტოტებიდან ვისმენ ისევ ყვავების ჩხავილს...

მდინარის იქით გადავცქერი თოვლიან ბექობს
და ზამთრის შიშით არემარემ შესწყვიტა სუნთქვა!
შორეულ დღეთა მომაწყდება ფარული ექო,
ო, ეს რამდენი ფიფქი მოდის ფაქიზად, სუფთად!..

და სივრცეები უსამანო გამხდარა თითქოს,
მიდის ღრუბელი ცის თავანზე აუჩქარებლად...
სული, ძვირფასო, ისევ შენსკენ გაფრენას ითხოვს
და ტკივილების ძალზე უჭირს უკვე ტარება!

დავდივარ მარტო... ჩამორეკეს ზამთრის ზარებმა
და ვუცქერ ღელვით თოვლით მორთულ შემოღამებას!..

27. 12. 69.
სოხუმი

* * *

შენი დრო სადღაც, მოსახვევში შეჩერდა უკვე,
ჩემი დრო, ბიჭო, ისევ მთელი სისწრაფით მიქრის!..
ო, ვინაც გშობა, ისევ იმის იქეცი ლუკმად,
მე დავიღალე სიცოცხლეზე ამაო ფიქრით!..

ჩვენ სიბნელიდან ამოვდივართ ჩქერზე სინათლის
და სულ ცოტა ხანს ვხეტიალობთ ოცნების წრეში...
რაღაცას ვეძებთ, ხან მივსტირით, ხანაც მივნატრით
და შორს მიცურავს ცის თავანზე ღრუბელი მრეში...

ფერიცვალებას სამზეოზე არა აქვს ზღვარი
და ფრთებით მძლავრით ეხეთქება სივრცეს ზღვაური!..
მიაყურადებ, ისევ რეკავს!.. ვის უხმობს ზარი?
მიდის ზვირთები სიშორეში აურზაურით!..

რბიან დღეები მსხვრევას, განგაშს, ბოლო არ უჩანს,
მაგრამ კბოდეზე ისევ დგას და ყვავის ალუჩა!

25. 04. 70.
ბანძა

* * *

ეს ნავი ო, რა გაბედულად მიარღვევს ტალღებს,
ისევ მივცურავთ ზღვის სივრცეში, სულო, თამამად!..
რა უნდა ჩვენთან, საყვარელო, სევდას და ნაღველს,
მზე ამოვიდა და გულწრფელად მოგვესალამა!..

მივარღვევთ სივრცეს, ხვალინდელ დღის გვეიმედება
და აფრებს ზემოთ უთვალავი ფეთქავს თოლია!
ჩვენ ვარდფურცლობის საოცარი ცეცხლი გვედება,
თუმც ნაპირამდე, საყვარულო ძალზე შორია!..

არ ვიცით ახლა, თუ საითკენ მივემართებით,
მზე ამოვიდა და სულს შუქი მოეფინება!..
ძვირფასო, ვიცით, რომ ჩვენი გზა არის ნათელი,
აღარ ვმორჩილებთ, საყვარელო, დროის დინებას!

მივქრივართ ერთად, ცა და მიწა ჩვენი გვგონია,
და მოძრაობის სულაც არ ვცვლით ტრაექტორიას!

17. 05. 70.
სოხუმი

* * *

ღირსების დარად ვერ შევამკე შენი სახელი,
მაგ მშვენებასთან პოეზიაც თითქოს ურჩია!
ვუცქერი ახლა, მე შენს თვალებს ცისფრად გახელილს,
ვარდის ბაგეებს, ვარდის სიტყვა ვერ შევურჩიე!

მუდამ ნაქები ამ ზღვისა და ზეცის სილურჯე,
ორივე ერთად, მაგ თვალების მკრთალი ლანდია!
რის თქმაც მინდოდა, ვერ შევძელი, გულო იყუჩე,
ვერ ვპოვე შენთვის შესაფერი სიტყვა, ნათია!

გადგას გვირგვინი სილამაზის, ჩემო იმედო!
და უკვე ვეღარ ვეგუები დიდხანს მოლოდინს!
ჩემო ძვირფასო, შენ თუ არა – ვიღას მივენდო,
როცა ერთბაშად გულს მისერავს ჟამი ბოროტი!

შენს მშვენებასთან ეს სონეტი რა ფერმკრთალია,
ნუ გამამტყუნებ, გრძნობა ჩემი შენით მთვრალია!

14. 06. 70.
სოხუმი

* * *

არ მინდა სევდა შემოდგომის შემოეპაროს, –
ამ ჩვენს სიყვარულს ვარდ-ყვავილთა თრთოლვით ნაფერებს!..
დასაბამიდან ანგელოზთა ფრთები გვეფარა,
რას უცდი, ისევ გაზაფხულის ქარო, დაჰბერე!..

არ მინდა ო, ის აღტაცება გაუჩინარდეს
და შემოდგომის მოყვითალო ფერი მოედოს!
გზას ვარსკვლავების შორეული შუქი გინათებს,
რადგან სიყვარულს უმღეროდი მუდამ, პოეტო!

მიწაზე შენთვის ხომ ყველა გზა გახდა ცნობილი,
ამ მზე და მთვარეშ ეს რამდენი შუქი გვათოვა...
რაც ვნახეთ დღემდე, ნუთუ გახდა უკვე ყოფილი?
ვეღარ დაგვძლია, თუმც დრომ ბევრჯერ დაგვიმარტოვა!

მზეო, რას უცდი დაგვირხიე ისევ ფერები,
ჯერ ბევრი რამე დაგვრჩა კიდევ მოსაფერები!..

17. 04. 71.
სოხუმი

* * *

არავინ იცის, საიდან და როგორ მოვედით,
უდაბურ გზებზე რა ჯიუტად ვიხეტიალეთ!..
ძალავ განგების, შენ მომმადლე სული პოეტის,
თუმც ეს ცხოვრება ვერ გავიგე როგორ ტრიალებს?!

მე შენს წინაშე კვლავ ვლოცულობ, მზეო მაღალო!
რომ არ მოაკლდეს ჩემს პლანეტას შენი წყალობა,
შენი სიუხვით გააცოცხლე მიწა აყალო,
რომ ველ – მინდვრების საოცარი მესმას გალობა!..

მე შენს კალთაზე ეს რამდენჯერ ვიგაზაფხულე
და თვალებს ჩემსას სიყვარულის ცრემლი მოება!..
შენ შეგღაღადებ, საყვარელო, შენი მსახური
და სული ჩემი ეხეთქება ამაოებას!..

მზეო, მე რადგან მეხოტბე ვარ შენი მშვენების,
მჯერა, მიმავალს სიბნელეში შემეშველები!..

27. 05. 72.
სოხუმი

* * *

სიცოცხლის თავთავს ანგელოზი საკმეველს უკმევს,
მზე ვარდფურცლობის ცის თავანზე კვლავ უნდა ენთოს!
“პანდორას ძღვენი” – რა ხანია გაიხსნა უკვე
და მოაზღვავა ბოროტება მიწაზე ერთობ!..

რა დრო გასულა, რაც პლანეტა უკუღმა ბრუნავს?!
აწევს სიცოცხლეს სიმძიმილი სიმძიმით მთების!..
დამსგავსებია დედამიწა მხეცების ბუნაგს
და დემონებმა ვეებერთელა გაშალეს ფრთები!..

მიწა სატკივარს ვულკანივით აბოლებს ისევ,
მზე გადაღლილი იმზირება ზეციდან მორცხვად!
ვერ გაარღვია მოჯარული ღრუბლების სისქე
და სული ცისკენ სულ ამაოდ აღავლენს ლოცვას!

აქ ბოროტება ყორანივით ფრთებს იქნევს მძიმეს,
დრო მიქრის, მაგრამ ხვალინდელ დღის გვიტოვებს იმედს!..

14. 07. 74.
მოსკოვი

* * *

უღელი მძიმე თუ დაიდგი, — უნდა ატარო,
ხელი მსახვრალის არ შეეხოს სულის კლავიშებს!
ძვირფასო ჩემო, მე არ ვიცი, რას შეგადარო,
ან ეს ცხოვრება უკუღმართი რას მიმანიშნებს?!

ხეებს ფუტუროს ვერ აღვიძებს ქარი აპრილის
და ბერწ მიდამოს მზეც კი ვეღარ ააყვავილებს!
დავდივარ მარტო... შეღამების შევრჩი ნაპირებს
და ჟამი უნდო კვლავ დამჩხავის თავზე ყვავივით!..

შენზე ფიქრებით მოითენთა ჩემი არსება,
მოვდივარ შენთან ოცნებებით ღამენათევი!..
სანამ სიცოცხლე ხეს ფუტუროს დაემსგავსება,
იქნებ იმედის მომაღვაროს დილამ ნათელი?!

შენა ხარ ჩემი ერთგულების თეთრი ასული,
ჩემი ტრფიალის დასაწყისი და დასასრული!

19. 08. 74.
სოხუმი

* * *

ჩემი ცხოვრება უჩვეულო დინებით მიდის,
ის არ ცნობს ქვეყნის არც კანონებს და არც ბრძანებას!
ქუჩებს, ხეივნებს ფოთოლცვენის მოაწვა ბინდი
და სული ვეღარ ეგუება ფერიცვალებას!

მე სიყვარულით მიცქერიან შენი თვალები,
ეს ცხადია, თუ საოცარი არის ზმანება?
მივდივარ, ციდან ვარსკვლავები მითვალთვალებენ
და შენთან, ვიცი, განშორება დამენანება!

დარჩება ჩვენი აღტაცების თეთრი კარავი,
თუ ჟამმა ისიც არ მოშალა მოულოდნელად!
მიერეკება ქარი ცაზე ღრუბლის ქარავანს,
შემოდის სულში ტკივილები ქვეყნისოდენა!..

მიდის ცხოვრება, იცვლის გზაზე ფერს და კალაპოტს
და მაინც მინდა სიყვარულზე გელაპარაკო!..

29. 08. 74.
ბანძა

* * *

მე შენს გარეშე როგორ გავძლებ, ჩემო სოფელო!
შენ დამირწიე ვერხვის ძირას, ყრმობის აკვანი!..
ამ გულის ღელვით გაირღვევა შავი საკანი,
რომ უკუვაგდო ეს სიკვდილი დაუნდობელი!

ამაზე მეტი, ვის რა უნდა მოეცა ჩემთვის,
რაც მომანიჭე სიყვარულით, ძვირფასო ჩემო!
მე დღენიადაგ მხოლოდ შენით მივფრინავ ზემოთ
და ქროლვა ჩემი არვის ძალუძს, რომ შეაჩეროს!..

ამოვიზარდე შენი მძლავრი ფესვების წიაღ
ჩემს ღელვასა და მისწრაფებას არ უჩანს ბოლო!..
ძვირფასო ჩემო! შენ ერთს გეტრფი მხოლოდ და მხოლოდ,
ხანაც ფარულად და ხან კიდევ აშკარდ, ღიად!..

შენზე ძვირფასი სამზეოზე არვინ მეგულვის,
მომასმენიე ერთხელ კიდევ – ნანა მეგრული!..

14. 11. 74.
ბანძა

* * *

ძოწ–ლალ–ბაგეო, დამდაგეო,
სულთ – წამარებო!
ბესიკი

მე შენს სიყვარულს დავიწყებას ვერასდროს მივცემ,
თუნდაც ურიცხვმა გადიქროლოს მიწაზე წელმა!. .
გაჟღენთილია შენი შუქით ეს ჩემი სივრცე
და რას დამაკლებს დემონების მრისხანე წყევლა?!

მე ცას და მიწას ვევედრები მაჩუქონ შვება,
ო, მაგ ბაგეთა მოფერების ღირსი რომ გავხდე!..
სულს ტკივილებთან თუმცა ბევრჯერ ჰქონია შებმა
და მაინც სიმებს სიყვარულის საოცრად არხევს!..

ვინ შეაჩერებს მღელვარებას დროის მორევის,
ბრუნავს ნიადაგ და ღრმა ფსკერზე ყველაფერს ითრევს...
სულმა ტკივილის უსაშველოდ იგრძნო მოსევა,

მაგრამ ზეციდან შუქის კრთომას ისევ მოველი,
სიმებს იდუმალს კვლავ შეახებს თოვლისფერ თითებს
და ცა ოცნების ვარდისფერად შეიმოსება!..

23. 03. 75.
ბანძა

* * *

ბაგემდუმრიად გიალერსებ,
ბაგეო–ვარდო!
ბესიკი

მინდა სიცოცხლის ნიაღვრების ბოლომდე გვწამდეს,
შენ გაქვს სინაზე გაზაფხულთან განუყოფელი!. ..
თრთოლვა ხარ ცისკრის და ოცნებით მაღალი ცამდე
და მხიბლავს შენი სილამაზით წუთისოფელი!..

ღამეულ ლანდებს ვერ დავუთმობ მაგ შენს ხატებას,
რას უცდი, ცაო, გაზაფხულის შუქი მათოვე!..
უშენოდ სულმა როგორ იგრძნოს ცისკრის ნათება?
შეგხვდი, ძვირფასო, და ერთბაშად მომაჯადოვე!..

ღრუბლები სადღაც, შორს მიდიან სვენებ–სვენებით,
მოვდივარ შენთან და გულისთქმას მხოლოდ შენ განდობ!
მოდის აპრილი... ნიავს მოაქვს სუნთქვა ველების

და მე კი შენი საოცარი ღიმილი მათრობს!..
“ბაგემდუმრიად გიალერსებ, ბაგეო–ვარდო!”
ბაგევ, ბოლომდე აღტაცებით მოგეფერები!..

25. 03. 75.
სოხუმი

* * *

პირო – მთვარეო, მომიგონე,
მზის სადარებო!
ბესიკი

ღამის აფეთქდეს ო, ეს გული სადმე დენთივით,
შორს დარჩა უკვე ჭაბუკობის თეთრი ზღაპარი!..
ციდან დამცქერის შემოდგომის მზე მოთენთილი,
შევრჩი ტრამალებს დევნილი და მიუსაფარი!. .

ზღვა მაგონდება მშობლიური, მთვარით ნაფერი
და ცა დაღვრილი ყვავილების ფერად მტევნებად!..
შენი ხატება მტკივა მხოლოდ, სხვა არაფერი,
როცა ხეივანს მოგონების ავედევნები!..

დაცარიელდა ჩემთვის გზები პირველყოფილი
და ჟამი გახდა შემზარავად აუტანელი!
სად გპოვო აწი საოცნებო მთვარის პროფილით,
დრო მიდის, მაგრამ ჩემს ტკივილებს ვეღარ ანელებს!

არ დამივიწყო სიშორეში მარტოდ მარები,
პირო – მთვარეო, მომიგონე, გემუდარები!

26. 05. 95.
მოსკოვი

* * *

შორეულ გზაზე უგზო-უკვლოდ მივექანები
და გული კივის დაფლეთილი ჟამის ლახვარით!..
აცახცახებენ მთებს და მინდვრებს ურჩი ქარები
და მოჩანს მხარე უსაშველოდ ნაპარტახალი!..

ჟამის დინებას ვერ გაექცა სული კეთილი,
ყველაფერს გლეჯს და ანადგურებს ხელი მსახვრალის!
მზე შემოდგომის იხედება სხივმოთენთილი
და სივრცეებში ირეკლება სხვა გზა ახალი!..

არ ავყოლივარ დღეთა ქროლვას უიმედობის,
არც მრისხანება მაშინებდა ჟამის აჩრდილის!
მხოლოდ სივრცეებს მარად შუქითმოსილს ვენდობი,
ჩემი თეთრონი იქით მიქრის ფაფარაშლილი...

რა რჩება ქვეყნად? – იდუმალი კვალი ნათელი,
სხვა არაფერი, მეგობარო, სხვა არაფერი!

14. 09. 76.
სოხუმი

* * *

დრო სწორხაზოვნად უკვე აღარ მიედინება,
შეხედე, სივრცის გამრუდების მოჩანს ნიშანი!..
ჟამთან ჭიდილი, მეგობარო, მექცა დილემად,
ო, ზღვები არა, იმღვრევიან თვითონ ქვიშანიც!

ძალა ბუნების ქვეყნად რამდენ ცოდნას გვანიჭებს,
დღეს მიკროსივრცის უჩვეულო გავხდით სტუმარი!..
და შემეცნების იმ ძველ მიჯნებს გადავაბიჯეთ,
სადაც არასდროს არ მთავრდება გზა იდუმალი!..

დღემდე სხვა ვიყავ! დღეს არ ვიცი, რა ვარ? ვინა ვარ?
ხან გამიტაცებს, ხან მაბრუნებს ურჩი დინება!..
ის რაც ვიცოდით, მეგობარო, იქმნა იავარ,
ძველის დანგრევა, თვით ბუნებამ ასე ინება!

ამ სამყაროში ვერ გავიგე რაა მარადი?
რა გემართება? სულო, ნუთუ დაპატარავდი?!

24. 06. 77.
სოხუმი

* * *

ჩვენ ვტოვებთ სცენას და უეცრად სხვები მოდიან,
იხსნება ფარდა, მესამედ რომ დარეკავს ზარი!
ხეს ცხოვრებისას ქარი არხევს მრავალტოტიანს
და ამ ცვლილებას სამზეოზე არა აქვს ზღვარი!..

იდუმალების განუწყვეტლივ ვტრიალებთ წრეში,
ათასი რამე დაგატყდება მოულოდნელად!..
კვლავ აცურდება ცის თავანზე ღრუბელი მრეში,
რომელიც უკვე სიშორიდან ქარმა მოდენა!..

დანაღმულია, მეგობარო, საწუთროს გზები,
სად აფეთქდები უცაბედად, არავინ უწყის!
შეხედე, ქარი როგორ უტევს იალქნებს გზნებით
და ცვლიან ერთურთს ეს დღეები კენტი და ლუწი!. .

ვერ ამიხსნია ამ ქვეყანას თუ ვინ განაგებს,
ჩვენ ბანაკს ავშლით, სხვა თაობა დაიბანაკებს!..

09. 07. 77.
სოხუმი

* * *

აქ ცა და მიწამ ერთობ იგრძნო მოთენთილობა,
მზის ჩანჩქერებმა ზღვის ვეება ფრთებიც მოღალა!
ჩემი ალვის ხე აწვართული ფიქრმა მოხარა,
გულში კი გაჩნდა იდუმალი და ღრმა ჭრილობა!..

შლამით ერთბაშად დაიფარა წყალი მდინარის,
ცამ შეაფერხა უჩვეულოდ ღელვა–დინება!..
აჰა, საცაა ტყეს დასიცხულს მიეძინება
და რა საოცრად გატრუნულა ო, ეს ჩინარი!..

მხოლოდ კოდალა კანტიკუნტად კენკავს სიჩუმეს
და ფრინველების უცნაურად შეწყდა გალობა!
ნუთუ ეს არის, ჟამთა დენავ, შენი წყალობა,
რომ ყოველივე ქვეყანაზე დაცხრეს, მიჩუმდეს?!

მიწა ბარბაცებს და ვერ უძლებს სხივთა ზვაობას,
სივრცე ვარვარებს, როგორ უჭირს მზეს მოძრაობა?!

29. 07. 77.
სოხუმი

* * *

ვიცი, ეს ღელვა ახლა უკვე ვერაფერს შეცვლის,
როცა სიცოცხლეშ უცაბედად დაკეცა ფრთები!..
თამთამებს მთვარე–ლაჟვარდებში გამდნარი ვერცხლი
და ზარის ხმაზე გუგუნებენ ამაყი მთები!..

ამოვა მზე და შემოაცლის ქათქათა სამოსს
ნიავის ფრთებზე მოშრიალე ბაღების ქარვას,
მითხარი, ცრემლით ეს ბალახი როდემდე ვნამოთ,
ან ეს მდინარე მწუხარების საითკენ წავა?

დასაბამიდან ბედისწერის ვტრიალებთ წრეში,
არავინ იცის, გზა საწუთროს საითკენ მიდის!..
მოვა ჟამი და ამ ნაკვალევს დაფარავს ნეშო,
მოვა ჟამი და ამ სევდასაც შეიწოვს ბინდი!..

ეს წმინდა ცრემლი მხოლოდ ტრფობის მიიღე ნიშნად,
სანამ დაფარავს ამ ჩემს სხეულს არყოფნის ქვიშა!..

25. 05. 78.
ბანძა

* * *

უგუნურებას ქვეყანაზე არ უჩანს ზღვარი,
ვინ იცის, იგი შავი ფრთებით სანამდე მივა?
მე ჩემი კალმით საუკუნის ვარ თანამგზავრი
და, რასაც ვხედავ პლანეტაზე – საოცრად მტკივა!

ვინ მოგვისაჯა, რომ ერთურთი აღარ დავინდოთ
და გადავთელოთ ყოველივე ველურ ფლოქვებით?!
ატომს სიცოცხლე თუკი აღარ გამოვარიდეთ,
მაშინ ჩაგვძირავს ოკეანე აბობოქრების!..

მოდის ღრუბელი – ეს ბირთვული დიდი ობობა,
რომ საუკუნოდ ჩაქრეს ქვეყნად დილა მზიანი!
ყოველ ნაბიჯზე მეფობს მხოლოდ დაუნდობლობა,
ვერ გახდა სული სათნოების თანაზიარი!

ფეთქავს სიცოცხლე ფრთებთეთრი და მოუსვენარი
და უტევს იგი ბოროტებას ძალით ზენარის!..

19. 06. 78.
სოხუმი

* * *

ნაღვლიან თვალებს უჩვეულო წამება ახლავს
და ტკივილებით გათანგული ათევ – აღამებ!..
არავინ იცის, მეგობარო, საითკენ წახვალ
და განშორების მოგეჯარა უხმოდ ჭაღარა!..

ვერ გაექეცი ბედისწერის სისხლიან კლანჭებს,
მთელი ცხოვრება დრო მხეცივით გიღრენდა თითქოს!..
ჟამის ხლართები ეცადე და მაინც ვერ გასჭერ
და ახლა შენგან თავგანწირულ ნაბიჯსაც ითხოვს!..

რა დარჩა უკან, ღამეები ნათევი თეთრად,
რომელსაც ქშენით შემოადგა ჟამის სიცივე!..
არავინ მოდის, გული მწარე ტკივილით ფეთქავს
და ლაჟვარდიდან მთვარის ლურჯი შუქი ციმციმებს...

ამაყი იყავ, არ გივლია ხვეწნა – მუდარით,
მიტომ ვერ ჰპოვე ქვეყანაზე ნავსაყუდარი!

02. 07. 78.
ბანძა

* * *

საით გამექცა მეწამული ფერის მანტიით,–
მზე გაზაფხულის, განთიადის წვიმა შხაპუნა?
მე კი შემოვრჩი ამ პლანეტას სულით მარტვილი
და სევდიანი გადავცქერი მინდვრებს ნაპურალს!..

მივდივარ მარტო, ჟამის ზონარს ვჭიმავ დაღლილი
და გული მიმაქვს უსაშველოდ ნაჭრილობევი!..
ვერ იქნა, სიტყვას ვერ ამოვდე მტკიცედ აღვირი,
გავცქერი სივრცეს ფოთოლცვენის სევდით მოფენილს!..

გულს ვერ ვამშვიდებ! სიყვარული მექცა ტკივილად
და გუბე სევდის ვერ იქნა და ველარ დავაშრე!
უკვე ჩემს ცაზე ქარიშხალმა გადიკივილა
და ახლა, სადღაც, მღვრიე ტალღა მიმათამაშებს!..

ის დრო გამექცა, დამიწყვიტა ყველა სადავე,
ახლა სად ვპოვო ის სინაზე და სისადავე?!

25. 10. 78.
სოხუმი

* * *

ციდან უხვად კვლავ იღვრება ოქრო,
ნახე, ბაღში ისევ ყვავის ნუში!
შენ ისეთი ლამაზი ხარ, გოგო,
რომ უთუოდ ჩაგისვამდი სულში!..

დამიბრუნე ჭაბუკობის ჟამი,
მომაღვარე სურნელება თმების!..
ზღვის სივრცეში გაგიტაცებ ნავით,
ერთხელ კიდევ, ტრფობით ავივსები!..

ერთხელ კიდევ, ამიმღვრიე სისხლი,
ავყვე ღელვით შენი ტანის მორევს!..
უკვდავებად ალბათ მყოფნის ისიც,
აღტაცებით, როცა მომიგონებ!

ლექსით გითხარ, მე რაც უნდა მეთქვა,
როცა გულის მომეძალა ფეთქვა!..

12. 04. 79.
სოხუმი

* * *

დედამიწაზე მე დავარქვი საგნებს სახელი,
როცა მუსიკით შინაგანით მომაჯადოვეს!..
ჟამი მიდის და მემატება ჩუმი ნაღველი,
დღეო, რად მინდა, რომ ამდენი სევდა მათოვე?!

ცხოვრებას მაინც ვერ მოვგლიჯე შავი ნიღაბი,
ამოუხსნელი დარჩა ჩემთვის ბევრი იგავი!..
დავხეტიალობ, ვერსად ვეღარ გადავიღამე
და ფრთები ბევრჯერ დამილეწა ჟამის გრიგალმა!

გავცქერი სივრცეს, ეს რამდენი შუქი ელვარებს...
და მაინც დღემდე ბნელი აკრთობს ნათელ მირაჟებს!
ვერ იქნა, ვეღარ გავაღვიძე ჟამი მთვლემარე
და ვდგავარ ბრძოლით მოქანცული მე შენს წინაშე!

სადღაც სამყაროს ყრუ კედლებში ვარ ჩაკეტილი
და ოცნებებში სჭარბობს მხოლოდ ბოროტს კეთილი!

22. 08. 79.
ბანძა

* * *

ვერ უძლებს სული უთავბოლო დღეთა მარულას,
მოდის ზამთარი, მოაქვს დარდი აურაცხელი!..
მოარღვევს სივრცეს შემოდგომის ქარი ხმაურით,
სილამაზის და სიყვარულის მარად მძარცველი!

გამოხტა ჟამი ფოთოლცვენის სევდის მთოვარი,
შეხედე, როგორ უმოწყალოდ ძარცვავს ბუნებას?!
ის მოდის შენთან უსახური, ვით მათხოვარი,
მის ხელებს ვერც შენ გადურჩები, ალბათ, უვნებლად!

თვალს მიეფარა ვარდფურცლობის ჟამი ხასხასა
და ახლა მინდვრის ყვავილები აღარ გველიან!
გაძარცულ ცაზე მხოლოდ ღრუბლის ფრთები ლასლასებს
და შენი თვალი ვხედავ უკვე ცრემლით სველია!..

ძვირფასო ჩემო! არ ჩაიქრო ტრფიალის ცეცხლი,
იცოდე, ქვეყნად ამით მაინც ვერაფერს შევცვლი!

06. 10. 79.
ბანძა

* * *

ამ დღეთა სრბოლას ვხედავ უკვე ვერაფერს ვშველი,
შეხედე, ზეფირს შემოდგომის ფოთლები მიაქვს!..
შენ შვლის ნუკრი ხარ, საყვარელო, მაისის ველის,
თუ წყაროს პირას მწვანე ბუჩქთან შემკრთალი ია?

შენ გაზაფხულის ყვავილების ჩქერებში ცურავ,
მე შემოდგომის გადაღლილი ფერები მაწვიმს!..
დრო, რა ულმობელად აფერმკრთალებს ცხოვრების სურათს,
თუმც კვლავ ამბორად მიზიდავენ ტუჩები მარწყვის!..

ეს სილამაზე, ვინც გვაჩუქა, ვუბრუნებთ მასვე,
მოვდივართ ზღვასთან და ვუცქერით აფრების გაშლას!..
შენთან შეხვედრა მე უსაზღვრო ტრფიალით მავსებს,
თუმც ჟამი მიქრის, როგორც ველზე მერანი კავშა!..

მივაყურადოთ, ვარდფურცლობის სიმები უკრავს
და სული ისევ დაბრუნებას მოითხოვს უკან!..

09. 10. 79.
სოხუმი

* * *

შენს უჩვეულო სიდიადეს ვეტრფი, ბუნებავ,
მხოლოდ  შენ ერთი სიყვარულით მწვდები გულამდე!
რამდენ რამეზე ო, რა ბრძნულად მესაუბრები,
ასე იქნება ჩემი ყოფნის დასასრულამდე!..

აჟღერებ სიმებს!.. ხელოვანის გისმენ დუმილით,
როცა შენ გალობ, მე ზღვაგრძნობით ვხარობ ბოლომდის!
ამოდის მზე და მოაქვს ტანი ოქროცურვილი,
ამ აღტაცებას რას დააკლებს ძალა ბოროტი?!

მოდის საღამო, მავსებს მთვარე იდუმალებით,
როცა შუქს უხვად გადააღვრის ცისფერ ხეივანს!..
ახმაურდება ათას ხმაზე მწუხრის ზარები
და იზმორება სილამაზით ცა მოზეიმე!..

ვდგავარ ზღვის პირას, უცნაური ტყვე ვარ ზმანების,
ამ საოცრებას ნუ მომაკლებ, გემუდარები!..

10. 05. 80.
სოხუმი

* * *

მე ჩემი სოფლის მიცნობს თითქმის ყოველი კენჭი,
ისევ შემომხვდა ჩემი ღელე ღელვით, ჩურჩულით!..
დამაგვიანდა უკვე მოსვლა, სინდისი მქენჯნის,
მეძახის ტრფობით შენი ყველა კუთხე–კუნჭული!..

შენა ხარ ჩემი შთაგონების წყარო დიადი,
ბევრჯერ ნატორი ამ ცხოვრების შავი ურჩხულით!
კვლავ რეკავს ზარებს გედისფერი ცა განთიადის
და ფეთქავს ზეცა შეღამების – თვალდალურჯული!..

ო, სანუკვარო! მინდა დავრჩე მარადის შენთან,
შენს ლურჯ სანახებს სიყვარულით მისთვის ვედრები!..
ამ ცრემლს უწმინდესს აბაშის წყლის დინებას შევრთავ,
ო, შენთანა ვარ, მთელი ჩემი შემოქმედებით!

შენი ყოველი შემოხედვა როგორ მახარებს!
ასე ძლიერად, მითხარ, თავი რად შემაყვარე?!

21. 05. 80.
ბანძა

* * *

ჟამმა ცხოვრება რა უეცრად გამინახევრა?!
ჩემი ყვავილი სიყვარულის ჭკნება ნიადაგ!..
ღელვით გავცქერი ახლა ცაზე მთვარის ნახევარს,
მოვა დუმილი, გადამიქცევს სივრცეს წყვდიადად!..

დავხეტიალობ ახლა თითქოს სულ სხვა მხარეში,
იმ დღეთა ღელვა ზამთრის ფრთებით დაიფარება...
ქროლვა ნიავის შეიცვლება ქარის თარეშით
და მხოლოდ შენი სილამაზე შემებრალება!

მზერა ლამაზი გაიტაცეს ჟამის ზვირთებმა,
ბაღი მდუმარებს და ბულბული აღარ გვიგალობს!
მივდივარ ჩუმად, უხვად სევდას მივეზიდები
და მალე ტოტებს დამილეწავს სადმე გრიგალი!

იდინე დროო, მე ის სულაც აღარ მაშინებს,
ამ ჩვენს სიყვარულს ჟამთა სვლას ვერ დავუკავშირებ!

17. 06. 80.
სოხუმი

* * *

მე არასოდეს არ ვყოფილვარ ჟამის მძევალი
და შუბლზე მუდამ მხოლოდ რწმენის შუქი მეფინა!..
შენით დავძლიე, ჩემო მეგი, გზა უძლევარი
და ყოველივე შენმა ტრფობამ შემაძლებინა!

მიმაჩნდა მუდამ ერთადერთად გზა არჩეული
და არც თვისება მქონდა, სულო, ქამელეონის!
შენ ერთადერთი იყავ ჩემი გულის რჩეული
და მივყვებოდი გზას შორეულს ქნარით ეოლის!..

ჩვენს სიყვარულზე, სანუკვარო, ვწერდი ბალადას,
რეკავდა ზარებს სული ღელვით დაუტევარი!..
მეც მქონდა ჩემი დიდგორი და ჩემი მარაბდა,
მეწურებოდა სულში შენი ტრფობის მტევანი!..

დრო რას დამაკლებს, მეგი, შენზე გულით მინდობილს,
ჩვენ არ ვმორჩილებთ თეორიას ფარდობითობის!

10. 10. 80.
ბანძა

* * *

ზღვას დაეფინა ძოწისფერი სინაზე ისევ,
მშვილდ–ისრით ხელში ხეტიალობს ცელქი ამური,
ჭაღარა მთები შემოდგომის არხევენ ნისლებს
და ზღვის ბადეში კვლავ ეშვება მზე მეწამული.

მე ყრმობის წლები მაგონდება სათაყვანები,
რომელიც, სადღაც, აბაშის წყლის პირას იწყება!
რად შემიყვარდა ჩემი სოფლის ლურჯი ყანები,
რომლისაც ამ გულს აღარ ძალუძს გადავიწყება!

დავდივარ უხმოდ ხეივანში, ღელვით ვივსები,
ამაწიოკეს ისევ მძაფრად ჟამის ქარებმა!
კვლავ დამაქვს გული დაგლეჯილი მძიმე ისრებით
და მაინც შიში განშორების არ მეკარება!

დასაბამიდან, რადგან მხოლოდ ტრფობას ვუგალობ,
არ განმიმუხტო რწმენისაგან გული, უფალო!

12. 10. 80.
სოხუმი

* * *

მზე ამოდის მაისის მეწამული ქსოვილით,
ჟამის ღელვით დაღლილი ვდგავარ ფერთა მორევში!..
შენი ხსოვნით, ძვირფასო, თვალები მაქვს სოველი,
მოქრის ჟამის ქარები მარად მოიერიშე!..

საოცნებო ბილიკი რჩება სევდის ამარა,
დღეთა ორომტრიალში მივალ უმისამართოდ!..
ხვალინდელ დღეს, ძვირფასო, მაინც გავცქერ თამამად,
რადგან შენმა თვალებმა სიყვარულით ამანთო!..

წარსულს ვეჩურჩულები... მტკივა ნაიარევი,
სულში ფეთქავს იმ დღეთა ღელვა გაუხუნარი!..
ახლა ქუჩაბანდებში მარტო დავიარები,
ჟამის მღვრიე ქარები ჩემს გარშემო ბრუნავენ!..

ცას ოცნებით გავცქერი, მზემ ღრუბლები არია...
გული ასე რომ ღელავს, ნეტავ ვისი ბრალია?!

04. 05. 81.
სოხუმი

* * *

მე შენსკენ მზირალს მეფინება ფერები მთვარის,
არხევს ტირიფებს ჩრდილოეთის ქარები ურჩი!..
მოწოლას, ერთობ, ტკივილების ვერ გადავურჩი,
მიდიან კვნესით შემოდგომის დღეები მკრთალი!..

მივაყურადებ მთვარიანში მდინარის ოხვრას,
ო, როგორ მინდა არ მოედოს მიდამოს თვლემა!
ჩემი ლექსების იდუმალი შენა ხარ თემა,
რბიან დღეები, არ იციან რა არის მოღლა!

ვიცი, ვერასდროს დავიბრუნებ უკვე გაფრენილს,
როგორც მდინარე შლამიანი მიდის ცხოვრება!..
შენი თვალების სილაჟვარდე მემახსოვრება
და ცა მაღალი გაზაფხულის შუქით ნაფერი!

იქროლე სულო, სიშორეში ფრთებით გრძნეულით,
დარჩება ლექსი, დროო, შენგან ვერ დაძლეული!

25. 11. 82.
სოხუმი

* * *

გაქოლენთილია მძიმე სევდით ჩემი პლანეტა,
გზაჯვარედინზე სულ მცირედი იმედიც არ ჩანს!
ო, ამ ტკივილმა ყველა ტკივილს გადაამეტა,
რომ იმ დღეების სილამაზე სადღაც, შორს დარჩა!..

შენ ხარ მშობელი ამ სიცოცხლის, თუ კოსმოსიდან
მოზღვავდა იგი მირიადი ფრთების ხმაურით?!
შეხედე ზეცას, მზის გვირგვინით ვინ ამოზიდა,
აწყდება სივრცეს სიშორიდან ხმა უცნაური!..

ჰა, შემოდგომის ხეივანი დავტოვეთ ერთად,
ოცნებას მეტად აღარ ძალუძს იალქნის გაშლა!
აღარ გვაოცებს ძველებურად თამაში ფერთა,
ნუთუ მორჩილებს ყველაფერი რღვევას და დაშლას?!

ჩვენც ამ ცხოვრების – რთული ფილმის კინოკადრი ვართ,
არ გაგვიკვირდეს ეს ნათქვამი, ჩემო ფატიმა!

12. 11. 84.
სოხუმი

* * *

ო, ეს სიკვდილი რატომ არის ასე ძლიერი,
ყველა არსებულს ის დამხობით რად ემუქრება?
რატომ უცქერის ასე მშვიდად მას ზეციერი,
ან რატომ აძლევს ყოვლისშემძლე ამის უფლებას?!

ნუთუ ვერ ხვდება ვერც ბრძენი და ვერც მეცნიერი,
თუ რა ხლართებს ქსოვს შეუცნობელს ჟამის ობობა?!
სიკვდილი რატომ დააბიჯებს მეფურ იერით,
ან ასე რატომ ვეწირებით დაუნდობლობას?!

იქნებ სიცოცხლეს ბუნებისგან მართებს ბეგარა?
ყოფნა-არყოფნის საკითხებით გრძნობა გაწამდა!..
ჩამომაშორეთ ო, ეს შფოთვა უკიდეგანო
და დამიბრუნეთ ტრფობით სავსე რხევა წამწამთა!..

ეს სატანჯველი დავივიწყო კაცმა ეგების,
როცა ბაგეებს ბაგეებით შევეგებები!..

14. 08. 86.
სოხუმი

* * *

ჟამთან ჭიდილში გაცვდა ჩემი ყმაწვილკაცობა,
და მაინც დღემდე კვლავ თამამად აღმართს მივყვები...
მე პოეტი ვარ და არ ვიცი რაა დაცხრომა,
არც კი მანაღვლებს – რას ფიქრობენ ჩემზე ბრიყვები!

მე ოკეანის შუქი მიპყრობს მარად მედინი
და ეს პლანეტა რა საოცრად მევიწროება!
შემოღამება მდინარესთან მღერის გედივით
და ირხევიან სევდიანად ისევ წნორები!..

ამდენ ბრძოლაში შეცდომებიც მეპატიება,
თუ უნებურად, მეგობარო, სადმე დავუშვი!
მე არასოდეს ავყოლილვარ მსუბუქ დინებას,
და მემსხვრეოდა ხშირად ფრთები ქარის ხმაურში!..

ხან ზვირთი მსდევდა, ხან ქარიშხალით ვიყავ ნაცემი,
ჯამს ვეღარ შეცვლი შესაკრებთა გადანაცვლებით!

27. 10. 86.
სოხუმი

* * *

ზღვა რა ღონივრად ეხეთქება ამ ღამით ჯებირს
და პორტს სტოვებენ ხომალდები განგაშით, შიშით!..
ჩემი ტკივილი ულმობელი მხოლოდ აქ იშვა,
მაინც მოვდივარ და ნაპირთან ამაყად ვდგები!

ანათებს სივრცეს შუქურების ჩანჩქერი მძლავრი,
ამოდის მთვარე ძოწისფერი სხივების რხევით...
ზღვა კი ბობოქრობს უჩვეულოდ და ღრმულს ცვლის – თხემი,
ნაპირს ზვირთები ეხეთქება ვეება ძალით!..

მე შენში ვხედავ ამ ცხოვრების ფიზიკურ მოდელს,
რომ მიმოქრიან ეს ზვირთები შმაგი ჭენებით!..
გუგუნებს იგი ო, ამ ღამით შეუჩერებლივ
და ზედ აწყდება განწირულის შხუილით კბოდეს!..

ო, ამ სტიქიონს ნეტავ ეს რა ძალა განაგებს?
ზღვა გაჩუმდება? – მაშინ ნისლი დაიბანაკებს...

20. 11. 87.
სოხუმი

* * *

მოეცვა ცახცახს ჩემი მთები ტერფით–თხემამდე,
ზღვის პირას იდგა სევდიანი რხევა ნაძვების!..
სისხლის ღვარებით ჩემი მიწა გამითხევადეს
და აფროდიტეს დაკაწრული ჰქონდა ღაწვები!..

შემოგრაგნოდა ჩემს სამშობლოს ტანზე მგუდავი
და სძრავდა ტაძრებს შემზარავი რეკვა ზარების!..
იცრემლებოდა ხატი მცხეთის, ხატი გუდანის,
ო, ამ სისხლიან ნაფეხურზე დინოზავრების!..

დაეღო დრაკონს ხახა შავი, როგორც გვირაბი,
გესლავდა შხამით ყოველივეს, რაც კი ენება!..
და ტორტმანებდა სასიკვდილოდ ყელი ჟირაფის,
იძარცვებოდა ერთიანად ქვეყნის მშვენება!..

დავცქერდი მიწას სისხლით მორწყულს, გვამით მოფენილს!..
გამეღვიძა და გული შემრჩა ნაჭრილობევი!

12. 07. 88.
სოხუმი

* * *

რად მომეძალა უსაშველოდ მელანქოლია?!
დავდივარ გარეთ, დაღვრემილი სივრცეს გავცქერი!..
მოდის ზამთარი, რა აშინებს ამ მთას გოლიათს,
ან მინდვრებს რატომ აფერმკრთალებს მზე ალმაცერი?!

მაღალ სივრცეებს მიეძალა ჩემი ფიქრები,
რა დამავიწყებს, საყვარელო, მაგ შენს ხატებას?
ვხარობთ ცოტა ხნით, მერე მიწად გარდავიქმნებით,
და შორს, ვარსკვლავეთს შეერევა სულის ნათება!..

ტრფობას ცეცხლოვანს ვერ აქრობენ ცივი ქარები,
განშორებისას იცის თვალმა ცრემლის მოდება!..
ჩვენ ვართ, ძვირფასო, მხოლოდ მსხვერპლი ფერიცვალების
და საოცარი სხვა სამყარო დაგველოდება!..

და თუ სხეულებს მიწის თალხი ფერი ეძლევა, –
სული? – სული ხომ გაზაფხულზე მოვა ენძელად!..

17. 12. 88.
სოხუმი

* * *

გაივლის წლები და ძვლებს აღარ შერჩება ხორცი,
ო, ამ ყრუ მიწის შენც გახდები მცირედი ლუკმა!..
გაჩნდება მინდვრად უმნიშვნელო ფერმკთალი ბორცვი
და ვერასოდეს შეიქცევი მას შემდეგ უკან!

გულგრილი მიწა გარდასულ წლებს არაფრად ჩათვლის,
ვერც ბაგეების გაიხსენებს ცეცხლოვან კოცნას!
ცა ატირდება შეღამების, თვალებით ჩხართვის
და შორს, ალვის ხე აწვართული აღავლენს ლოცვას!..

ღამის ნიავი ტირიფონში დაუკრავს ფუგას,
როცა წყაროსთან მთვარე თვალებს გაახელს ნაზად!..
ჩემი ბავშვობის ატირდება ეზო და შუკა,
როცა ვიქცევი, მეგობარო, უსულო მასად!

მე ამ მიწაზე შენთან მოველ ღიმილის ბიჭი!
შორს, ზარი მიხმობს!.. მთვარე რატომ მიცქერის იჭვით?!

20. 05. 89.
ბანძა

* * *

ეს ქარიშხალი ო, ამ ღამით როგორ ხმაურობს,
გადამიტეხა ჩემს სარკმელთან ალვა ტანადი!
ისევ აწყდება ჩემს საცხოვრის აურზაურით
და დანა იჭვის გამიტარა გულში ტარამდის ! ...

სივრცე ცახცახებს, ლამის არის გადაიფერდოს,
მთვარე ღრუბლებში გზას მიიკვლევს ტანჯვით, წვალებით! ...
შეხედე, თითქმის ყველგან ჩაქრა სხივი იმედის
და სული კივის ბევრჯერ ჟამით განაწამები! ...

ტყე კი გუგუნებს! ... ეხეთქება ქარი ულმობლად
და ეცემიან ხენი ველზე, როგორც მხედრები! ...
ამ ბოროტებას სივრცეს ვინღა გადაუღობავს,
მხოლოდ ტყე ებრძვის ამ მოვარდნას თავგამეტებით! ...

ვდგავარ სარკმელთან, მაგრამ აღარ მემყუდროება,
ეს ქარიშხალი ლამის არის სულზე მომებას!

24. 10. 89.
ბანძა

* * *

მე ამ კბოდეზე ბავშვობიდან მიყვარდა დგომა,
წლები გაფრინდნენ, მაგრამ ღელვით მოვდივარ შენთან!
მძიმედ გადაღლილს სატკივარი რამდენი მომაქვს,
იმ დღეთა ტრფობით გული ისევ ძალუმად ფეთქავს!

მოდის საღამო, იისფერი ედება მინდვრებს
და შემოდგომის მოყვითალო შრიალებს ჩალა! ...
სიშორეებში ფიქრებს ისევ ფიქრებით მივსდევ
და გული დარდით დამუხტული ვერ მალავს ვარამს!

ჩემო აბაშავ! კვლავ იდინე ზვირთების მსხვრევით,
გულო იმღერე, როცა სევდა მოგეძალება! ...
საუკუნეებს გადუქროლე არწივის ფრთებით,
შორს, მოიტოვე სიბერე და ფერიცვალება! ...

ვიცი, გაუძლებ, ჩემო ლექსო, ყველა დროებას,
რადგან უმღერდი სიყვარულის უსაზღვროებას! ...

29. 10. 89.
ბანძა

* * *

ცოტნე დადიანს

საუკუნეთა სიღრმიდან უცქერ თაობებს კაცურად,
დრო და მანძილი შენს სახელს განა ოდესმე დაჩრდილავს?
შენმა თეთრონმა რამდენი დროის მღვრიე ზღვა გაცურა
და დააბიჯებს მიწაზე შენი დიადი აჩრდილი! ...

შენს სადიდებლად ყოველღამ ასი ვარსკვლავი ინთება,
მოდიხარ, როგორც ცისკარი შუქის ფერადი მოსევით!..
მოდიხარ კაცი ლომგული ლეგენდებად და მითებად
და ცის სიღრმიდან ღვთის ნებით გალობენ ანგელოზები! ...

მზე კვლავ ამოსვლას აპირებს ... ხმა გვათრობს იადონების
და ეფინება ცის ხავერდს ცისარტყელები რიალით! ...
მოდიხარ კაცი რაინდი, სავსე ჭკუით და გონებით,
რომ მოუშუშო ქვეყანას დაწყლულებული იარა!

შენისთანების იმედით მამული ისევ მხნედ არის,
მოარღვევ საუკუნეებს სწორუპოვარი მხედარი!..

14. 04. 90.
სოხუმი

* * *

მინდა გულწრფელად გესაუბროთ, მნათობნო ცათა!
ღამეა და სულს სილამაზით საოცრად მითბობთ!..
ო, როგორ მოდის სიშორიდან ამდენი სითბო?
ტკივილს და სევდას შეღამების ნიავქარს ვატან!..

ამ სტრიქონებში თქვენს მშვენებას ვერაფრით ჩავტევ,
დასაბამიდან მხოლოდ თქვენი სინაზის ტყვე ვარ!..
მე ამ ჩქერებში, როგორ მიყვარს ღამეთა თევა
და ჩემი ჩანგით სიშორეში მეც მინდა ვჩანდე!..

დავდივარ ზღვის პირს და იდუმალ ვაჟღერებ სიმებს,
ეგ ჩემი სული სიყვარულით ფეთქავდეს მინდა!..
თქვენა ხართ ჩემთვის სამყაროში ყველაზე წმინდა,
გაძარცულს ჟამით ო, მაგ თრთოლვით მიბრუნებთ იმედს!..

როცა მივწვები სამუდამოდ მაღლობზე სადმე,
ვიცი, ცივ ლოდზე სიყვარულით ამინთებთ სანთელს!..

20. 05. 90.
სოხუმი

* * *

შენ დასაბამით საიდუმლოს ინახავ რამდენს,
მაგრამ გამხელა არასოდეს არ გიყვარს მისი!..
ხან ბობოქრობ და იმოსები მგლისფერი ნისლით,
ხან ვარსკვლავების ათასობით ჩაიღვრი სანთელს!..

ჩემი ფიქრები შენს ლურჯ სივრცეს რამდენჯერ ვანდე,
მოულოდნელი ამბოხება გჩვევია ხშირად!
ხან ჩუმად წევხარ, ვეშაპივით ძალუმად გშინავ,
ხან მზე და მთვარე აღტაცებით გაღვრიან ვარდებს!..

შენს სიშორეში მიცურავდა ჩემი ოცნება,–
აფრა გაშლილი... და მის ქროლვას არ ჰქონდა ზღვარი!..
ალბათ დავრჩები შენს ხსოვნაში სიმღერით მგზავრის,
სიცოცხლე ჩემი შენს ნაპირებს, როცა მოსწყდება!..

ჩემი ტკივილიც, სიხარულიც, რადგან აქ იშვა,
უშენოდ უკვე ჩემი ყოფნა არაფერს ნიშნავს!

18. 08. 90.
სოხუმი

* * *

ეს გრძელი ღამე ისევ მექცა შფოთვად, წამებად,
კვლავ შენზე ვფიქრობ და სიმშვიდე არ მეკარება!
როგორც ღრუბლები, ფიქრი ისევ ფიქრებს წაება,
ო, რა უეცრად ამიმღვრიეს სივრცე ქარებმა!..

აწყდება კლდეებს ქარიშხალი მსხვრევით, ხმაურით,
ქვეყნად ამდენი ბოროტება, ეს ვინ □მოდენა?!
და ყველა რისხვა თავს გვატყდება მოულოდნელად,
აიკლეს მხარე დემონებმა აურზაურით!..

ო, რა ულმობლად გამიძარცვეს ბაღი ზღაპრული,
ამაოდ ვბორგავ!.. არაფერი მეიმედება!
ვეძახი ცისკარს, მაგრამ მაინც აღარ თენდება,
მხოლოდ მაწყდება სიშორიდან ხმა დაზაფრული!..

კვლავ ველოდები, მზეო, მე შენს ამობრძანებას,
რომ სივრცე აღარ დამიმსხვრიონ ღამის ზარებმა!

29. 09. 90.
სოხუმი

* * *

ისევ დაკეცა გაზაფხულმა აფრა ზღაპრული
და შეკრთა სივრცე ვარდფურცლობის შუქით ნათრობი,
ვერ იქნა, სული სიხარულით ვერ დავაპურე,
მიცქერს ირიბად შემოდგომის ციდან მნათობი!..

მოდის განგაშით სიშორიდან წყება ქარების,
რომ სილამაზეს და სინორჩეს ფერი უცვალოს!
მიდის დღეები, რეკავს ზარი ფერიცვალების
და ანგელოზებს თვალებიდან სცვივათ კურცხალი!..

მოეფინება გზებს იდუმალს კვნესა ლანდების
და შეჩერდება ცის ხავერდზე მზერა ობოლი!..
ლამაზი რწმენის რად ჩაუქრა ყველა კანდელი –
სულს აკივლებულს მხოლოდ ჟამის დაუნდობლობით!..

არ ვიცი, ასე რატომ გავხდი კაცი ჯვარცმული,
ვირხევი, ვით ხე, ერთობ, ფოთლებშემოძარცული!..

25. 11. 90.
სოხუმი

* * *

დედაო მიწავ, შენი ბედი მაშფოთებს ახლა,
შენს თავზე შავად ჩამოწოლილ ზვავებს რომ ვხედავ!..
ადრე თუ ჩემში თამაშობდა ცისფერი ტალღა,
დღეს მშლის და მარღვევს ტკივილამდე მისული სევდა!..

მოვა, სიცოცხლეს ნაპრალებში ჩარეცხავს ჟამი,
სიყვარულსა და სილამაზეს მოუღებს ბოლოს!
სივრცეში კიდევ, ერთი ლაქა გაჩნდება შავი
და შთანთქავს ხსოვნას საშინელი დუმილი მხოლოდ!..

მერე გამჩენიც ვერ შეარხევს სიცოცხლის ვულკანს,
ზამბახს ვერასდროს გაალღვიძებს აპრილის წვიმა!
გახდები მხოლოდ შემზარავი დუმილის ლუკმა
და დავიწყებას მიეცემა, – რაც იყო წინათ!..

ადამის მოდგმავ, შენი თავის შენა ხარ მკვლელი!
ვერ გაახარე სულში ნაზი ყვავილი ველის!

14. 01. 91.
სოხუმი

* * *

ო, ამ გულიდან სისხლისფერი ცრემლები წვეთავს,
როცა შენ გხედავ მწუხარეს და უზომოდ დაღლილს!
კვლავ ტანჯვით სავსე სანუგეშოდ მოვდივარ შენთან,
ჟამის გრიგალმა დამილეწა მაისის ბაღი!..

დღეს არსაიდან, არსაიდან იმედი არ ჩანს,
მხოლოდ ზარები განგაშებენ სიონს და მცხეთას!..
ვხედავ, არწივთა ასპარეზი ყვავ–ყორნებს დარჩა
და მივაცილებ უნიათო დღეების ცხედარს!..

მე უნაზესი მოგონება შემომრჩა მხოლოდ,
გავცქერი ზღვაზე მიტოვებულ ანძების ცახცახს!..
ვიცი ეს ტანჯვა ჩემს არსებას მოუღებს ბოლოს,
თუკი ტკივილი შემზარავი სულში არ დაცხრა!

გაჩენის დღიდან ჭიდილი აქვთ კეთილს და ბოროტს,
ვინ გაიმარჯვებს? – კაცი მაინც იმედით ცხოვრობს!..

08. 06. 91.
სოხუმი

* * *

რაც შენს შესახებ ვიცით, ეს ხომ არცოდნას ნიშნავს,
ნაპირზე ვდგავარ დაღლილი და ვიღაცას ვუცდი!..
მივდივარ, მკრთალი ნაკვალევი აჩნდება ქვიშას
და მასაც წაშლის შემოდგომის ქარები სუსტი!

ისევ გავცქერი ვარსკვლავების გაფანტულ ლაშქარს,
მოდის და მოდის უთვალავი ტალღები ქშენით!..
ბექობზე მდგარი ფლოქვებს სცემს და ჭიხვინებს ლაბშა
და სულს ამინთებს შორეული სიმღერა შენი!..

რაც შენს შესახებ ვიცით, ისიც არარის მყარი!
ქარს მიაქვს სადღაც მოყვითალო ნაკადი ფოთლის...
ჭეშმარიტებად მიგვაჩნია სიცრუე მტკნარი
და სრულ სიმშვიდედ, – აწყვეტილი ტალღების ჩქამი!

მე შენს შესახებ გაოცებას სულაც ვერ ვმალავ,
კაცთა გონისთვის იდუმალო, მარად და მარად!

17. 07. 91.
სოხუმი

* * *

სულისკვეთება განწირულის! –სხვა რაღა დარჩა?
დანიის პრინცის შემართებას ის ახლა ითხოვს!..
იმედის სხივი არსაიდან არა და არ ჩანს
და ყველა შუქი ცის თავანზე გამქრალა თითქოს!

ამ დედამიწას, – ბოროტების სავანედ ქცეულს,
დასაბამიდან არასოდეს ჰქონია ბედი!
ამაოდ უცქერს ის ღმერთკაცის სისხლიან სხეულს
და ყველა გზაზე გარეწრები დაჰქრიან ეტლით!..

ო, ამდენ ტანჯვას როგორ უნდა გაუძლოს კაცმა?
კეთილი სული ვერ ამაღლდა ბოროტსა ზედა!
დრო თავგანწირვას ითხოვს შენგან მოზომილს მკაცრად
და არა სადმე გასაქცევად დარახტულ ზერდაგს!

მოხვედი ქვეყნად და თუ კაცის სახელი გქვია,
ნუ შეგაშინებს, – იყოს ყველა ჭრილობა ღია!..

27. 07. 91.
სოხუმი

* * *

შენს მოლოდინში გული უკვე ველარ ისვენებს,
მოჩანს თეთრი მთა, იქით კიდევ მთები სვანეთის!..
ეს სიხარულის ცრემლებია თვალს რომ მისველებს,
ვდგავარ ბექობზე, ვიცქირები აღმოსავლეთით...

ცა მოხასხასე ცისარტყელას ფერით ინთება,
ცვრიან ბალახზე კვლავ დავდივარ ნაიარევი!
შენს სიდიადეს, კოსმოსურო ძალავ, დიდება,
რომ სივრცეს ანთებ საოცარი ფერიცვალებით!..

მე შენს წინაშე მუხლს მოვიყრი, ძალავ განგების!
მინდა ვუცქირო მზის ამოსვლას ფერთა სიალით!..
შენი გაჩენის საიდუმლოს ვერ მივაგენი,
ოღონდ მახარებს გაზაფხულის დილა მზიანი!..

იდინე დროო, მძლედ გაშალე შენი აფრები,
რაა სიცოცხლე? – მოძრაობა, სხვა არაფერი!..

28. 05. 92.
ბანძა

* * *

როცა ვერ უძლებს ასე უღვთოდ ხორცის წამებას,
სულმა ნაგვემი სამოსელი უნდა დატოვოს!..
რა შემზარავად განშორების რეკავს წამები,
რომ თავის ნაწილს მიწა ისევ დაეპატრონოს!..

დაუნდობელი ორთა ბრძოლის ახლა მოწმე ვარ,
გულისთქმა ჩემი მინდა მხოლოდ ლექსებს გავანდო!..
ხშირად მიხდება სტრიქონების გადამოწმება,
რომ ჟამთან ფუჭად, ულიმღამოდ არ ვიკამათო!

საითკენ ილტვი, სულო, ზეცის თანაზიარო?
არ აჰყოლიხარ არასოდეს ჟამის დინებას!
შენ მარად ირმის ნახტომებზე უნდა იარო,
ცის უფსკრულებში, როცა მზეც კი ჩაიძირება!..

ო, რადგან უკვე მიწიერი გზები დახურე,
შორს, ვარსკვლავეთში სამუდამოდ გაიზაფხულებ!..

20. 09. 92.
სოხუმი

* * *

ეს საუკუნე გულზე მიშენს მოწამლულ ისრებს,
ოცნების კოშკებს დემონები თავზე მანგრევენ!..
და ჩემი ქვეყნის ბედს ულმობელს დავსტირი ისე,
როგორც ტროელი ბერიკაცი ტროას ნანგრევებს!..

მე გული დამაქვს დაფლეთილი ჟამის ლახვარით,
დავდივარ, ვბორგავ და ვერავინ მიქარვებს ნაღველს!
და დემონების შორით მესმის სტვენა – ხარხარი,
რომელიც ერთობ ჩემს არსებას ბოლომდე არღვევს!..

და ჩემი ჩანგი დღენიადაგ შფოთავს და კვნესის,
ვერ ურიგდება იგი ბედის მწარე განაჩენს!
იმღერე ჩანგო! თუმც შენი ხმა არავის ესმის,
რომ წარსულიდან იქნებ ცოტა რამე გადარჩეს!..

თუ ვერას ასმენ საუკუნეს გაქიღენთილს ბანგით,
ზედ შეალეწე მის ყრუ კედელს ეს შენი ჩანგიც!

26. 10. 92.
ბანძა

* * *

რამ დამავიწყოს ის დღეები სავსე ღირსებით,
ჩემი სხეული ჩამავალ მზის სხივებს იწურავს!...
გზაჯვარედინზე ვერ გავფანტე რუხი ნისლები
და შორს ოცნების სათაყვანო გედი მიცურავს!..

ზღვა კვლავ ბობოქრობს ქარაშოტის ფრთებით ნაცემი
და ნაპირები გახდა ერთობ უკაცრიელი!..
ო, რა უგულოდ მიცქერს ციდან მზე ალმაცერი
და მეფანტება შუქი რწმენის, მუდამ ძლიერი!

დრომ გაიტაცა ის ნათელი, დავრჩი ეული!
და ხმლის ნატეხით ვიბრძვი, როგორც გლადიატორი!
უკვე რღვევისკენ მიისწრაფის ჩემი სხეული,
ათი ათასჯერ ბრძოლის ველზე ჟამით ნატორი!..

დრო მიდის ხაფით და მე ერთი რამე მაწუხებს,
კითხვებს თავხედურს თავხედურად ვერ ვუპასუხე!

22. 11. 92.
სოხუმი

* * *

მე ისევ ვიწოვ ჩემი ქვეყნის ტკივილებს ხარბად,
დავდივარ ოხვრით და ვერავინ მიქარვებს ნაღველს!..
ისე ვუმღერი სევდიანად მშობლიურ მთა–ბარს,
როგორც ჩიტები უგალობენ გაძარცულ ბაღებს!

უდაბურ გზებზე ყვავ–ყორნების ჩხავილი მესმის
და ღრუბლებიდან ვერ გამოდის მზე სააპრილო!
ამ გულს ღელვისგან ლამის ყველა ჩაუწყდეს ფესვი
და ზვირთი ისევ ათასობით აწყდება ნაპირს!..

მე ჩანგის სიმებს მოვდივარ და ძალუმად ვარხევ,
გულს იმედივით შორეული ედება ალი!..
ნუ ჩამახედებ, მეგობარო, ცხოვრების სარკეს,
სად იკარგება ნაფეხური მზისა და მთვარის!..

შენ თუ არ მოხვალ და თუ აღარ მომეფერები,
მე ქარიშხალი გადამთელავს ალბათ ველების!..

10. 06. 93.
სოხუმი

* * *

ორ ვეშაპს გავსცდით და მესამე გადაგველობა,
ჩემი მამულის ზღვა და მიწა სისხლით აივსო!..
რაც ჩაიდინეთ, სამარცხვინოდ ისიც გეყოფათ,
თქვენ, საუკუნის ჯალათებო, სამარადისოდ!..

დიდი რუსთველის საქართველოს სისხლი ადინეთ,
და პლანეტაზე ქართველობის მოშლაც ინდომეთ!
სისხლიან ჩექმით ჩემი მხარე გადინადირეთ,
თქვენ, შეპყრობილნო, ბარბაროსთა ყველა სინდრომით!..

ო, ამ მიწაზე ვერ წაგვართმევთ ყოფნის უფლებას,
თუმცა კი ცდილობთ გაგვატანოთ ცეცხლს და ნიავქარს!..
იცოდეს ყველამ, ერთიანად დავიღუპებით,
მაგრამ შიშით კი არასდროს არ დავხრით იალქანს!

არა მეფენი, ოდითგანვე დრონი მეფობენ,
ამიტომ ხმლები უქარქაშო დავიმეგობრეთ!..

22. 11. 93.
სოხუმი

* * *

მთელი სისწრაფით ისევ შენსკენ მოვექანები,
უომრად არ მსურს, რომ გავიდე ბრძოლის ველიდან!
რა შემზარავად მოარღვევენ სივრცეს ქარები
და უბრძოლველად მისხლტებიან წლები ხელიდან!..

მესმის ყივილი არწივების ჩემი მთებიდან
და შორს კივილით მეძახიან მცხეთის ზარები!..
თვალები ცრემლით ეჰ, რამდენჯერ გადამებინდა,
რომ მამულს სტკივა ნაფეხური დინოზავრების!..

ო, არ მაჩვენოთ დარდიანი თვალი დედების,
მივალ იქითკენ მთვარის ლურჯი ნაფეხურებით...
რომ არ დამენგრეს სათაყვანო ჩემი ედემი,
მე ბრძოლის ველზე ყოფნა მიჯობს შორით ყურებას!

შეხედე, ჟამის ყველგან მოჩანს ნათავხედარი,
აპოკალიფსის ისევ მიქრის ოთხი მხედარი!

14. 10. 94.
თბილისი

* * *

უეცრად შენში თუკი ყველა სანთელი ჩაქრა,
მაშინ ამ ქვეყნად შენი ყოფნა არაფრად არ ღირს!
იყავ ცოდვილი, შეერევი შლამსა და წარღვნას
და მიწის პირზე არ დარჩება უბრალო ლაქაც!

თუ კართაგენის ნანგრევებად გიქციეს მხარე
და ღირსეულად ვერ მიაგე პასუხი მტარვალს!
მაშინ რად გინდა, გაიხადე სამეფო სტავრა,
და შეიმშრალე მაგ ნიანგის ცრემლები ცხარე!

თავდადებულის გაიხსენე სიტყვა და საქმე,
ნუღარ გახდები დოლარების უმწეო მონა!
შურისძიების ქარიშხალი რა ახლოს ფრთონავს
და რკინის ღობით შემოზღუდულ ბარრიერს ანგრევს!..

ჩემი სამშობლო რად მიქციე ნაკუწ–ნაკუწად?!
შენ კაცი არა, კაცუნა ხარ მხოლოდ ლაქუცა!

24. 07. 95.
მოსკოვი

* * *

მკრთალი ბალახი ატირდება ორი საფლავის
და ფოთოლცვენის მოყვითალო ჩუმი ლანდებით –
ეს შემოდგომა, ვიცი, ტანზე შემოგვადნება
და მოვა შემდეგ იანვარი თოვლის ფაფარით!..

არც მე ვიქნები და არც შენი ვარდის ღიმილი,
დაიფარება საფლავები თეთრი ხავერდით...
მერე ცისკარიც აინთება აღმოსავლეთით
და მზე ამოვა ძოწისფერი, მძაფრი კივილით!..

სივრცე დარჩება გაბზარული მამლის ყივილით
და მთვარე თრთოლვით გამოჰყვება იმ ძველ ხეივნებს...
ჩვენი ტრფიალის მოზიარე და მოსეირნე,
მოვა საფლავთან სავსე ცრემლით და სიმძიმილით!..

მაგრამ ბუნებას მაინც ვეღარ დავემდურებით,
რადგან მოგვართვა სიყვარულის თაიგულები!..

20. 10. 95.
თბილისი

* * *

ვერ გავარღვიე ეს საზღვრები არარაობის,
ერთი ლუკმა ვარ ამ მიწისთვის, – ისიც მცირედი!
ოღონდ მოვედი, მეგობარო, შენი იმედით
და პლანეტაზე დამხვდა მხოლოდ სისხლის ჭაობი!

საითაც მივალ, თან მომყვება ჩუმად მაცილი,
მამულის ტრფობას წუთით მაინც ვეღარ ვივიწყებ!
ფრთებით დაჭრილით – მე ნიადაგ მზისკენ მივიწევ
და არ ვმორჩილებ კაცი კანონს გრავიტაციის!

შემოვიმტკიცე პოეზიის სამეფო ვრცელი,
არ დამიზოგავს მსხვრევის შიშით ფრთები საქარე!
არ ვიცი, ჟამი ულმობელი სად მიმაქანებს,
ან რატომ მიცქერს ღრუბლებიდან მზე ალმაცერი?!

დავქროდი ზღვაზე და არ გავხდი მაინც მეკობრე,
მხოლოდ ლექსი და შენი გული დავიმეგობრე!

12. 07. 96.
მოსკოვი

* * *

მე ვხედავ ჩემს თავს, მეგობარო, ოცი წლის მერე,
ბუდეებს თვალთა მოსდებია მთვლემარე ხავსი!..
ღიმილ–ქილიკით, ვიღაც უხეშს მახურავს ბერეტს,
ვაცქერდები და არაფერი მინახავს მსგავსი!

ვინ გამიტენა თავის ქალა შმორიან მიწით
და ვინ დამიშრო სიყვარულის ჩქრიალა წყარო?!
დაუფლებია ჩემს ბაგეებს დუმილი ბილწი,
ძვლების გროვაზე მხოლოდ ლოთი სიკვდილი გალობს!..

ამ ბლანტ სიბნელეს ველარ აკრთობს ქარი და წვიმა,
არც მზე მაისის და არც თეთრი ფიფქების ჩქამი!
საით გამექცა ყოველივე, რაც იყო წინათ,
ვინ მომახვია შემზარავი დუმილი ღამის?!

მითხარ, ბუნებავ, რად მაქციე კაცი ჭაობად,
როცა ვიყავი შთაგონება და მოძრაობა?!

14. 09. 96.

ბანძა

* * *

დღევანდელი დღის ულიმღამო ცხოვრებით ვცხოვრობთ,
ხვალ რა მოგველის, მეგობარო, არავინ იცის!
გული აწყდება მღვრიე ზვირთებს ნიადაგ ფიცხი,
სად გაქრა ო, ის სილამაზე შუქით ცხოველით?!

ვიქეცით მონად, ისევ ჩვენი დაუდევრობით,
სად დამთავრდება ეს წამება არავინ უწყის!
იცვალა ფერი ყოველივემ, რაც იყო უწინ,
დღეს კი აზიის ნაწილი ვართ, ხვალ კი ევროპის!

რა ვართ? – თოჯინა სათამაშო დემონის ხელში,
ამ პლანეტაზე ჩვენ ვართ ერი – სულით ობოლი!
ნუთუ ეს ხდება მხოლოდ ბედის დაუნდობლობით,
მიაყურადე, ტკივილისგან მამული ხვნეშის!..

ო, ამგვარ ყოფნას, მეგობარო, არყოფნა გვიჯობს,
ყოფნა ხომ ვნახეთ? – ახლა უკვე არყოფნა ვსინჯოთ!

17. 10. 96.
თბილისი

* * *

რა რჩება ჩემგან? – კითხვა დღესვე მოითხოვს პასუხს!
იქნებ ლექსები? – მაგრამ პასუხს არავინ მაძლევს!..
დავდივარ ფიქრით დანაღმული, არ ვიცი რა მსურს
და ვზომავ სულით უსასრულო დროსა და მანძილს!..

რა რჩება ჩემგან, იქნებ ორი სტრიქონი მხოლოდ?
ვერ ვთქვი რაც მსურდა, საყვარელო, გული კი მეწვის!..
მესაიდუმლედ მყავდა ცაში ვარსკვლავთა ქორო
და ცისქვეშეთში საოცარი შრიალი ლერწმის!..

აქ სული ჩემი შეუპოვრად ებრძოდა ავდარს
და ის შენს სულთან დაეძებდა იდუმალ კავშირს!..
რა რჩება ჩემგან შემზარავი ტკივილის გარდა?
მოვა ჟამი და როგორც ქვიშას გამფანტავს ქარში!..

ცაო და მიწავ, ვიცი, ბოლოს გამინაწილებთ,
რომ განელდება ჩემი ცეცხლი და სიყმაწვილე!

19. 11. 96.
თბილისი

* * *

მ–ს

რად დაივიწყე ბედნიერი დღეების წყება?
რად განერიდე განთიადზე ხოხბების ყივილს?
რა სატანჯველი მოგიტანეს ისეთი წლებმა,
რომ გაექეცი გაზაფხულის ვნებიან ღიმილს?!

ვარდისფერ კაბას რად არჩიე ძაძები შავი,
ცრემლების გუბედ რად აქციე თვალების ჭრილი?
რად შეიჩვიე მონასტრული ზმანება ღამის
და უჩვეულოდ გარინდული სანთლების ჩრდილი?!

ამური ისევ აყურადებს მაგ გულის ფეთქვას
და ირხევიან ფოთოლცვენის ფერები ირგვლივ!..
შენ სერაფიტის სილამაზე გიბოძა ღმერთმა
და რა უხეშად მას უკანვე მიუგდე იგი?!

ვინ დაგიწეწა უმოწყალოდ შროშანი სულის,
რომ მაისის ქარს ამჯობინე სიმშვიდე სრული?!

04. 11. 02.
მოსკოვი

* * *

ღმერთო სამშობლო მიცოცხლე!
მძინარეც ამას ვდუდუნებ...
ვაჟა–ფშაველა

ო, შენ ხარ ჩემი სიყვარულის წმინდა სათავე,
ხან სევდიანი, ხანაც კიდევ ცისკრის ნათებით!
თუმც დგახარ ფეხზე, მაგრამ წელში გაუმართავი,
ჩემო ქვეყანავ, შენ მსხვერპლი ხარ შავბნელხლართების!..

დგახარ ეულად და გული გაქვს ჟამით ნატორი,
ვერ იქნა, დღემდე ვერ გაშალე ფრთები არწივის!
შენ შემართება გქონდა მუდამ გლადიატორის
და საუკუნის ტრაგედია გაინაწილე!..

შენ გითვალთვალებს ავი სული მოუსვენარი,
კვლავ სიშორიდან ყვავ–ყორნების ჩხავილი გესმის!
და გამოდიხარ ბნელეთიდან ძალით ზენარის,
საიდან მოდის – ეს ამდენი შხამი და გესლი?!

თავისუფლების აფრა ბევრჯერ შემოგეფლითა,
სხვა რაღა დარჩა? – უნდა აღსდგე ისევ ფერფლიდან!..

26. 04. 03.
მოსკოვი

* * *

შენ ხელმეორედ ამ მიწაზე ვერასდროს მოხვალ,
მოვა ჟამი და დაგადუმებს ლოდი სამარის!..
უნდა იცოდე, მას არ შველის ცრემლი და ოხვრა,
იჩქარე, დროზე შემოხაზე შენი სამანი!..

ძარღვებში ერთობ შედედდება სისხლის მდინარე,
მითხარ, რა არის სამზეოზე ურღვევ–უხრწნელი?!
განშორებისას, სულო, რამდენ რამეს ინანებ,
დარჩება შენთვის ბევრი რამე ამოუხსნელი!..

გაჰყვები ქროლვით ზეცისაკენ სივრცის აღმართებს,
რომ შეუერთდე, სამუდამოდ ღელვა – დინებას...
იქნებ, შორს, სადღაც მარადიულ სანთელს აღანთებ,
თუ ლაჟვარდების უფსკრულებში ჩაიძირები?!

გაეცი კითხვას შენ პასუხი მოურიდებლად,
შუქთა დინებას უზენაესს მარად დიდება!..

22. 05. 03.
მოსკოვი

* * *

დროის ტალღებზე კვლავ  დრეიფობ, ჩემო პლანეტავ,
არავინ იცის, მომავალში თუ რა მოგელის!
კრთის და ცახცახებს შიშით შენი ყველა განედი,
ბობოქრობს ჟამის ულმობელი შავი მორევი!..

კომეტების და მეტეორთა შენ ხარ სამიზნე,
მაგრამ, ხომ დღემდე გადაურჩი ყველა მოლოდინს?
დროო შეჩერდი! ზარებს მწუხრის ნუღარ არისხებ,
რომ არ აფეთქდეს ის შიგნიდან ხელით ბოროტის!

გათრობდეს დიდხანს გაზაფხულის შუქი ცხოველი,
მე მხოლოდ შენი დღეგრძელობა მინდა ვინატრო!
ნუთუ სიკვდილი მუხანათი შენში ბინადრობს,
და ებრძვის იგი შენს არსებას, დაუცხრომელი!

მე შენზე ფიქრი დღენიადაგ მექცა დილემად,
რომ ნამსხვრევებად აღარ გაჰყვე ჟამის დინების!..

02. 06. 03.
მოსკოვი

* * *

იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ
თვითვე არიან!
ნ. ბარათაშვილი

მაგ ღვთაებრივი სილამაზე აღარ ვიწამეთ,
ჰა, ლამის არის სათაყვანო ჩაქრეს ნათელი!
ჩვენ ერთმანეთის წამება და ხოცვა ვისწავლეთ
და იცრემლება, ო, რა მწარედ ცა სანატრელი!

აპოკალიფსის კვლავ მიქრიან სადღაც რაშები,
შუბლზე ამოჭრილ შემზარავი შავი სვასტიკით!..
საბედისწერო ატომურ ცეცხლს ვეთამაშებით,
რომ დავამთავროთ ეს ცხოვრება წყევლით სასტიკით!

დავძრწით შენს მკერდზე, აღარ არის ჩვენი საშველი!
ტანზე პერანგი სისხლიანი ისევ გაცვია!
ხოლო ქვეყნები დაძარღვულთა ხელით ნაშენი,
ამ დემონებმა ლამის არის ფერფლად აქციონ!

ყოფნა–არყოფნა?! – ვდგავართ უკვე ზღვართან მისული
და ამას იქით მოჩანს სივრცე გადანისლული!..

15. 06. 03.
მოსკოვი

* * *

ყველაფერი ირღვევა და მდუმარებით
ხდება სავსე!..

გარსია ლორკა

სიკვდილი მუდამ სიცოცხლეზე იწყებს შეტევას,
ყოველ ნაბიჯზე უხვად თესავს შხამს და სიავეს!..
ხან ჩუმად მოდის, ხან ხმაურით სივრცეს ედება,
სანამ არსებულს ერთობ აღარ გაანიავებს!..

იქნებ ბუნება ინარჩუნებს წონასწორობას
ამ ორთა ბრძოლით, დიადი და ყოვლის მომცველი?!
არ ვიცი, რატომ ეგუება იგი მონობას,
ან რატომ დასცქერს ასე ცივად მოჭრილ-მოცელილს?!

ჩვენ ქაოსური მოძრაობის ვხდებით ნაწილი,
როცა ჩაგვიქრობს ჟამი სულის ყველა ნათურას!
მერე არც მთიდან გავიგონებთ ყივილს არწივის
და არც მშობლიურ იავნანას, სულო, ქართულად!

მე გთხოვ, ეს თასი ერთხელ კიდევ ღვინით ამივსე!
სანამ ბუნება რღვევა–დაშლით გამითავისებს!

25. 06. 03.
მოსკოვი

* * *

არ გათეთრდების ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა!
ხალხური

უმადურება ისევ მძლავრობს ახლა შენსირგვლივ,
შენს დიდი გენიას ის ვერ ჩაკლავს, ვეღარ დაჩრდილავს!
პლანეტა შენმა შემართებამ გადაარჩინა,
ვდგავარ ამ ძეგლთან და რაც ხდება, სულაც არ მიკვირს!

გაველანებულს ვხედავ სოფელს კვლავ კიდით კიდე,
არა აქვს ზღვარი: მეძაობას, მკვლელობას, ძარცვას!..
აქ ბოროტება მეფობს ყველგან, სიმართლის ნაცვლად,
ჩამოაფარეთ სიმახინჯეს შავბნელი რიდე!

რწმენის, იმედის მის სარკმელში ვერ შედის სხივი,
რომ შემზარავი სიმახინჯე არავინ ნახოს!
ისე გაიხრწნა მისი ნეშტი, ვერ მიხვალ ახლოს,
თუ იხსნის რამე მხოლოდ შავი სამარე ცივი!

მისი ჩხავილის სივრცეს ისევ ედება ექო,
არ გათეთრდების ეს ყორანი, რაც უნდა ხეხო!

30. 06. 03.
მოსკოვი

* * *

გადამაფარეთ ჩემი ზეცის ხავერდი ლურჯი,
განსასვენებლად შემირჩიეთ სადმე ზეგანი...
რომ გადავხედო ჩემს სამშობლოს უკიდეგანოს,
ამდენ წამებას და ქარიშხალს რომ გადაურჩა!

ეს მკერდი ბევრჯერ დამილეწა ჟამმა ისრებით,
ავანთე გული და ის დავწვი, დავღვარე ფერფლად!..
მე ის მეყოფა დიდებად, რომ პოეტი მერქვას
და დამცქეროდეს ცა ქართული სავსე ღირსებით!..

მე შენზე ლოცვით მივყვებოდი ხეივანს მთვარის
და სამრეკლოდან რწმენის ზარებს რეკავდა მნათე!..
ვეტრფოდი მარად უპირველეს – სიშორის ნათელს
და ფოთოლცვენის ლანდებს გზაზე არხევდა ქარი!..

თუ შენი ტრფობა ჩავაქსოვე ლექსში ინახად,
მაშინ მეც ჩემი რუბიკონი გადამილახავს!..

03. 07. 03.
მოსკოვი

* * *

ჭირსა შიგან გამაგრება,
ისე უნდა, ვით ქვითკირსა!
შოთა რუსთაველი

გრავიტაციულ ველში ვდგავარ, ყველა სხეული
მიზიდავს მე და, მთელი ძალით მათაც ვიზიდავ!..
მაგრამ მათ შორის ეს მიწაა ჩემი რჩეული,
რადგან აქ ცხოვრობს, ამ მიწაზე, ჩემი იზიდა!

ფეთქავს ეს გული – ამ სამყაროს თეთრი კოცონი,
რომელიც ერთობ ინთება და ქრება თავისით!
ვერ ვიმორჩილებ უსაშველოდ გრძნობას მოწოლილს
და, მერიქიფევ, მეც გთხოვ ცოტა ღვინო დამისხი!

მე კარგად მესმის ამ მიწაზე რისთვის მოვედი,
თუმც ვერ დავხურე დემონების გზა უსახური!
მეც ვბორგავ ისე, როგორც ჩემი წინამორბედი,
ვაწყდები სივრცეს კაცი ძალით ჯერ არნახულით!..

განვვლე ჩემი გზა და რა დამრჩა? – ერთი მტკაველი!
მაგრამ მამშვიდებს, ჭირსა შიგან, ხმა რუსთაველის!..

10. 07. 96.
მოსკოვი

* * *

უიტმენივით მარტოობას ვეჩვევი უკვე,
რადგან იმ ქვეყნად ვიცი, დიდხანს მომიწევს ყოფნა!
ცხოვრებამ, თუმცა ეჰ, რამდენჯერ მიტირა ყოფა,
რადგან ვერ ვიქეც დღემდე მისთვის გემრიელ ლუკმად!

განშორების წინ ვეფერები ყველაფერს ისე,
თითქოს ამ ქვეყნად მხოლოდ მათი ტრფიალის ტყვე ვარ!
რა დამავიწყებს, საყვარელო, მაგ ტანის რხევას,
რომელიც ახლაც სიშორიდან ჟრუანტელს მისევს!..

მოულოდნელი იყო ჩემთვის ამ ქვეყნად მოსვლა,
წასვლაც, ასევე უჩვეულო იქნება ალბათ!
არ გაგიკვირდეთ, რომ ყველაფერს ვუცქერი ხარბად
და საუკუნოდ სიყვარულის სხივებით ვმოსავ!..

მივდივარ, მაგრამ თქვენთან ვრჩები ხალასი გრძნობით,
რომ წრფელი ხსოვნა შემინახოთ ლამაზი ყრმობის!..

17. 07. 03.
მოსკოვი

* * *

გახდები მშრალი, უნაყოფო, მიწავ მშობელო!
და ქარიშხლებით შემზარავით ნარბევ–ნაცემი,
ვით ხე სამოთხის საბოლოოდ განიძარცვები,
ყველა ავთვალი მოზღვავდება დაუნდობელი!..

დაეკიდები მზეს გაძარცულს სხივდაშრეტილი
და ფერფლად გაქცევს მოვარვარე ზვირთი ლავების!
აქ დამთავრდება ყოველივე გავერანებით
და სიცოცხლეზე დემონების მძაფრი შეტევით!

სერაფიმები ცრემლს დაღვრიან ფიქრის გორაზე
და მაგ მშვენებას დრო უსახოდ გაატიალებს!..
შორს, უფსკრულებში შთაინთქმები ორომტრიალით
შენ, დასაღუპად გატყორცნილი პარაბოლაზე!..

დარჩება მხოლოდ ორბიტაზე მცირე უვალი, –
კოსმოგონიურ თეორიით გარდაუვალი!

20. 07. 03.
მოსკოვი

* * *

რამ დაგაფიქრა, შენ ბუნებავ, ასე სასტიკად?
იქნებ ვერ უძლებ ღვართქაფებად ტკივილს მოდენილს?!
ნუთუ ამგვარად შეგაშინა ო, ამ სვასტიკამ
და "ბოროტების ყვავილებმა" ქვეყნად ბოდლერის!

ვერ ეგუები ჟამის ასე გაუმაძღრობას,
ვერ იქნა, დღემდე ვერ დახურე გზა ბოროტების!
შენ ვერ შესძელი დემონების სულის დაცხრომა
და ყოველივე, ვერ გაიგე, რით ბოლოვდება?!

ვხედავ, რომ ვეღარ გადურჩები გავერანებას,
ნუთუ ამაოდ გავიარეთ გზები წამების?!
ამ პლანეტაზე უშენობა დამენანება,
და უაფრებოდ ხეტიალი ზღვაზე ნავების!

ამაოებავ, რადგან შენი ხვედრი ვყოფილვართ,
რასაც აქ ხედავ, – მიითვალე უკვე ყოფილად!

23. 07. 03.
მოსკოვი

* * *

შეხედე, როგორ დაემსგავსა მკვდარ ზღვას ცხოვრება,
ნუთუ სიცოცხლემ საბოლოოდ დაკარგა აზრი?!
შენი ხატება მე მარადის მემახსოვრება,
რადგან ამ ქვეყნად სიყვარულის ბადაგი მასვი!..

ვერ შევეჩვიე მდუმარებას დაფარულს შლამით,
შეხედე, ეს რა უდაბური გახდა ნაპირი!..
მიედინება ღრუბელივით დღეები შავი
და კვლავ აწყდება ზღვა ჯებირებს ხმაურით, ხაფით!..

კაცობრიობას მხრებზე აზის ეშმაკი ორი
და ეწევიან სულის აფრებს სხვადასხვა მხარეს!
ვიცი, რომ მალე დაიმსხვრევა ეს ზეცა ბროლის,
ანგელოზები იტირებენ ზეცაში ცხარედ!..

შეხედე, მიწას ჭრილობისგან პირი უშრება
და ამ იარებს ნუთუ იგი გადაურჩება?!

26. 07. 03.
მოსკოვი

* * *

ამ ქვეყანაზე რომ ცხოვრობდი, არც უნდა ითქვას,
თუ ვერ აუნთე მამულს რწმენის ერთი სანთელიც!
როგორ არ მინდა რომ დავხარჯო უბრალოდ რითმა,
შენ ხომ კაენის ბადიში ხარ უსხივნათელო!

ღამის აზვირთდეს სული ტანჯვით უღვთოდ ნარბევი,
დაკეცა ჟამმა უკვე აფრა შენი დიდების!...
აჰა, ინთება, ცათა შინა, სული აბელის
და ვხვდები მოწმე უკვე შენი გაბედითების!..

შენგან ჩადენილ დანაშაულს აღრიცხავს ვერვინ,
შთამომავლობა მოგიგონებს ათასჯერ წყევლით!..
შენი სახელი, ერთი მითხარ, რას ეტყვის მერმისს,
როცა სანთელიც არ ფარფატებს მამულში რწმენის!

მზე ვერ ამოდის! ილეწება გრიგალში ვერხვი!..
შენ კი ნანგრევებს ეფარები მესაჭე ქვეყნის!

27. 07. 03.
მოსკოვი

* * *

აწი ვერავინ დაგიბრუნებს იმ დიდ სიყვარულს,
ისე ლამაზად აწი ვერვინ მოგეფერება!
მზე გაზაფხულის რა უეცრად გადაიხარა
დავარდფურცლობის მოხასხასე ჩაქრა ფერები!..

ცრემლის წვეთები დაეკიდა მთელი სიმძიმით,
მაგ გრძელ წამწამებს!.. მოითენთა ერთობ სხეული!
დღემ აღტაცებით მინდორ–ველი გადიციმციმა
და ჩაქრა შუქი ციდან ნაზად ჩამორხეული!..

შენი ცხოვრება გახდა უკვე მიუსაფარი
და მოგეძალა განშორების მძაფრი ტკივილი!..
მინდორზე ნისლმა, შეარხია რუხი ფაფარი
და ბაგეებზე უნაზესი გაქრა ღიმილი!..

ვიცი, ღაწვები ბევრჯერ ცრემლით დაგეცვარება,
მაინც ამაყად ეგებები ფერიცვალებას!..

13. 08. 03.
მოსკოვი

* * *

არავინ იცის, ეს ცხოვრება თუ როგორ ბრუნავს
მღვრიე დღეებით, ან საითკენ მიექანება?!
ნახე, პლანეტა დაემსგავსა მხეცების ბუნაგს
და ყველა ანძა ილეწება ზღვაზე ქარებით!..

ასე უღმერთოდ განაწამებს დასაბამიდან
უფრო და უფრო უღრმავდება ყველა ჭრილობა!..
ვერ იქნა, ვეღარ შეიცვალა ქვეყნად ამინდი,
გული ვერ უძლებს მწუხარების უნაპირობას !..

რას უცდი, სულო, შეელეწე გრიგალს მოვარდნილს,
როდესაც მძიმე განსაცდელში ბორგავს ხმელეთი!
რა ვუყოთ, თუნდაც დაილეწოს შენი ხომალდი,
ოღონდ ცხოვრება არ დანებდეს შურსა და ბნელეთს!

თუკი სიცოცხლე სიძულვილით არის ნათრობი,
ამის მნახველი, რად არ ქრება ყველა მნათობი?!

22. 08. 03.
მოსკოვი

* * *

სული და სხეული

შორს, ცის სიღრმეში მიირხევა შუქი ულევი,
დრო მიჰქრის, ვით ქვა გატყორცნილი მძიმე შურდულით!..
რომ ვთქვა სიმართლე, შენ უთუოდ დამემდურები,
წარმავალი ხარ, მუდამ ჟამით შემოზღუდული!

ვერ გამიგია, ერთ ჭურჭელში როგორ ვთავსდებით,
მე ფრთებდიადი, შენ სუსტი ტყვე ფერიცვალების?!
როცა არა გვაქვს ერთმანეთთან მცირე მსგავსებაც,
მე უკვდავი ვარ, შენ მთავრდები გარდაცვალებით!..

ხავსმოდებული გადიქცევი მიწად, ბალახად,
და შემდგომშიც კი თავს არავინ იკლავს ხსენებით!
ალბათ, ეშმაკსაც შეაძრწუნებს შენი დანახვა,
როცა ბნელეთში სამუდამოდ ჩაესვენები!..

მე ცისკენ წავალ ზეციური ძალის მიწვევით,
შენ მიწა იყავ და კვლავ მიწად გარდაიქცევი!..

30. 09. 03.
მოსკოვი

* * *

მას შეჩერებულს და მდუმარეს ვერასდროს ნახავ,
ჩვენ გვეჩვენება, თუ ნამდვილად მოძრაობს იგი?
რომ მიიჩქარის, ნეტავ რა აქვს იდუმალ ზრახვად?
დაუძლეველის რატომ იდგამს მრისხანე გვირგვინს?!

შორეულ გზაზე დემონური ნაბიჯით მიდის,
არაფრად აგდებს ის აღმართულ ჯებირთა წყებას!..
მიარღვევს სივრცეს და არავის არა აქვს რიდი,
მთელი სამყარო მის წინაშე ბავშვივით კრთება!

მოდის საიდან? – ან მიიწევს საითკენ ნეტავ?
ხან გეფერება, ხანაც კიდევ უხეშ ფრთებს გახლის!
შეხედე სივრცეს, ეს რამდენი ვარსკვლავი ფეთქავს,
რომელიც შემდეგ მსხვერპლი ხდება ნგრევის და წარღვნის!..

ეს სისტემები ასე საით მიექანება? –
დრო მოძრაობს თუ ჩვენ ავყევით მხოლოდ ზმანებას?!

12. 02. 04.
მოსკოვი

* * *

ცამ შეარხია მირიადი ზონარი წვიმის,
კვლავ ფეთქავს სივრცე უმოწყალოდ გადაგვალული!
მივაყურადებ ჩიტუნების ტკარცალს და წივილს,
რა უთვალავი სიმი არხევს მთა–ბარს წკარუნით?!

გადამხმარ მინდვრებს მოუვლინა ზეცამ წყალობა,
დავდივარ ჩუმად და სიცოცხლის ჟღურტულით ვთვრები!..
არ დაანება ის სიკვდილის გარდუვალობას
და ლურჯ მიდამოს ისევ არხევს ნიავი ფრთებით!..

ლაჟვარდებიდან ანგელოზთა გალობა მესმის,
სიცოცხლე ისევ ფრთაშესხმული წამოდგა მკვდრეთით!..
მიწის სიღრმეში უთვალავი ხმაურობს ფესვი
და დედამიწას სიყვარულით გაუთბა მკერდი!..

ვის არ აოცებს შემოქმედის ო, ეს მეობა,
სიკვდილ–სიცოცხლის საოცარი მონაცვლეობა!

25. 08. 05.
თბილისი

* * *

შენი ხმა სიმებს ისევ არხევს ცისა და მიწის,
მღერი საოცრად, ღვთაებრივი ძალის უფლებით!. .
კამკამებს სულის ლაჟვარდები, სცენაზე იწვი
და მთელ პლანეტას სიყვარულზე ესაუბრები!..

იღვრება ფერთა ცისარტყელა – ზეცის საუნჯე
და იფანტება სივრცეებში ფერად ბროლივით...
ბაღის სიღრმეში ბულბულები თითქოს დამუნჯდნენ,
ცაც გაიტრუნა ვარსკვლავებით მოოქროვილი!..

მიწიერი ხარ, სულო, მითხარ, თუ ზეციერი?
მაგ ლურჯ თვალებში, ეს რამდენი შუქი ციმციმებს!..
ვინ მოგავლინა ქვეყანაზე ღელვით ძლიერით,
რომ საუკუნოდ გაგვიფანტო ჟამის სიცივე?!

ერწყმი სივრცეებს ხმის ხავერდით გაუხუნარით,
რომ აღტაცების დაუბრუნო მიწას უნარი!..

08. 09. 05.
თბილისი



# მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

დავიბადე 1931 წ. 17 მაისს სოფ. ბანძა-ში (მარტვილის რ-ნი).

მამა – გიორგი კონსტანტინეს ძე გაბუნია იყო ყოფილი მემამულე, აზნაური.

დედა – მინადორა ბექანის ასული კოტია იყო შეძლებული გლეხის ქალიშვილი.

ისინი დაქორწინებულან 1921 წლის შემოდგომაზე. შეძენიათ სამი შვილი: მინდა, გიორგი და დავითი. დედა იყო ოჯახის დიდად მოყვარული, კეთილი, გულთბილი დიასახლისი. პატარაობისას ხშირად გვიკითხავდა ბავშვებს „დედაენას“, „ბუნების კარს“. მოგვითხრობდა თქმულებებსა და ზღაპრებს.

მამა გახლდათ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ხშირად გვიყვებოდა ყარსისა და არდაგანის ბრძოლების პერიპეტიებს. შესანიშნავად იცოდა სამეგრელოს ისტორია. ის იყო 1924 წლის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე სამეგრელოში.

1938წ.

შემიყვანეს ნაჩილაჩაოს არასრულ საშ. სკოლის პირველ კლასში. მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ჩემი პირველი მასწავლებლის – ქალბატონ ლილი ზაქარაიას ნათელი სახე. რომელიც იყო სრულიად ახალგაზრდა, საოცრად ლამაზი და ზედმიწევნით მიმზიდველი, თბილი მასწავლებელი.

